

მთარგმნელი აქაკი ვასაძე
„ნაკადული“ 1973

პერბერტ უელსი

უჩინარი გაცი

თავი პირველი
უცნობის ჩამოსვლა

უცნობი თებერვლის დასაწყისში მოვიდა, ზამთრის ერთ სუსხიან საღამოს, როცა ირგვლივ ყინულივით ცივი ქარი ქროდა და სახურავებს უხვად ეფინებოდა ოოვლი — უკანასკნელი დიდოვლობა ამ წლისა. ბრემბლჰერტის სადგურიდან ის ფეხით დაუყვა ქუჩებს, ტყავის ხელთათმნიან ხელში მომცრო შავი სამგზავრო ჩანთა ეჭირა. თავიდან ფეხებამდე ისე იყო შემოსილი და ფართოფარფლებიანი თექის ქუდიც სახეს ისე უმაღლავდა, რომ ცხვირის პრიალა წვერის გარდა, უერაფერს დაუნახავდით. ქარი მკერდსა და მხრებზე ფანტელებს აყრიდა და ჩანთაც მთლად თოვლში პქონდა ამოგანგლული. ლონემიხდილი შებარბაცდა სამიკიტნო „მეეტლე და ცხენებში“ და თავისი ბარგი შესასვლელთან დააგდო.

— ცეცხლი! — დაიყვირა. — დვთის გულისათვის, ცეცხლი! ცეცხლი და ოთახი!

მხრებიდან თოვლი ჩამოიბერტყა და იმწამსვე მისის პოულს მისადებ ოთახში გაჲყვა მოსალაპარაკებლად. საუბარი მოკლე პქონდათ. უცნობმა სასტუმროს დიასახლისს ორი სოვერენი დაუგდო მაგიდაზე და თავისი ოთახის გასაღები გამოართვა.

მისის პოულმა ბუხარი დაანთო, შემდეგ სტუმარი მარტო დატოვა, რომ საკუთარი ხელით მოემზადებინა მისოვის ვახშამი. ზამთრობით აიპინგის სამიკიტნოში სტუმარი გაუგონარი რამ იყო, — თანაც ისეთი სტუმარი, რომელიც ბინის ქირაზე არ ვაჭრობდა. ამიტომ მისის პოული ჩქარობდა დაემტკიცებინა, რომ დირსი იყო ბედის ამგარი მოწყალებისა.

როგორც კი შაშხი შეიწვა და მილი, ლიმფატიკური შესახედაობის მსახური ქალი, რამდენიმე საგულდაგულოდ შერჩეულმა ზიზღნარეგმა სიტყვაშ გამოაფხიზლა, მისის პოულმა უცნობის ოთახში სუფრა, თევზები და ჭიქები შეიტანა და განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა მაგიდის გაწყობას. ბუხარში ცეცხლი უკვე გიზიზებდა და დიასახლისის გაკვირვებას საზღვარი არ პქონდა, როცა თავისი მდგმური ისევ პალტოსა და ქუდში გამოწყობილი დაინახა. იგი ზურგშექცევით იდგა და ფანჯრიდან გაცყურებდა ფანტელების ცვენას. ხელთათმანებიც კი არ გაეძრო და გარინდებულს ეტყობოდა, ღრმა ფიქრში წასულიყო. მისის პოულმა დაინახა, როგორ წვეთავდა მხრებზე შერჩენილი ოვლი ხალიჩაზე.

— სერ, მომეციო თქვენი პალტო და ქუდი, — მიმართა მან. — სამზარეულოში გავიტან და კარგად გავაშრო.

— არა, — უპასუხა სტუმარმა ისე, რომ მისკენ არ მიბრუნებულა. მისის პოულს ეგონა, სწორად ვერ გაგაგებინეო და განმეორებას აპირებდა, მაგრამ უცნობმა თავი მოაბრუნა და ისე წარმოთქვა, „ჯერჯერობით მირჩევნია მეცვასო“, ნათლად ჩანდა, ყოველგვარი შეკამათება ზედმეტი იყო. მისის პოულმა შენიშნა, რომ უცნობს ეკეთა დიდი ლურჯი სათვალეები, რომლებსაც

გვერდითი შემებიც კი პქონდა, ხოლო სქელი, ხვეული ბაკენბარდები სახეს თითქმის მთლიანად უფარავდა.

— ძალიან კარგი, სერ, — თქვა მისის პოულმა, — როგორც გენებოთ. ცოტა ხნის შემდეგ ოთახშიც დათბება და...

უცნობმა არაფერი უპასუხა, სახე ისევ განზე მიაბრუნა. მისის პოული მიხვდა, რომ მასთან ბაასს თავს ვედარ მოაბამდა, სწრაფიად მოათავა სუფრის გაწყობა და ოთახიდან გავიდა. როცა კვლავ შებრუნდა, უცნობი უწინდებურად ფანჯარასთან დახვდა გაქვავებული, საყელოაწეული, ქუდჩამოფხატული, ქუდის ფარფლები ერთიანად უფარავდა სახესა და ყერებს. მისის პოულმა მაგიდაზე დაღგა შემწვარი კვერცხი და შაშხი და უფრო დაუყვირა, ვიდრე უთხრა:

— ვახშამი მორთმეულია, სერ!

— გმადლობთ! — იმწამსვე უპასუხა სტუმარმა და არ განძრეულა, სანამ მისის პოულმა კარი არ გაიხურა.

შემდეგ უცნობი აჩქარებით შეტრიალდა და მაგიდას ეცა. მისის პოული უკვე სამზარეულოსკენ მიაბიჯებდა, როცა მოქსმა სწრაფი და რიტმული „ჩხაკ, ჩხაკ“ — ჩანგალი მალიმალ ეხებოდა თეფზე.

— ოჰ, ეს საზიზლარი გოგო! — ჩაიბუზდუნა დიასახლისმა. — სულ ზოზინობს და ზოზინობს! მაგრამ მე როგორ გამომრჩა?! როგორ არ მომაგონდა მდოგვის შემზადება... — და სანამ მდოგვის შემზადებას დაამთავრებდა, მილის, მისი ჯერ არნახული სიზანგის გამო, რამდენიმე ეგსლიანი სიტყვა ესროლა. შაშხი და კვერცხი ხომ თვითონ შეწვა, სუფრაც სტუმარს თვითონვე გაუშალა, უველაფერი მოასწრო, სანამ მილი (დამხმარეც ასეთი უნდა!) მდოგვის შემზადებას მოჰკიდებდა ხელს. და თანაც როგორი სტუმრისთვის? რომელიც დიდი ხნით აპირებთან მათთან დარჩენას.

მან პირთამდე აავსო სამდოგვე, დიდი ამბით შემოსდო თქოოთი მოვარაფებულ ლანგარზე და ახალი მდგმურის ოთახისკენ გასწია. დააკაპუნა თუ არა, პასუხს აღარ დაუცადა და კარი შეაღო. მისი შესვლისთანავე მდგმური სწრაფიად დაიხარა და მისის პოულმა თვალი მოჰკრა, როგორ გაიელვა მაგიდის ქვეშ რაღაც თეთრმა. ამის მნახველს წამით ეგონებოდა, უცნობი იატაკზე დავარდნილ ნივთს იღებსო. როცა მისის პოულმა სამდოგვე მაგიდაზე დადო, შენიშნა, რომ სტუმარს ქუდი და პალტო ცეცხლის პირას სკამზე გადაეკიდა. მაღალყელიანი ფეხსაცმელებიც იქვე, ბუხრის გისოსებზე აეყუდებინა. ეჭვი არ იყო, რეინის რიკულებს დაჟანგვა ელოდა. მისის პოული ბუხრისკენ გაეშურა და მტკიცე ხმით წარმოთქვა:

— ვფიქრობ, ახლა მაინც შეიძლება თქვენი სამოსის წადება?

— ქუდი დატოვეთ, — ყრუდ უპასუხა სტუმარმა. მისის პოულმა ირიბად გადახედა მას და განცვიფრდა. ერთ ხანს გაბრუებულივით მისჩერებოდა და ხმას ვერ იღებდა.

მდგმურს სახის ქვედა ნაწილი თეთრი ნაჭრით დაეფარა (ხელსახოცი, ალბათ, თვითონ ჩამოიტანა). ხმაც სწორედ ამის გამო პქონდა ასე დახშული. მაგრამ მისის პოულის განცვიფრების მიზეზი მაინც სხვა იყო. იგი განაცვიფრა იმან, რომ ლურჯი სათვალის ზემოთ კაცს მთელი შუბლი თეთრი ბანდით პქონდა შეხვეული. ბანდის ერთი ნაწილი უურებსაც უფარავდა. ასე რომ, ვარდისფერი წაწვეტებული ცხვირის გარდა, არაფერი მოუჩანდა. ცხვირი კი ისევე ულაპლაპებდა, როგორც თავდაპირველად, ახლად მოსულს. ტანთ ეცვა მუქი ყავისფერი ხავერდის ქურთუკი, რომლის აწეული საყელოც მჭიდროდ შემოტმასნოდა კისერზე. ხშირი შავი თმა ერთმანეთზე გადაჯვარედინებულ ბანდებს შორის უსწორმასწოროდ ამობურძგვნოდა და ზედმიწევნით უცნაურ შესახედაობას ანიჭებდა. მისის პოულს თავისი მდგმური სულ სხვაგვარად ჰყავდა წარმოდგენილი და ასეთი მოულოდნელობისაგან წუთით ერთ ადგილზე გაქვავდა.

უცნობს ხელსახოცი პირიდან არ მოუშორებია და მისის პოულმა შენიშნა, რომ მას იგი ყვისფერხელთამნიანი ხელით ეჭირა.

— ქუდი დატოვეთ! — გაიმეორა უცნობმა.

მისის პოული თავბრუდამხვევი შთაბეჭდილების შემდეგ თანდათან გონს მოეგო. ქუდი ისევ ცეცხლთან სკამზე დადო და ხელმეორედ მიუბრუნდა უცნობს:

— არ ვიცოდი, სერ, რომ... — და სათქმელი ბოლომდე ვერ დაამთავრა.

— გმადლობთ, — უპასუხა უცნობმა. წუთით მზერა კარზე გადაიტანა და მერე ისევ მას მიაპყრო.

— პალტოსა და ფეხსაცმელებს კარგად გავაშრობ, სერ, მალე ყველაფერი მზად იქნება, — თქვა და ოთახიდან გასვლისას ერთხელ კიდევ გადახედა თეთრი ბანდით შეხვეულ თავსა და მუქ სათვალეს. მაგრამ უცნობი ძველებურად პირზე ხელსახოცაფარებული იჯდა. კარი რომ მიხურა, მისის პოული ქრეოლამ აიტანა. სახეზე აშკარად ეწერა დაბნეულობა და განცვიფრება.

— ჩემს სიცოცხლეში... — ჩაიჩურჩულა თავისთვის, — უყურე ერთი!

იგი ხელი ნაბიჯით წავიდა სამზარეულოსგან. ისე იყო ფიქრებში გართული, მილისოთვისაც კი არ უკითხავს, რას აკეთებო.

უცნობი იჯდა და ყურს უგდებდა ნაბიჯების ხმას. მერე ფანჯარაში გაიხედა, ხომ არავინ არისო, და ჭამა განაგრძო. ერთი მოზრდილი ლუქმა რომ გადაყდაპა, ხელმეორედ შეათვალიერა ფანჯარა. შემდეგ წამოდგა და ფარდები ნახევრად ჩამოუშვა; ოთახი ბინდში ჩაიძირა. ახლა კი უფრო თამამად მიუჯდა მაგიდას.

— საწყალი, ალბათ, რამე უბედურება შეემთხვა; ან ოპერაცია გაუკეთეს, ან კიდევ, ღმერთმა იცის, რა... — თქვა მისის პოულმა. ისე კი მაგრად შემაშინა მისმა სახვევებმა.

მან ღუმელს ნახშირი მიუმატა, თეთრეულის გასაშრობი სკამი გაშალა და ზედ უცნობის პალტო გადაკიდა.

— ის სათვალეც! მართალი გითხრათ, თავი მყვინთავის სკაფანდრს მიუგავს.

— შარფიც იქვე სკამზე გაფინა. — სახე ხომ სულ ხელსახოცითა აქეს დაფარული?! ლაპარაკის დროსაც კი არ იშორებს! ან იქნებ პირიც დაზიანებული აქვს?

მისის პოული სწრაფად შებრუნდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ კარტოფილი კიდევ ვერ დაამზადე, მილი?! — წამოიძახა და მისმა აზრებმა ახლა სრულიად სხვაგან გადაინაცვლეს.

როდესაც მისის პოული სუფრის ასალაგებლად შევიდა ოთახში, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მდგმურს პირისახე რაიმე უბედური შემთხვევის გამო მართლაც დამახინჯებული პქონდა. სანამ ის ოთახში იყო, სტუმარს ერთხელაც არ ჩამოუწევია სახიდან აბრეშუმის შარფი, რომ ჩიბუხი ტუჩებთან მიეტანა. მაგრამ ეს გულმავიწყობის ბრალი როდი იყო. მისის პოულს არ გამოჰკარვია, როგორ ცერად გადახედა მან ერთი-ორჯერ ჩაფერფლილ თუთუნს.

უცნობი კუთხეში მიდგმულ სავარძელში მოკალათებულიყო ფარდაჩამოფარებული ფანჯრებისკენ ზურგშექცევით. სიმყუდროვებ და საჭმელმა, ეტყობა, ხასიათი გამოუკეთა და ახლა მეტი თავაზიანობით დაიწყო საუბარი. ცეცხლის ალები წითლად ირეკლებოდა მისი დიდრონი სათვალის მინებზე და სითბოსა და სიცოცხლეს მატებდა მათ.

— ბარგი ბრემბლპერტის სადგურში დავტოვე, — თქვა მდგმურმა და გამოჰკითხა, რა გზით შეიძლებოდა მისი გადმოტანა. როცა მისის პოულმა ყველაფერი დაწვრილებით აუდენა, უცნობმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა. — ხვალ სადამოს? ნუთუ უფრო ადრე არ მოხერხდება? — პკითხა ისევ და ძალიან განაწყენებული დარჩა, როცა უარყოფითი პასუხი მიიღო.

— დარწმუნებული ხართ? ნუთუ არაგინ იცით ისეთი, ვინც მარხილით
დღესვე წავიდოდა სადგურში?

მისის პოული ხალისით პასუხობდა ყოველ კითხვაზე, იმედი პქონდა,
მდგმურს საუბარში ჩავითრევო.

— სადგურამდე ძალიან ცუდი გზა გახდავთ, სერ, — თქვა და ხელსაყრელი
შემთხვევა რომ იპოვა, ლაპარაკი განაგრძო — რამდენიმე წლის წინ ამ გზაზე
ეტლი გადაბრუნდა. მეტლეს გარდა ვიღაც ჯენტლმენიც დაიღუპა. ხომ იცით,
უბედური შემთხვევა ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. განა ასე არ არის?

მაგრამ უცნობი არცოუ ისე იოლად დამყოლი გამოდგა. „ხდება ხოლმეო“, —
მხოლოდ ესა თქვა და მშვიდად განაგრძო ცქერა თავისი შავი სათვალიდან.

— ჯანმრთელობის დაბრუნება ადვილი არაა, სერ. განა ასე არ არის?! მე
მყავდა ერთი დისტვილი, ტომი. უნებურად ცელით ხელი გადაიჭრა. რა თქმა
უნდა, შემთხვევით. ღმერთო, შემიწყალე! სამი თვე ხელახვეული დადიოდა, სერ.
თქვენ, ალბათ, არც დაიჯერებთ... სწორედ იმ შემთხვევის ბრალია, რომ ცელის
ახლაც აგრე მეშინია.

— სავსებით მესმის თქვენი, — მიუგო მდგმურმა.

— საწყალი, ძალიან ცუდად გრძნობს თავს: ერთხანს იმაზეც ვჰიშობდით,
რომ ოპერაციის გაკეთება დასჭირდებოდა.

უცნობმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიცინა, თითქოს ძაღლმა დაიყეფაო:

— მართლა ასე ცუდად გახდა?

— გეფიცებით, სერ. თქვენ გეცინებათ და ერთი ავადმყოფის
მომვლელებისთვის გეკითხათ! თუნდაც ჩემთვის! ჩემს დას ბავშვებიც
მოსავლელი ჰყავდა და მე ვადექი თავზე ავადმყოფს; ყოველდღე შევხსნიდი
ხოლმე ბანდს ხელზე და ისევ შევუხვევდი. დიახ, მე ვუკეთებდი ყველაფერს. ასე
რომ, თუ თქვენც ნებას დამრთავთ, სერ...

— თუ შეიძლება, ასანთი მომიტანეთ, — შეაწყვეტინა უცნობმა ლაპარაკი, —
ჩიბუხი ჩამიქრა.

მისის პოული შეცბა. ეს, რა თქმა უნდა, უხეშობა იყო მის მიმართ,
განსაკუთრებით ახლა, როდესაც ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა. წუთით
გადაწყვიტა, მდგმურისთვის საკადრისი პასუხი გაეცა, მაგრამ წამსვე ორი
სოვერენი გაახსენდა, და ასანთის მოსატანად უხმოდ გაბრუნდა.

— გმადლობთ, — უთხრა უცნობმა, როცა დიასახლისმა ასანთი მაგიდაზე
დაუდო. შემდეგ შებრუნდა და ისევ ფანჯარაში გაიხედა. ეტყობოდა, არ
სიამოვნებდა ოპერაციებზე და გადახვევებზე საუბარი. მისის პოულმა
ლაპარაკის დაწყება ვეღარ გაბედა, თანაც მდგმურის ამპარტავნობამ ძალიან
გააღიზიანა და გაბრაზებულმა ჯავრი მილიზე იყარა.

სტუმარი ოთხ საათამდე თავის თთახში იჯდა და ერთხელაც არ მიუცია
პოულისთვის მასთან შესვლის საბაბი. თთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ალბათ,
ის უწინდებულად ბუხართან იჯდა ბინდბუნდში და ჩიბუხსა სწევდა, ან იქნებ
თვლემდა კიდეც.

მაგრამ ვინმექს რომ ყური დაეგდო, აუცილებლად გაიგონებდა, როგორ
მოჩხრიკა უცნობმა ბუხარში ნაკვერცხლები, ხუთიოდე წუთს როგორ სცემდა
ბოლთას და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. მერე ისევ გაისმა სავარძლის
ოდნავ გასაგონი ჭრიალი.

თავი მეორე

მისტერ ტენის პირველი შთაბეჭდილება

ოთხი საათისთვის საკმაოდ ჩამობნელდა და მისის პოულმა ახალ მდგმურთან
შესვლა გადაწყვიტა. გულს იმაგრებდა, უნდოდა თამამად შეეღო ოთახის კარი

და ეთქვა, ჩაის ხომ არ ინებებთო. ის იყო წამოდგა კიდეც, რომ სამიკიტნოში მესაათე ტედი ჰენფრი შემოვიდა.

— გეფიცებით, მისის პოულ, — თქვა მან, — უსაძაგლესი ამინდია, თანაც ასეთი თხელი ფეხსაცმელი მაცვია.

გარეთ ბარდნას მოუხშირა.

მისის პოული დაეთანხმა და სახე გაებადრა, როცა ტედის ხელში სამუშაო ჩანთა დაუნახა.

— კარგია, რომ გაგვიხსენეთ, მისტერ ჰენფრი, — მიმართა მისის პოულმა. — რაკი მოხვედით, იქნებ ერთი შეგეხედათ იმ ძველი საათისთვის, სასტუმრო ოთახში რომ ჰენფრი. მუშაობს კიდეც, კარგადაც რეკავს, მაგრამ პატარა ისარი სულ ექსს ჩასციებია და იქიდან დაძვრაც არ უნდა.

დიასახლისი მესაათეს ახალი მდგმურის ოთახისკენ წაუძღვა, კარზე დააკაკუნა და შევიდა.

მდგმური, როგორც ეს მისის პოულმა კარის გადებისთანავე დაინახა, ბუხართან სავარძელში იჯდა, თავი გვერდზე გადაეხარა და თვლემდა.

ოთახს მხოლოდ ცეცხლის წითელი შუქი ანათებდა. მისის პოულს ყველაფერი მოწითალოდ, დაბინდულად და გაურკვევლად მოეწვენა; თანაც დარბაზში ლამპა ახლახანს აანთო და თვალები მისგანაც ჰქონდა გადიზიანებული. ცოტა ხნის შემდეგ, როცა თვალი სიბრუნვების შეაჩვია, დაინახა, რომ მდგმურს უზარმაზარი, ფართოდ დაღებული პირი ჰქონდა. წამიურ აღქმად გადაექცა: თეორი ბანდებით გადახვეული თავი, დიდრონი სათვალე და მათ ქვეშ ვეებერთელა დრმული. მაგრამ, აი, კაცი შეირხა, სავარძელში გასწორდა, ხელი აზიდა... მისის პოულმა კარი ფართოდ გამოადო, რომ შუქს ოთახში უკეთ შეეღწია. ახლა ის გარკვევით ხედავდა მდგმურს, რომელიც ხელსახოცის მაგიერ შარფით იფარავდა პირისახეს და გაიფიქრა: ალბათ, ყველაფერი სინათლის თამაშის გამო მომეწვენაო.

— რაიმე საწინააღმდეგო ხომ არ გექნებათ, სერ, მისტერ ჰენფრიმ თქვენს ოთახში საათი რომ შეაკეთოს? — ჰკიოთხა მისის პოულმა, როცა გონება მოიკრიბა.

— საათი შეაკეთოს? — გაიმეორა უცნობმა მისი სიტყვები და თითქოს სიზმარშიაო, ზარგად მიმოიხედა ირგვლივ. მერე გამოფხიზლებულმა დაუმატა:

— რა თქმა უნდა, შეაკეთოს...

მისის პოული ლამპის მოსატანად წავიდა. მდგმური სკამიდან წამოდგა და გაიზმორა. როცა ლამპა შემოიტანეს, მისტერ ჰენფრი პირისახეახვეული კაცის პირისპირ აღმოჩნდა.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა უცნობი და, მისტერ ჰენფრის მოსწრებული თქმით, „ზღვის კიბორნხალასავით“ გადახედა მესაათეს. ასეთი შთაბეჭდილება მას, ალბათ, მდგმურის მუქი სათვალის გამო შეექმნა.

— იმედი მაქს, არ შეგაწუხებთ, — უთხრა მისტერ ჰენფრიმ.

— სრულიადაც არა, — უპასუხა უცნობმა და მისის პოულს მიუბრუნდა. — თუმცა მეგონა, რომ ეს ოთახი მხოლოდ ჩემთვის იყო განკუთვნილი.

— რა თქმა უნდა, თქვენთვისაა განკუთვნილი, სერ, — მიუგო მისის პოულმა.

— ოდონდ, ვიფიქრე, უმჯობესი იქნებოდა საათის...

— რასაკვირველია, — შეაწყვეტინა უცნობმა, — რასაკვირველია; მაგრამ, ჩვეულებრივ, მარტო ყოფნა მირჩევნია და არ მიყვარს, როცა მაწუხებენ.

იგი ბუხრისკენ შეტრიალდა და ხელები ზურგზე დაიწყო.

— საათის შეკეთებას რომ დაამთავრებთ, ერთი ჭიქა ჩაი შემომიტანეთ, მისის პოულ. მაგრამ მანამდის არავითარ შემთხვევაში, სანამ საათის შეკეთებას არ მორჩებით.

მისის პოული ამჯერად უცნობთან საუბრის გაბმას არც ცდილა. ეშინოდა, მდგმური მისტერ ჰენფრის თანდასწრებითაც უხეშად არ მოჰკვეოდა. ის იყო

ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ უცნობმა ხელმეორედ გამოჰყითხა თავისი ბარგის ამბავი. დიასახლისმა უპასუხა, უკვე დავავალე ფოსტალიონს ბრემბლპერტის სადგურიდან მისი გადმოზიდვა და ყუთები ხვალ დილით სამიკიტნოში იქნება.

— დარწმუნებული ხართ, რომ უფრო ადრე ვერ მოხერხდება?

— საგსებით დარწმუნებული, — საქმაოდ ცივად უპასუხა მისის პოულმა.

— ახლა მაინც გატყვით ჩემს ვინაობას, — დაუმატა უცნობმა, — ისეთი შეციებული და დაღლილი ვიყავი, რომ ამდენ ხანს ვერ მოვახერხე თქმა.

სპეციალობით ექსპერიმენტატორ-გამომგონებელი ვარ...

— დიახ, სერ, — შეაწყვეტინა მისის პოულმა, რომელზეც უცნობის სიტყვებმა, ჩანდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ჩემს ყუთებში სხვადასხვა ხელსაწყო და აპარატებია...

— ალბათ, მეტად სასარგებლო ნივთები, სერ!

— რაც შეიძლება, ჩქარა მინდა განვაგრძო გამოკვლევები...

— რა თქმა უნდა, სერ!

— აიპინგში ჩემი ჩამოსვლის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ განმარტოებით მუშაობის შესაძლებლობა მქონოდა. არ მინდა, მუშაობის დროს ვინმემ შემაწუხოს. ამას გარდა, უბედური შემთხვევის გამო...

„ასეც ვფიქრობდი“, — გაუელვა თავში მისის პოულს.

— იძულებული ვარ, განმარტოებით ვიცხოვო. ზოგჯერ თვალები ისე მისუსტდება და მეწვის, რომ საათობით მიხდება ჩაბნელებულ ოთახში ყოფნა. ასეთი რამ ხანგამოშვებით მემართება. რა თქმა უნდა, ახლა კარგადა ვარ, მაგრამ როცა თავს ცუდად ვგრძნობ, მცირედი გადიზიანებაც კი, თუნდაც უცხო პირის შემოსვლა, საშინლად მტანჯავს. მე მგონია, უმჯობესია თავიდანვე გაგაფრთხილოთ.

— რა თქმა უნდა, სერ, — თქვა მისის პოულმა, — მაგრამ გავტედავ და შეგეებით...

— აი, ყველაფერი რისი თქმაც მინდოდა, — შეაწყვეტინა უცნობმა და ამით ანიშნა, საუბარი ადარ მსურსო.

მისის პოულმა თავი შეიკავა, თავისი კითხვები და თანაგრძნობის გამოხატვა უფრო ხელსაყრელი შემთხვევისთვის გადადო.

მისის პოული გავიდა. უცნობი ისევ ბუხრის წინ იდგა და ავისმომასწავებლად უთვალთვალებდა მესათის ყოველ მოძრაობას (ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდა მისტერ ჰენფრი). მესათეს ლამპა ახლოს მოეწია. მწვანე აბაჟური ხელებსა და საათის ნაწილებზე მკვეთრ შუქსა პფენდა, დანარჩენი ოთახი კი ბინდბუნდში იყო გახევული. ბუნებით ცნობისმოყვარე მისტერ ჰენფრიმ საათის მთელი მექანიზმი დაშალა (თუმცა ეს სრულიადაც არ იყო საჭირო), რომ რაც შეიძლება გაეჭიანურებინა მუშაობა და მდგმური ლაპარაკში ჩაეთრია. მაგრამ უცნობი გაუნძრეველად იდგა და ხმას არ იღებდა. ხანდახან მესათეს იმგვარი გრძნობა დაუუფლებოდა, თითქოს ოთახში მარტო იყო, და მალიმალ გაიხედავდა გვერდზე, რომ თავი მეორე სულიერის არსებობაში დაერწმუნებინა. იქ, ნახევრად სიბნელეში, ქვადქვეულივით იდგა უცნობი, თავშეხვეული, უზარმაზარი შავი სათვალით. ეს ისეთი უწვევლო და საზარელი სანახაობა იყო, რომ მისტერ ჰენფრი ერთხანს გაოგნებული მიაშტერდა უცნობს. მერე თვალი მოაცილა და თავის სამუშაოს დაუბრუნდა. ძალიან, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი! რა თქმა უნდა, ასეთ დროს რომელიმე მათგანს რადაც უნდა ეთქვა, ან იქნებ სულაც მას დაეწყო საუბარი დღევანდელ უამინდობაზე.

მისტერ ჰენფრიმ ისე აიხედა, თითქოს მსხვერპლს იღებს მიზანშიო.

— ამინდი... — დაიწყო ბოლოს.

— რატომ არ მორჩებით სამუშაოს და არ წახვალთ? — შეაწყვეტინა უცნობმა, რომელიც, ჩანდა, სიბრაზეს ვეღარ იკავებდა. — რა გქონდათ გასაკეთებელი?! საათის ისარი დერძთან უნდა მიგემაგრებინათ, ეს იყო და ეს! თქვენ კი რადაცას უაზროდ ჯახირობთ!

— ახლავე, სერ... რა თქმა უნდა ერთსაც დავხედავ ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა მისტერ ჰენფრიმ, საათი სასწრაფოდ ააწყო და წავიდა.

— მესათე მეტისმეტად გაჯავრებული იყო.

— ეშმაგმა დალახვონს! პოლიცია რომ დაგეძებდეს, იმაზე უკეთესად ვერ შეიფუთნები კაცი... გამოდის, რომ საათის გასინჯვა არ შეიძლება. არც ის შეიძლება, ადამიანს რომ შეხედო?! თურმე არა... რა საზიზდრობაა! — ბუტბუტებდა თავისთვის და სოფლის შარაზე ახლად დადებულ თოვლ ში მიღონდილობდა.

— გლისტონის ქუჩის კუთხეში მან მისტერ ჰოული დაინახა. ჰოული ბრუნდებოდა სიბერბრიჯის სადგურიდან, სადაც აიპინგის ომნიბუსით მგზავრები გადაჭყავდა. იმის მიხედვით, თუ როგორ მართავდა ცხენებს, მისტერ ჰენფრი მიხვდა, რომ ის ოდნავ გადაკრულ ში იყო.

— ტედის გაუმარჯოს! — მიესალმა ჰოული, როცა გაუსწორდა.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა მისტერ ჰენფრიმ და მიაყოლა: — თქვენს სამიკიცნოს დღეს ვიდაც ობროდი ესტუმრა.

— ჰოულმა სადაცე მოზიდა.

— რას ამბობ? ვინ ობროდი?

— ვინ და ვიდაც საეჭვო შესახედაობის კაცი დაგიდგათ მდგმურად, — გაიმეორა მისტერ ჰენფრიმ. — ღმერთს გეფიცები, თუ გატყუებდე.

შემდეგ ის მისის ბოულის უცნაური მდგმურის აღწერას შეუდგა:

— ყველაფრიდან ჩანს, რომ შენიდბულია და იმალება, ასე არ არის? პირადად მე ჩემი მდგმურის სახეს აუცილებლად შევათვალიერებდი, — თქვა ტედიმ. — მაგრამ ქალები ძალიან მინდობილები არიან, როცა საქმე უცნობებს ეხება... ვიდაცამ თქვენი ოთახები დაიქირავა და სახელიც კი არ გითხრათ, გესმის, ჰოულ?

— ნუთუ მართლა? — გაიკვირვა ჰოულმა, რომელიც მაინცდამაინც გონებაგამჭრიახი ვერ გახლდათ.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ტედიმ. — ისიც ვიცი, რომ მთელი კვირით იქირავა ოთახები. ახლა, ვინც არ უნდა იყოს, ამ ნეის განმავლობაში სახლიდან ვეღარ გააგდებ. თანაც მხედველობაში მიიღე, უამრავი ბარგი აქვს სადგურში დატოვებული. თავი იმით მაინც უნდა ინუგეშოთ, რომ იმ ყუთებში ქვები არ ეყრება.

— ამ ზედმიწევნით ცნობებს ჰენფრიმ თავისი დეიდის ამბავიც მოაყოლა, რომელიც ერთმა უცნობმა ამგვარადვე დაიბრიყვა. ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ჰოული ბრმა ეჭვებით უკვე საკმაოდ იყო შეპყრობილი, შებრუნდა და ქმაყოფილი გაუდგა გზას.

— ჟა, დაიძარ, ბებრუცუნავ! — შეუძახა ჰოულმა ცხენს და გაიფიქრა: — ვატყობ, ყველაფერი ჩემი მოსაწესრიგებელია.

“— წესრიგის ადდგენის ნაცვლად, სიდერბრიჯიდან გვიან დაბრუნების გამო სახლ ში მეუღლის ჩეუბისა და საყვედურების მოსმენა მოუხდა. მორიდებულ კითხვაზე კი, ვინ არის ჩვენი მდგმურიო, უკმეხი და ორჭოფული პასუხი მიიღო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქციელწამხდარი იყო, ტედის დათესილმა ეჭვის მარცვლებმა მაინც ნაყოფი გამოიდო და, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, ცოლს დაუყვირა:

— თქვენ, დედაკაცებს, არაფერის გესმით! გულუბრყვილოები ხართ!

გავიდა თუ არა მდგმური საწოლ ოთახში დასაძინებლად, მისტერ ჰოული მაშინვე სასტუმრო ოთახში გაჩნდა და გამომწვევად დაუწყო თვალიერება

აგეჯეულობას, თითქოსდა უნდოდა დაქმტკიცებინა, ამ სახლში მე ვარ უფროსი და არა ვიღაც ჩამოსულიო. მერე ზიზღით გადახედა იქვე მაგიდაზე დატოვებლ მათეტიკური ფორმულებით ავსებულ ფურცლებს და ოთახიდან დამშვიდებული გავიდა, ძილის წინ მისის პოულს რამდენჯერმე გაუმეორა, ფრთხილად იყავი და თვალყური გეჭიროს მდგმურის ყუთებზე, რომლებსაც ხვალ სადამოს მოიტანენ.

— შენ შენს საქმეს მოუარე, პოულ, — უპასუხა ცოლმა, — ჩემსას მე მიგხედავ.

მისის პოული კიდევ უფრო იმიტომ ბრაზობდა ქმარზე, რომ თვითონაც აწუხებდა მდგმურის ვინაობა. მასაც უცნაურად და გამოუცნობად ეჩვენებოდა მისი პიროვნება. დამით, გულით მძინარეს, უეცრად გამოედვიძა, სიზმარში ნახა უზარმაზარი თალებებდმოკარკლული თეთრი თავები. ისინი გრძელყუნწა თალგამებს პგავდნენ და მუქ, დიდრონ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. მაგრამ მისის პოული გონიერი ქალი გახლდათ: ყველა ეს მოჩვენება დაიმორჩილა, გვერდზე გადაბრუნდა და ისევ ხვრინვა ამოუშვა.

თავი მესამე ათას ერთი ბოთლი

ამგარად, უცნობი აიპინგში გამოჩნდა თებერვლის მეცხრე დღეს, როცა ის-ის იყო ყინული ლხობას იწყებდა. დამდნარი თოვლისგან ატალახებული ქუჩების მიუხედავად, ბარგი ბრემბლკერტის საღვურიდან მეორე დღესვე გადმოუზიდეს. ორი ჩემოდნის გარდა, ბარგი დიდრონი, სქელყდიანი წიგნებით სავსე ყუთსა და კიდევ უამრავ პატარ-პატარა ჩანთასა და კოლოფს შეიცავდა. ამ მომცრო ჩანთებსა და კოლოფებში, როგორც ეს მისტერ პოულს მოეჩვენა, ეწყო თვაში საგულდაგულოდ შეფუთული სხვადასხვაგვარი ბოთლები, როცა ბარგით დატვირთული ფირენსაიდის ოთხთვალა ეზოში შეგორდა, თექის ქუდსა და ყავისფერ ხელთათმანებში გამოწყობილი, უწინდებურად ბანდებით სახეახვეული უცნობი პარმადზე გამოვიდა. იგი ისე იყო გატაცებული თავისი ბარგის თვალიერებით, რომ ვერც კი შენიშნა ფირენსაიდის ძაღლი, რომელიც მისტერ პოულის ფეხებს უხალისოდ ყნოსავდა

— აბა, ჩქარა მოათავეთ ბარგის გადმოტვირთვა; ისედაც დიდხანს ველოდი, — ხმამაღლა თქვა უცნობმა. მერე კიბეზე ჩავიდა და ოთხთვალას უგნიდან მიუდგა, რომ ერთი მომცრო ყუთი თვითონაც ჩამოედო.

როგორც კი ფირენსაიდის ძაღლმა მდგმურის სიახლოვე იგრძნო, მძვინვარედ დაიღრინა და ტანზე ბეწვი აებურძგლა, შემდეგ უეცრად მოსწყდა ადგილს და უცნობს ხელზე ეძგერა. პოულს, რომელიც ძაღლებთან არცთუ ისე მამაცი იყო, შიშისგან ენა დაება და უკან გადახტა. ფირენსაიდმა კი იმწამსვე დაიღრიალა:

— დაწექი, შე... — და მათრასს წასწვდა.

ყველამ დაინახა, როგორ გაჯრა ძაღლმა კბილი უცნობს ხელთათმანზე. შემდეგ გაიგონეს დარტყმის ხმა, ძაღლი უცნობის ფეხებთან დაენარცხა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და შარვალზე ეცა. სწორედ ამ დროს მისწვდა ფირენსაიდის მათრასის ბოლო მის ზურგს და ისიც წავწავით ბორბლებქვეშ შეძრა.

ყველაფერი სულ რაღაც ნახევარ წუთში მოხდა, ოთხთვალას გარშემო შეგროვილი ხალხი ყაყანებდა. უცნობმა გადახეულ ხელთათმანსა და შარვალს რომ დახედა, დაიკუზა, თითქოს წვივთან შარვლის ჩამოფლეთილ ტოტს უნდა მისწვდესო, და სამიკიცნოს შესასვლელისქნ გაიქცა. ეზოში მდგომთ ესმოდათ, როგორ გაიარა მან აჩქარებული ნაბიჯით გრძელი დერეფანი და აუყვა ხის კიბებს დასაძინებელი ოთახისკენ.

— უუჰ, შე სატიალო!.. —

მათრახმომარჯვებული ფირენსაიდი კოფოდან ბუზდუნით ჩამოდიოდა, ძაღლი კი ბორბლებთან მიყუჟულიყო და თვალს არ აშორებდა.

— ახლავე გამოეთრიე! — დაუღრიალა ძაღლს ფერენსაიდმა, როცა მიწაზე ფეხი დადგა. — ჯობია, ახლავე გამოხვიდე, თორემ...

პოული პირდაღებული იდგა შუა ეზოში და თვალებს უაზროდ აცეცებდა. „მაშ, ძაღლმა უკბინა უცნობს... წავალ, ვნახავ ერთი, როგორ არის“, — წაილუდლუდა დაბნეულმა და მდგმურის ოთახისკენ გასწია. დერეფანში მისის პოულს შეეჩება.

— იცი ფირენსაიდის ძაღლმა ჩვენს მდგმურს უკბინა, — აცნობა მეუღლეს და კიბეებს აჲვა მდგმურის ოთახის კარი გამოღებული დაუხვდა, მანაც ყოველგვარი ბოლიშების გარეშე კარი ბოლომდე შეადო და ზღურბლზე გადააბიჯა.

— ფარდები ჩამოშვებული იყო და ოთახში თითქმის ბნელოდა. პოულმა შესვლისთანავე თვალი მოპრა პიჯაკის ცარიელ სახელოს, რომელიც პირდაპირ მისკენ მიექანებოდა. გონება დაძაბა, უნდოდა უკეთ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ, და პიჯაკის მხრებს ზემოთ რადაც სამი ლაქა შენიშნა. წესით, ეს სახე უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, სახეს სრულიადაც არ ჰგავდა. უცბად მკერდის არეში ძლიერად მოხვდა მუშტი და დერეფანში ბურთივით გაისროლა... წამოდგომაც ვერ მოასწრო, რომ ოთახის კარი მიიხურა და შიგნიდან ჩაიკეტა.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხვდა, რომ პოული გონს ვერ მოეგო. მხოლოდ რაღაც ბუნდოვანი ჩრდილები ებლანდებოდა თვალებში და მკერდში ტკივილს გრძნობდა, ერთხანს მარტოდმარტო იდგა კიბის თავზე და ცდილობდა წარმოედგინა ყველაფერი, რაც გადახდა, მაგრამ ამაოდ...

ორიოდე წუთის შემდეგ ისიც სამიკიტნოს წინ, ეზოში თავმოყრილ ბრბოს შეუერთდა. შუაში ფირენსაიდი იდგა და გაფაციცებულ მსმენელებს მომხდარ ამბავს უამბობდა. მისის პოულიც იქმე იყო, გაკაპასებული დიასახლისი ოთხთვალას მეპატრონეს ეჩხუბებოდა: უმტკიცებდა, შენს ძაღლს არავითარი უფლება არ ჰქონდა სამიკიტნოს მდგმურისთვის ეკბინაო. მისტერ ჰაქსთერი, ფარდულის მეპატრონე, დიდი ცნობისმოყვარეობით უსმენდა ფირენსაიდს, ხოლო სენდი უოჯერსი ღრმააზროვნად აქნევდა თავს. ყველა ცდილობდა, რაიმე ეთქვა. ისმოდა წამოძახილები: „აბა, ერთი გაებედა და ჩემთვის ეკბინა!“ „ასეთი ძაღლის ყოლა აკრძალული უნდა იყოს!“ „კი მაგრამ, მაინც რატომ უკბინა?... და სხვა.

მისტერ პოული ხალხს პარმაღიდან გადახცქეროდა, სურდა, მასაც მიეღო მონაწილეობა საუბარში. უნდოდა, დაწვრილებით მოეთხრო თავისი თავგადასავალიც, მაგრამ, როცა ფირენსაიდის ლაპარაკს დაუგდო ყური, დაუჯერებლად მიიჩნია ყველაფერი, რაც მდგმურის ოთახში შეემთხვა. თუმცა ესეც რომ არ ყოფილიყო, საწყალს სიტყვის მარაგი არ ეყოფოდა ნანახის მთელი სისრულით გადმოსაცემად.

— მდგმურს არავითარი დახმარება არ სჭირდება, — უპასუხა მან ცოლის შეკითხვაზე, — ჯობია ისევ ბარგს მივხედოთ.

— წესით, ნაკბენი ადგილი ახლავე უნდა ამოიწვას, — განაცხადა მისტერ ჰაქსთერმა. “— განსაკუთრებით, თუ ანთება დაეწყო.

— ჩემთვის რომ ეკითხათ, ამ ძაღლს ახლავე გავაქრობდი! — წამოიძახა ერთ-ერთმა ქალმა.

უეცრად ძაღლმა ისევ დაიღრინა.

— აბა, განაგრძეთ მუშაობა! — მოისმა ბრაზნარევი ხმა და კარში უცნობი გამოჩნდა; პიჯაკის საყელო უწინდებურად მაღლა აწეული ჰქონდა, ქუდი ჩამოფხატული, — რაც მალე მოათავებთ, მით უკეთესი.

ვიდაც ანონიმური პირის მიერ დადგენილ იქნა, რომ უცნობს შარვალი და ხელთათმანები გამოეცვალა.

— ძალიან დაშავდით, სერ? — ჰკითხა ფირენსაიდმა. — ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემმა ძაღლმა...

— არაფერია! კანიც არ გამკაწვრია... აბა, ჩქარა, დაიწყეთ გადმოტვირთვა! — უპასუხა უცნობმა და, მისტერ ჰოულის მტკიცებით, თავისთვის ჩუმად შეიგინა.

როგორც კი პირველი კალათა სასტუმრო ოთახში შეიტანეს, უცნობი მოუთმენლად მივარდა და გახსნა დაუწეო. აინუშიაც არ ჩააგდო მისის ჰოული და ხალიჩაზე უდიერად ჰყრიდა ჩალას. კალათიდან ერთიმეორის მიყოლებით ამოალაგა ბოთლები: ზოგი ფხვნილით, ზოგი სხვადასხვა ფერის სითხით სავსე, ზოგსაც დიდი ასოებით „საწამლავი“ ეწერა. მთელი ეს შუშეულობა ერთინად გაამწკრივა, სადაც კი შეიძლებოდა: კომოდზე, ბუხრის თავზე, მაგიდაზე, ფანჯრის რაფაზე, წიგნის თაროებზე... ბრემბალერტის აფთიაქში, ალბათ, ამის ნახევარსაც ვერ ნახავდით. ოთახში ზედიზედ შემოჰქონდათ ბოთლებით სავსე კალათები. ბოლოს, ექვსივე კალათა ამოცალეს. ოთახში, მაგიდასა და ხალიჩაზე ჩალის ზონი დადგა. კალათებიდან, ბოთლების გარდა, კიდევ რამდენიმე სინჯარა და საგულდაგულოდ შეფუთული სასწორი ამოიღეს.

როგორც კი უცნობმა ყველაფერი ამოალაგა, წამსვე ფანჯარასთან მაგიდას მიუჯდა და მუშაობას შეუდგა. არავითარი ყურადღება არ მიაქცია ოთახში მიმოყრილ თივას; არც იმას, რომ ბუხარი ჩამქრალიყო; არც წიგნებით საგსე უჟოსა და ჩემოდნებს, რომლებიც ჯერ კიდევ ეზოში ეყარა.

როცა მისის ჰოულმა სადილი შეუტანა, მდგმური მუშაობით უკვე ისე იყო გართული, რომ დიასახლისი ვერც კი შენიშნა, სანამ მისის ჰოული იატაკს გვიდა, უცნობი ბოთლებიდან სითხეს სინჯარებში წვერწვეთად ასხამდა. მან მხოლოდ მაშინ მოიხედა, როცა მოთმინებიდან გამოსულმა მისის ჰოულმა დანახანგალი განზრას ააჩხაგუნა. როგორც კი უცნობმა ოთახში უცხო დაინახა, წამსვე შეტრიალდა; მაგრამ მისის ჰოულმა თვალი შეასწრო: მდგმურს სათვალე არ ეკეთა და თვალის ფოსოები უჩვეულოდ ღრმად ჰქონდა ჩაცვენილი. შემდეგ უცნობმა ისევ გაიკეთა სათვალე და სახე მისკენ შეაბრუნა. ის იყო მისის ჰოულმა ოთახში გამეფებული უწესრიგობის გამო საყვედურის თქმა დააპირა, რომ მდგმურმა დაასწრო:

— ძალიან გთხოვთ, გაუფრთხილებლად ნუღარ შემოხვალთ!

— მე დავაკაკუნე, მაგრამ, როგორც ჩანს...

— იქნებ დააკაკუნეთ კიდეც, მაგრამ ჩემი გამოკვლევების დროს, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, უბრალო შეწუხება, თვით კარის ჭრიალი... უდრმესად გთხოვდით, ქალბატონო...

— რა თქმა უნდა, სერ. მაშინ, როცა მოგესურვებათ, შეგიძლიათ კარი გასაღებით ჩაკეტოთ.

— მართლაც შესანიშნავი აზრია! — წამოიძახა უცნობმა. მისის ჰოული ერთხანს დადუმდა. მერე დაიწყო:

— ეს თივა, სერ გავტედავ და შეგეკითხებით...

— არა, საჭირო არ არის! თუ ამ თივამ ძალიან შეგაწუხათ, ჩემს ანგარიშს მიუმატეთ, — თქვა და რაღაც გინების მსგავსი ჩაიბურბურა.

ის ისე უცნაურად გამოიყურებოდა, გაბრაზებული, პატარა ბოთლითა და სინჯარით ხელში, რომ მისის ჰოული უცბად დაიბნა. მაგრამ დიასახლისი მაინც გამბედავი ქალი იყო და ჰკითხა:

— ამ შემთხვევაში, მინდა ვიცოდე, რამდენი...

— შილინგი! ჩაწერეთ შილინგი... ვფიქრობ. საკმარისია.

— კარგით, ასე იყოს! — თქვა მისის ჰოულმა და მაგიდას სუფრა გადააფარა.

— თუ თქვენ თანახმა ხართ, იყოს ასე...

უცნობი ისევ საწერ მაგიდას მიუჯდა. მთელი საღამო გამოკეტილში მუშაობდა და, როგორც მისის პოული ირწმუნებოდა, მის ოთახში უმეტესად სიჩუმე სუფევდს. მხოლოდ ერთხელ მოისმა ბოთლების მიჯახების ხმა: ოთქოს ვიღაცამ მაგიდას ხელი ჰქონა და მთელი შუშა წამალი ჩხრიალით იატაკს დაენარცხაო. იმის შიშით, მდგმურს რაიმე ხომ არ შეემთხვაო, მისის პოული კარს მიუახლოვდა და ჭუჭრუტანას ყური მიადო.

— აღარ შემიძლია, — მძვინვარე ხმით გაიძახოდა უცნობი. — ძალა აღარ მყოფნის! სამასი ათასი! ოთხასი ათასი! უზარმაზარი რიცხვებია!.. მოვტყუვდი!.. მთელი ჩემი სიცოცხლე ამას შევწირე... მოთმინება!.. მოთიმნებაა საჭირო!.. სულელი, მატყუარა!..

ამ დროს სამიკიტნოს ბარში ფეხის ხმა გაისმა და მისის პოულმა თავისი საგუშაგო ისე მიატოვა, რომ ბოლომდე ვერ მოისმინა მდგმურის ბოდვა. როდესაც მიბრუნდა, ოთახიდან მხოლოდ სავარძლის ოდნავი ჭრიალი და ბოთლების წკრიალიდა ისმოდა. ჩანდა, უცნობს ისევ დაეწყო მუშაობა. რამდენიმე ხნის მერე მისის პოულმა მდგმურს ოთახში ჩაი შეუტანა და შესვლისთანავე კუთხეში მიყრილ ბოთლის ნამსხვრევებს მოჰკრა თვალი. გადმოგვრილ სითხეს იატაკზე თქროსფერი ლაქა დაეტოვებინა. დიასახლისმა ისევ საყვედურით მიმართა მდგმურს, მაგრამ უცნობმა ძველებურად შეუბუზდუნა:

— ესეც ანგარიშში შეიტანეთ და, ღვთის გულისთვის, ნუ მაწუხებთ, ხელს ნუ მიშლით! თუ რაიმე დანაკლისს მოგაყენებთ, უხმოდ შეგიძლიათ შეიტანოთ ანგარიშში! ოდონდ უხმოდ! — თქვა და რვეულში რადაც შენიშვნებისა და რიცხვების წერა განაგრძო.

— იცი, რას გეტყვი? — იდუმალი ხმით დაიწყო ფირენსაიდმა. საუბარი გაიმართა აიპინგის სალუდეში იმავე საღამოს.

— რას? — პჟითხა ტედი პჟენფრიძ.

— ის კაცი, ჩემმა ძაღლმა რომ უკბინა... პო, ის კაცი შავკანიანია. ყოველ შემთხვევაში, ფეხები რომ შავი აქვს, ამაში მაინც დარწმუნებული ვარ. ძაღლმა შარვლის ტოტი ჩამოუხია და მაშინ დავინახე... წესით, ვარდისფერი კანი უნდა პქონოდა, მე კი შავ ფერს მოვკარი თვალი... ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩემი გამურული ქუდივით შავია.

— ღმერთო, შენ შემიწყალე! — წამოიძახა პჟენფრიძ. — სეირი თუ გინდა, სწორედ ესაა! მაგრამ ცხვირი რომ ვარდისფერი აქვს?!

— ებ კი ეგრეა, — უპასუხა ფირენსაიდმა. — თუმცა ხომ შეიძლება, იმ კაცს ჭრელი კანი პქონდეს, ტედი!.. გეხშის? ზოგან ვარდისფერი, ზოგანაც შავი. იქნებ სულაც ამის რცხვენია, ამიტომაც არავის ეჩვენება, სხვადასხვა ფერის მშობლები ეყოლებოდა და, იმის მაგიერ, რომ მულატი გამოსულიყო, ჭრელკანიანი დაიბადა. სისხლი, ალბათ, არ შეერია მის სხეულში ერთმანეთს და ნაწილ-ნაწილ დაიშლა: ერთგან წითელი, მეორეგან — შავი. უწინაც გამიგონია ამგვარი რამ. მაგალითად, ცხენები ხომ არიან ჭრელები.

თავი მეოთხე

მისტერ ქასი სტუმრად უცნობთან

მე მხოლოდ იმისთვის აღვწერე ასე დაწვრილებით უცნობის აიპინგში ჩამოსვლასთან დაკავშირებული ამბები, რომ მკითხველისთვის უფრო გასაგები ყოფილიყო ის საყოველთაო ინტერესი, რომელიც მან ქალაქის მცხოვრებლებში გამოიწვია პირველი დღეებიდანვე. რაც შეეხება საკლუბო დღესასწაულამდე მის იქ ყოფნას, ამ ხნის განმავლობაში ორი უცნაური შემთხვევის გარდა,

არაფერი დირსშესანიშნავი არ მომხდარა. ზოგჯერ უცნობსა და მისის პოულს შორის ატყედებოდა დავა სხვადასხვა „საოჯახო საკითხებზე“, მაგრამ ის მუდამ მდგმურის გამარჯვებით მთავრდებოდა, რადგანაც უცნობი თავისი დანაშაულის შესაბამის თანხას იმწამსვე გაიღებდა ხოლმე და ამით დიასახლისს ხმას გააკმენდინებდა. ასე გრძელდებოდა აპრილის დასასრულამდე, როცა უცნობის მხრიდან უფლობის ნიშნებმა პირველად იჩინეს თავი. მისტერ პოულს თავიდანვე არ მოსწონდა ახალი მდგმური და, როგორც კი დროს იხელობდა, მაშინვე ცოლს მის მოშორებაზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს. მაგრამ მტრულ განზრახვებს უმეტესად გულში იმარხავდა და ცდილობდა, რაც შეიძლება, იშვიათად შეხვედროდა უცნობს.

— ზაფხულამდე მოიცადე, — უჩიჩინებდა ქმარს მისის პოული, — მაშინ მხატვრებიც დაიწყებენ ჩამოსვლას და ვნახოთ. ეს კაცი, რა თქმა უნდა, ჭირვეული და უხეშია, მაგრამ ფულს წესიერად იხდის... ამაზე ვერაფერს შეედავები.

უცნობი ეკლესიაში არ დადიოდა და კვირა დღეს არაფრით ასხვავებდა სხვა დღეებისაგან. მისის პოულის აზრით, ის უსისტემოდ მუშაობდა: ზოგჯერ შუაღლებდე ლოგინში იწვა, მერე ოთახში ბოლოთასა სცემდა და ბუსართან სავარძელში თუთუნს აბოლებდა. გარე სამყაროსთან თითქმის ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. ხასიათიც უწინდებურად მალი-მალ ეცვლებოდა. რადაცით მეტად გალიზიანებული და ნერვებაშლილი ჩანდა. ერთი-ორჯერ სიშიაგემ ისე აიტანა, რომ რაზეც კი ხელი მიუწვდა, ყველაფერი დამტვრია, დაგლიჯა და გადაყარა. თავის თავთან ლაპარაკი ხომ ჩვევად გადაეცეა. მისის პოულმა რამდენჯერმე ჩუმად მიუგდო ყური მის ბოდვას., მაგრამ ვერც ერთხელ ვერაფერი გაიგო.

უცნობი დღისით იშვიათად გადიოდა სახლიდან. სადამოობით კი, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, აუცილებლად გაისეირნებდა; მაგრამ მაშინაც მიყრუებულ, უკაცურ და ხეებით დაბურულ ქუჩებს დაუყევებოდა, რომ არავისი ყურადღება არ მიეპყრო. მისი დიდრონი სათვალე და ფართოფარფლებიანი ქუდის ქეშ მიმალული დაბანდული თავი გამვლელთ გულს უხეოქავდა. ტედი ჰენფრის, თავისდა სამარცხვინოდ, ერთხელ შიშისგან გული კინაღამ შეუღონდა: სამიკიტნოდან შეზარხოშებული სახლში მიბარბაცებდა და გზად უცნობს არ შეეჩება?! უცნობი უქუდოდ მისეირნობდა და მისი თავი ქუჩისპირა ფანჯრების შუქშე მკვდრის ქალას ჰგავდა. საკმარისი იყო ბავშვებს სადამო ხანს თვალი მოეკრათ ამ უცნაური კაცისთვის, ძილში სულ ურჩხულები და ავი სულები ესიზმრებოდათ. ამიტომ თვალის დასანახად ეჯავრებოდათ უცნობი, რომელიც, თავის მხრივ, არანაკლები სიძულევილით იყო გამსჭვალული ამ აბეზრებისადმი.

სავსებით გასაგებია ის ამბავი, რომ ასეთი უცნაური მდგმური პატარა ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმის საგნად იქცა. აიპინგელები განსაკუთრებით ვერ შეთანხმებულიყნენ მის პროფესიაზე. როდესაც მისის პოულს შეეკითხებოდნენ, ვინ იყო მისი მდგმური, იგი თამამად პასუხობდა: ექსპერიმენტაციურ-გამომგონებელიორ. ამ სიტყვებს ქალი ფრთხილად, დამარცვლით გამოთქამდა, რომ არ შეშლოდა. ხოლო როცა ჩაცივდებოდნენ, რას ნიშნავს ეს სიტყვებით, თავს ამაყად ასწევდა და ასეთ განმარტებას იძლეოდა: — როგორ, არ გესმით?.. ესე იგი, აღმოჩენით მუშაობას ეწევა, — და თან დასძენდა, რომ ყოველმა განათლებულმა კაცმა უნდა იცოდეს ესო.

— ჩემს მდგმურს უბედურება შეემთხვა ერთ-ერთი ცდის დროს, — ჰყვებოდა ხოლმე ის თავის ნაცნობებში, — და სახის ნაძღვილი ფერი დაკარგა... საწყალი, ძალიან მორცხვია და თანაც ამაყი; ცდილობს, თავისი ნაკლი ხალხს დაუმალოს.

მაგრამ აიპინგში სულ სხვა ხმა დაირხა. მისის პოულის ზურგს უკან ჭორი გავრცელდა, ვითომ სამიკიტნოს ახალი მდგმური ვინმე დიდი ბოროტმოქმედი

ყოფილიყოს, რომელიც სასჯელის თავიდან აცილების მიზნით იმაღებოდა და ცდილობდა პოლიციისათვის თვალი აეხვია. ეს აზრი პირველად მისტერ ტედი პენფრის მოუკიდა თავში და მისი გავრცელებაც თვითონვე იკისრა. მაგრამ სკოლის მასწავლებელმა, მისტერ გოულდმა ჭორი თავისებურად შეცვალა. რადგან მთელი თებერვლის განმავლობაში ბოროტმოქმედების ერთ შემთხვევასაც არ პქონია ადგილი ახლომახლო, მასწავლებლის აზრით, უცნობი გადაცმული ანარქისტი იყო, რომელიც ასაფეთქებელ ნივთიერებას ამზადებდა. ამიტომ გადაწყვიტა, თავისუფალ დროს მაღულად თვალყური ედევნებინა ახალი მდგმურისათვის. თვალყურის დევნება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველი შეხვედრისას დაუინებით აშტერდებოდა უცნობს და მის ვინაობას ეკითხებოდა ისეთ ხალხს, რომელთაც იგი თვალითაც არ ენახათ. რა თქმა უნდა, მისტერ გოულდმა ვერაფერი გამოიკვლია.

ამის გარდა, სხვა ხმებიც დადიოდა ქალაქში: ერთნი ფირენსაიდის აზრს იზიარებდნენ, თითქოს უცნობი ჭრელ კანიანი ყოფილიყოს. ასე, მაგალითად, სილას დურგანი დაბეჯითებით ამტკიცებდა: იმ კაცს ბაზობაზე რამდენჯერმე მაინც რომ წარედგინა თავი, უდიდეს ქონებას შეიძენდაო. და რადგანაც სილასი ცოტაოდენ თუოლოგიაშიც ერკვეოდა, მან უცნობი შეადარა იმ მონას, რომელსაც ღმერთმა ერთი ტალანტი უბოძა.¹ (¹ მწერალს მხედველობაში აქვს ბიბლიური იგავი იმ მონაზე, რომელსაც ბაზონმა ერთი ტალანტი უბოძა (ტალანტი ფულის ძველი ერთეულია), მან კი ფული მიწაში ჩამარხა და უსარგებლო გახადა.) მეორენი მდგმურის ამგვარ საქციელს ჩუმ სიგიფეს მიაწერდნენ. ეს ბოლო ვერსია სხვებზე მეტი უპირატესობით სარგებლობდა, რადგან ერთბაშად განმარტავდა უცნაურობის ყველა მიზეზს.

ამ ძირითად დაჯგუფებათა მიმდევრებს გარდა, იყვნენ მერყევი პირებიც, რომლებიც ხშირად იცვლიდნენ აზრს.

სეხექსის მცხოვრებლები, საერთოდ, ცრუმორწმუნები არ არიან, მაგრამ აპრილში მომხდარი შემთხვევის შემდეგ აქა-იქ მაინც დაიწყო მითქმა-მოთქმა ახალი მდგმურის ზებუნებრიობაზე. ისიც ქალების მეტს არავის სჯეროდა ისინიც მხოლოდ თუ წაიჩურჩულებდნენ ერთმანეთში.

თუმცა თითოეულ აიპინგელს საკუთარი შეხედულება პქონდა უცნობზე, მაინც ყველა ერთნაირად მტრულად იყო მისდამი განწყობილი. მისი ჭირვეულობა, რომლის მიზეზსაც ადვილად გაიგებდა გონებით მომუშავე ადამიანი, უდიდესი განცვიფრების საგნად იქცა სეხექსის მშვიდ მცხოვრებთათვის. მდაფრი ჟესტიკულაცია, სიბნელიდან უეცარი გამოჩენა ქალაქის ყრუ ქუჩებში, საიდუმლოებით მოცული კაცომიუკარებლობა, სიბნელის სიყვარული, რასაც შედეგად ოთახის ჩაკეტვა და ფარდების ჩამოშვება — აბა, ვინ შეურიგდებოდა ასეთ გარემოებას?! ქალაქელები განზე დგებოდნენ, როცა უცნობი ქუჩაში მიდიოდა. ზურგს უკან კი ზოგი ლანზღანდარა საყელოს აიწვედა, ქუდს ჩამოიფხატავდა და სიარულს სცინებდა.

იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა სიმდერა „კაცი-მოჩვენება“. მისს სეტჩელმა ეს სიმდერა შესარულა სკოლის კონცერტზე (ამ კონცერტის შემოსავლით ეკლესიისთვის ლამპიონები უნდა ეყიდნათ) და ამის შემდეგ, როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ სამიკიტნოსკენ მიმავალ უცნობს, ვინმე აუცილებლად დაიწყებდა ამ სიმდერის მოტივის სტენას. ბავშვებიც დაედგენებოდნენ ხოლმე უკან და შიშნარევი აღტაცებით მისძახოდნენ: „კაცი-მოჩვენება“, „კაცი-მოჩვენება“, „კაცი-მოჩვენება“...

ცნობისმოყვარეობით იწვეოდა ადგილობრივი ექიმიც, მისტერ ქასი. მასში პროფესიულ ინტერესს იწვევდა ბანდებშემოხვეული თავი. ხოლო ქალაქში დარხეული ხმა ათას ერთი ბოთლის შესახებ, უცნობისადმი შურსა და პატივისცემას ბადებდა. მთელი აპრილისა და მაისის განმავლობაში ახალ მდგმურთან გამოლაპარაკების შემთხვევას ექმდდა და, ბოლოს, სამბის

დღესასწაული რომ მოახლოვდა, ვეღარ მოითმინა, საავადმყოფოს მესასთუმლე ქალისთვის ფულის შეგროვება მოიმიზება, ფურცელი აიღო და სამიკიტნოსკენ გასწია. მისტერ ქასი განცვიფრდა, როცა გაიგო, რომ პოულმა მდგმურის სახელი არ იცოდა.

— ერთხელ კი მითხრა თავისი სახელი, — დაიწყო მისის პოულმა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მტკიცება, — მაგრამ, მართალი გითხრათ, კარგად ვერ გავიგონე.

დიასახლისი გრძნობდა, რა სულელურ მდგომარეობაში იყო და ცდილობდა თავი გაემართლებინა.

მისტერ ქასმა დააკაჯუნა მდგმურის ოთახის კარზე და შევიდა; იქიდან იმწამსვე რაღაც გაურკვეველი გინების მსგავსი მოისმა.

— მაპატიეთ, რომ ასე გაუფრთხილებლად შემოვიჭრი, — უთხრა ქასმა და კარი მიხურა.

მისის პოულს თოთქმის აღარაფერი ესმოდა. ათი წუთის განმავლობაში ის უურს უგდებდა ბუნდოვან, გაურკვეველ სიტყვებს; შემდეგ გაიგონა უცაბედი წამოძახილი, ფეხის ფრატუნი, იატაკზე დავარდნილი სკამის ხმაური, ხმამაღალი სიცილი, ჩქარი ნაბიჯების ხმა და, ბოლოს, კარებში გამოჩნდა ფერდაკარგული და თვალებდაჭყეტილი ქასი. დიასახლისისთვის არც კი შეუხედავს, ისე ჩაირბინა კიბეებზე და დარეტიანებულივით გარეთ გავარდა. მისის პოული დახლოთან გაუზნერევლად იდგა და ცდილობდა, მდგმურის ღიად დარჩენილი კარიდან რაიმე დაენახა. უცებ იქიდან სიცილისა და ნაბიჯების ხმა მოესმა. მაგრამ მდგმურის სახე მაინც ვერ დაინახა. მერე კარი მიაჯახუნეს და ყველაფერი მიჩუმდა.

სამიკიტნოდან მისტერ ქასი პირდაპირ ქორეპისკოპოს ბანტინგთან გაეშურა.

— მითხარით, გიუ ვარ? — მიმართა მან ბანტინგს, როგორც კი მის სადად მოწყობილ კაბინეტში შევიდა. — განა ვგავარ შეშლილს?

— რა მოხდა? რა შეგემთხვათ ასეთი? — პკითხა ქორეპისკოპოსმა და პრესპაპიე მორიგი ქადაგების გადაშლილ ფურცელზე დადო.

— ის კაცი, სამიკიტნოს ახალი მდგმური...

— მერე?

— რამე დასალევი ხომ არ გექნებათ? — იკითხა ქასმა და სავარძელში ჩაჯდა.

როდესაც ერთი ჭიქა იაფფასიანი ხერესით ნერვები ოდნავ დაიმშვიდა (ეს ერთადერთი სასმელი გააჩნდა კეთილ ქორესპისკოპოსს), იგი დაწვრილებით მოუყვა მისტერ ბანტინგს თავისი სტუმრობის ამბავს.

— ოთახში შევედი და ვთხოვე, გაელო მოწყალება მესასთუმლე ქალის სასარგებლოდ, — ასე დაიწყო მისტერ ქასმა ამბის მოყოლა. — მან კი, როგორც დამინახა, აღელვებულმა ხელები ჯიბეში ჩაიწყო და სავარძელში გადაწვა, თან აქსუტუნდა. „გავიგე, რომ მეცნიერებით ხართ დაინტერესებული“, — ვჟოთხარი. „დიახ“, — მოკლედ მიპასუხა და ისევ აქსუტუნდა. რაც იქ ვიყავი, სულ ქსუტუნებდა. ალბათ, ახლახან გაცივდა ასე უღმერთოდ. თუმცა იმგვარად იფურნება, რომ არცაა გასაკვირი. მე ისევ ფულის შეგროვებაზე გადავედი, თან ოთახს ვათვალიერებდი. ყველგან ბოთლები, სინჯარები და სხვა ქიმიური ხელსაწყოები ელაგა. ხოლო ირგვლივ ფურისულას სურნელი ტრიალებდა. ხელმეორედ შეგთავაზე, ხელი მოეწერა. მიპასუხა მოვიფიქრებო. მერე პირდაპირ შევეკითხე, მეცნიერულ გამოკვლევას თუ აწარმოებდა ამჟამად. დამიდასტურა. დიდხანს მოუნდებით-მეთქი? „ეშმაქმა იცის მაგის თავი, ძალიან კი გამიგრძელდა“, — უკავიფილოდ აბუზდუნდა. ვიგრძენი, იმდენად დაღლილი და გადიზიანებული იყო, რომ ენას კბილს ვეღარ აჭერდა. მართლაც, ბოლოს მოხსნა გუდას და მომიუვა, რომ ვიდაც კაცისგან რეცეპტი მიეღო, ძალიან მნიშვნელოვანი რეცეპტი; ოღონდ რისი, ეგ აღარ მითხრა. ვკითხე, მედიცინას

თუ შეეხებოდა მისი მუშაობა. „ეშმაკმა დალახვროს, რას ჩამაცივდით?“ — თქვა დი იჭვნეულად შემომხედა. მე ბოდიში მოვუხადე.

მდგრერმა რამდენჯერმე ჩაახველა და თვითონვე განაგრძო. რეცეპტი წაკითხული ჰქონია. ხუთი შენაერთი ყოფილა. ერთხელ ქადალდი მაგიდაზე დაუდვია და შებრუნებულა. ამ დროს დია ფანჯრიდან თურმე ნიავმა დაუბერა, რეცეპტი აიტაცა და ბუხრისექნ გააქანა. გონჩე მოსვლაც ვერ მოუსწრია, ქადალდი ისე სწრაფად დამწვარა. მოყოლა რომ დაამთავრა, სავარძლიდან წამოდგა და აღელვებულმა ხელი ჩაიქნია.

— მერე? მერე რა მოხდა!

— მოხდა ის, რომ ხელი არსად ჩანდა! გესმით? სახელო ცარიელი იყო. ღმერთო ჩემო! გავიფიქრე, ხეიბარია, ხელოვნური ხელი ექნება დილაობით გაკეთებული და ახლა კი მოუძვრია-მეოქი. მაგრამ უცებ გამიელვა, რომ არც მთლად ასე იყო საქმე. რა ჯანდაბა აზიდავდა სახელოს იმ სიმაღლეზე, ან რატომ იყო ისე შემომრგვალებული, თითქოს შიგნიდან რაიმე იჭერდა? დავაკვირდი და ვერაფერი კი ვერ დავინახე. ნიდაყვამდე სახელო ცარიელი იყო. ის კი არა, თხელ ნაჭერში მკლავის გასწვრივ სინათლე ატანდა. „უფალო, შემიწყალე!“ — ჩემდაუნებურად წამომცდა. უცნობი მაშინვე დადუმდა, შემომანათა თავისი უზარმაზარი სათვალით. მერე ხელს დააცქერდა.

— ჰო... მერე?

— ეს იყო და ეს. ხმაც არ ამოუღია, მხოლოდ ერთხელ კიდევ შემომხედა და სახელო სწრაფად ჩაიყო ჯიბეში. „იმაზე გავჩერდი, რეცეპტი როგორ დამეწვა, არა?“ — თქვა და თითქოს აქ არაფერიაო, რამდენჯერმე ჩაახველა. მე ერთხანს ვდუმდი. მერე ვედარ მოვითმინე და ვკითხე: „მაინც როგორ ახერხებთ სახელოს ამოძრავებას? ის ხომ ცარიელია?!“ — გავუმეორე თამამად. „მაშ, თქვენ ამბობთ, რომ სახელო ცარიელია? მართლა ასე მოგეჩვენათ?! ხომ არ ცდებით?!“ — დამცინავად ჩაილაპარაკა და ჩემკენ წამოვიდა. მე წამოვდექი. უცნობი სამი ნაბიჯით აუჩქარებლად მომიახლოვდა და როცა ჩემს წინ დადგა, გესლიანად ჩაიხითხითა. მე უწინდებურად გაუნძრევლად ვიდექი, თუმცა ის შემობანდული, ტაფათვალება ურჩხული ვის არ შეაძრწუნებდა?! „მაშასადამე, თქვენ ამბობთ, რომ სახელო ცარიელია?“ — გაიმეორა მან. „რა თქმა უნდა!“ — ვუპასუხე მე.

უცნობს აღარაფერი უთქვამს, ჯიბიდან ხელა ამოიდო სახელო და გამომიწოდა, — თითქოს მეუბნებოდა, ნახე, როგორიაო. სუნთქვაშეკრული თვალყურს ვადევნებდი მის თითოეულ მოძრაობას. ყოველი წამი საუკუნედ მეჩვენებოდა. „აბა, — ვთქვი და ნერწყვი გადავყლაპე, — ხომ გითხარით, აქ არაფერი არ ჩანს“.

ვიგრძენი, რომ აუცილებლად კიდევ რაღაც უნდა მეთქვა. შიში, უნებურად, სულ უფრო და უფრო მიპყრობდა. მე ახლა ჩემს გასწვრივ ვხედავდი მთელ სახელოს, რომელიც უხელოდ მიახლოვდებოდა. და უცებ...

— რა?! რა უცებ?!

— უცებ ცხვირზე აშკარად ვიგრძენი ცერისა და საჩვენებელი თითის შეხება. უცნობი ჭვინტზე ძლიერად მექაჩებოდა.

ბანტინგს სიცილი აუტყდა.

— მაგრამ გარწმუნებთ, რომ იქ არაფერი არ იყო! — წამოიძახა მისტერ ქახმა და ხმა აუთოროლდა. — თქვენ რა გენადვლებათ, იცინეთ! მე კი ისე საშინლად დავიტენი... მუშტი ჩაგარი სახელოს, მოგბრუნდი და ოთხიდან გამოვვარდი.

ქახი დადუმდა. არაფერი ყალბი არ იყო მისი ელდანაკრავი სახის გამომეტყველებაში. საბრალომ ირგვლივ მიმოიხედა და ხელმეორედ შესვა ქორებისკოპოსის უბადრუკი ხერესი.

— როცა სახელოზე მუშტი დავპარი, — განაგრძო ქახმა, — ტილოს ქვეშ კაცის ნამდვილი ხელი შევიგრძენი. მაგრამ გარწმუნებთ, შიგ ვერაფერს ვხედავდი, სრულიად ვერაფერს.

მისტერ ბანტინგი ჩაფიქრდა. შემდეგ უჭვიოთ გადახედა სტუმარს.

— ფრიად დირსშესანიშნავი რამ გადაგხდომიათ, — წარმოთქვა ბოლოს. ქორეპისკოპოსს, რა თქმა უნდა, ბრძნულად და მშვიდად ეჭირა თავი. — ეს მართლაცდა უცნაური ამბავია, — თქვა კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით და თვალები მილულა.

თავი მეხუთე

ქორეპისკოპოსის სახლის გაქურდვა

ცნობებმა ქორეპისკოპოსის სახლის გაქურდვის შესახებ ჩვენამდე თვით ქორეპისკოპოსისა და მისი ცოლის საშუალებით მოაღწია. ეს მოხდა განთიადზე, სულისწმინდის მოფენის დღეს, როცა იაპინგში საკლუბო დღესასწაულები იწყება. მისის ბანტინგმა ალიონის სიწყნარეში უეცრად გამოიღვიძა. ისეთი შეგრძნება პქონდა, თითქოს მათი საწოლი ოთახის კარი გაიღო. იგი ფხიზლად წამოჯდა ლოგინზე და მიაყურა. არ გასულა ხანი, რომ დერეფნიდან შიშველი ფეხის ხმა გაიგონა. მისის ბანტინგმა დიდი სიფრთხილით, მაგრამ რაც შეიძლება სწრაფად გამოაღვიძა მისტერ ბანტინგი. როცა მისტერ ბანტინგმა შეიტყო, რაშიც იყო საქმე, გადაწყვიტა სინათლე არ აენთო; გაიკეთა სათვალე, მოიხურა ცოლის ხალათი, ფეხები ფლოსტებში წაყო და კართან დადგა, რომ კარგად დაენახა, რა ხდებოდა დერეფნიდან. დანახვით, მართალია, ვერაფერი დაინახა, მაგრამ გარკვევით კი გაიგონა თავის კაბინეტში ატეხილი ფაციფური და ცხვირის დაცემინების ხმა.

იმავე წამს იგი ოთახში შებრუნდა, აღიჭურვა ყველაზე თვალსაჩინო იარაღით, მაშით და რაც შეიძლება ჩუმად დაჟყვა კიბეებს. მისის ბანტინგი კი კიბის თავზე დადგა.

დაახლოებით ოთხი საათი იქნებოდა. დამის წყვდიადი კარგა ხნის გატეხილი იყო. დერეფნაში უკვე რიურაჟის შუქი კროოდა, მაგრამ კაბინეტის კარს უწინდებურად შავად დაედო პირი. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ მისტერ ბანტინგის ნაბიჯების სიმძიმით აჭრიალებული კიბისა და კაბინეტში მოფუსფუქე ადამიანის ოდნავი ხმაური ისმოდა. მერე რაღაცამ დაიტკაცუნა. კარადის უჯრა გაიღო. ამას მოჰყვა ფურცლების შრიალი. ვიღაცამ ხმამაღლა შეიგინა, ასანთმა გაიელთა და კაბინეტი ყვითელ შუქში გახვია. მისტერ ბანტინგი გამოდებული კარიდან ხედავდა მერჩხე დადგმულ ანთებულ სანთელსა და თავის საწერ მაგიდას, რომლის ერთ-ერთი უჯრაც გამოწეული იყო. ქურდი კი არსად ჩანდა. მისტერ ბანტინგი სრულიად დაბნეული იდგა დერეფნაში, ხოლო ფერდაკარგული და შეშინებული მისის ბანტინგი კიბეებზე ჩადიოდა. ერთადერთი გარემოება უმაგრებდა გულს ქორეპისკოპოსს, კერძოდ, ის აზრი, რომ ქურდი ვინმე ადგილობრივი მაცხოვებელი იქნებოდა.

შემდეგ მათ ფულის ჩხრიალი გაიგონეს და მიხვდნენ, რომ ქურდმა მიაგნო საოჯახო მოხმარებისათვის გადანახულ ოქროს: ორი ფუნტი და ათი შილინგი იყო ნახევარსოვერენებით. ოქროს წკარუნმა მისტერ ბანტინგს გამბედაობა შემატა. მაგრად ჩასჭიდა ხელი მაშას და კაბინეტში გაშმაგბული შევარდა. მისის ბანტინგი, რა თქმა უნდა, აქაც უკან მიჰყვა თავის მეუდლეს.

— დამნებდი! — მთელი ხმით დაიჭექა ქორეპისკოპოსმა და გაოცებული ერთ ადგილზე გაქვავდა.

ოთახში არავინ იყო.

მიუხედავად ამისა, ეჭვი არც ერთს არ ეპარებოდა, რომ წუთის წინ კაბინეტში ვიდაც სულიერი დადიოდა. ცოლ-ქმარი გაკვირვებისაგან

პირდაღებულები იღვნენ. მერე მისის ბანტიგმა შირმებს უკან შეიხედა, ხოლო მისტერ ბანტინგი იმავე სურვილით შეგულიანებული, მაგიდის ქვეშ შეძვრა. როცა მისის ბანტინგმა ფანჯრის ფარდები გადასწია, მისტერ ბანტინგი უკვე ბუხარსა და საკვამურს ათვალიერებდა. ქალალდების ჩასაყრელი კალათა და ნახშირის შესანახი ყუთიც კი არ დაუტოვებიათ გაუჩხრებავი. გადასინჯეს ყველაფერი და გაოგნებულები ერთმანეთს მიაჩერდნენ.

— მზად ვარ, დავიფიცო... — დაიწყო მისტერ ბანტინგმა, — სანთელი?! — დაიყვირა უცებ. — სანთელი ვიდამ აანთო?

— უჯრა? — თქვა მისის ბანტინგმა, — ან ფული რა იქნა?!

და საჩქაროდ გაემართა კარისკენ.

— აი, საოცრება!

დერეფანში ვიღაცამ დააცემინა. ცოლ-ქმარი მაშინვე გამოვარდა კაბინეტიდან და ორივემ გარკვევით გაიგონა, როგორ მიიხურა სამზარეულოს კარი.

— სანთელი მოიტანე! — უთხრა ცოლს მისტერ ბანტიგმა და ნაბიჯი გადადგა. იმწამსვე კარზე ურდულის გადაწევის ხმა მოისმა.

როცა მისტერ ბანტინგმა სამზარეულოში შეიხედა, დაინახა, რომ ქუჩის კარი ნელა გაიღო და იქიდან აისის მკრთალ შუქზე ბაღის მუქი სიმწვანე შემოიღვარა. მაგრამ დარწმუნებული იყო, კარებში არავინ არ გასულა.

დარწმუნებული იყო, რადგან ნათლად ახსოვდა, როგორ გაიღო კარი, წუთით როგორ დარჩა გადებული და მერე თვითონვე ხმაურით მიიხურა. მიხურვისას სანთელი, რომელიც მისის ბანტინგს მოჰქონდა, აციმციმდა და ალად ავარდა.

სამზარეულოში რომ შევიღნენ, იქ უკვე აღარავინ დახვდათ. ხელმეორედ ურდულით დაკეტეს შემოსასვლელი, ირგვლივ ყოველი კუთხე მოათვალიერეს და ბოლოს სარდაფში ჩავიდნენ. საგულდაგულოდ გადაჩხრიკეს მთელი სახლი, მაგრამ მაინც ვერავინ ნახეს.

დილამ თავიანთი სახლის ქვედა სართულზე მიუსწროთ; უცნაურად გამოწყობილები მაგიდასთან ისხდნენ და გაოგნებულები დალეული სანთლის უკვე უსარგებლო შუქზე იმდამინდელ ამბავზე ჩურჩულებდნენ.

— საოცარი რამ იყო, — უკვე მეოცედ დაიწყო ქორეპისკოპოსმა.

— ჩემო კარგო, — თქვა მისის ბანტინგმა, — სიუზი ჩამოდი ქვემოთ. ცოტა ხანიც მოვიცადოთ, სანამ სამზარეულოში შევა და მერე ჩვენც მაღლა ავიდეთ. ხედავ, თავზე დაგვათენდა კიდევ.

თავი მეექსე
ავეჯი გაგიჯდა!

სულიწმინდის მოფენის დღეს, განთიადზე, სანამ მიღი გაიღვიძებდა, მისტერ და მისის პოული ადრიანად წამოდგნენ და ფეხაკრეფით გაემართნენ დვინის სარდაფისკენ. მოსაგვარებელი პქონდათ ზედმიწვნით პირადი საქმე, რომელიც მათი ლუდის სიმაგრეს შეეხებოდა. ჯერ შესულებიც არ იყვნენ სარდაფში, რომ მისის პოულმა წამოიძახა: ეკალდიჭას ნაყენის წამოღება დამავიწყდა.

რადგანაც ლუდის შეზავების ოსტატი და ამ საქმის სულისჩამდგმელი თვითონ მისის პოული იყო, რა თქმა უნდა, მაღლა ასვლა მის ქმარს მოუხდა. ისიც უახილსოდ აჟვა კიბეებს.

კიბის თავზე ასულმა პოულმა შენიშნა, რომ უცნობის ოთახის კარი დია იყო, და გაუკვირდა. მაინც უხმოდ განაგრძო გზა, შევიდა თავის ოთახში და, როგორც დაარიგეს, ეკალდიჭას ნაყენი წამოიღო.

უახა გამობრუნებულმა თვალი მოჰკრა, რომ გარეთ გასასვლელი კარის ურდული ვიღაცას გადაეწია და კარს მხოლოდ რაზა იქერდა. უცარი აზრით შთაგონებულმა ეს ამბავი უცნობს დაუკავშირა და მაშინვე გაიხსენა მისტერ ტედი პქნფრის ვარაუდი. აშკარად ახსოვდა, რომ სანთელი თვითონ ეკავა, როცა

დამით მისის პოული კარს ურდულით კეტავდა. ერთხანს პირდაღებული გაუნდრევლად იდგა; მერე ბოთლით ხელში ისევ მაღლა ავიდა, უცნობის კარზე დააკაკუნა. არავინ უპასუხა. ხელმეორედ დააკაკუნა, ხელი ჰკრა კარს და ოთახში შევიდა.

როგორც მოელოდა, ოთახი ცარიელი დახვდა, საწოლი ხელუხლებელი, ხოლო სავარძელსა და ლოგინის თავზე მიმობნეული იყო უცნობის ტანსაცმელი. იქვე ეყარა თეთრი ბანდები, ფართოფარფლებიანი ქუდი და მუქი სათვალე. ეს გარემოება გონებაჩლუნგ პოულსაც კი უუცნაურა, მით უფრო, რომ სხვა სამოსი, რამდენადაც იცოდა, უცნობს არ გააჩნდა. ალბათ, დიდხანს იდგებოდა გაოცებისაგან ასე პირდაღებული, რომ სარდაფიდან ცოლის ძახილს არ გამოეფხიზლებინა.

— ჯორჯ! რა ჰქენი? ვერ მოძებნე, რაც გითხარი?!?

მისტერ ჰოულმა ხმაზე შეატყო, რომ ცოლი მოთმინებიდან გამოდიოდა და, სანამ გვიან არ იყო, სარდაფს მიაშურა.

— ჯენი! — ჩასძახა კიბეებიდანვე, — წარმოიდგინე, ჰენფრი მართალი გამოდგა! მდგმური თავის ოთახში არ არის, არსად არ არის. გარეთ გასასვლელი პარის ურდულებიც გადაწულია.

მისის ჰოულმა პირველად ვერ გაიგო მისი სიტყვები. შემდეგ, როცა გაერკვა, გადაწყვიტა თვითონ ენახა უცნობის ოთახი. მისტერ ჰოული ბოთლით ხელში წინ წაუძლვა.

— მართალია, ოთახში არაა, მაგრამ სამოსი ლოგინზე აწყვია, — ეუბნებოდა გზადაგზა ჰოული ცოლს. — ეს ხომ მისი ერთადერთი სამოსია და ტანშიშველი ნებავ სად დაიარება, ა, ჯენი? გასაკვირი არაა!?

როდესაც სარდაფიდან მაღლა აღიოდნენ, ორივეს მოეჩვენა, თითქოს სამიკიტნოში შესასვლელი კარი გაიღო და მიიხურა; მაგრამ, რომ ავიდნენ, კარი ჩაკეტილი დახვდათ და ამის შესახებ ერთმანეთთან სიტყვაც არ დაუმრავთ. კიბეზე მისის ჰოულმა ქმარს გაუსწრო და სწრაფად აუყვა საფეხურებს. უეცრად ვიდაცამ დააცემინა. მისტერ ჰოული, რომელიც უკან მიდიოდა, დარწმუნებული იყო, რომ ცოლი აცემინებდა; მისის ჰოული კი, პირიქით, ამ ამბავს ქმარს მიაწერდა. მან თამამად შეადო მდგმურის ოთახის კარი და მიმოიხედა.

— განსაცვიფრებელია დმერთმანი! — თქვა და იმწამსვე ზურგს უკან ზედ უერთან ქშენა გაიგონა. სწრაფად შეტრიალდა, მაგრამ გაკვირვებულმა დაინახა, რომ მისტერ ჰოული მისგან თორმეტიოდე ნაბიჯზე, კიბის თავთან იდგა. ჰოული მაშინვე ცოლის გვერდით გაჩნდა. დიასახლისი საწოლისკენ დაიხარა, ხელით მოსინჯა ბალიში და უცნობის ტანისამოსი.

— ცივია! — წამოიძახა გაოცებით. — დაახლოებით ორი საათი იქნება, რაც აქვთ გასულა.

ვერ მოასწრო ამის თქმა, რომ ოთახში გასაოცარი რამ მოხდა. საწოლის თეთრეული თავისთავად აიშალა, დაგორგლდა და ლოგინის თავს გადაახტა, — თითქოს ხელებმა მოკრიფეს ზეწრები და გვერდზე ისროლესო. შემდეგ უცნობის ქუდი ადგილიდან ავარდა, ჰაერში კამარა შეჰკრა და მისის ჰოულს პირდაპირ სახეში მოხვდა. ასეთივე სისწრაფით მოსწყდა პირსაბანს რეზინის ღრუბელი. ხოლო სავარძელმა უდიერად მოიცილა მხრებიდან უცნობის პიჯაკი, შემობრუნდა და ფეხებაწეული ჩუმი ხითხითით მისის ჰოულისკენ დაიძრა. შეშინებულმა ქალმა დაიყვირა და კარისკენ გაიქცა, მაგრამ სავარძლის ფეხებმა, რომლებიც ფრთხილად და დაბეჯითებით მიიწევდნენ, ზედ ზღურბლზე მიუსწრეს და მისტერ ჰოულთან ერთად გარეთ ისროლეს. კარი ხმაურით მიიხურა და ჩაიკეტა. სავარძელი და საწოლი ერთხანს კიდევ ასრულებდნენ გამარჯვების ცეკვას, მერე უმცრად ყველაფერი მიწყნარდა.

მისის პოული ქმრის მკლავებზე თითქმის გულწასული გადაესვენა. დიდი გაჭირვებით მოახერხეს მისტერ პოულმა და მილიმ, რომელსაც დიასახლისის კივილზე გამოედვიძა, მისი ქვემოთ ჩაყვანა და მოსულიერება.

— სულებია! — წაიჩურჩულა გონის მოსულმა დიასახლისმა. — ვიცი, ამ საქმეში სულებია ჩარეული. გაზეთებშიც წამიკითხავს. სკამები და მაგიდები ცეკვა-თამაში იწყებენ...

— ცოტა მოსვი, ჯენი, — შეაწყვეტინა პოულმა, — მოგამაგრებს...

— კარი ჩაკეტე, — განაგრძობდა მისის პოული, — არ შემოუშვა! სულ ეჭვი მეპარებოდა... მე სულელმა თავიდანვე როგორ ვერ შევატყვე! თვალები არ უჩანს, თავი შეხვეული აქვს, არც ეკლესიაში დადის კვირაობით... ახლა ბოთლები! რამდენი ბოთლი! აბა, ჩვეულებრივ კაცს რაში სჭირდება ამდენი ბოთლი! უეჭველია, სულები შეუსია ავეჯს. ჩემი საყვარელი ბებრუსანა ავეჯი... სწორედ იმ სავარძელში უყვარდა საწყალ დედაჩემს ჯდომა, როცა ჯერ კიდევ სულ პატარა გოგონა ვიყავი.

— ერთი ყლუპიც, ჯენი, — არ ეშვებოდა პოული, — ვერ ხედავ, როგორი აღელვებული ხარ?!

დიდის ხუთი საათი იქნებოდა, მთებს იქით ამოსასვლელად მომზადებულ მხეს ის-ის იყო ოქროსფრად შეედება ცაზე ღრუბლები, რომ მათ იქაურ მჭედელთან, სენდი უოჯერსთან, მილი გაგზავნეს. მილიმ გააღვიძა მჭედელი და მოუყვა, რა უცნაურად იქცეოდა მდგმურის ოთახში ავგვაულობა, თან სოხოვა, ერთი წუთით სამიკიტოში გადასულიყო.

მჭედელი მეტად გონიერი და მოსაზრებული კაცი იყო. მან გულმოდგინედ მოისმინა მილის ნაამბობი. ეშვაკმა წამიღოს, თუ ყველაფერი ჯადოქრობის ბრალი არ იყოსო, გამოთქვა ბოლოს თავისი აზრი და ბრძნულად დასძინა:

— ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გქონდათ ნალი... აუცილებლად. სამიკიტოში იგი მეტად შეურვებული შევიდა. მისტერ და მისის პოულს უნდოდათ, მასთან ერთად მდგმურის ოთახში ასულიყვნენ, მაგრამ სენდი უოჯერსი, როგორც ჩანდა, არ ჩქარობდა. მან იქვე, დერეფანში საუბარი ამჯობინა. გარეთ, ქუჩის იქითა მხარეს, მისტერ ჰაქსოერის თუთუნის სავაჭროდან ნოქარი გამოვიდა და ვიტრინაზე დარაბების გახსნას შეუდგა. იგი იმწამსვე მიიწვიეს საუბარში მონაწილეობის მისაღებად. ნოქარს ცოტა ხნის შემდეგ მისტერ ჰაქსოერმა მოაკითხა. პარლამენტური მართვის ანგლოსაქსურმა გენიამ აქაც სრულად იხინა თავი: ბევრი იმსჯელეს, მაგრამ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგნენ.

— მოდით, ჯერ ფაქტები აღვნუსხოთ, — დაჟინებით მოითხოვდა მისტერ სენდი უოჯერსი. — მოდით, დავრწმუნდეთ, სწორად მოვიქცევით, თუ არა, მდგმურის ოთახის კარი რომ შევამტვრიოთ და შიგ შევიჭრათ. სანამ კარი მთელია, მისი ჩამტვრევა ყოველთვის შეიძლება; მაგრამ თუ ერთხელ ჩამტვრის, ხომ ვედარ გაამთელება?

უცებ, ყველას განსაციფრებლად, მდგმურის ოთახის კარი თავისით გაიღო და როცა ზემოთ აიხედეს, კიბეზე მომავალი უცნობი დაინახეს. ის უწინდებურად ბანდებით თავშეხვეული იყო, ხოლო მისი დიდრონი მუქი შეშის თვალები განსაკუთრებული მმვინვარებით დაჟყურებდნენ დერეფანში შეკრებილო. უცნობი მტკიცედ და დინჯად მოემართებოდა ქვემოთ; დერეფანში რომ ჩავიდა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადაღება და გაჩერდა.

— უყურეთ! — ოქვა და თითო სარდაფში ჩასასვლელი კიბისკენ გაიშვირა. ყველამ იქით გაიხედა, საღაც ეკალდიჭის ნაყენით სავსე ბოთლი იდგა. უცნობი მაშინვე ოთახში შებრუნდა და კარი ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა შეკრებილო.

არც ერთს ხმა არ ამოუდია, სანამ კარის ჯახუნის ხმა არ მიჩუმდა. გაოგნებულები ერთმანეთს მიშტერებოდნენ.

— ეს კი უპვე მეტისმეტია! თქვენს ადგილას რომ ვიყო, მივიდოდი და პასუხს მოვთხოვდი! — წამოიძახა მისტერ უოჯერსმა და აღშფოთებული მიუბრუნდა მისტერ ჰოულს. — დიახ, პასუხს მოვთხოვდი!

კარგა ხანი დასჭირდათ, სანამ მისტერ ჰოულს დაითანხმებდნენ მდგმურთან ასვლაზე. ბოლოს ამ უკანასკნელმა ძლივს გაბედა, მიუახლოვდა უცნობის ოთახს, კარი შეადო და დაიწყო:

— მაპატიეთ, სერ...

— გაეთრიეთ აქედან! — შემზარავი ხმით დაიღრიალა უცნობმა. — მიხურეთ კარი!

ასე ხანმოკლე გამოდგა მათი შეხვედრა იმ დღეს.

თავი მეშვიდე უცნობის ვინაობის გამოაშკარავება

უცნობი სასტუმრო ოთახში დაახლოებით დილის ექვსის ნახევარზე შევიდა და იქ თითქმის შუადდემდე დაჟყო. ფანჯრებზე ფარდები ჩამოუშვა და კარი ჩაიკეტა. მისტერ ჰოულის მარცხის შემდეგ მისი შეწუხება ვედარავინ გაბედა.

ამ ხნის განმავლობაში არაფერი უჭამია. მიუხედავად იმისა, რომ ზარი სამჯერ დარეკა, — თანაც მესამედ გრძლად და გაბრაზებით, — მაინც არავინ მოდიოდა.

— აბა, რა ეგონა, „გაეთრიე აქედანო“, რომ გაჟყვიროდა, — ამბობდა თავისთვის მისის ჰოული და მხაკვრულად იღიმებოდა.

ქორეპისკოპოსის სახლის გაქურდვის ამბავი სოფელს იმ დღესვე მოედო და ხალხმა ეს ორი შემთხვევა თავისდაუნებურად ერთმანეთს დაუკავშირა. მისტერ უოჯერსის თანხლებით ჰოული ქალაქის მაგისტრატის ერთ-ერთ წევრთან, მისტერ შაკლფორტან წავიდა რჩევის საკითხავად. ამ ხნის განმავლობაში კი უცნობთან არავინ ასულა. არც ის იცოდნენ, რას აკეთებდა მდგმური მთელი დღე. ხანგამოშვებით ოთახიდან მოისმოდა მძიმე ნაბიჯების, ქაღალდის ფხრეწისა და ბოთლების მსხვრევის ხმა. ზოგჯერაც გაბრაზებული ბუზლუნი. შეშინებული, მაგრამ დაინტერესებული ხალხის ჯგუფი თანდათანობით იზრდებოდა. მოვიდა მისის პაქსოური; ბარში შეკრებილთ სიცილითა და ლაზდანდარობით შეუერთდა სადღესასწაულოდ გამოწყობილი რამდენიმე ახალგაზრდა. ყველაზე მამაცი არჩი ხარკერი გამოდგა: ეზოში გავიდა და ფარდებჩამოფარებულ ფანჯარაში შეიჭვრიტა. რა თქმა უნდა, ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ისე იქცეოდა, თითქოს დიდ სანახაობას უმზერდა და ამით რამდენიმე ცნობისმოყვარე ახალგაზრდა კიდევ მიიზიდა.

შესანიშნავი დილა იდგა. სოფლის ქუჩებში თორმეტამდე პატარა ფარდული მოწყოთ, იქვე იყო ტირიც. სამჭედლოსთან, მდელოზე, ყვითლად და ყავისფრად შეღებილი სამი ფურგონი იდგა. ჭრელჭრულებში გამოწყობილი რამდენიმე ქალი და კაცი სახელდახელოდ აწყობდა კოკონატშას.¹ (კოკონატშა თამაშია, რომლის დროსაც მოთამაშენი სამიზნე წერტილად ქოქოსის კაკალს ხმარობენ.) კაცებს ზემოდან ცისფერი სათბურები ეცვათ, ქალებს კი თეთრი წინსაფრები აეფარებინათ და უკანასკნელ მოდაზე შეკერილი, დიდრონ-დიდრონი ფრთებით შემკული ქუდები უმშვენებდათ თავებს. სამიკიტნო „წითელ ირემში“ მომუშავე მისტერ უოჯერსი და ხარაზი მისტერ ჯეგერსი, რომელიც ფეხსაცმლის კერვის გარდა ხახმარი ველოსიპედებითაც ვაჭრობდა, ქუჩის გარდიგარდმო ინგლისის ნაციონალური დროშებითა და სამეფო შტანდარტებით მორთულ თოკს აბამდნენ (ეს შტანდარტები დედოფალ კიქტორიას საიუბილეო ზეიმიდან პქონდათ შემორჩენილი).

ხახევრად ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში კი, სადაც ჩამოშვებული ფარდებიდან მზის მკრთალი სხივიც ძლივს ატანდა, იჯდა ბანდებით

შეფუთული, შიმშილისა და სიცხისგან გაბოროტებული უცნობი. თავისი დიდორნი მუქი სათვალით ჩაშტერებოდა ფურცლებს, აწკარუნებდა გათხუპნულ ბოთლებს და დროდადრო აგინებდა ფანჯარასთან შექრებილ ბიჭებს. ბუხართან, კუთხეში, შუშის ნამსხვრევები ეყარა, ჰაერში კი ქლორის მკვეთრი სუნი ტრიალებდა. აი, ყველაფერი, რასაც სამიკიტნოს გარშემო თავმოყრილი ხალხი ლაპარაკობდა და რაც შემდეგ, ოთახში შესვლისას ნახეს.

დაახლოებით შუადღისას უცნობმა ოთახის კარი გამოაღო, კიბეზე გადმოდგა და ბარში დახლოთან მდგარ სამ-ოთხ კაცს დაუინებით დააცქერდა.

— მისის პოულ! — დაიძახა მან.

ვიღაც ზანტად წავიდა დიასახლისის დასაძახებლად.

მისის პოული ოდნავ მოგვიანებით, მაგრამ საქმაოდ მტკიცე გადაწყვეტილებით შევიდა ბარში. ყველაფერი წინდაწინ პქონდა მოფიქრებული. ხელში მომცრო სინი უჭირა, რომელზეც გაუნალდებელი ანგარიშის ქადალდი ედო.

— ამ ქადალდს ხომ არ კითხულობდით, სერ? — გაბედულად შეეცითხა.

— საუზმე რატომ არ მომიტანეთ? საჭმელს რატომ არ მიმზადებო და არ მოდისართ ზარის დარეგაზე? იქნებ ფიქრობთ, რომ უჭმელად გავძლებ?

— თქვენ ჯერ იმაზე მიპასუხეთ, ეს ანგარიში ამდენ ხანს რად არის გადაუხდებელი? — პკითხა მისის პოულმა.

— განა სამი დღის წინ არ გითხარით, ფულს გელი-მეთქი...

— განა მეც სამი დღის წინ არ გითხარით, მოცდა არ შემიძლია-მეთქი. არავითარი უფლება არა გაქვთ, სადილის დაგვიანებისთვის ყვირილი ატეხოთ, როცა ხუთი დღის ვალი არ გადაგიხდიათ.

უცნობმა ჩუმად, მაგრამ გარკვევით შეიკურთხა.

— აბა, აბა!.. — გაისმა დახლიდან კაცების ხმა.

— ძალიან გთხოვთ, ბატონო ჩემო, ეგ გინება თქვენთვის შეინახოთ, — უთხრა მისის პოულმა.

უცნობი გაუნძრევლად იდგა, შეჭყურებდა მათ და კიდევ უფრო მეტად პგავდა თავზე სკაფანდრჩამოფხატულ გაბრაზებულ მყვინთავს. ყველა გრძნობდა, რომ გამარჯვება მისის პოულის მხარეზე იყო. ეს დაამტკიცა უცნობის სიტყვებმაც:

— მისმინეთ, საყვარელო...

— მე თქვენი „საყვარელი“ არა ვარ, — შეაწყვეტინა დიასახლისმა.

— ხომ გითხარით, რომ ფული ჯერ არ მიმიღია...

— რომელ ფულზე მელაპარაკებით! — შეუტია მისის პოულმა.

— მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ჯიბეში...

— განა სამი დღის წინ არ მითხარით, ერთი სოვერენიც არ გამაჩნიაო?

— დიახ, მაგრამ ახლა მოულოდნელდად აღმოვაჩინე.

— ოჟო! — გაისმა ბარიდან კაცების ხმა.

— ხომ არ მეტყოდით, საიდან გაგიჩნდათ ფული ასე მოულოდნელად? — პკითხა მისის პოულმა.

ამგვარი შენიშვნები უცნობს, როგორც ჩანს, სრულიადაც არ ეპიტნავა. ფეხი მძლავრად დაპკრა იატაკს და დაიყვირა:

— ამით რისი თქმა გინდათ!?

— მხოლოდ იმისა, რომ ძალიან დავინტერესდი ფულის მოულოდნელი აღმოჩნდით, — უპასუხა მისის პოულმა. — ამას გარდა, სანამ ანგარიშის გასწორებასა და საჭმელზე ლაპარაკს შევუდგებოდეთ, ჯერ ის ამბები აგვისენით, რომლებშიც ვერც მე გავრკვეულვარ და ვერც სხვები. ერთი მითხარით, რა უყავით ჩემს სავარძელს! ისიც მინდა ვიცოდე, თქვენი ოთახი ცარიელი რომ იყო, შიგ როგორდა აღმოჩნდით: მდგმურები, რომლებიც ამ სასტუმროში ოდესმე გაჩერებულან, მუდამ კარებიდან გადი-გამოდიოდნენ.

მინდა ვიცოდე, ისე როგორ შეხვედით, რომ ვერავინ შეგამჩნიათ. მე მინდა ვიცოდე...

სათქმელი არ პქონდა დამთავრებული, რომ უცნობმა ხელთაომნიანი ხელი ძლიერად აიქნია, ფეხი იატაკს დაკირა და დაიყვირა: — გეყოფათ! — მის ყვირილში ისეთი გაშმაგება იგრძნობოდა, რომ მისის პოული მაშინვე დადუმდა. — თქვენ სრულიად არ გესმით, ვინა ვარ, ან რას წარმოვადგენ! — დაიწყო უცნობმა. — მაგრამ დაგანახვებთ! ვფიცავარ გამჩენს, გაჩვენებთ, ვინცა ვარ!

ამ სიტყვებთან ერთად მან ხელისგული სახესთან მიიტანა და მაშინვე მოიშორა. სახის შეაში მრგვალი ღრმული გამოუჩნდა.

— აჲა, დაიჭით! — თქვა მან. ნაბიჯი გადადგა და მისის პოულს რაღაცა გაუწოდა. უცნობის უცნაურად შეცვლილი სახით გაოგნებული დიასახლისი ვერც მიხვდა, რა ჩამოართვა. მხოლოდ შემდეგ, როცა კარგად დააკვირდა, შემზარავად შეჰკივლა, საგანი ხელიდან გააგდო და უკან დაიხია. ეს იყო ცხვირი, უცნობის ვარდისფერი, მბზინავი ცხვირი, რომელიც მუქაოს კოლოფივით გაგორდა იატაკზე.

შემდეგ უცნობმა სათვალე მოიძრო. ბარში მყოფებმა გაოცებისაგან თვალები დააჭყიტეს. ის ზედიზედ იძრობდა ქუდს, ქილვაშებს, ბანდებს... ამის მნახველნი გონის ვერ მოსულიყენენ, საშინელების მოლოდინში გაქვავებულები იდგნენ. „ოჲ, დმერთო ჩემო!“ — ისმოდა აქა-იქ. ბოლოს უცნობმა სულ შემოიხსნა ბანდები.

ამ სანახაობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შიშისგან პირდაღებულმა მისის პოულმა ისტერიულდ იწივლა და კარისკენ გაქანდა. ხალხი ამოძრავდა, აღელდა. ისინი ელოდნენ ნაჭრილობებს, სიმახინჯეს, შემზარავ სახეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სიცარიელეს არა! პაურში გასროლილი ბანდები და პარიკი დახლოთან იატაკზე დაეცა. ბრძო საშინელი ღრიალით კიბეებზე დაეშვა და პარმაღისკენ გაქანდა. სახტუმრო ოთახის ზღურბლზე კი იდგა სულიერი არსება, ფეხებიდან მხრებამდე ადამიანის მსგავსი, მაგრამ უკისრო და უთავო, ხელებს იქნევდა და ბუნდოვან, გაურკვეველ წინადაღებებს ისროდა.

ქუჩაში გამოსულმა მცხოვრებლებმა ყვირილი გაიგონეს; პირი იბრუნეს სამიკიტნო „მეუტლე და ცხენებისკენ“ და დაინახეს, რომ ხალხი თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა იქიდან. ისიც დაინახეს, თუ როგორ დაენარცხა მიწაზე მისის პოული, ტედი პენფრი კი როგორ შეხტა, რომ მისთვის ფეხი არ წამოეკრა. შემდეგ შემზარავი წივილი მოისმა. ეს იყო მილი, რომელიც ბარში ამტყდარ ხმაურზე სამზარეულოდან გამოვიდა და კარებში მდგარ უთავო არსებას შეეხება.

აურზაური წუთით შეწყდა. მერე ყველა, ვინც ახლომახლო იყო: ტკბილეულობის გამყიდველი, კოკნატშას მომწყობნი, საქანელების პატრონი, ბიჭები, გოგონები, სოფლის დენდები და ლამაზმანები, მოხუცები და წინსაფრიანი ბოშები, ყველა სასწრაფოდ გაიქცა სამიკიტნოსკენ. ბრძო თანდათან იზრდებოდა. ილანძღებოდნენ, მუჯლუგუნებს იკვრევინებოდნენ, ყვიროდნენ, ეკითხებოდნენ ერთმანეთს, გამოთქამდნენ თავიანთ აზრს... მისის პოულის სამიკიტნოს გარშემო ისეთი აყალმაყალი იდგა, რომ ყურთასმენა არ იყო, პირდაპირ მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. ზოგი დიასახლისს ასულიერებდა, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა. ისინი კი, ვინც ბარში მომხდარი შემთხვევის მოწმე იყვნენ, ხმამაღლა გაჟყვიროდნენ ათასგარ საზარელ ამბებს.

— მოჩვენებაა!

— მერე რა ჩაიდინა?

— მილი დაჭრა?!

— დანიო დაედევნა საწყალს...

— ჩემი ლაპარაკი როშვა არ გეგონოთ, უთავო-მეთქი, უთავო ადამიანი!..

— არ გესმით?! თავი არა აქვს-მეთქი!

— სისულელე! რამე თვალომაქცობა იქნება!

— აბა, ერთი მითხარი, ბანდები როგორ შემოიხსნა?

ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ხალხი ვევბერთელა სოლივით მიიწევდა სამიკიტნოს კარისკენ. თავში იდგნენ ყველაზე ცნობისმოყვარე,

თავზეხელადებული ახალგაზრდები.

— ხდურბლზე აიტუზა. მოახლემ შეჰკივლა თუ არა, მაშინვე შემობრუნდა. გოგო გაიქცა, ისიც გამოუდგა. წამიც არ გასულა, რომ ისევ უკან დაბრუნდა. ერთ ხელში დანა ჭირა, მეორეში — პურის ნაცეხი. გაჩერდა, თითქოს აქეთიქით იყერებაო. აი, სულ ახლახან. მერე ამ კარში შევიდა და მიიმალა. ხომ გუბნებიან, თავი მხრებზე არ ება. ცოტათი აღრე რომ მოსულიყავით...

უკანა რიგებში ჩოჩოქოლი ატყდა. ამბის მომყოლი დადუმდა და გზა დაუთმო მცირე პროცესიას, როგოლიც მტკიცედ მიაბიჯებდა სახლისაკენ. პროცესიას აჭარხლებული და რწმენით აღვხილი მისტერ ჰოული მოუძღვდა. მას მისტერ ბობ ჯეფერსი, იქაური პოლისმენი მისდევდა. ბოლოში კი მისტერ უოჯერსი მიაბიჯებდა. ისინი უცნობის დაპატიმრების ბრძანებით იყვნენ აღჭურვილნი და ამიტომ იქცეოდნენ ასე გაბედულად.

— სულ ერთია, აქვს თუ არა თავი, — ამბობდა მისტერ ჯეფერსი. — ნაბრძანები მაქვს, დავაპატიმრო და შევასრულებ კიდეც.

მისტერ ჰოულმა თამამად ააბიჯა პარმაღზე, კარი შეაღო და დაიძახა:

— უფროსო, მოიყვანეთ სისრულეში თქვენზე დაკისრებული მოვალეობა.

ოთახში პირველი ჯეფერსი შევიდა. მას ჰოული მიპყვა, ჰოულს კი მისტერ უოჯერსი. მკრთალ შექმენები მაშინვე დაინახეს ადამიანის უთავო ფიგურა, რომელიც მათკენ შემობრუნებული იდგა. ფიგურას ცალ ხელში პურის მოღრღნილი ნაჭერი ეკავა, მეორეში — ყველი.

— აი, ეს არის! — წამოიძახა ჰოულმა.

— რა ჯანდაბა გინდათ? — გაისმა გაბრაზებით მხრების ზემოდან.

— მართლაც დიდად საეჭვო სუბიექტი ბრძანებულხართ, ბატონო ჩემო, — თქვა მისტერ ჯეფერსმა, — მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს, ბრძანება მაინც ბრძანებაა და უნდა წამომყვეთ.

— არ მომეკაროთ! — დაიყვირა უცნობმა, პური და ყველი ხელიდან გააგდო და უკან დაიხია. მისტერ ჰოული, სიფრთხილეს თავი არ სტკიგაო, მაგიდაზე დაგდებულ დანას ეცა. უცნობმა ხელთათმანი წაიძრო და სახეში გააწინა მისტერ ჯეფერსს. ჯეფერსმა შეწყვიტა თავისი ახსნა-განმარტებანი, თავდაცვის ინსტინქტით ერთი ხელი უხილავ მტევნას ჩასჭიდა, მეორეთი კი ასევე უხილავ ყელს წასწვდა. წამშივე წვივში საშინელი დარტყმა იგემა და თვალცრებულიანმა ვაიმეო, შეწყვირა. მაგრამ დიდი წვალებით მოპოვებული უპირატესობა მაინც არ დათმო. ჰოულმა დანა გადასცა უოჯერსს, როგოლიც ამ შემთხვევაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეკარის როლს ასრულებდა. თვითონ კი ჯეფერსის დასახმარებლად გაიწია. სკამი სმაურით გაგორდა კუთხისკენ და ორივე მოწინააღმდეგე ერთდროულად დაენარცხა იატაკზე.

— დროზე ჩავლე ხელი ფეხებში... — კბილებს შორის გასცრა ჯეფერსმა. როგორც კი მისტერ ჰოული დავალების შესრულებას შეუდგა, მკერდის არეში ისე ძლიერად მოხვდა წიხლი, რომ რამდენიმე ხნით წყობიდან გამოვიდა.

დარწმუნდა თუ არა მისტერ უოჯერსი, მდგომარეობა სავსებით შეიცვალა და უცნობი ჯაბნის მისტერ ჯეფერსსო, დანიანად გასასვლელისკენ გაქანდა, სადაც მისტერ პაქსოურსა და სირბრიჯის მეეტლეს შეეჯახა. ეს უკანასკნელნი კანონიერების დამცველის დასახმარებლად გამორბოდნენ. სწორედ ამ დროს თაროდან ბოთლები ჩამოცვივდა, ნამსხვრევებად იქცა და ოთახში დაღვრილმა სიოხემ მწვავე სუნი დააყენა.

— გნებდებით! — დაიყვირა უცნობმა, მიუხედავად იმისა, რომ ჯეფერსი ქვეშ პყავდა მოქცეული. მერე წამოდგა. ჩხუბის დროს მეორე ხელთათმანიც წაეძრო

და არც ერთი ხელი აღარ უჩანდა. აქოშინებული კიდევ უფრო უჩვეულოდ გამოიყერებოდა. — მაინც არაფერი გამოვა, — დაუმატა, როცა სული ოდნავ მოითქვა.

უაღრესად შესაზარი და უცნაური იყო მხრებსზემოთა სიცარიელიდან მომავალი ხმის მოსმენა. მაგრამ სესექსის მცხოვრებლები, ალბათ, ქვეყნად ყველაზე ფხოზელი გონების ხალხია. ამიტომ ჯეფერსიც გულგრილად წამოდგა და თითქოს არაფერია, ჯიბიდან ხელბორკილები ამოიღო. მაგრამ მაშინვე შეჩერდა.

— ეს რადაა! — თქვა, როცა ამ ამბის მთელი უაზრობა შეიცნო. — ეშმაკმა დალახვროს! როგორც ჩანს, ბორკილები საჭირო არ ყოფილა.

უცნობმა ხელი პიჯაპზე გააცურა და რაღაც ჯადოქრობით ყველა ლილი, რომელსაც ცარიელი სახელო შეეხო, სათითაოდ შეიხსნა. შემდეგ ფეხსაცმელები ახსენა, დაიხარა და წინდების გასწორებას შეუდგა.

— უფრეთ! — წამოიძახა პაქსოერმა. — განა ეს ადამიანია?! აქ მხოლოდ ცარიელი ტანისამოსია, უფრეთ! საყელოშიც შეიძლება ჩაიხედოს კაცმა, სახელოს გასწვრივაც... აი, თუ გინდათ, მკლავს გავყოფ, — თქვა და ხელი წინ გაიშვირა. ჰაერში ხელი მკვრივ სხეულს მოხვდა და ამ მოულოდნელობისაგან შეცბუნებული ჰაერში უყირილით უძან გადახტა.

— გთხოვთ, მომაშოროთ თვალებიდან თქვენი თითები, — გაისმა ჰაერში უაღრესად გადიზიანებული ხმა. — საქმე ისაა, რომ მე თავიდან ბოლომდე აქ ვიმყოფები, მთელი არსებით, ოღონდ უჩინარი ვარ. ვიცი, ძალიან უხერხელია, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთი ვარ. მიუხედავად ამისა, აიპინგის ყველა ვიგინდარას უფლება როდი აქვს, თითებს თვალებში მატაკებდეს და მაღიზიანებდეს.

მათ წინ დოინჯშემოყრილი აზიდულიყო რაღაც უხილავ საყრდენზე დაკიდული კოსტიუმი.

ამასობაში ქუჩიდან კიდევ რამდენიმე კაცმა მოირბინა და ოთახი ხალხით გაივსო.

— რა, უჩინარი? — ისე თქვა ჰაერში, თითქოს უცნობის შეურაცხყოფილი კილო არც შეუნიშნავს. “— აბა, ვის გაუგია ამგვარი რამ?

“— იქნებ ეს მართლაც უცნაურია, მაგრამ არავითარი ბოროტება ამაში არ არის და, თუ შეიძლება, მითხარით, რატომ დამესხა თავს პოლიციელი?

— ო, ეგ სულ სხვა საკითხია, — დაიწყო ჯეფერსმა. — მართალია, ამ სიბნელეში ვერაფერს წაიკითხავთ, მაგრამ ბრძანებაში ყველაფერი ნათლად და გასაგებად წერია. თქვენ გაპატიმრებენ არა უჩინარობის, არამედ სახლის გაქურდვის გამო. აქვე მახლობლად სახლი გატეხს და ფული წაიღეს.

— მერე?

— ზოგიერთი გარემოებით დასტურდება, რომ...

— სისულელე! — შეაწყვეტინა უჩინარმა.

— ვიმედოვნებ, რომ ასეა, სერ. მაგრამ მე ნაბრძანები მაქვს...

— კარგით, — თქვა უცნობმა. — წამოვალ. წამოვალ, ოღონდ ერთი პირობით: ხელზე ბორკილი არ დამადოთ.

— ბორკილი აუცილებელია ასეთ შემთხვევაში, — თქვა ჯეფერსმა.

— მხოლოდ უბორკილოდ! — დაუინებით გაიძახოდა უცნობი.

— მაპატიეთ, მაგრამ... — არ ნებდებოდა ჯეფერსი.

მოულოდნელად, უცნობი იატაპზე დაჯდა და სანამ ვინმე მიხვდებოდა, რას აპირებდა, ფეხსაცმელები და შარვალი უკვე მაგიდის ქვეშ ეყარა. მერე ფეხი წამოხტა და სასწრაფოდ მოიძრო პიჯაკი.

— შეჩერდით, ახლავე შეწყვიტეთ! — დაუყვირა ჯეფერსმა, როცა გონს მოვიდა, და სწვდა უცნობს ჟილეტში. ჟილეტმა გაიბრძოლა. შემდეგ ჟილეტს

ქვემოდან პერანგი გამოძვრა და ჯეფერსს ხელში ცარიელი ჟილეტი შერჩა. — დაიჭირეთ! — გადასძახა მან შეკრებილთ. — ერთხელ თუ მოასწრო გახდა...

— დაიჭირეთ! დაიჭირეთ! — ერთხმად დაიღრიალა ხალხმა და დაედევნა პაერში მოყრიალე პერანგს — ერთადერთ თვალსაჩინო ნივთს, რომელიც ჯერ კიდევ ამჟღავნებდა უცნობის ადგილმდებარეობას. პოულს სახეში ძლიერად მოხვდა პერანგის სახელო, უკან გადავარდა და მისტერ თუთსემის, ეკლესიის მნათეს მკლავებში ამოჟყო თავი. იმავ წამს პერანგმა მაღლა აიწია და იქ ისე აფართხალდა, როგორც ყოველი პერანგი, როცა მას თავზე გადაიძრობენ ხოლმე. ჯეფერსი მაშინვე ეცა პერანგს, მაგრამ ამით უჩინარს მხოლოდ მიეხმარა გახდაში. შემდეგ პაერიდან ქვედა ყბაში რაღაცა მტკიცნეულად დაეჯახა. მან ინსტინქტურად ამოიღო თავისი კეტი, მოიქნია და მთელი ძალით ტედი პენფრის კინკრიხოზე დაუშვა.

— აბა, ჩქარა! ფრთხილად იყავით! — ყვიროდნენ ყველანი და ალალბედად იქნევდნენ მუშტებს.

— დაიჭირეთ!
— კარი ჩაკეტეთ!
— არ გაუშვათ!

— მე რაღაც დავიჭირე! აქ არის, აქ!

ოთახში ენით აუწერელი აურაზური იდგა. ყოველი მხრიდან ისმოდა მუშტების ბაგაბუგი. ერთი მაგარი მუშტი სენდი უოჯერსაც მოხვდა პაჭუა ცხვირში. მაშინ კი იკადრა, ჭკუა იხმარა, კარი პირველმა გამოაღო და გარეთ გავარდა. მას სხვებიც მიჰყვნენ. ზღურბლზე ერთი ზედახორა ატყდა. უნიტარული ეკლესიის ერთ-ერთ მომხრეს, მისტერ ჭიას, წინა კბილები ჩამსხვრეოდა, ხოლო მისტერ პენფრის ყურის ნიუარის ხრტილი პქონდა დაზიანებული. ყბაში მოხვედრილი მუშტით გაბრუებული ჯეფერსი შებრუნდა და უცებ ხელებში უჩინარის დაკუნთული მკერდი მოხვდა. იმავე წამს მთელი ეს გადახლართული ხალხის გროვა დერეფანში ბურთივით გავარდა.

— დავიჭირე! — ყვიროდა სუნთქვაშეკრული ჯეფერსი და აჭარხლებული, შებლზე ძარღვებდაბერილი, უხილავ მტერთან ჭიდილს განაგრძობდა. ამ უცნაური ორთაბრძოლის მნახველი ბრბო განხე იწევდა, გასასვლელისკენ იხევდა და, ბოლოს, გაოგნებულ სამიკიტნოს გრძელ კიბეებზე დაგორდა. ჯეფერსმა ერთხელაც ამოიხველა, დავიჭირეთ. იგი ჯერ კიდევ იმედს არ კარგავდა, მაგრად ჩაკეროდა უხილავ სხეულს და მუხლის თავებით მოქმედებდა. შემდეგ შებორძიკდა, პირდაღმა დაეცა და თავი ხრეშს დაანარცხა.

გონდაკარგულმა მაშინდა გახსნა თითები.

ისევ გაისმა ძახილი: დაიჭირეთ! უჩინარი დაიჭირეთ!.. ვიდაც ახალგაზრდა, ვისი სახელიც აქამდე ვერ დაგვიდგენია, მივარდა ჯეფერსთან, რაღაცას ჩაავლო კიდეც ხელი, მაგრამ წამსვე ისიც პოლისმენის გვერდით გაიშხლართა. უეცრად შუა ქუჩაში ქალმა შეჰვივლა და დაეცა. იქვე საცოდავად აწკავწკავდა ძალლი და მისტერ პაქსთერის ეზოში შევარდა. ალბათ, წიხლი თუ ჩასცხეს. ასე დამთავრდა უჩინარის გაქცევა მისის პოულის სამიკიტნოდან. ქუჩაში გამოფენილი ხალხი ერთხანს დარეტიანებული იდგა; შემდეგ, თითქოს ქარმა დაუბერაო გამხმარ ფოთლებს, ირგვლივ მიმოიფანტა.

სამიკიტნოს პარმაღლობან კი გულაღმა იწვა ჯეფერსი და კვნესოდა.

თავი მერვე
გზაში

მერვე თავი უჩვეულოდ მოკლეა და მოგვითხობს, როგორ თვლემდა ადგილობრივი მოხალისე ნატურალისტი პატარა ბორცვზე, დარწმუნებული, რომ გარშემო ორი მილის მანძილზე სულიერი არ ჭაჭანებდა, და უეცრად როგორ მოეხმა ხველებისა და ცხვირის დაცემინების ხმა; შემდეგ — ბრაზიანი

გინებაც. როდესაც გაიხედ-გამოიხედა, ვერავინ დაინახა. ხმა კი სულ უფრო და უფრო გარკვევით ისმოდა. უჩინარი არსება ისე მრავალფეროვნად და გატაცებით იგინებოდა, რომ მაშინვე მიხვდებოდით, განათლებული კაცი უნდა ყოფილიყო. ხმა თანდათან გაძლიერდა; შემდეგ, პირიქით, მისუსტდა და, როგორც გიბინსს მოქვენა, ადერდინისკენ მიმავალ გზაზე მიწყდა.

გიბინსმა არაფერი იცოდა დილით სოფელში მომხდარი ამბებისა, ამიტომ ამ უცნაურმა შემთხვევამ იმდენად გააოცა და აუბნია თავგზა, რომ სრულიად დაკარგა თავისი ფილოსოფიური სიმშვიდე. იმწამსვე წამოხტა და სოფლისაკენ თავქუდმოგლეჯილი დაეშვა.

თავი მეცხრე მისტერ თომას მარველი

წარმოიდგინეთ დონდლო, ჩასუქებული, ცხვირკომბალა, დიდაირა, დორბლიანი და წვერგაბურგბილი კაცი — ასეთი იყო მისტერ თომას მარველი. გარეგნობაზე სიმსუქნისკენ მიდრეკილება ეტყობოდა, რაც მოკლე, კოტიტა კიდურების წყალობით კიდევ უფრო გეცემოდათ თვალში. მისტერ მარველი ხაოიან ცილინდრს ატარებდა. ყველაზე კრიტიკულ ადგილებში კოსტიუმი ფოლაქების ნაცვლად თასმებითა და ზონრებით ჰქონდა შეკრული, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ეს კაცი უცოლშვილოდ გადაბერებული უნდა ყოფილიყო.

მისტერ თომას მარველი აიპინგიდან დაახლოებით ერთი მილის მოშორებით, ადერდინისკენ მიმავალი გზის პირას იჯდა თხრილში ფეხებიაშვებული. დახეული წინდები ეცვა. წინდებიდან თავი ამოევოთ მოზრდილ, ბრტყელ, ოდნავ თავაწეულ თითებს, რომლებიც საოცრად წააგავდნენ ძაღლის დაცემებილ ყურებს. მისტერ მარველი ძაღლიან ხელა და უხალისოდ, — საერთოდ, ყველაფერს ასე ნელა და უხალისოდ აკეთებდა, — ათვალიერებდა მაღალყელიან ფეხსაცმელს. ფეხსაცმელი დიდი ჩანდა, მაგრამ შედარებით ახალი იყო და ლანჩაც მაგარი ჰქონდა. ძველები მშრალ ამინდში ჯერ კიდევ ვარგოდა სახმარად, ფეხზეც კარგად ერგებოდა, ოდონდ წვიმის დროს წყალს უღმერთოდ ატარებდა. მისტერ მარველს საშინლად ეჯავრებოდა დიდი ფეხსაცმელი, თუმცა სინესტეც არანაკლებ აშინებდა. ამიტომ ამ ორიდან რომელი უფრო მისაღები იყო, ვერაფრით ვერ გადაეწყიბა. მზიანი დღე იდგა, საქმე არაფერი ჰქონდა და ისიც დროის დაუზოგველად ფიქრობდა ამ მძიმე საკითხზე: ორივე წყვილი ერთმანეთის გვერდით მიწაზე დაეწყო და თვალით ზომავდა. ბალაბში მიმობნეულ ყვავილებს შორის ფეხსაცმელები ისე უბადრულად გამოიყერებოდნენ, რომ მაშინვე დაებადა აზრი: ორივე წყვილი ძაღლიან საძაგელიაო. არც შემკრთალა, როცა უგნიდან ვიდაცის ხმა მოესმა.

— ასეა თუ ისე, მაინც ფეხსაცმელია.

— პო, ფეხსაცმელი, ნაწყალობევი ფეხსაცმელი, — თქვა მისტერ თომას მარველმა, თავი გვერდზე გადახარა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა ისინი. — და უკანასკნელი კაცი ვიყო, თუ ვიცოდე, ამ მურდალ ცხოვრებაში რომელი მათგანია უფრო საზიზდარი.

— ჰმ...

— მართალი გიოხრათ, ამათზე უარესებიც მიტარებია. ხშირად სულ ფეხში შველიც გვოფილვარ. მაგრამ ერთხელაც არ შემხვედრია ასე საზიზდრად მახინჯი ფეხსაცმელი. კარგა ხანი კია ვეძებ: ხან აქ ვთხოულობ, ხან იქ. ჩემები უკვე ყელში ამომივიდა. რა თქმა უნდა, ჯერ მაგრებია, მაგრამ მოხეტიალე კაცი, საუბედუროდ, იძულებულია ყოველ წუთს თავის ფეხსაცმელს უყურებდეს.

რამდენი ვეძებე, რამდენი ვეწვალე და, თუ დამიჯერებთ, ამაზე უკეთესი ვერაფერი ვნახე ამ დაწყვევლილ ქვეყნაში. ერთი შეხედვთ! კიდევ იტყვიან, ეს

საგრაფო კარგი ფეხსაცმელებითაა ცნობილი. თუმცა ეგებ ყველაფერი ჩემი უკუღმართი ბედის ბრალია. ათი წელია უკვე აქაურ ფეხსაცმელს ვატარებ და აი, ამათზე უკეთესი არაფერი გაუმეტებიათ.

— უსაზიზდრესი საგრაფოა, — მოესმა პასუხად. — ხალხის მაგიერ, ღორები ცხოვრობენ!

— მეც ასე მგონია! ღმერთო ჩემო! განა ეს ფეხსაცმელია? — თქვა მისტერ მარველმა და თავი შეაბრუნა, რომ მოსაუბრის ფეხსაცმელისთვისაც შეეხედა. უნდოდა, თავისებთან შეედარებინა. მაგრამ იმ ადგილას, სადაც კაცის ფეხებს ელოდა, ვერაფერი დაინახა. მაშინ მარცხნივ გაიხედა და როცა იქაც ვერაფერი დაინახა, გაოცდა.

— შენ, ეი, სადა ხარ?! — შეჭყირა და ადგილიდან წამოხტა. წინ ბორცვიანი მოტიტვლებული ველი იყო გადაშლილი და შორს, ნიავის წამოქროლვაზე თავშავას დაბალ-დაბალი ბუჩქები ირხეოდა.

— ნუთუ მთვრალი ვარ, — ჩაილაპარაკა მისტერ მარველმა, — თუ მომეჩვენა ყველაფერი?! იქნებ საკუთარ თავს ვესაუბრებოდი?! რა ჯანდაბაა...

— ნუ დაფეთდი, — მოესმა ხმა.

— შენი მუცელმოგვობა მე არ მჰირდება! — დაუკვირა ისევ მისტერ თომას მარველმა. — სადა ხარ-მეთქი?! გაცოფდები კაცი, აბა, რა იქნება?

— რამ დაგაფეთა? — გაუმეორა ვიდაცამ.

— დაგაფეთებ მე შენ, თუ მოგწვდი, შე შტერო შენა! — განაგრძო მისტერ თომას მარველმა. — სადა ხარ? სად? ერთი დამენახვე და მერე...

— იქნებ დამარხული ხარ? — თქვა მარველმა რამდენიმე წუთის შემდეგ და მიწას დააცქერდა.

პასუხი არ იყო. ფეხში შველი, ქურთუკებადალედილი იდგა თომას მარველი და დაჭყეტილ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

„პიო-უიტ“... — დაიძახა შორიდან პრანწიამ.

— აბა კი, პრანწია! მაიმუნობის დრო სულაც არა მაქვს. გეყოფა-მეთქი! — თქვა მისტერ მარველმა.

მიდამო გაშლილი და უკაცრიელი იყო. გზა თავისი წყალსავარდნი თხრილებითა და თეთრი ბოძებით მშვიდად მიემართებოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ. ცაში პრანწიას გარდა აღარაფერი მოჩანდა.

— ღმერთო, შენ მიშველე! — წამოიძახა მარველმა და სასწრაფოდ შეუდგა ქურთუკის შეკვრას. — ყველაფერი არყის ბრალია... ასეც ვიცოდი.

— არაყი არაფერ შეაშია, — წარმოთქვა ხმამ. — ჯობია, ნერგები დაიმშვიდოთ.

— გა! — ძლიერ ამოილუდლუდა მარველმა და სახეზე მკვდრის ფერმა გადაჰკრა.

— ისევ არაყი, — ოდნავ გასაგონად ჩაიძუტბუტებს მისმა ტუჩებმა. საწყალი ერთხანს გაუნძრევლად იდგა და გაბრუებული წინ იყურებოდა; მერე ნელ-ნელა შებრუნდა. — ვფიცავ, ჩემი ყურით გავიგონე ხმა.

— რა თქმა უნდა, გაიგონეთ.

— აი, კიდევ! — წამოიყვირა მარველმა, თვალები დახუჭა და ტრაგიკულად აიფარა ხელები სახეზე. სწორედ ამ დროს ვიღაცამ ხელი ჩაავლო ქურთუკის საყელოში და ისე ძლიერად შეანჯლრია, რომ გონება კიდევ უფრო დაუბნია.

— ნუ სულელობთ! — ჩაესმა ხმა.

ნამდვილად ჭკუაზე ვცდები, — ჩურჩულებდა მისტერ მარველი, — არც არაფერი მშველის. სულ კი ამ წყეული ფეხსაცმელების ბრალია. ნამდვილად ჭკუაზე ვცდები. ან იქნებ სულები შემომეხვივნებ?

— არც ერთი და არც მეორე. მომისმინეთ...

— გავგიედი! შე საწყალო, ჩემო თავო... — განაგრძობდა მისტერ მარველი.

— მომისმინეთ! — ხმაში უკვე გაბრაზება ისმოდა.

— კარგით, კარგით, — თქვა მარველმა და მოწვენა, თითქოს ვიდაც მკერდზე თითოთ შეეხო.

— თქვენ ფიქრობ, რომ მხოლოდ მოჩვენება ვარ და მეტი არაფერი?

— მაშ, მეტი რა უნდა იყო? — უპასუხა მარველმა.

— ძალიან კარგი. თუ ასეა, ახლავე ქვების სროლას დაგიწყებო და მანამდე არ მოგეშვებით, სანამ მაგ შეხედულებას არ შეგაცვლევინებთ.

— კი მაგრამ, სადა ხართ?

ხმამ პასუხი არ გასცა. ჰაერში ქვამ გაიწივლა და მისტერ მარველის მკლავს რამდენიმე სანტიმეტრზე ჩაუქროლა. იგი იმწამსვე შებრუნდა და დაინახა, რომ მეორე ქვაც ავარდა ჰაერში, წრე შემოხაზა და არაჩვეულებრივი სისტრაფით დაეშვა. მისტერ მარველი იმდენად გაკვირვებული იყო, რომ არც უცდია მორიდებოდა. ქვა ფეხის თითზე დაეცა, ასხლტა და თხრილში გადაეშვა. მისტერ მარველი ადგილზე შეხტა და ტკივილისგან დაიყმუვლა. მერე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, მაგრამ რაღაცას ფეხი წამოსდო და ყირამალა გადატრიალდა.

— აბა, ახლა რადას იტყვით? კიდევ მოწვენება გგონივართ? — დასძახა ხმამ და ჰაერში მესამე ქვა ავარდა.

პასუხის მაგიერ მისტერ მარველმა ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ ვიდაცამ მაშინვე ხელი ჰკრა და ისევ მიწაზე დასცა. ერთ ხანს ასე გაუნძრევლად იწვა.

— თუ წყნარად არ იწოდებით, — განაგრძობდა ხმა, — ეს ქვა აუცილებლად თავში მოგხვდებათ.

— აი, ხათაბალა! — თქვა მისტერ მარველმა და ნატკენი ფეხის ზელას შეუდგა. თან ჰაერში დაკიდულ ქვას თვალს არ აშორებდა. — არაფერი მესმის. ქვები თავისით ცვივიან, ქვები ლაპარაკობენ, ქვები ხელს გკრავენ... ქვები... ქვები... გნებდებით. რა თქმა უნდა, გნებდებით და ვიღუპები კიდეც.

ქვა მიწაზე დაეცა.

— ყველაფერი ძალიან მარტივად ხდება, — წარმოთქვა ხმამ. — მე უჩინარი ვარ.

— თქვენ ახალი თქვით რამე, — ბუზდუნებდა მისტერ მარველი, თან ტკივილებისაგან კვნესოდა და იკლაკნებოდა. — სად იმალებით? როგორ ახერხებთ ამას? ვერაფერი გამიგია... გნებდებით.

— მე უჩინარი ვარ, ესაა და ეს. ახლა გესმით თუ არა? — გაუმეორა ხმამ.

— რა თქმა უნდა, მესმის. რა თქმა უნდა, ყველაფერი ცხადზე უცხადესია. თღონდ ნუ ცხარობთ. უბრალოდ, მარტივად ამიხსენით, როგორ იმალებით.

— აკი გითხარით, უჩინარი ვარ-მეთქი, ნუთუ ვერ შეიგნეთ, უჩინარი!

— მესმის, მაგრამ მაინც სადა ხართ?

— აი, აქ, თქვენგან ექვსიოდე იარდზე.

— ჰე, ჰე, გეყოფათ ერთი! ბრმა კი არა ვარ. ახლა იქნებ ისიც მითხრათ, გაუხშოებული ჰაერი ვარო. ვინმე ბრიყვი და სულელი არ გეგონოთ.

— გამოიცანი! მართლაც გაუხშოებული ჰაერი ვარ, ისეთივე გამჭვირვალე, როგორიც ჰაერი.

— რაო? იმის თქმა ხომ არ გინდათ, თითქოს სხეულის მსგავსი არაფერი გაგაჩნდეთ? მხოლოდ და მხოლოდ ხმა ხართ და მეტი არაფერი?

— მე ისეთივე კაცი ვარ, როგორიც ყველა. სხვებსავით მჭირდება ხმა, ჭამა და ტანსაცმელი...

— მაშ, ნამდვილი კაცი ხართ?

— დიახ.

— თუ ასეა, აბა, ხელი გამომიწოდეთ, — თქვა მისტერ მარველმა.

— ვაი! როგორ შემაშინეთ! — წამოიძახა უცებ და მოსინჯა უჩინარის თითები, რომლებიც მძლავრად ჩასჭიდებოდნენ მის მტევანს. მერე მხარიც

მოუსინჯა, დაგუნთული მკერდიც, წვერ-ულვაშიც. გაოცებისაგან ლამის თვალები გადმოსცვივდა.

— ბიჭოს! თავს დავდებ, თუ ეს ამბავი მამლების ჩხუბზე უფრო საინტერესო არ იყოს. ერთ მიღზე კურდღელსაც კი დაინახავდა აქედან კაცი, თქვენი სხეულისა კი ნაკვთიც არ ჩანს... თუმცა...

აქ მისტერ მარველი დაკვირვებით დააცქერდა ცარიელ სივრცეს.

— შემთხვევით ყველი და პური ხომ არ გიჭამიათ? — პკითხა ისე, რომ უცნობის მკლავებისთვის ხელი არ გაუშვია.

— სწორია. ორგანიზმს ეს საკვები ჯერ არ გადაუმუშავებია.

— ააა! — წამოიძახა მისტერ მარველმა, — მაგრამ მაინც საოცარია.

— გარწმუნებთ, არც ისე საოცარია, როგორც თქვენ გგონიათ.

— ჩემი მოკლე ჭკუისთვის ესეც საკმარისია, — უპასუხა მან და დაუმატა: — ნებავ როგორ ახერხებთ ამას? რას აკეთებთ ასეთს?!

— ეგ ძალიან გრძელი მოსაყოლია და გარდა მაგისა...

— ისეთი გაოცებული ვარ, მეშინია არ გავგიყდე.

— დამაცადეთ. ორიოდ სიტყვა მაქს საოქმედი და ყური კარგად დამიგდეთ. მე დახმარება მჭირდება. აქამდეც მივედი. თქვენ უცაბედად შეგმებეთ. სიბრაზისგან გაბოროტებული, ტიტველი, ღონებიხდილი მივდიოდი; მზად ვიყავი, ყოველი შემხვედრი მომეკლა... და უცებ თქვენ დაგინახეთ.

— ღმერთო, შენ მიშვევა! — ჩაიჩურჩულა მარველმა.

— უკნიდან მოგიახლოვდით, დავფიქრდი და ისევ განვაგრძე გზა.

მისტერ მარველის სახე უტყუარად მეტყველებდა მის სულიერ განცდებზე.

— შემდეგ შევჩერდი. აი, ცხოვრებისგან ისეთივე გარიყული ადამიანი, როგორიც მე ვარ-მეოქი. აი, ადამიანი, რომელიც მჭირდება, — გავიფიქრე და ისევ თქვენსკენ წამოვედი...

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მარველმა. — თავგზა ამებნა. ნება მომეცით შეგეკითხოთ: რატომ მოხდა ასე? ჩემგან რა დახმარება უნდა გჭირდებოდეთ თქვენ, უჩინარს?

— მე მჭირდება თქვენი დახმარება ტანსაცმლის, საცხოვრებელი ბინისა და კიდევ ბევრი სხვა საჭირო ნივთის შოვნაში. კარგა ხანია, ყველაფერს მოკლებული ვარ. თუ არ გინდათ, რომ დამეხმაროთ... მაგრამ არა, დამეხმარებით, აუცილებლად დამეხმარებით!

— დამაცადეთ! — შეაწყვეტინა მარველმა. — დამაცადეთ, გონება მოვიკრიბო, ფეხზე წამოვდეგ. ნუ მეხებით! გონს უნდა მოვიდე. ეს-ესაა ფეხის თითო კინაღამ მომტებეთ. აზრი ვერ მომიკრებია, თავი სიზმარში მგონია... ცარიელი ბორცვები, ცარიელი ცა, გარშემო არაფერი, გარდა ბუნების ხედისა და უეცრად ადამიანის ხმა, ხმა ზეციდან. შემდეგ ქვები, მუშტები... ჰოი, ღმერთო ჩემი!

— აბა, აბა! ჯობია, წუწუნს თავი ანებოთ, ღონე მოიკრიბოთ და მოემზადოთ დავალების შეასრულებლად, — წარმოთქვა ხმამ.

მისტერ მარველმა ლოყები დაბერა და თვალები მთლად დაუმრგვალდა.

— თქვენ ამოგირჩიეთ, გესმით? — განაგრძო უჩინარმა. — თვქვენა ხარ ერთადერთი ადამიანი, იმ სოფლებს ტეტიებს თუ არ ჩაგთვლით, რომელმაც რაიმე იცის ჩემი არსებობის შესახებ. უნდა დამეხმაროთ. დამეხმარეთ და მეც ღირსეულდად გადაგიხდით სამაგიეროს. მოგეხსენებათ, უჩინარს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, — წუთით გაჩუმდა და ძლიერად დააცემინა. — მაგრამ თუ გაბედავთ და გამცემთ, თუ არ შეასრულებოთ ჩემს დავალებას...

უჩინარმა საოქმედი აღარ დაასრულა და მარველს მხარში ხელი ისე მაგრად ჩასჭიდა, რომ უანასკნელმა საზარლად შეჰკივლა.

— მე სრულიადაც არ ვაპირებ თქვენს გაცემას, — წამოიძახა მარველმა და შეეცადა, გასცლოდა ამ საშინელ მარწუხებს. — ფიქრადაც არ გაივლოთ ასეთი რამ. ჩემი ერთადერთი სურვილია, დაგეხმაროთ. ოღონდ რამე მიბრძანეთ და

იმწამსვე შევასრულებ (დმერთო, მიშველე!). დიდი სიამოვნებით შევასრულებ შეელაფერს, რაც კი მოგესურვებათ.

თავი მეათე

მისტერ მარველი აიპინგში

შიშისა და დაბნეულობის პირველმა მშფოთვარე წუთებმა რომ გაიარა, აიპინგის მცხოვრებლებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა და მსჯელობა გაიმართა. უეცრად თავი წამოჰყო სკეპტიციზმა, მართალია, უმეტესად ნერვიულმა, საურდენს მოკლებულმა სკეპტიციზმა, მაგრამ მაინც სკეპტიციზმა. განა გაცილებით უფრო ადვილი არ იყო, უარესოთ უჩინარის არსებობა?! ის პირნი კი, რომლებმაც თავიანთი თვალით დაინახეს, თუ როგორ აორთქლდა უჩინარი პაერში, და რომელთაც თავიანთ თავზე იგემქს მისი მუშტების ძალა, ცოტანი იყვნენ. ამასთანავე, ერთ-ერთი იქ დამსწრეთაგანი, მისტერ უოჯერსი, გარეთ არ გამოდიოდა: სახლში ჩაგეტილიყო და არავის არ იკარებდა, ხოლო ჯეფერსი სამიკიწო „მეტლე და ცხენებში“ უგონოდ იწვა. დიდი, უცნაური იდეები, რომლებიც სცილდებიან ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ხშირად ნაკლებ გავლენას ახდენს ხალხზე, ვიდრე მცირე, ჩვეულებრივი ადამიანის გონებისათვის ადგილად მისაწვდომი აზრები.

აიპინგი დროშებით მოერთოთ. ყველა სადღესასწაულოდ იყო გამოწყობილი. თვეზე მეტ ხანს ემზადებოდა სოფელი სულიწმინდის მოფენის დღისათვის. ამიტომ რამდენიმე საათის შემდეგ ისინიც კი, ვისაც მტკიცედ სწამდა უჩინარის არსებობა, მხიარულებას მიეცნენ და თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ უჩინარი სამუდამოდ გაქრა მათი ცხოვრებიდან. ხოლო რაც შეეხება სკეპტიკოსებს, მათ უჩინარის ამბავი სახუმაროდ აქციეს. ასე იყო თუ ისე, სადამოსთვის მთელ აიპინგში არაჩვეულებრივი მხიარულება და გართობა სუფევდა.

პეისმენის მდელოზე კარავი დაედგათ, რომელ შიც მისის ბანტინგი და სხვა ქალები ჩაის ამზადებდნენ. საკვირაო სკოლის ბაგშეები ქორეპისკოპოსის, მისს ქასისა და მისს სეკბატის მომაბეზრებული მეთვალყურეობით ბალახებში დარბოდნენ და თამაშობდნენ. რა თქმა უნდა, ყველანი გრძნობდნენ, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო, მაგრამ როგორც კეთილგონიერ ადამიანებს შეშვენით, ახერხებდნენ შიშისა და უხერხელობის დაფარვას. მოზარდ თაობაში დიდი მოწონება პერნება მინდვრად გაბმულ თოკს, რომლის ერთ ბოლოზე დამაგრებული ბლოკის სახელურს თუ ჩაეჭიდებოდით, არაჩვეულებრივი სისწავით შეგეძლოთ დაშვებულიყვით თოკის მეორე ბოლოსთან მოთავსებულ თივით გატენილ ტომარაზე. ასეთივე მოწონებით სარგებლობდა საქანელა და კოკნატშა. მინდოორში სასეირნო მოედანიც მოეწყოთ. კარუსელთან მიმაგრებული, ორთქლით მომუშავე არდანი პაერს ზეთის მკვეთრი სურნელითა და არანაკლებ მკვეთრი მუსიკით ავსებდა. კლუბის წევრებს, ვინც დილით ეკლესიაში წირვაზე ყოფილიყვნენ, მეტობები და მწვანე ნიშნები უმშვენებდათ; ხოლო ზოგიერთ მხიარულ ახალგაზრდას ქუდი სხვადასხვა ფერის ბაფთებით მოერთოთ. მოხუცი ფლეტჩერი, რომელიც ცოტა მკაცრი შეხედულებისა იყო დღესასწაულებზე, სახლიდან არ გამოდიოდა. მისი დანახვა შეიძლებოდა უცველელას ყვავილებით დაბურული ფანჯრიდან ან ლია კარიდან (რაც უკვე თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული). მოხუცს ფიცარი გაედო სკამებზე, ზედ შემდგარიყო და წინა ოთახის ჭერს ათეთობდა.

დაახლოებით ოთხ საათზე აიპინგში ვიდაც უცნობი გამოჩნდა. დაბალსა და ჩასუქებულს მეტისმეტად გაცვეთილი ცილინდრი ეხურა, ხშირ სუნთქვაზე ეტყობოდა, რომ სწრაფად ევლო. წითელი ლაქებით დაფარულ სახეზე შიში აღეჭვდოდა. სუნთქვისას ლოჟები ხან ჩაუცივდებოდა, ხან კი გაებურებოდა.

უცნობმა ეკლესიასთან კუთხეში შეუხვია და პირდაპირ პოულის
სამიკიტნოსაკენ გაემართა. სხვებთან ერთად ამ კაცს ფლეტჩერმაც მიაქცია
უურადღება. მოხუცი ჯენტლმენი იმდენად გააოცა უცნობის ამგვარმა
შესახედაობამ, რომ სანამ ფუნჯზე შემორჩენილი კირიანი სითხე სახელოში არ
ჩაუვიდა, თვალი ვერ მოაცილა. როგორც კოკნატშას მეპატრონებ შენიშნა,
უცნობი გზადაგზა საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. იგივე შენიშნა მისტერ
ჰაქსთერმაც. მისი გადმოცემით, უცნობი სამიკიტნოს შესასვლელთან შეჩერდა
და დიდხანს ვერ ბედავდა შესვლას. ბოლოს კიბებს აჟყვა და სასტუმრო
ოთახში შევიდა. მისტერ ჰაქსთერმა ოთახიდან ლაპარაკის ხმა გაიგონა. შემდეგ
ლუდის სასმელი დარბაზიდან პოულის შეძახილი მოესმა:

— არა, მანდეთ ჩვენი საკუთარი ოთახია!

უცნობმა ბოდიშის მოხდით მიხურა კარი და ბარში ჩავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა: ხელის გულით ტუჩებს იწმენდდა.
სახეზე, როგორც მისტერ ჰაქსთერს მოეჩვენა, ნაძალადევი ღიმილი ეცერა. კაცი
ერთხანს სამიკიტნოს წინ ტრიალებდა. მერე ფეხაკრეფით გაემართა სამიკიტნოს
ეზოში გასასვლელი ჭიშკრისკენ. ეზოში კი სასტუმრო ოთახის ფანჯარა
გამოდიოდა. ჰაქსთერმა ყველაფერი კარგად გაითვალისწინა. კაცი, თითქოს აქ
არაფერიაო, ჭიშკრის საგდულს ზურგით მიეყრდნო, ჯიბიდან თიხის მოკლე
ჩიბუხი ამოიდო და თუთუნით დატენას შეუდგა. თუთუნს ცეცხლი ძლივს
მოუკიდა, ხელები ისე უკანკალებდა. შემდეგ გულხელი დაიკრიფა, გემრიელად
გააბოლა და მოწყენილი კაცის იერი მიიღო, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა
მისი თვალების დაძაბულ გამომეტყველებას. დროდადრო უცნობი ქურდულად
შეიჭვრიტებოდა ხოლმე ეზოში.

მისტერ ჰაქსთერი ომბაქოს ფარდულის ფანჯრიდან ადევნებდა თვალყურს
ყველაფერს. უცნობის უჩვეულო ქცევამ აიძულა, თვალყურის დევნება ბოლომდე
განეგრძო.

უცბად უცნობი გასწორდა, ჩიბუხი ჯიბეში ჩაიდო და ეზოში შევიდა. მისტერ
ჰაქსთერიც იმწამსვე გამოვარდა ფარდულიდან და შუა ქუჩაში დადგა. აბა,
მშვიდად ხომ ვერ უყურებდა, როგორ ჩადიოდნენ მის თვალწინ ქურდობას.
გადაწყვიტა, ავაზაკი ხელიდან არ გაეშვა. წუთსაც არ გაევლო, რომ უცნობი
ჭიშკარში გამოჩნდა; ოლონდაც ახლა მარჯვენა ხელში მოზრდილი ბოხჩა ეკავა,
მარცხენაში — სამი უზარმაზარი წიგნი. ფაციფუცში ცილინდრი გვერდზე
მოქცეოდა. შუა ქუჩაში გოროზად დამდგარი ჰაქსთერი რომ დაინახა, ერთი კი
შეჰვირა, შეტრიალდა მეორე მხარეს მოკურცხელა.

— დაიჭირეთ, ქურდია! — დაიძახა ჰაქსთერმა და გაეგიდა.

მისტერ ჰაქსთერის შემდგომი შეგრძნებები მეტად ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი
გამოდგა. ერთ ხანს იგი გარკვევით ხედავდა, როგორ გარბოდა უცნობი, როგორ
მოუხვია და ისევ სირბილით განაგრძო გზა. ხედავდა გარშემო ჩამოკიდებულ
დროშებსაც და საზეიმოდ გამოწყობილ მოსეირნე ხალხსაც. ერთიორმა კიდევაც
მოიხდა მის ყვირილზე.

— დაიჭირეთ, ქურდია! — ხელმეორედ და უფრო ხმამაღლა დაიძახა მისტერ
ჰაქსთერმა.

მაგრამ ათი ნაბიჯიც არ გაერბინა, რომ ვიდაცამ წვივში ხელი ჩაავლო.
ახლა ის კი ადარ მირბოდა, არამედ მთელი ძალით მიფრინავდა ჰაქერში. შემდეგ
ზედ თავთან დედამიწა დაინახა. მერე სამყარო თითქოს მილიონობით მშზინავ
ნამსხვრევად იქცა, ამის მერე კი ყველაფერმა დაკარგა მისოვის ინტერესი.

თავი მეთერთმეტე

სამიკიტნოში „მეტლება და ცხენები“

ნათელი რომ გახდეს ყველაფერი, რაც სამიკიტნოში მოხდა, აუცილებელია დავუბრუნდეთ იმ ამბავს, როცა მისტერ მარველი პირველად გამოჩნდა მისტერ ჰაქსთერის ფანჯარასთან.

სწორედ ამ დროს სამიკიტნოს სასტუმრო ოთახში იყვნენ მისტერ ქასი და მისტერ ბანტინგი. ისინი გაცხარებით მსჯელობდნენ დილანდელ ამბებზე და, მისტერ ჰოულის ნებართვით, გულდასმით ჩხინარის კუთვნილ ყოველ ნივთს. ჯეფერსს ოდნავ დაუყუჩდა მიწაზე დაცემისაგან გამოწვეული ტკივილები და ახლო მეგობრების თანხლებით სახლში წავიდა. მისის ჰოულმა ბარში მიმოყრილი უჩინარის ტანსაცმელი აკრიფა და ოთახი მიალაგა. ფანჯარასთან მიღებულ პატარა მაგიდაზე, რომელზეც უჩინარი მუშაობდა ხოლმე, ქასმა სამ წიგნად აკინძული დღიური შენიშნა.

— დღიური! — წამოიძახა მან. — ახლა კი ნამდვილად შევიტყობო რამეს. ბევრს თუ არა, ცოტას მაინც.

ქორეპისკოპოსი მიუახლოვდა და ხელებით მაგიდას დაეკრდნო.

— დღიური! — გაიმეორა ქასმა და სკამზე ჩამოჯდა. წიგნები ერთმანეთზე დააწყო და სულ ზემოთა გადაშალა. — ჰმ... პირველ გვერდზე სახელიც არ დაუწერია, ეს არის საქმე?!. ციფრები! ფიგურები!.. ნახაზები..

ქორეპისკოპოსმა მაგიდას შემოუარა, ქასის ზურგს უკან დადგა და წიგნს დააცეკერდა.

მისტერ ქასი ფურცელს ფურცელზე შლიდა, სახეზე სულ უფრო და უფრო მეტი უკმაყოფილება ეხატებოდა:

— აქ მარტო ციფრებია, ბანტინგ!

— რამე დიაგრამები ხომ არა? — ჰკიოთხა ბანტინგმა, — ან იქნებ ილუსტრაციები იყოს? რამე ისეთი, გასაგები...

— მოდიო და ნახეთ, — უპასუხა მისტერ ქასმა. — აქ რუსულადაც წერია, კიდევ რაღაც სხვა ენაზე... მგონი, ბერძნულადაც... დიახ, სწორედ ბერძნულია. ამას კი თქვენ უკეთესად გაარჩევთ. ცოტას მაინც წაიკითხავთ და გაიგებთ რამეს...

— რა თქმა უნდა, — წაიბუტბუტა მისტერ ბანტინგმა. თან ჯიბიდან საოვალე ამოიდო და შეუშების წმენდას შეუდგა. უცებ საშინელი უხერხულობა იგრძნო, ბერძნული თითქმის სრულიად აღარ ახსოვდა. — რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ბერძნულმა ენამ საჭირო გასაღები მოგვცეს.

— ახლავე მოგიძებით იმ ადგილს, სადაც...

— არა, უმჯობესია ჯერ ყველა წიგნს თავიდან ბოლომდე გადავათვალიერებ, — შეაწყვეტინა მისტერ ბანტინგმა და ისევ საოვალის წმენდას შეუდგა. — აუცილებელია, ქას, ჯერ ზოგადი შთაბეჭდილება შევიქმნა, შემდეგ კი გასაღების ძებნას შევუდგა.

ქორეპისკოპოსმა ჩაახველა, ფრთხილად მოირგო საოვალე და გუნებაში ინატრა, უცებ ისეთი რამ მომხდარიყო, რაც თავიდან ააცილებდა ამ უხერხულობას. ზანტად აიდო ქასის მიერ გამოწვდილი წიგნი და მართლაც რომ საოცრება მოხდა:

კარი გაიღო.

მისტერ ქასი და ქორეპისკოპოსი მოულოდნელობისაგან შეცნენ, მაგრამ როცა თავები მიაბრუნეს და კარებში ჩვეულებრივი ადამიანის მოწითალო სახე დაინახეს, თავისუფლად ამოისუნობეს.

— აქ სალუდე დარბაზი ხომ არაა? — იკიოთხა უცნობმა.

— არა, — ერთხმად უპასუხეს მათ.

— მეორე მხარეს უნდა გახვიდეთ, გეთაყვა, — აუხსენა მისტერ ბანტინგმა.

— თუ შეიძლება, კარიც მიიხურეთ, — აღელვებით დაუმატა მისტერ ქასმა.

— პეთილი, — თქვა დაუკითხავად შემოჭრილმა. — არის მივხურო კარი! მარცხნისაა-კენ, იარ! — უბრძანა საკუთარ თავს, შეტრიალდა და კარი ხმაურით მიიჯახუნა.

— მეზღვაურია, ალბათ, — თქვა მისტერ ბანტინგმა. — დიდი ხუმარა ხალხია ეს მეზღვაურები. მარცხნისაა-კენ — ეს უეჭველად მათი საზღვაო ტერმინია, რაც ოთახიდან გასვლას ნიშნავს.

— ალბათ, — უპასუხა ქასმა და დაუმატა: — ნერვები აღარაფრად მივარგა. გულგახეთქილი შევეტი, კარი რომ გაიღო...

მისტერ ბანტინგმა ისე გაიღიმა, თითქოს თვითონაც მასავით არ შემხტარიყო:

— ახლა კი, — თქვა და ამოიოხერა, — ისევ წიგნებს დავუბრუნდეთ.

— ერთი წუთით, — შეაწყვეტინა ქასმა, წამოდგა და კარი ჩაკეტა. — ასე უფრო თავისუფლად ვიქნებით, აღარავინ შეგვაწუხებს.

ვიღაცამ დაიქსუტუნა.

— ერთი რამ კი ეჭვს გარეშეა, — დაიწყო მისტერ ბანტინგმა და სავარძელი მისტერ ქასის სავარძელთან მიაჩოჩა, — ბოლო ხანს აიპინგში მეტად საკვირველი ამბები მოხდა. რა თქმა უნდა, მე არაფერი მჯერა ამ სულელური ზღაპრებისა უჩინარზე...

— რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, — თქვა ქასმაც, — წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ სახელოს გასწვრივ ჩემი თვალით...

— ნუთუ მართლა ასე იყო? დარწმუნებული ხართ?.. იქნებ სარკიო ან ... პალუცინაციის გამოწვევა ხომ ძალიან ადვილი რამაა. არ ვიცი, ოდესმე გიყურებიათ თუ არა ფოკუსების ნამდვილ მომწყობთათვის.

— კარგით, ნუდარ ვიკამათებთ. ამაზე, მგონი, უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ. ჯობია, წიგნებს მივუბრუნდეთ... დიახ, აი, ეს, ვგონებ, ბერძნულადაა ნაწერი. რა თქმა უნდა, ბერძნულია. — ქასმა ფურცლის შუაგულს თითო დაადო. მისტერ ბანტინგს სიწითლემ გადაკერა და სახე წიგნში დრმად ჩარგო. ალბათ მის სათვალეს კიდევ რამე დაემართა. საწყალს ძალიან ზერელე წარმოდგენა პქონდა ბერძნულ ენაზე. მართალია, იცოდა, რომ ყველას არა მარტო ბერძნულის, არამედ ძველი ებრაულის დიდ მცოდნედაც მიაჩნდა, მაგრამ ხმას არ იდებდა, სიამოვნებდა ასეთი ქება. ახლა? ახლა რადა ექნა? ედიარებინა თავისი უცოდინარობა? ან იქნებ თავი მცოდნედ მოეჩვენებინა და რაც პირზე მოადგებოდა, ის ეთქვა?

უცბად ქორების კოპოსს კეფასთან რადაც შეეხო. სცადა თავის წამოწევა, მაგრამ ვერ შეძლო. კეფაზე სიმძიმეს გრძნობდა: თითქოს ადამიანის ძლიერი ხელი აწვებოდა და ნიკაპს მაგიდიდან არ აღებინებდა.

— არ გაინძრეთ, კაცუნებო! — მოექმათ ჩურჩული ზედ ყურთან, — თორებ თრივეს თავებს მიგიმსხვრევთ.

მისტერ ბანტინგი დააცქერდა ქასის სახეს და მასზე საკუთარი შიში და უსაზღვრო გაოცება ამოიკოთხა.

— ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ, ასე უხეშად მოგეპყრათ, — განაგრძო ხმამ, — მაგრამ სხვა გამოსავალი არ დამრჩენია.

— ვინ გასწავლათ გამომგონებლის კერძო ნაწერების ქექვა?! — ბრაზიანად წარმოტქვა უჩინარმა, ამასთან, ორი ნიკაპი ერთდღოულად მიეჟოქა მაგიდას და ორმა ყბამ ერთდღოულად დაიტკაცუნა.

— ვინ გასწავლათ განსაცდელში ჩაგარდნილი ადამიანის ოთახში თვითნებურად შეჭრა?

ისევ ნიკაპების მაგიდაზე დახეთქება და კბილების ტკაცუნი.

— რა უყავით ჩემი ტანისამოსი? უერი კარგად დამიგდეთ, — განაგრძო ხმამ. — ფანჯრები ჩაკეტილია და კარის გასაღებიც ჯიბეში მიდევს. ამას გარდა, დიდი ღონის პატრონი გახლავართ, ხელშიც მაშა მიჭირავს. მხედველობაში მიიღეთ ჩემი უჩინარობაც. მგონი, თქვენთვის სავსებით ნათელია, რომ არაფრად

მიღირს, ორივე მოგალათ და უჩუმრად, დამშვიდებით ჩემ გზას გავუდგა.
გასაგებია, თუ არა? პოდა, ასე... პირობა მომეცით, რომ ყველა ჩემს მოთხოვნას
აასრულებთ. მაშინ თითხაც არ დაგაკარებთ. მაძლევთ პირობას?

ქორეპისკოპოსმა და ექიმმა ერთმანეთს გადახედეს და სეხეები დაემანჭათ.
— დიახ, გაძლევთ, — წაილუდლუდა ორივე.

კეფაზე დაწოლდა იმწამსვე შეწყდა. ისინი გასწორდნენ, სული მოითქვეს,
სახეაჭარხლებულებს კისრები სტკიოდათ და თავს აქეთ-იქით ატრიალებდნენ.
— გაუნძრევლად იჯექით, თუ შეიძლება, — წარმოთქვა ხმამ. — აი, მაშა
ხელში მიჭირავს. არ მეგონა, თუ ოთახში ვინმე დამხვდებოდა, — განაგრძო
უჩინარმა და მაშა ორივეს ცხვირთან მიუტანა. — ვიფიქრე, წიგნებსა და ჩემს
ტანსაცმელს წავიდებ-მეთქი. ეს წიგნები, ტანსაცმელი სადღაა? ნუ დგებით.
ისედაც ვხვდები. გაუტანიათ. მართალია, უკვე დათბა, მაგრამ საღამობით ისევ
გრილა და ტიტველს მიჭირს სიარული. ამიტომ ძალიან მჭირდება ჩემი სამოსი
და კიდევ ზოგიერთი რამ. ეს სამი წიგნიც ფრიად საჭიროა ჩემთვის, ბატონებო!

თავი მეთორმეტე
უჩინარი მოთმინებიდან გამოდის

აქ ჩვენ იძულებული ვართ, ერთი ფრიად საპატიო მიზეზის გამო თხრობა
ხელმეორედ შეგწყვიტოთ. მიზეზსაც ახლავე მოგახსენებთ.

სანამ სასტუმრო ოთახში ზემოაღწერილი ამბავი ხდებოდა და სანამ მისტერ
ჰაქსთერი ოვალურს ადევნებდა მისტერ მარველს, რომელიც ჭიშკარს
მიყრდნობილი ჩიბუს აბოლებდა, მისტერ ჰოული და მისტერ ჰენფრი,
ბუნდოვანი წინათვრძნობით შეპყრობილნი, ჭიშკრიდან თორმეტიოდე იარდის
მოშორებით იდგნენ და აიპინგის ერთადერთ საჭირბოროტო საკითხებზე
მსჯელობდნენ.

უცბად სასტუმრო ოთახიდან ძლიერი დარტყმისა და შემზარავი ყვირილის
ხმა მოისმა. შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა.

— ჰაე! — წარმოთქვა მისტერ ჰენფრიმ.
— ჰაე! — გაისმა სამიკიტხოში.

მისტერ ჰოული საგნებს, მართალია, ნელა, მაგრამ ზუსტად აღიქვამდა.

— მგონი ყველაფერი რიგზე ვერაა, — თქვა მან, დახლს მოსცილდა და
სასტუმრო ოთახის კარისკენ გაემართა.

ტედი ჰენფრიც უკან მიჰყვა. ორივენი დაძაბული სახით მიუახლოვდნენ კარს.
„ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს“, — გაიმეორა ჰოულმა და ტედიმაც კვერი
დაუკრა. ორივეს ცხვირში ეცა ქიმიკატების არასასიამოვნო სუნი; ოთახიდან
ძალიან ჩქარი და ჩუმი საუბრის დაგუდული ხმები ისმოდა.

— ბატონებო, როგორაა მანდ საქმეები? — იკითხა ჰოულმა და კარზე
დააკაკუნა.

საუბარი იმწამსვე შეწყდა, წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ისევ გაისმა
ჩურჩული. „არა! არა! არ გინდათ!!!“ — წამოიყვირა უეცრად ვიდაცამ და
ოთახში ჩოჩოლი ატყდა: მოისმა იატაკზე დაგარდნილი სკმითა და ხანმოკლე
შებრძოლებით გამოწვეული ხმაური. მერე ისევ სიჩუმე ჩამოდგა.

— ეს რა ჯანდაბაა! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ჰენფრიმ.
— როგორაა-მეთქი მანდ საქმეები, ბატონებო? — ხელმეორედ იკითხა
ჰოულმა.

პასუხად ქორეპისკოპოსის მეტად არაბუნებრივი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად
ნასროლი სიტყვები გაისმა:

— ყველაფერი რიგზეა... ყველაფერი... თუ შეიძლება... ხელს ნუ გვიშლით....
— უცნაურია! — თქვა ჰენფრიმ.
— უცნაურია! — დაემოწმა ჰოული.

— ხელს ნუ გვიშლითო, — თქვა პენფრიმ.

— მეც ასე გავიგონე, — მიუგო ჰოულმა.

— და ვიღაცამ დააცემინა, — დაუმატა პენფრიმ.

ისინი კართან დგომასა და ურის გდებას განაგრძობდნენ. ოთახიდან უწინდებურად ჩქარი და ჩუმი ლაპარაკი გამოდიოდა.

— არ შემიძლია! — მოისმა მისტერ ბანტინგის ხმა. — გეუბნებით, სერ, მე ამას ვერ გავაკეთებ!

— რაო, ეს რაღა ამბავია?! — იკითხა პენფრიმ.

— ამბობს, არ მინდაო, — უპასუხა ჰოულმა. — ვის ეუბნება ნეტა შემთხვევით ჩვენ ხომ არა?

— ეს უსინდისობაა! — მოისმა ისევ მისტერ ბანტინგის ხმა.

— უსინდისობააო?! — თქვა მისტერ ჰოულმა. — ნამდვილად ეს სიტყვა გავიგონე.

— ახლა ვინ ლაპარაკობს, თუ იცი? — პკითხა პენფრიმ.

— მგრინი მისტერ ქასი, — უპასუხა ჰოულმა. — შენ სულ არაფერი გესმის?

ისინი ისევ დადუმდნენ. კარს იქით საუბარი უფრო გაუგებარი და საიდუმლოებით მოცული გახდა.

— თითქოს სუფრას იღებენ მაგიდიდანო, ისეთი ხმაურია, — თქვა ჰოულმა. დახლოთან მისის ჰოული გამოჩნდა. მისტერ ჰოულმა მაშინვე ანიშნა, რომ უხმაუროდ მისულიყო მათთან, მაგრამ ამან მისის ჰოულს წინააღმდეგობის გაწევის ქალური სურვილი აღუძრა.

— ნეტავი შენ რაღას მიკეთებ, მანდ რომ დგახარ? — უთხრა ქმარს და დოინჯი შემოირტყა. — რა, სხვა საქმე ვედარ მონახე ამ სადღესასწაულო დღეს?

მისტერ ჰოული ხელების ქნევით ცდილობდა გაეჩუმებინა მეუღლე, მაგრამ მისის ჰოული არ ცხრებოდა და თანდათანობით ხმას იმაღლებდა. სხვა რომ ვერა გააწყვეს რა, მისტერ პენფრი და მისტერ ჰოული თითისწერებზე გაბრუნდნენ და დახლს მიუახლოვდნენ, რომ დიასახლისისათვის ყველაფერი დაწყობილად აეხსნათ. თავიდან მისის ჰოულს არ უნდოდა, მათ ნაამბობში რაიმე უწვეულო დაენახა. შემდეგ მოითხოვა, რომ ჰოული დადუმებულიყო და მარტო მისტერ პენფრის ელაპარაკა. მაინც არაფერი გაუვიდათ. „უბრალოდ ავეჯეულობას ათვალიერებდნენ და თქვენ კი, ღმერთმა იცის, რა არ გეგონათ“, — ამბობდა გულდაჯერებული დიასახლისი და იმათ „სისულელეზე“ ხითხითებდა.

— ჩემი უფრით გავიგონე, როგორ თქვა მისტერ ბანტინგმა „უსინდისობაა“, წამდაუწუმ იმეორებდა ჰოული.

— მეც გავიგონე, მისის ჰოულ, — თქვა პენფრიმ.

— შესაძლებელია, მერედა რა მოხდა?

— შშშ... — შეაწყვეტინა მისტერ პენფრიმ საუბარი და ტუჩზე თითი მიიღო.

— არაფერი მოგეხსათ? განა ეს ფანჯრის გადების ხმა არ იყო?

— რომელი ფანჯრის? — პკითხა მისის ჰოულმა.

— რა თქმა უნდა, სასტუმრო ოთახის!

ბარში მყოფნი სმენად იქცნენ. მისის ჰოულს უაზრო მზერა სამიკიტნოს დია კარიდან თეთრი და ნათელი ქუჩისა და ივნისის მზისაგან გაკაშკაშებული საფაჭრო ფარდულის ვიტრინისკენ მიემართა. უცებ ფარდულის კარიდან თვალებდაჭყეტილი და აღელვებული მისტერ პაქსორი გამოვარდა.

— პე! — ყვიროდა ის. — დაიჭირეთ! ქურდი დაიჭირეთ! — შემდეგ, რაც დალი და დონე ჰქონდა, სამიკიტნოს ჭიშკრისკენ გაიქცა და იქ გაუჩინარდა.

თითქმის იმავე წამს სასტუმრო ოთახიდან ნერვული ლაპარაკისა და ეზოში გამავალი ფანჯრის მიხურვის ხმა მოისმა.

პოული, პენფრი და ბარში შეკრებილნი გარეთ გაცვივდნენ. მათ დაინახეს, როგორ მოუხვია ვიდაც უცნობმა სირბილით ეკლესიასთან, პაქსთერმა კი, რომელიც მას უკან მისდევდა, მეტად უცნაური ნახტომი გააკეთა და ცხვირით მიწაში ჩაეფლო. ქუჩაში მოსეიორნე ხალხი ჯერ გაოცებული შედგა. მერე მიწაზე პირქვე დავარდნილ პაქსთერს მისცვივდა.

პაქსთერი გონდაკარგული გადო. პენფრი მის გვერდით ჩაცუცქდა და სცადა მოესულიერებინა. მისტერ პოული და სამიკიტნოს ორი მუშა კი მოსახვევისაკენ გაიქცნენ, მოსახვევიდან მათ მარველი დაინახეს, რომელიც ქუჩის გაყოლებით, საპირისპირო მხარეს მირბოდა. პოულმა და მუშებმა უვირილი და ხელების ქნევა დაიწყეს: ალბათ, იფიქრეს, უჩინარი ახლა ჩვეულებრივ კაცად ქცეულაო, და უკან გაეკიდნენ. ორმოციოდე იარდიც არ გაერბინა პოულს, რომ უეცრად შეჟყვირა, განზე გადაქანდა და ერთ-ერთ მუშას კისერზე ჩამოეკიდა. მუშამაც თავი ვერ შეიმაგრა და ორივენი შუა გზაზე გაგორდნენ. მეორე მუშამ გაიფიქრა, მისტერ პოულს ფეხი დაუცდაო, და მარტოკამ განაგრძო დევნა. ჩქარა, პაქსთერის მსგავსად, მანაც რაღაცას წამოპკრა ფეხი და გაიშხლართა. ამ დროისათვის პირველმა მუშამ ფეხზე წამოდგომა მოასწრო, მაგრამ უცებ ფერდში ისეთი დარტყმა იგება, რომ მას კი არა, კამტხსაც წააქცევდა.

როცა ეს უკანასკნელი ხელახლა გაგორდა მიწაზე, მოსახვევიდან სხვა სოფლელებიც გამოჩნდნენ. ყველაზე წინ ტირის მეპატრონებ, ცისფერ სათბურაში გამოწყობილი მოსული მამაკაცი მორბოდა. ფრიად გაკვირვებული დარჩა, როცა მიწაზე მფორთხავი სამი კაცის გარდა, ვერავინ დაინახა. შემდეგ უეცრად ფეხზე რაღაც მოეჭიდა და თავდაღმა გადაგორა. ტირის მეპატრონებს კიდევ ორმა კაცმა წამოპკრა ფეხი. მათ სხვებიც მიჰყვნენ და მთელმა ხალხმა ლანძღვა-გინგებით მიწაზე ცვენა იწყო.

როცა მისტერ პოული და მისტერ პენფრი სხვებთან ერთად სამიკიტნოდან ქუჩაში გაცვივდნენ, მრავალი წლის გამოცდილებით გამოწროთობილ მისი პოულს სალაროდან ფეხიც არ მოუცვლია. უცებ სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და მისტერ ქასი გამოჩნდა. მისკენ არც მოუხედავს, ისე ჩაირბინა კიბეები და ქუჩაში გავარდა.

— დაიჭირეთ! დაიჭირეთ! — შეშლილივით ყვიროდა ის. — საშუალება არ მისცეთ, ხელიდან ბოხჩა გააგდოს, სანამ ბოხჩა უკავია, მანამ კიდევ შეიძლება მისი დანახვა. დაიჭირეთ! დაიჭირეთ!

მისტერ მარველის არსებობის შესახებ მან არაფერი იცოდა, რადგან უჩინარმა წიგნები და ფუთა ამ უკანასკნელს ეზოში გადასცა. მისტერ ქასს მეტად გაბრაზებული, შეუპოვარი კაცის იერი პქონდა, ოდონდ მის ტანსაცმელს რაღაც ნამდვილად აკლდა. სიმართლე რომ ითქვას, მთელი მისი სამოსი მუხლებამდე ჩამოშვებული გრძელი თეთრი პერანგისაგან შედგებოდა, რომელიც ძალიან წააგავდა ძველი ბერძნების ჯუბას.

— დაიჭირეთ! დაიჭირეთ! — ღრიალებდა სასომი ხდილი, — მან ჩემი შარვალი მოიტაცა. ქორებისკოპოსსაც სულ გახადა სამოსი! დაიჭირეთ! დაიჭირეთ! ჩქარა დაიჭირეთ!

— ახლავე დავეწევი იმ არაშადას! — გასძახა მისტერ პენფრის, ქვაფენილზე გაშოგილ პაქსთერს გვერდზე ჩაურბინა და იქვე მოსახვევთან უჩინარის მდევარ ბრბოს შეუერთდა. მაგრამ მალე ისიც მოცელილივით მიწაზე დაეცა. ვიღაცამ, რაც ძალი და ღონე პქონდა, ხელზე ფეხი დაადგა და მისტერ ქასმა ტკივილისაგან დაიღრიალა. მერე სცადა წამომდგარიყო, მაგრამ ხელმეორედ წააქციეს და იგრძნო, რომ წინსვლის მაგიერ უკანდახევაში იყო ჩათრეული. ხალხი სირბილით ბრუნდებოდა სოფელში. ქასმა კვლავ გადაწყვიტა წამომდგარიყო, მაგრამ ყურის ძირში რამდენიმე გამაბრუნებული დარტყმა იგება და დაბარბაცდა. შემდეგ გულგრილად გადააფორთხდა გზის

პირას დაგდებულ, ყველასაგან მივიწყებულ პაქსოერს და ბანცალ-ბანცალით პირი ისევ სამიკიტხოსკენ იბრუნა.

როცა სამიკიტხოს პარმალის კიბეებზე ადიოდა, უკანიდან ძლიერი დარტყმის ხმა და ტკივილისაგან გამწარებული კაცის ღრიალი მოესმა. მისტერ ქახმა უჩინარის ხმა იცნო და სასწრაფოდ სასტუმრო ოთახში შევარდა.

— ისევ სოფელში ბრუნდება, ბანტინგ! — დაუყვირა მან ქორეპისკოპოსს, — თავს ვუშველოთ! დროზე ვუშველოთ თავს, თორემ სიბრაზისაგან მგონი ჭკუზე შევდა.

მისტერ ბანტინგი ფანჯარასთან იდგა და იატაკზე დასაფენი ხალიჩისა და გაზეთის ფურცლებისაგან ტანსაცმელს იკეთებდა.

— ვინ ბრუნდება? — იკითხა ქორეპისკოპოსმა და შიშისაგან ადგილზე ისე შეხტა, რომ ძლივძლივობით შეკორწიწებული სამოსი კინაღამ ტანზე შემოასკდა.

— უჩინარი! — უპასუხა ქახმა და ფანჯარას ეცა. — ჯობია, მალე მოვცილდე აქაურობას. თავზეხელადებულივით იქნევს მუშტებს, გიჟსა პგავს.

მეორე წამს ის უკვე ეზოში იყო.

— ღმერთო, შენ მიშველე! — ხელები აღაპყრო ბანტინგმა და დაბნეული ადგილზე დატრიალდა. მაგრამ ამ დროს შემოსასვლელიდან ჩხუბის ხმა მოესმა, რამაც მაშინვე მიაღებინა გადაწყვეტილება: ფანჯარაში გადაძვრა, თავისი ნახელავი კოსტუმი შეისწორა და რა ძალაც მის მსუქან, მოკლენ ფეხებს შესწევდა, სახლისაკენ მოუსვა.

იმ წუთიდან დაწყებული, როცა უჩინარმა ტკივილისაგან მძვინვარედ შეჰყვირა, მისტერ ბანტინგმა კი სახლისაკენ მოჰკურცხელა, შეუძლებელი ხდება ყოველივე იმის თანმიმდევრულად მოყოლა, რაც აიპინგში მოხდა.

შესაძლებელია, უჩინარს თავდაპირველად მხოლოდ წიგნებითა და ბოხჩით დატვირთულ მისტერ მარველთან ერთად სოფლიდან თავის დაღწევა უნდოდა, მაგრამ შემდეგ სახეში უცაბედად მოხვედრილმა მუშტემა მოთმინებიდან გამოიყვანა (როგორც ჩანს, ისედაც არ უნდა ყოფილიყო დიდი მოთმინების პატრონი) და გააბორობა. უჩინარი ახლა გამეტებით ურტყამდა ყველას, ვინც კი შეხვდებოდა. ადარავის ინდობდა.

წარმოიდგინეთ ხალხით გაჭედილი სოფლის ქუჩა, ჩხუბი, კარის ჯახუნი, თავშესაფრის ძებნა წარმოიდგინეთ, რა მოუვიდოდა ამ აურზაურის შედეგად მოხუცი ფლეტჩერის მიერ სკამებზე არამყარად გადებულ ფიცარს და თვით მოხუცს. წარმოიდგინეთ შეშინებული შეყვარებული წევილი, რომელთაც ზედახორამ საქანელაზე მოუსწორ. შემდგა ყველაფერი მიწენარდა და დროშებითა და ყვავილწნულებით მორთული აიპინგის ქუჩა დაცარიელდა; მხოლოდ ერთი — უჩინარი არ ცხრებოდა: აქეთ-იქით ისროდა ქოქოსის კაკლებს, ანგრევდა ტერელის ტილოს ჩარდახებს და გარეთ გამოტანილი პატარ-პატარა დახლებიდან ტკბილეულობას მიწაზე აბნევდა. ირგვლივ კარების ჯახუნი და ურდულების ჩხაკახჩუკი ისმოდა. მხოლოდ აქა-იქ იელვებდა ფანჯარაში შიშისაგან მაღლა აზიდულ წარბქეშ მრგვალი, დაჭყეტილი თვალი.

უჩინარი ერთხანს სამიკიტხო „მეტლე და ცხენების“ ფანჯრების მტვრევით ირთობდა თავს. შემდეგ გზისპირა ფარანი აიღო და მისის გრიბლის სასტუმროს კედელზე დაამაგრა. ალბათ, მანვე გადაჭრა პიგინსის სახლთან ადერდინის გზაზე ტელეგრაფის მავთული. მერე კი თავისი ზებუნებრივი ნიჭის მეოხებით უკვალოდ გაქრა სოფლიდან და სამუდამოდ გადაიკარგა.

მაგრამ მისი წასვლის შემდეგ მთელი ორი საათი გავიდა, სანამ ვინმე გაბედავდა და აიპინგის დაცარიელებულ ქუჩაში თავს გამოყოფდა.

თავი მეცამეტე

მისტერ მარველი ახლი თანამდებობიდან გადადგომას თხოულობს

სადამოხანს აიპინგის მცხოვრებლები თავშესაფრებიდან გამოძვრნენ და ოდესლაც სადღესასწაულოდ მორთულ, ახლა კი ნანგრევებად ქცეულ სოფელს თვალი გადავლეს, ბომბლჲერტისკენ კი წიფლის ხშირ ტყეში მძიმედ მიაბიჯებდა დაბალი, ჩასუქებული კაცი, რომელსაც თავზე მეტად შელახული ცილინდრი ეხურა. ერთ ხელში მას ელასტიკური ბაფთით შეკრული სამი წიგნი ეჭირა, მეორეში — ლურჯი სუფრისგან გამოკრული ბოხჩა. მის აჭარხლებულ სახეს დაღლილობა და მოწყენილობა, ხოლო მოძრაობას ნერგული სიჩქარე ეტყობოდა. გზადაგზა გამუდმებით ეჩხუბებოდა ვიდაცის ხმა, მხრებზე კი უჩინარი ხელები უბიძგებდნენ.

— თუ კიდევ გაიქცევით, — წარმოთქვა ხმამ, — თუ კიდევ გაიფიქრებო გაქცევას...

— ღმერთო ჩემო! — ამოიოხრა მისტერ მარველმა, — ისედაც აღარ დამრჩა ზურგზე მოელი ადგილი.

— უკანასკნელად გაფრთხილებთ, — განაგრძო ხმამ, — რომ მოგკლავთ!

— მე არც ვაპირებდი თქვენგან გაქცევას, — თითქმის ქვითინით მიუგო მარველმა. — გეფიცებით, არ ვაპირებდი. უბრალოდ, არ ვიცოდი, სად უნდა მომეხვია, ეს იყო და ეს. ან საიდან უნდა მცოდნოდა? მერე მოხედვაც ვერ მოვასწარი, რომ მუშტი მომხვდა...

— უარესი მოგხვდებათ, თუ ჭავიანად არ იქნებით! — წარმოთქვა ხმამ. მარველიც მაშინვე დადუმდა, ლოყები დაბერა და თვალებში სასოწარკვეთილება გამოეხატა.

— ისიც მეყოფა, რომ ამდენმა სულელმა გაიგო ჩემი არსებობა. ახლა თქვენც მოინდომეთ წიგნებიანად გაქცევა. ზოგ მათგანს ბედმა გაუდიმა და ღროზე მიიმალა, თორემ... არავინ იცოდა ჩემი უჩინარობა. ახლა კი, ახლა რაღა ვქნა?

— მე რადა ვქნა? — ხმადაბლა იკითხა მარველმა.

— ყველაფერი გახმაურდა. ალბათ, გაზეთებშიც გამოქვეყნდება რაიმე ცნობები. ყველგან ძებნას დამიწყებენ. ყოველი ადამიანი ფრთხილად იქნება...

— ხმამ საკმაოდ უწმაწურად შეიგინა და დადუმდა. მისტერ მარველს სახე უფრო მოედუშა და ოდნავ ნაბიჯს უკლო.

— აბა, ჩქარა იარე! — უბიძგა უჩინარმა ხელმა.

მისტერ მარველს სახეზე ნათელ ლაქებს შორის ადგილები გაუნაცრისფრდა.

— წიგნები არ დაგიცვივდეს, სულელო! — უხეშად წარმოთქვა ხმამ.

— ერთი სიტყვით, — განაგრძო ისევ ხმამ, — შენი გამოყენება მომიხდება... ძალიან უვარგისი იარაღი კი ხარ, მაგრამ რას იზამ; სხვა გზა არა მაქვს.

— დიახ, მართლაც უვარგისი იარაღი ვარ, — თქვა მარველმა.

— სავსებით სწორი ბრძანდებით.

— მე უვარგისზე უვარგისი იარაღი ვარ. ჩემისთანა უვარგისი მეორე არ მოიძებნება ქვეყანაზე, — ალაპარაკდა მისტერ მარველი. — ისეთი სუსტი ვარ, ისეთი, რომ...

— მართლა?

— გულიც არაფრად არ მივარგა. თქვენი დავალება კი შევასრულებ, მაგრამ გარწმუნებთ, სული კბილით მიჰირავს.

— ნუთუ?

— არც ნერვები მაქს კარგი, არც ღონე...

— არა უშავს, გაგამნენევებ ხოლმე.

— ნამდვილად ჯობდა, ჩემზე ხელი აგელოთ. სრულიადაც არ მინდა, რომ ჩემს გამო რაიმე გაგიფუჭდეთ. ეს კი სავსებით მოსალოდნელია, ისეთი მშიშარა და უსუსური ვარ...

— რაც შეეხება მაგას, ფრთხილად იყავი. არაფერი შეგცდეს, თორემ... — წარმოთქვა ხმამ მშვიდად, მაგრამ დამაჯერებლად.

— სიკვდილი არ მერჩივნა ამას?! — აღმოხდა მისტერ მარველს. — რა საშინელი უსამართლობაა. თქვენც დამეთანხმებით... მე მგონია, სრული უფლება მაქვს...

— აბა, აბა! ჩქარა იარე! — შეაწყვეტინა ხმამ.

მისტერ მარველმა ნაბიჯს აუჩქარა და ერთხანს უხმოდ განაგრძობდნენ გზას.

— ძალიან ძნელი სამუშაო კია, — წამოიწყო ისევ მარველმა. მაგრამ ამ შენიშვნას არავითარი პასუხი არ მოჰყოლია. მისტერ მარველმა გადაწყვიტა, სხვა მხრიდან შემოუვლო.

— რამეს მაინც მაძლევდეს ჩემი შრომა?! — დაიწყო ისევ.

— გეყოფა წუწუნი! — დაუყვირა უჩინარმა, — ხომ გითხარი, უზრუნველყოფ-მეთქი. მხოლოდ შეასრულე, რასაც გიბრძანებ. თუმცა დიდი სულელი ვინმე ბრძანდები, დარწმუნებული ვარ, მაინც შეძლებ ყველაფრის მოგვარებას...

— გარწმუნებთ, ბატონო, მეტად შეუფერებელი კაცი გახლავართ. არ მინდა წინააღმდეგობა გაგიწიოთ, მაგრამ რა ვქნა, ასე კიდ და...

— თუ ახლავე არ დადუმდები, ისევ ხელის გადაბრუნებას დაგიწყებ, — გაბრაზებით წარმოოთქა ხმამ. — გაიგე, რომ ფიქრს მიშლი...

წინ, ტოტებს შორის, შექის ორი ყვითელი ლაქა გამოქრთა და ბინდში გამოიკვეთა ეკლესიის ოთხეუთხა კოშკი.

— ხელს მხარზე დაგადებ და სანამ სოფელს არ გავივლით, ასე ვიაროთ, — თქვა უჩინარმა. — პირდაპირ იარე და რამე სისულელის ჩადენა არ გაბედო, თორემ ვაი შენი ბრალი.

— ვიცი, ვიცი... — უპასუხა მარველმა, მშვენივრად ვიცი ყველაფერი.

გაცრეცილ ცილინდრში გამოწყობილმა, საწყალი შესახედაობის კაცმა უხმოდ ჩაიარა სოფლის გზაზე, სახლების გაჩირადდნებულ ფანჯრებთან, და ასევე უხმოდ გაუჩინარდა სიბნელეში.

თავი მეთოთხმეტე პორტ-სტოუში

მეორე დღეს, დილის ათ საათზე, გაუპარსავი და ჭუჭყიანი მისტერ მარველი პორტ-სტოუს გარეუბნის ერთ პატარა სამიკიტნოსთან ჩამომჯდარიყო. მეტად დაღლილი, აღელვებული და დაბრუნებული ჩანდა. გვერდით ელაგა უკვე წვრილი ბაწრით შეერული წიგნები. ბოხჩა კი, უჩინარის ბრძანებით, ბრემბლპერტის მახლობლად, წიფლის ტყეში დაეტოვებინა. ამგვარად, მისტერ მარველი მარტოკა იჯდა და, მიუხედავად იმისა, რომ ყურადღებას არავინ აქცევდა, სულ უფრო და უფრო მეტად დელავდა. აცახვახებული ხელებით ხან ერთ ჯიბეს მოისინჯავდა, ხან მეორეს.

მთელი საათი ადგილიდან არ დაძრულა. მერე სამიკიტნოდან გამოვიდა სანშიშესული მეზღვაური, ხელში გაზეუები კჭირა. პირდაპირ მისტერ მარველისაკენ გაემართა და გვერდით მიუჯდა.

— სასიამოვნო დღეა, — თქვა მეზღვაურმა.

მისტერ მარველმა კჭირის თვალით გახედა მეზობელს.

— ძალიან სასიამოვნოა, — უპასუხა ბოლოს.

— სწორედ რომ დროის შესაფერი ამინდია, — განაგრძო მეზღვაურმა.

— სწორედ რომ ასეა, — დაეთანხმა მისტერ მარველი.

მეზღვაურმა კბილის საჩიჩქნი ამოიდო და რამდენიმე წუთს თვალი არ მოუშორებია მისტერ მარველის დამტვერილი სამოსისა და მერხზე დალაგებული წიგნებისათვის. წედან მარველს რომ უახლოვდებოდა, ისე მოესმა, თითქოს ამ უკანასკნელს ჯიბეში ფული უჩერიალებდა. ძალიან

უკვირდა, ამგვარად გამოწყობილი დოკუმენტია რომ ასეთი სიმდიდრის პატრონი გამოდგა. შემდეგ მისი ფიქრი ისევ სკამზე დალაგებულ წიგნებს დაუბრუნდა.

— წიგნები? — იკითხა და უეცრად პირიდან კბილის საჩიჩქინი გამოიღო.

მისტერ მარველი შეკრთა და წიგნებს გადახედა.

— დიახ, უპასუხა, — დიახ, წიგნებია.

— ხშირად არაჩვეულებრივ ამბებს შეხვდება კაცი წიგნებში, — თქვა მეზღვაურმა.

— სავსებით გეთანხმებით...

— და არა მარტო წიგნებში...

— სწორი ხართ, — კვერი დაუკრა მისტერ მარველმა, ირგვლივ საწყლად მიმოიხედა და კვლავ მეზღვაურს მიაცეკერდა.

— აი, მაგალითად, უცნაურ ამბებს წერენ ხოლმე გაზეთებში, — განაგრძო მეზღვაურმა.

— მართლაც, ძალიან ხშირად.

— თუნდაც ამ გაზეთში.

— ნუთუ?!

— აქ მოთხოვობილია, თითქოს ქვეყნად არსებობდეს უჩინარი ადამიანი, — თქვა მეზღვაურმა და მარველს სერიოზული მზერა ესროლა.

მისტერ მარველს პირი მოედრიცა. ხელი რამდენჯერმე მაგრად მოისვა ლოფაზე. ყურები უხურდა.

— ნებავ აზრად როგორ მოხდით ამგვარი რამ? — ჩაიბუტბუტა დაბნეულმა,

— რაო, სად უნახავთ, ავსტრალიაში თუ ამერიკაში?!

— არც ერთგან, — უპასუხა მეზღვაურმა, — აქ!

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მისტერ მარველმა და ადგილზე შეხტა.

— როცა ვამბობ „აქ“-მეთქი, მხედველობაში მაინცდამაინც ეს ადგილი კი არა მაქს. უბრალოდ, მახლობელ სოფელს ვგულისხმობ, — დაამშვიდა მეზღვაურმა.

მარველმა თავისუფლად ამოისუნთქა და ჩაილაპარაკა:

— უჩინარი? პმ... მაინც რას აკეთებდა?

— ყველაფერს, რაც კი მოესურვებოდა.

— აი, უკვე ოთხი დღე იქნება, რაც გაზეთი თვალითაც არ მინახავს, — თქვა მარველმა.

— პირველად ის არამზადა აიპინგში გამოჩენილა.

— ნუთუ?!

— დიახ, იქ გამოჩენილა პირველად, — განაგრძობდა მეზღვაური, თან მისტერ მარველს ათვალიერებდა. — საიდან ჩამოვიდა აიპინგში, არავინ იცის. აგრ წაიკითხეთ, „აიპინგში მომხდარი არაჩვეულებრივი ამბავი“. გაზეთში წერია, ყველაფერი მართალია.

— წარმოუდგენელია!

— მართლაც უჩვეულო ამბავია. მაგრამ ქორეპისკოპოსიც, ექიმიც, ყველანი ადასტურებენ, რომ საკუთარი თვალით ნახეს უჩინარი. თურმე სამიკიტნო „მეეტლე და ცხენებში“ ცხოვრობდა. მისი უბედურება ადრე არავის სცოდნია — აქ ასე წერია, უბედურებაო. ეს ამბავი აღმოაჩინეს დიდი ხნის შემდეგ, როცა სასტურო ოთახში მომხდარი ჩხუბის დროს ბანდები შემოაგდიჯეს, სწორედ მაშინ შენიშვნეს, რომ მდგმურს თავი არ ჰქონდა. გაოცებულებს მისი დაჭერა მონდომებიათ, მაგრამ უჩინარს ტანსაცმლის გახდა მოუსწრია და გამქრალა. თუმცა უჩხუბრად მაინც ვერ შეძლო თურმე თავის დაღწევა. ჩხუბის დროს კი ფრიად დირსუფლი და პატივცემული კონსტებლისათვის, მისტერ ჯეფერსისათვის, მძიმე ჭრილობა მიუყენებია. ყველაფერი ზუსტადაა გადმოცემული, წუნს ვერ დახდებ: სახელებიც, გვარებიც და, საერთოდ, ყველაფერი, რაც საჭიროა.

— დმერთო! — მისტერ მარველმა ირგვლივ მიმოიხედა და თითებით ოქროს ფულები მოსინჯა. უცბად მეტად უცნაური და საინტერესო აზრი მოუვიდა. — რა საოცარი რამ მომხდარა! — თქვა და მეზღვაურს შეხედა.

— მართლაც საოცარი ამბავი წერია ამ გაზეთში. ჩემს სიცოცხლეში არაფერი გამიგონია უჩინარებზე. თუმცა, რა გასაკვირია! ჩვენს დროში კაცი ისეთ ჭერიდან შესარყევ ამბებს შეხვდება, რომ...

— მეტი არაფერი ჩაუდენია? — შემპარავად პკითხა მისტერ მარველმა.

— განა ეს ცოტაა?

— არა, ისე, მინდოდა მეკითხა, უჩინარი აიპინგში ადარ დაბრუნებულა? ნუთუ ასე გაიქცა და მიიმალა?

— დიახ, აქ მეტი არაფერი წერია, — უპასუხა მეზღვაურმა. — როგორც გატყობოთ, გეცოტავებათ.

— რას ბრძანებოთ, სავსებით საკმარისია...

— მეც ასე ვფიქრობ, რომ სავსებით საკმარისია, — გაიმეორა მეზღვაურმა.

— რა თქმა უნდა, მეც ასე ვფიქრობ.

— შემთხვევით, ამხანაგები ხომ არ პყოლია უჩინარს? ამის შესახებ არაფერს წერენ? — პკითხა შეშფოთებით მარველმა.

— განა ერთი ასეთი ვაჟბატონი საკმარისი არაა? მადლობა დმერთს, ამხანაგები არ პყოლია იმ ავაზაკს! — წამოიძახა მეზღვაურმა, თავი გადაიქნია და განაგრძო:

— გაფიქრებაც მზარავს. ხომ შეიძლება, სადმე ამ ადგილებში დაეხეტებოდეს. თურმე თავისუფლად დადის და, როგორც გაზეთებში წერენ, პორტ-სტოუს მიმართულებით წამოსულა. ჩვენც სწორედ პორტ-სტოუში ვართ! ეს უკვე რაიმე ამერიკული სასწაული არ გეგონოთ... აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა ამბის დატრიალება შეუძლია ამ უჩინარ ადამიანს?! ვთქვათ, ცოტა მეტი გადაკკრა და შენი გატყეცვის ხასიათზე მოვიდა. ან კიდევ სახლის გაქურდვა მოინდომა. მითხარით, ვინ დაუშლის?! თავისუფლად შეუძლია ძარცვა, ქურდობა; შეუძლია გარშემორტყმული პოლიციელების წრიდან ისევე უჩუმრად გაძვრეს, როგორც მე და თქვენ ვინმე ბრმას გავაქცეთ. უფრო იოლადაც. ბრმებს, ამბობენ, არაჩვეულებრივი ყურთასმენა აქვთო... ან კიდევ, სადმე დვინო თუა გადანახული, ისეთი, მას რომ მოსწონს, პა?!

— მართლაც, ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს.

— დიახ, დიახ, დიდი უპირატესობა, — დაეთანხმა მეზღვაური.

მთელი ამ საუბრის განმავლობაში მისტერ მარველი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ოდნავ ჩქამსაც კი ყურს უგდებდა და ცდილობდა, არც ერთი გარეშე მოძრაობა შეუმჩნეველი არ დარჩენოდა. ეტყობოდა, რადაც მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიეღო.

მერე მუჭაში ჩაბეველა, ერთხელ კიდევ მიმოიხედა, მიაყურა; მეზღვაურისაკენ გადაიხარა და ჩასწურჩულა:

— საქმე ისაა, რომ ცოტა რამ მეც ვიცი უჩინარზე... სრულიად შემთხვევით... თუმცა პირადი წყაროებიდან.

— მართლა?! — გაოცდა მეზღვაური. — თქვენ?

— დიახ, მე.

— საინტერესო! ნება მომეცით, შეგეკითხოთ...

— თქვენს გაოცებას საზღვარი არ ექნება, — დაიწყო მისტერ მარველმა და თან მარჯვენა ხელი პირზე აიფარა. — ყველაფერი ისეთი საინტერესოა, რომ...

— წარმომიდგენია!

— საქმე ისაა... — დაიწყო მისტერ მარველმა საიდუმლოებით მოცული ხმით, მაგრამ უეცრად სახის გამომეტყველება შეეცვალა, ვაიო, საწყლად დაიკნავლა, მერხიდან უხერხულად წამოიწია და ტკივილისაგან მოიკრუნჩხა. — ვაი! ვაი! — ხელმეორედ დაიკნავლა და ხმა ჩაუწყდა.

— რა მოგივიდათ? — თანაგრძნობით შეეცითხა მეზღვაური.

— კბილი ამტკივდა, — უპასუხა მისტერ მარველმა და ხელის გული ლოფაზე მიიღო. შემდეგ სასწრაფოდ აკრიფა წიგნები, ჩემი წასვლის დროც მოვიდაო, თქვა და უცნაური, არაბუნებრივი მოძრაობით მეზღვაურისაგან უპან-უპან დაიხია.

— მაგრამ თქვენ ხომ უჩინარზე გინდოდათ რაღაცის თქმა? — შეაჩერა მეზღვაურმა.

მისტერ მარველი წამით შედგა. ჩანდა, პასუხს ეძებდა.

— ჭორია! — ჩასჩურჩულა ხმამ.

— ჭორია! — გაიმეორა მისტერ მარველმა.

— ჭორია? — როგორ? აქ ხომ ყველაფერი გარკვევით წერია, — შეეპამათა მეზღვაური.

— მაინც ჭორია, — მიუგო მარველმა. — მე ვიცი, ვინც შეთხა ეს ამბავი. არავითარი უჩინარი ადამიანი არ არსებობს ქვეყანაზე, ჭორია და მეტი არაფერი.

— კი მაგრამ, გაზეთი? მაშ თქვენი აზრით...

— ყველაფერი მონაბმახია! — დაბეჯითებით უთხრა მარველმა.

დაბნეული მეზღვაური მისტერ მარველს მისტერებოდა. მისტერ მარველი კი უწინდებურად უპან-უპან იხევდა.

— მოიცაო, — თქვა მეზღვაურმა და ფეხზე წამოდგა. — მაშ, თქვენი აზრით, ყველაფერი ეს...

— ჭორია, ჭორი-მეთქი! — დაუყვირა მარველმა.

— მაშ, რაღას იჯექით და მალაპარაკებდით ამდენ სისულელეს? რას მაყბედებდით ტყუილუბრალოდ?

მისტერ მარველმა ლოფები დაბერა. მეზღვაურს სიბრაზისაგან სახეზე ალმური მოსდებოდა და მუშტებმოღერებული მისკენ მიიწვდა.

— მე ვზივარ და მთელი ათი წუთი თურმე უაზროდ ვლაქლაქებ, ეს თავგასიებული, მუცელგაბერილი ჩერჩეტი, ეშმაკის ფეხი კი მიყურებს და ხმასაც არ იდებს...

— თუ შეიძლება, ნუ იგინებით! — უთხრა მისტერ მარველმა.

— იგინებიო?! ვიგინები კი არა, მე შენ გიჩვენებ...

— წამოდი, — ჩასჩურჩულა ხმამ. მისტერ მარველი უეცრად აიზიდა, დატრიალდა და ხტუნგა-ხტუნგით გაუდგა გზას.

— აქედან მოუსვი, სანამ არ მოგხვედრია! — მიაძახა მეზღვაურმა.

— არ მომხვედრია? — დაუყვირა მისტერ მარველმა, თან აჩქარებული, არეული ნაბიჯით და უცნაური ბორძიკით უპან-უპან იხევდა. გზადაგზა ერთხანს ნაწყენი, მაგრამ დამხაშავე ხმით რაღაცას ბურტყუნებდა.

— სულელო, შტერო! — ერთხელაც მიაძახა მეზღვაურმა, რომელიც ფეხებგაჩაჩხული, დოინჯ შემოყრილი შეა გზაზე დამდგარიყო და უცნობის უპანდახვას თვალს აყოლებდა. — მე გიჩვენებ, როგორ უნდა ჩემი გამასახარავება!! განა ყველაფერი გაზეთში არ ეწერა?

მისტერ მარველმა პასუხად რაღაც მიაძახა და იმწამსვე მოსახვევში გაუჩინარდა. მისი მოწინააღმდეგებ კი მანამდე იდგა გაბეჭდებულივით, სანამ ყასბის ოთხვალამ ადგილი არ მოანაცვლევიბინა. ბოლოს შეტრიალდა და ნაგსადგურისაკენ გაემართა. „რამდენი გადარეული დადის ამ ქვეყანაზე! — თავისთვის ჩაილაპარაკა და დაუმატა, — უნდოდა მასხრად ავეგდე! აი, სულელი! შტერო! ნამდვილი შტერო! განა გაზეთებში არ ეწერა ყველაფერი?!“

მალე მეზღვაურმა მეორე არანაკლებ უცნაური ამბავი შეიტყო, რომელიც იმ სკამის შორიახლო მომხდარიყო. ეს იყო მოჩვენება „ერთი მუჭა ფულისა“.

ფული ყოველგვარი დახმარების გარეშე თურმე სენგ მაიკლ-ლეინის ქუჩის გასწვრივ მოგზაურობდა. ეს შეუნიშნავს მეორე მეზღვაურს, რომელსაც, რა

თქმა უნდა, უცდია ფულის დაჭერა, გაუშვერია კიდეც ოქროსკენ ხელი, მაგრამ უეცრად თავში რაღაც მძიმედ მოხვედრია და წაქცეულა. სანამ ფეხზე წამოდგებოდა, მფრინავი ოქრო უკვე გამქრალა... ჩვენი მეზღვაური, როგორც თვითონ ამბობდა, ყველაფერს ადვილად იჯერებდა, მაგრამ ეს ამბავი მისოვისაც კი მეტისმეტი აღმოჩნდა. თუმცა შემდეგ იძულებული გახდა, აზრი შეეცვალა ამ საკითხზე.

მფრინავი ფულის ამბავი ნამდვილი იყო. იმ დღეს პორტ-სტოუს გარეუბნებში, თვით ლონდონის ბანკის საუცხოოდ მოწყობილ კანტორაში, სამიკიტნოებსა და ფარდულების სალაროებში, მეტისმეტად თბილი ამინდის გამო, ყველა კარი გაედოთ და ფულები უხმოდ, დასტა-დასტა, ბლუჯა-ბლუჯა მიფრინავდნენ. მიფრინავდნენ კედლების გასწვრივ, მოსახვევებში, აღმართებზე, დაღმართებზე და მშვენივრად ახერხებდნენ გამვლელთა მზერისათვის თავის არიდებას. ისინი თავიანთ საიდუმლო მოგზაურობას ერთი მოუსვენარი, გაცვეთილ ცილინდრსა და ჭუჭყიან სამოსში გამოწყობილი კაცის ჯიბეებში ამთავრებდნენ. ეს კაცი პორტ-სტოუს გარეუბნის სამიკიტნოს შესასვლელთან იჯდა.

შხოლოდ ათი დღის მერე, როცა ბარდოკის ამბავიც მოძველებული იყო, ჩვენმა მეზღვაურმა ერთმანეთს დაუპირისპირა ყველა მონაცემი, ყველა ფაქტი და მიხვდა, თუ რა ახლოს იყო ერთხელ იმ საოცარ არსებასთან, რომელსაც უჩინარს ეძახდნენ.

თავი მეთხუთმეტე ლტოლვილი

ბინდდებოდა. დოქტორი კემპი იჯდა თავის სამუშაო თთახში, გორაკზე წამოჭიმულ კოშკში, საიდანაც შესანიშნავი ხედი იშლებოდა ბარდოკისაკენ. სასიამოვნოდ მოწყობილ ოთახს ჩრდილოეთით, სამხრეთითა და დასავლეთით ფანჯრები პქონდა. კედელთან მიღებული თაროები წიგნებსა და მეცნიერულ უსრნალებს დაეტვირთა. კუთხეში ფართო საწერი მაგიდა იდგა, ხოლო ჩრდილოეთით ფანჯარასთან მიკროსკოპი, სინჯარები, სხვადასხვა ხელსაწყო და ბაცილების კულტურებისა და რეაქტივების შემცველი მომცრო ბოთლები ეწყო. ოთახში ლამპა უკვე ენთო, თუმცა გარეთ ჯერ არ ბნელოდა და ფარდებიც არ იყო ჩამოშვებული.

დოქტორი კემპი მაღალი, წარმოსადეგი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი გახლდათ; ჩალისფერი თმა და ქერა, თითქმის თეორი ულვაშები უმშვენებდა პირისახეს. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ შრომას, რომელზეც ბოლო ხანებში მუშაობდა, მისი საშუალებით სამეფო საზოგადოების წევრობის მოპოვებას აპირებდა. აი, რა სიმაღლებს უმიზნებდა დოქტორი კემპი.

შემთხვევით აიღო თავი სამუშაოდან, ფანჯარაში გაიხედა და მოპირდაპირე გორაკის წვერზე მოქცეულ მკვდრის მხეს თვალი გაუსწორა. ერთხანს გაუნდრევლად იჯდა და ოქროსფერი სხივების მომხიბვლელი კიაფით ტკბებოდა. შემდეგ ფერდობზე მისი სახლისაკენ მომავალ კაცს დააცემდა. კაცი დაბალი ტანისა ჩანდა, თავზე ცილინდრი ეხურა და ისეთი სისწრაფით მორბოდა, გეგონებოდათ, ფეხებს მიწას არ აკარებს.

„კიდევ ერთი იმ სულელთაგანი, — გაიფიქრა დოქტორმა კემპმა. — გვეცი იმგვარი ჭკუათხელი ვინმე იქნება, დღეს დილით მოსახვევში გიჟივით რომ შემეფეთა და შემინებულმა დაიყვირა, „უჩინარი მოდის, სერ, უჩინარი“. ვერ გამიგია, რა ემართება ამ ხალხს. მეცამეტე საუკუნეში ხომ არ გცხოვობთ?“

ის წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა და ცნობისმოყვარეობით დააცქერდა ბინდბუნდში ფერდობზე დაშვებულ კაცს.

— ეტყობა, ძალიან ჩქარობს, — თქვა დოქტორმა კემპმა, — მაგრამ მაინც არაფერი გამოსდის. ისე მძიმედ მოძრაობს, თითქოს ჯიბეები ტყვიით ჰქონდეს ამოვსებული. რაო, ძალა გამოგელიათ, ჩემო კარგო?!

წუთის შემდეგ უცნობი ფერდობზე წამოჭიმულ ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ვილას მიეფარა, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა. მერე მიიმალა, ისევ გამოჩნდა, ისევ მიიმალა, და ასე სამჯერ, სანამ საბოლოოდ სულ არ გაქრა სახლებს იქით.

— სულელები! — წამოიძახა კემპმა, ქუსლებზე შეტრიალდა და მაგიდას მიუჯდა.

მაგრამ გზაზე მიმომავალი ხალხი ლტოლვილი უცნობის გაოფლილ, ელდანაკრავ სახეს რომ უყურებდა, სრულიადაც არ იზიარებდა დოქტორ კემპის სკეპტიციზმს. მორბოდა კაცი, მოაბიჯებდა და თან ისეთ ხებს გამოსცემდა, როგორც ოქროთი დატენილი ქისა, როცა მას ხელში ათამაშებენ. ლტოლვილი არც მარჯვნივ, არც მარცხნივ არ იხედებოდა. მისი ფართოდ დადებული მრგვალი თვალები პირდაპირ, ფერდობის ძირისკენ იმზირებოდნენ, ხადაც ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდა ნათურები და ქუჩაც ხალხით ავსებულიყო. შიშისაგან პირი უცნაურად დაღრეცოდა, ტუჩებზე დუქი მოსდგომოდა და აჩქარებულად, ხრინწიანად სუნთქავდა. გამვლელები ჩერდებოდნენ, დაკვირვებით ათვალიერებდნენ ქუჩას და აფორიაქებულნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ხომ არაფერი გაგიგიათო. უეცრად ფერდობის თავზე ქუჩაში მოთამაშე ძალდმა დაიწყვანება, დობის ქვეშ კულამოძუებული შეძერა და, სანამ ხალხი გონს მოვიდოდა, გვერდით რაღაცამ ჩაუქროლა. ვერ გაიგეს, რა იყო, ქარი, ტიტველი ფეხების ქვაფენილზე ტყაპუნი თუ ადამიანის ქლოშინი.

ბრძო აყადნადა, განზე გადგა, შემდეგ ახორქოლდა და ლრიალით ქვემოთკენ დაეშვა. მარველი შეა გზაზე იყო, ქალაქი რომ განგაშმა მოიცვა. ხალხი სახლებში შერბოდა, კან-ფანჯრებს ურდულებით რაზავდა. მარველს ესმოდა ყველაფერი და გამწარებული უკანასკნელ ძალას იკრებდა.

შიშმა გვერდით ჩაუქროლა, გაუსწრო და მალე მთელი ქალაქი მოიცვა.
„უჩინარი მოდის! უჩინარი...“

თავი მეთექსმეტე
სამიკიტნო „მხიარულ კრიკეტისტებში“

სამიკიტნო „მხიარული კრიკეტისტები“ ზედ მთის ძირას მდებარეობდა, იქ, სადაც ტრამვაის ხაზი იწყებოდა. დიდი წითელი ხელებით დახლზე დაყრდნობილი მებუფეტე ხმელ-ხმელ მეეტლეს ცხენების თაობაზე ელაპარაკებოდა. ხოლო ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ შავწერა კაცს, რომელიც ბუტერბოდს ბარტონის¹ (ბარტონის ლუდი — ლუდის ერთ-ერთი სახეობა.) ლუდს აყოლებდა, ამერიკული კილოთი ბაასი გაება მორიგეობიდან ახლახან განთავისუფლებულ პოლისმენთან.

— რა ხმაურია ნებავ? — თქვა ხმელ-ხმელმა მეეტლემ და ფანჯარაზე დაკიდული, ჭუჭყისაგან გაყვითლებული ფარდის ზემოდან ფერდობზე ამავალი ქუჩის შეთვალიერება სცადა. სამიკიტნოსთან ვიდაცამ ჩაირბინა.

— ალბათ, ხანძარია, — თქვა მებუფეტე.

გარედან მძიმე, ჩქარი ნაბიჯების ხმა მოისმა. სამიკიტნოს კარი ხმაურით გაიღო და აქვთინებული, სახეარეველი, უქუდო და საუელომოგლეჯილი მარველი ოთახში შემოვარდა. დაფეოებული ეცა კარს, უნდოდა ჩაეკეტა, მაგრამ სახელურზე გამობმული თახმა კარის ბოლომდე მიხურვის საშუალებას არ აძლევდა.

— მოდის! — შემზარავი ხმით წამოიყვირა მარველმა, — ის მოდის! უჩინარი! მე მომდევს! დვთის გულისათვის, მიშველეთ! მიშველეთ... მიშველეთ...

— მიხურეთ კარი! — შეაწყვეტინა პოლისმენმა, — ვინ მოდის? რა ამბავია?
— პოლისმენი კარს მიუახლოვდა, სახელურის თასმა მოხსნა და მიხურა.

ამერიკელმა მეორე კარიც ჩაკეტა.

— დამმალეთ სადმე! დამმალეთ! — განაგრძობდა მარველი, უწინდებურად ქვითინებდა და მთელი სხეული უთროთოდა, თუმცა წიგნებს მაინც არ უშვებდა ხელიდან. — სადმე შემიყვანეთ და დამმალეთ. ხომ გეუბნებით, მომდევს-მეთქი. ძლივს გამოვეპარე. გამაფრთხილა კი, თუ გამეპარე, მოგკლავო, და ასეც იზამს.

— ნუ გეშინიათ, დამშვიდდით, — მიუგო შავწვერა ამერიკელმა. — კარი ხომ ჩაკეტილია. ახლა დალაგებით მოგვიყევით, რა მოხდა...

— დამმალეთ სადმე! დამმალეთ! — არ ცხრებოდა მარველი.

უეცრად შემოსასვლელი კარი ძლიერი დარტყმისაგან შეზანზარდა, გარედან ყვირილი და შეუწყვეტელი, გამალებული ბრახუნი მოისმა.

— ეი, ვინა ხართ მანდ?! — დაიძახა პოლისმენმა, — ვინ აბრახუნებს?

მისტერ მარველი დარეტიანებულივით დატრიალდა ოთახში და თავშესაფარს დაუწყო ძებნა.

— მომკლავს! მომკლავს! ხელში დანა უჭირავს, გესმით, დანა! ღვთის გულისათვის, მიშველეთ! მიშველეთ!

— ნუ გეშინიათ, — შეაწყვეტინა მებუფეტემ, — აქეთ მოდექით.

მან დახლში შესასვლელი ფიცარი გადახსნა და მისტერ მარველი სასწრაფოდ შეგარდა შიგ.

— არ გააღოთ! — წამოიყვირა მისტერ მარველმა, — გევედრებით, არ გაუდოთ კარი... ღმერთო, სად დავიმალო, სად?

— მაშ უჩინარის გამო ატყდა ასეთი აყალმაყალი? — იკითხა შავწვერა ამერიკელმა და ხელი ზურგზე შემოიდო. — ვფიქრობ, დროცაა, ვიხილოთ ის ვაჟბატონი.

ვერ მოასწრო ამის თქმა, რომ სამიკიტნოს ფანჯარა ჩამოიმსხვრა და გარედან უწინდელზე უარესი ყვირილი და ხმაური მოისმა. პოლისმენი სკამზე შედგა და გატეხილ ფანჯარაში თავი გაყო; უნდოდა კარგად დაენახა, რა ხდებოდა სამიკიტნოს შემოსასვლელთან. შემდეგ სკამიდან ჩამოვიდა და შებლ შეჭმუხვნილმა დინჯად წარმოთქვა:

— ის არის!

მებუფეტე იდგა იმ ოთახის კართან, რომელშიც ახლახან მისტერ მარველი ჩაკეტა, და უხმოდ მისხერებოდა ჩალეწილ ფანჯარას, შემდეგ ისიც დანარჩენებს შეუერთდა.

უცხბ ირგვლივ ყველაფერი მიწყნარდა.

— რადა მაინცადამაინც ახლა არა მაქს ხელკეტი წამოღებული, — თქვა პოლისმენმა, და კარს გაუბედავს მიუახლოვდა. — როგორც კი გავაღებთ, შემოვარდება. აბა, რა შეუშლის ხელს?

— თქვენც რა ძალიან ჩქარობთ კარის გაღებას, — მიუგო სმელ-სმელმა მევტლებ.

— გადაწიეთ ურდული, — მიმართა შავწვერა ამერიკელმა მებუფეტეს. — თუ მართლაც გაბედავს და შემოვა... — წინადადება აღარ დაამთავრა და ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო.

— არა, ასე არ ივარგებს, — შეაჩერა პოლისმენმა, — ასე შეიძლება შემოგაკვდეთ კიდეც!

— ვიცი, ვიცი, რა ქვეყანაშიც ვიმყოფები, — განაგრძო ამერიკელმა. — ნუ შიშობთ, ფეხებში ვესვრი, — და ისევ მებუფეტეს მიუბრუნდა:

— გადაწიეთ-მეთქი ურდული.

— სიამოვნებით გადავწევდი, მაგ თქვენი იარაღის რომ არ მეშინოდეს. ხომ შეიძლება გაგივარდეთ და ზურგში მომახვედროთ, — უპასუხა მებუფეტემ.

— მაშ კარგი, — დასძინა შავშერამ, კარს მიუახლოვდა და თვითონ გადასწია ურდული. მებუფეტე, პოლისმენი და მეტლე გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მის ყოველ მოძრაობას.

— შემოდით! — მშვიდად წარმოთქვა ამერიკელმა, დაიხია, რევოლვერი ზურგს უკან დამალა და შემოსასვლელს დაცქერდა. ოთახში არავინ შემოდიოდა, კარი უწინდებურად დახურული იყო. როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ კარში მეორე მეტლემ შემოჰყო თავი, ისინი ისევ გაუნძრევლად იდგნენ და უჩინარის შემოსვლას ულოდნენ. მეზობელი ოთახის ფანჯრიდან კი მარველის შეშინებული, გადაფითრებული სახე მოჩანდა.

— ყველა კარი თუა დაკეტილი? — იკითხა მარველმა. — ალბათ გარშემო უვლის სახლს და შემოსაძრომს ეძებს. რომ იცოდეთ, რა ეშმაკის ფეხია ასეთ საქმეებში!

— ღმერთო ჩემო! — წამოიყვირა მებუფეტემ, — სახლის უკანა კარი ლია დამრჩა! თქვენ აქ იყავით, მე კი... — მან უმწეოდ მიმოიხედა. მეზობელი ოთახის კარი მიჯახუნდა და საკეტში გასაღებმა გაიჩხარუნა. — ეზოში გამავალი კარი ლიაა და კიდევ ერთი, პო, ეზოში გამავალი კარი...

ის სწრაფად გავიდა ბარიდან.

წუთიც არ გასულა, რომ პურის საჭრელი უზარმაზარი დანით შეიარაღებული გამოჩნდა.

— ეზოში გასასვლელი კარი ლია დამხვდა! — თქვა და მღელვარებისაგან ყბა ჩამოუვარდა.

— მაშ, შესაძლებელია, უკვე აქაც არის, — ჩაიჩურჩულა პირველმა მეტლემ.

— სამზარეულოში რომ არ არის, ეჭვი არ მეპარება, — მიუგო მებუფეტემ. — იქ დილიდანვე ორი ქალი მუშაობს და მეც, ამ დანით ხელში, ყოველი კუნჭული დავათვალიერე. ქალებსაც არაფერი გაუგიათ, ვინმე რომ შესულიყო, ხომ შეამჩნევდნენ...

— ახლა მაინც თუ ჩაპეტეთ ყველა კარი? — პირთხა პირველმა მეტლემ.

— მადლობა ღმერთს, სამაგისო კბილები კარგა ხანია მოვიცვალე! — მიახალა მებუფეტემ.

შავშერა ამერიკელმა რევოლვერი ისევ ჯიბეში ჩაიდო. მაგრამ წამსვე დახლის სახურავი ხმაურით ავარდა, მოისმა გასაღების ჩხაკუნი და მეზობელი ოთახის კარი ხმაურით შეიდო. ყველამ გაიგონა მისტერ მარველის საზარელი კივილი და დასახმარებლად გაქანდნენ. ამერიკელმა გაისროლა. ტყვია კედელზე დაკიდულ სარკეს მოხვდა და ნამსხვრევებად აქცია.

როდესაც მებუფეტე ოთახში შევარდა, დაინახა მისტერ მარველი, რომელიც სამზარეულოს კართან უცხაურად იკრუნჩხებოდა და ფეხებს ჰაერში ასავსავებდა. სანამ მებუფეტე გადაწყვეტდა, რა მოემოქმედა, კარი გაიდო და უხილავმა ხელმა მისტერ მარველი სამზარეულოში შეათრია. ქალები აწივლდნენ. ქვაბები ხმაურით გაგორდა იატაპზე. წელში მოხრილი და ფეხებგაფარჩხული მისტერ მარველი კი ეზოში გამავალი კარისკენ გასრიალდა. კარზე ურდული გადაიწია.

პოლისმენი ერთ-ერთი მეტლის თანხლებით სამზარეულოში შემოვარდა, მიუახლოვდა მისტერ მარველს და ჩაჭიდა უხილავ ხელს, რომელიც ურდულს ეწეოდა, მაგრამ სახეში ძლიერად მოხვდა მუშტი, შეტორტმანდა და უკან დაიხია. კარი გაიდო და მარველმა განწირული მოძრაობით თავის განთავისუფლება სცადა. იმავე წუთს მეტლე შემთხვევით წააწყდა კაცის უხილავ სხეულს, ხელი მოხვია და დაიყვირა:

— დავიჭრე! დავიჭირე!

მისი ძახილისთანავე მებუფეტის წითელი ხელებიც ჩააფრინდა უხილავ სხეულს.

— აქ არის, აქ! დავიჭირე! — დაიყვირა მებუფეტემაც. უხილავი მკლავებისაგან განთავისუფლებული მისტერ მარველი იატაქზე დაეცა და სცადა, მოჩხუბართა ფეხებს შორის გამძვრალიყო. ჩეუბი სულ უფრო და უფრო ცხარდებოდა. პირველად გაიგონეს უჩინარის ხმა. პოლისმენმა შემთხვევით დააბიჯა ფეხი და თითები ატყინა. უჩინარმა მძინვარედ დაიყვირა და მუშტები დაატრიალა. მეტელემ შეჰკივლა, მუცელზე იტაცა ხელი და ჩაიკუზა. სამზარეულოს კარი უუცრად მიიკეტა. ამან მარველს ხელი შეუწყო, შეუმჩნევლად გაპარულიყო. მებუფეტე, მეტელე და პოლისმენი თავგანწირულად იბრძოდნენ, მაგრამ მალე შენიშნეს, რომ სიცარიელეში იქნევდნენ ხელებს და დაღგნენ.

— გაიპარა!

— სად გაიპარა? — იკითხა შავწვერა ამერიკელმა. — გარეთ? — აქეთ გამოდით! — გასძახა ყველას პოლისმენმა და ეზოში გავიდა.

კრამიტის ნატეხმა ზედ ყურთან ჩაუქროლა და ჭურჭლით დახვავებულ სამზარეულოს მაგიდაზე დავარდა.

— მე უხევენებ, როგორ უნდა სროლა! — დაიყევა შავწვერამ. პოლისმენის მხართან რევოლვერის ლულამ იელვა და იმ მხარეს, საიდანაც კრამიტის ნატეხი წამოვიდა, ზედიზედ ხუთი ტყვია გავარდა. სროლის დროს ამერიკელმა ხელით ნახევარწრე მოხაზა და, ამრიგად, ტყვიები ირგვლივ მიმოფანტა.

სიჩუმე ჩამოდგა.

— ხუთჯერ გავისროლე! — თქვა ამერიკელმა, ახლა სინათლე მივანათოთ აქაურობას და გვამი მოვძებნოთ.

თავი მეჩვიდმეტე
დოქტორ კემპის სტუმარი

დოქტორი კემპი ისევ თავის კაბინეტში იჯდა და მუშაობდა. ალბათ, კიდევ დიდხანს იმუშავებდა, რომ მისი ყურადღება გასროლის ხმას არ მიექცია. ბახ, ბახ, ბახ... ერთიმეორის მიუოლებით ხუთჯერ გავარდა ტყვია.

— აჟ! — წამოიძახა კემპმა, კალმისტრის ბოლო პირში ჩაიდო და მიაყურა.

— ნებავი ვინ ისვრის ბარდოკში? სულელებმა ეს რა ამბავი ატეხეს?

ის სამხრეთის ფანჯარას მიუახლოვდა, გამოაღო, რაფაზე გადაიხარა და ქუჩის გასწვრივ მბჟუტავი გაზის ნათურები, სახლების ფანჯრები და მაღაზიის გაჩირადნებული ვიტრინები შეათვალიერა.

— მგონი, „კრიკეტისტების“ შესახლელთანაა ხალხი შეკრებილი, — თქვა და ზერვა განაგრძო. თვალი გადაავლო მთელ ქალაქს და მზერა ნაგმისადგომზე შეაჩერა. ნავსადგურის პატარა შენობა ყოველმხრივ გაშუქებული იყო და მოვეითალო ალმასივით ბრწყინავდა. იქვე, რეიდზე მდგარი გემები ოდნავ ირწეოდნენ. მთვარე დასავლეთის მთების თავზე ეკიდა, ვარსკვლავები კი ციმციმებდნენ, როგორც ტროპიკულ ქვეწებში.

ხუთი წუთის განმავლობაში დოქტორ კემპის გონება მომავლის სოციალურ პირობებზე ფიქრში იყო გართული და იძირებოდა დროის უსასრულობის სიღრმეებში. შემდეგ ამოიხსრა, ფანჯარა მიხურა და საწერ მაგიდას დაუბრუნდა.

არ გასულა საათი, რომ შემოსასვლელი კარის ზარმა დაიწერიალა. რაც სროლის ხმამ წერა შეაწყვეტინა, დოქტორი კემპი აზრებს თავს ვედარ უბამდა, უხალისოდ მუშაობდა. ზარმა რომ დარეკა, ქადალდებს თვალი მოაშორა და გაყენდა. სიჩუმეში გარკევით გაიგონა, როგორ გამოაღო მოახლემ კარი და თავისი კაბინეტისაკენ ამომავალი კიბის აჭრიალებას დაელოდა, მაგრამ ამაოდ.

„ნებავი ვინ უნდა ყოფილიყო?“ — გაოცდა დოქტორი კემპი.

სცადა მუშაობის გაგრძელება, მაგრამ ვერ შეძლო. წამოდგა, კაბინეტიდან გავიდა და კიბის თავზე დადგა. დარეკა ზარი და როცა ქვემოთ, დერეფანში, მოახლე გამოჩნდა, პკითხა: ჩემთვის წერილი ხომ არ მოუტანიათო.

— არა, სერ. ალბათ ვინმებ ხუმრობით დარეკა და გაიქცა, — უპასუხა მოახლეებ.

— ამ დამით რაღაც აფორიაქებული ვარ, — ჩაილაპარაკა კემპმა, კაბინეტში შებრუნდა და ამჯერად უპვე მტკიცედ შეუტია ქაღალდებს. ირგვლივ უწინდებულად სიჩუმე სუფევდა; ისმოდა მხოლოდ საათის წიგწიკი და ქაღალდზე გასრიალებული კალმის წრიპინი.

დამის ორი საათი იყო, როცა დოქტორი კემპი წერას მორჩა. წამოდგა, დაამთქნარა, გაიზმორა და საწოლი ოთახისკენ გასწია. პიჯაპი და უილეტი უპვე გახდილი პქონდა, რომ უცებ წყალი მოსწყურდა. სანთლით ხელში სასადილო ოთახში ჩავიდა და ვისკისა და სოდიანი წყლის ძებნა დაიწყო.

მეცნიერულმა ძიებებმა დოქტორი კემპი მეტად დაკვირვებული ადამიანი გახადა. როდესაც საწოლ ოთახში ბრუნდებოდა, კიბის დასაწყისში დაგებულ ჭილობთან, ლინოლეუმზე, მუქი ფერის ლაქა შენიშნა. უპვე მაღლა იყო ასული, რომ თავს შეეცითხა, საიდან უნდა გაჩენილიყო ლაქა იმ ადგილას. როგორც ჩანს, ეს კითხვა ქვეცნობიერად დაეხადა, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ის არის, რომ დოქტორი კემპი, სიფონითა და ვისკით დატვირთული, ხელმეორედ ჩავიდა დერეფანში, დაიხარა და ლაქა შეათვალიერა. მაინცა და მაინც არ გაოცებულა, როცა დარწმუნდა, რომ ლაქა წებოვან, შედედებული სისხლის მსგავს სითხეს წარმოადგენდა. ერთხელაც დახედა ლაქას და კიბეს ნელი ნაბიჯით აუყვა; თან აქეთ-იქით იხედვებოდა და ცდილობდა გაეგო, საიდან უნდა დაცემულიყო სისხლის წვეთი ლინოლეუმზე. საწოლი ოთახის შესასვლელთან კემპი შედგა და გაოგნებული დააშტერდა კარის სახელურს, რომელსაც სისხლიანი თითების ანაბეჭდი ეტყობოდა.

იმწამსვე საკუთარ ხელს დახედა, მაგრამ ხელი სუფთა პქონდა. შემდეგ გაახსენდა, რომ საწოლ ოთახში შესვლისას კარი ღია დახვდა: მაშასადამე, სრულიადაც არ მიკარებია სახელურს. ამ ფიქრებით მოცულმა საწოლი ოთახის ზღურბლზე გადააბიჯა. გარეგნულად აღელვებულს არ ჰგავდა, ოდონდ სახის გამომცემულებაში ჩვეულებრივზე მეტი სიმტკიცე ეტყობოდა. კემპმა გამომცდელი თვალი მიმოავლო თოასს და ლოგინზე შეაჩერა. გადასაფარებელზე სისხლის გუბე იღგა, ხოლო ზეწარს ცალი მხარე ჩამოხეული პქონდა. როცა იქ პირველად შევიდა, ამის მსგავსი არაფერი დაუნახავს; თუმცა მაშინ ისე გაემართა კომოდისაკენ, განზე არც გაუხედავს. ერთ ადგილას საბანი იმგვარად იყო ჩაკეცილი, თითქოს ახლახან ზედ ვიღაც იჯდა.

მერე მოეჩვენა, რომ ვიღაცამ შესძახა: „დმერთო ჩემო! ეს ხომ კემპია!“ მაგრამ დოქტორ კემპს არაფერი სწამდა მოჩვენებებისა.

იდგა და ლოგინს დასცექროდა. ნუთუ ეს მართლა ადამიანის ხმა იყო? ერთხელაც მიმოიხედა, მაგრამ ზეწარჩამოხეული და სისხლით დალაქავებული ლოგინის გარდა, საეჭვო ვერაფერი შენიშნა. უეცრად ნათლად იგრძნო, რომ კუთხეში, პირსაბანთან, რაღაც ამოძრავდა. ყოველ ადამიანს, რაც არ უნდა განათლებული იყოს, მაინც შემორჩება ხოლმე ერთგვარი ცრურწმენა და დოქტორი კემპიც ამაზრზენმა შიშმა შეიპყრო. ფრთხილად მიხურა კარი, კომოდს მიუახლოვდა და ზედ ბოთლები დააწყო. როდესაც მოტრიალდა, პირსაბანსა და მას შორის პაერში დაკიდული თეთრი ტილოს გასისხლიანებული სახეევი დაინახა. ეს იყო საქმაოდ ოსტატურად შემოხვეული ბანდი, მაგრამ სრულიად ცარიელი და თანაც პაერში გამოკიდული. კემპმა გადაწყვიტა, მისწვდომოდა იმ ჯადოსნურ სახვევს, მაგრამ სწორედ ამ დროს

მხარზე ვიღაცის ხელი შეეხო და ადამიანის ხმაშ მტკიცედ წარმოთქვა მისი სახელი:

— კერძ!

— ააა?! — მხოლოდ ესდა ამოილუდლუდა დოქტორმა კემპმა და პირდაფხენილი ადგილზე გაშეშდა.

— დამშვიდდით, კერძ! ნუ ადელდებით! — განაგრძო ხმაშ, — მე უჩინარი ვარ.

კერძი ერთხანს ხმამოუდებლად იდგა და გაოგნებული დაშტერებოდა სახვევს.

— უჩინარი? — ამოილუდლუდა ბოლოს.

— დიახ, უჩინარი, — გაიმეორა ხმაშ.

კერძს გაახსენდა, დილით აბუჩად რომ იგდებდა უჩინარზე მოყოლილ ამბებს. მაგრამ ძალიან არც ახლა შეშინებია, არც მეტისმეტად გაოცებულა, როცა უჩინარმა ბაასი გაუბა. მან მხოლოდ შემდეგ შეიგრძნო და განიცადა ყველაფერი, რაც დროის ამ მცირე მონაკვეთში გადახდა თავს.

— მე კი მეგონა, ჭორი იყო, — თქვა დოქტორმა კერძმა, და გაახსენდა ის საბუთები, რომლებითაც აღრე უჩინარის არსებობას აბათილებდა. — ხელი შეხვეული გაქვთ? — ჰკითხა მცირე დაყოვნების შემდეგ.

— დიახ, — უპასუხა უჩინარმა.

— ო-ო! — წამოიძახა დოქტორმა კერძმა და აღელვებით განაგრძო: — საოცარია! საოცარი და შეუძლებელი! არა! არა! ეს რამე თვალთმაქცობა იქნება...

ხელებგაწვდილმა ნახვევისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მოულოდნელად მისი თითები უხილავ სხეულს შეეხო. შეხებისთანავე იგი უკან გადახტა ფერდაკარგული.

— დვთის გულისათვის, კერძ, დამშვიდდით! მე ისე მჭირდება თქვენი დახმარება! მოიცადეთ! უური დამიგდეთ!

კერძს მკლავზე უხილავი თითები მოეჭდო. მან ხელი დაიქნია და სცადა განთავისუფლებულიყო.

— კერძ! — დაიყვირა ხმაშ, — დამშვიდდით-მეთქი!

თითებმა უფრო მაგრამ მოუჭირეს მკლავზე.

დოქტორი კერძი თავის დაღწევის უსაზღვრო სურვილმა შეიპყრო. დაბანდული ხელი მხრებზე შემოეხვია და გასაქანს არ აძლევდა. შემდეგ ფეხქვეშ იატაკი გამოაცალეს და ლოგინზე პირდაღმა დასცეს. ერთი კი გაიფიქრა, დაიყვირებო, მაგრამ გაღებული პირის უცებ საბის ბოლოთი ამოევსო. უჩინარი არსება მთელი ძალით დასწოლოდა ზემოდან. კერძს მხოლოდ ხელებიდა ჰქონდა თავისუფალი და ჰაერში ალალბედზე იქნევდა.

— გონს მოდით, კერძ! არ გესმით? — კბილებში გამოსცრა უჩინარმა და, მიუხედავად იმისა, რომ კერძი სეტყვასავით უშენდა მუშტებს სახეში, მაგრად მიაჯაჭვა ის საწოლზე. — თუ ახლავე არ შეწყვეტ ხელების ქნევას, გეფიცებით, მოთმინებიდან გამოვალ.

კერძი მაინც არ ცხრებოდა.

— წენარად იწექი-მეთქი, შე სულელო! — ზედ უურთან ჩაჲვირა უჩინარმა.

კერძი მონუსხეულივით გაჩერდა.

— თუ დაიყვირებ, იცოდე, მაგ თავს ტაფასავით გაგიბრტყელებ! — დაემუქრა უჩინარი და პირიდან საბის ბოლო გამოაცალა. — მე უჩინარი ადამიანი ვარ. ეს არც თვალთმაქცობაა და არც რაიმე თილისმა. მართლა უჩინარი ვარ და, მიუხედავად ამისა, თქვენი დახმარება მჭირდება. თუ სოფლელ ტეტიასავით არ მოიქცევით და ჭკუით იქნებით, არავითარ ზიანს არ მოგაყენებო. ამას გარდა, ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ კიდეც. კერძ, ნუთუ უნივერსიტეტიდან არ გახსოვთ გრიფინი?

— საშუალება მომეცით წამოვდგე, — თქვა კემპმა, — არსად გავიქცევი, ცოტა ხანს დამაცადეთ, გონება მოვიკრიბო.

კემპი ლოგინზე წამოჯდა და კისერი მოისინჯა.

— მე გრიფინი ვარ, კემპ, უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით... მერე თავი გავიუჩინარე. სხვაგვარად კი ისევ ისეთი, ჩვეულებრივი კაცი ვარ.

— გრიფინი?

— დიახ, გრიფინი. თქვენზე ერთი კურსით უკან ვიყავი; შესახედავად თითქმის ალბინოსი;¹ (¹ ალბინოსი — ისეთი ადამიანი ან ცხოველი, რომელსაც კანისა და თმის პიგმენტაცია (შეფერილობა) არა აქვს.) მაღალი, მხარბეჭიანი, წითურსახიანი და წითელთვალება. ერთხელ ქიმიაში საინტერესო თემა დავამუშავე და დამაჯილდოვეს. ნუთუ არ გახსოვართ?

— სრულიად დავიბენი, — წაილუდლუდა კემპმა, — თავიც ისე მიხურს, თითქოს ტგინი მიდუღდეს... მაინც რა შუაშია აქ გრიფინი?

— გრიფინი მე ვარ, მე! ნუთუ ვერ მიმიხვდით?

კემპი ჩაფიქრდა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ განაგრძო:

— ეს საშინელებაა. როგორ? რა ეშმაკმა გადაგაქციათ ჩვეულებრივი ადამიანი უჩინრად?

— ეშმაკი აქ არაფერ შუაშია. ამგვარი გარდაქმნა ფრიად მარტივი ლოგიკური განვითარების პროცესის შედეგია...

— საშინელება! — შეაწყვეტინა კემპმა, — და მაინც როგორ, რა გზით?

— გეთანხმებით, რომ საშინელებაა. მაგრამ ახლა დაჭრილი ვარ, ხელი მტკივა და დაღლილობისაგან ღონე მეცლება. კემპ, თქვენ ხომ კაცი ხართ, ვაჟაცი! ჰოდა, გონების თვალით შეხედეთ ყველაფერს და დამშვიდდით. გარდა ამისა, ნება მომეცით, დავჯდე და ცოტა წაგივახშმო. დარწმუნებული ვარ, გექნებათ საჭმელი.

კემპმა თვალი გააყოლა ნახვევს, რომელმაც ოთახი გადაჭრა და დაწნულ სავარძელს მიუახლოვდა; სავარძელი იატაგზე გასრიალდა, ლოგინთან შეჩერდა, გაიჭრიალა და სიმძიმისაგან ჩაიზნიქა. კემპმა თვალები მოისრისა და ერთხელაც მოისინჯა კეფი.

— ამას მოჩვენებებიც ვერ გააკეთებდნენ, — თქვა და სულელურად ჩაიქირქილა.

— ასე არ ჯობია, კემპ? მადლობა დმერთს, გონს მოდიხართ და სხვებივით ჭტას არ კარგავთ.

— გონს მოვდივარ, თუ... — ერთხელ კიდევ მოიფშვნიტა თვალები კემპმა.

— ვისკი მომაწოდეთ. ისეთი დაღლილი ვარ, მეშინია სული არ გამეპაროს.

— მართალი გითხრათ, სულთმობრძას არაფერი გიგავთ. სად ხართ? ფეხზე რომ წამოვდგე და გავიარო, ხომ არ დაგეჯახებით?.. ა, მაშ აქა ხართ! ძალიან კარგი. ვისკი გნებავთ, არა?.. ახლავე. საით მოგაწოდოთ?

სავარძელი აჭრიალდა. კემპმა იგრძნო, რომ ჭიქა ხელიდან ეცლებოდა. მიუხედავად ინსტიქტური სურვილისა, ჭიქა ხელიდან არ გაეშვა, თავს ძალა დაატანა და ძლიველივობით მოაცილა თითები. ჭიქა სავარძლიდან ოციოდე დუიმის სიმაღლეზე ჰაერში გაუნდრევლად დაეკიდა. კემპი მას გაოგნებული მისჩერებოდა.

— ყოველ ჰქეს გარეშეა, ეს... ეს ჰიპნოზია. თქვენ, ალბათ, შთამაგონეთ, რომ უჩინარი ხართ და...

— სისულელე! — შეაწყვეტინა ხმამ.

— მაგრამ სხვაგვარად წარმოუდგენელია!

— ყური დამიგდეთ, კემპ!

— სწორედ ამ დილას მოვიყვანე უამრავი სარწმუნო საბუთი, რომ გაუჩინარება შეუძლებელია.

— თავი გაანებეთ მაგ მტკიცებებს, კემპ! აკი გითხარით, მშია-მეთქი, გარდა მაგისა, თავიდან ფეხებამდე შიშველი ვარ, აქ კი საკმაოდ გრილა.

— გშიათ? — შეეკითხა კემპი.

ვისკით პირთამდე სავსე ჭიქა ჰაერში გადაყირავდა.

— დიახ, მშია, — უპასუხა უჩინარმა და ჭიქა იატაკზე დადგა. მშია და მცივა კიდეც. ზედმეტი ხალათი ხომ არ გექნებათ? კემპმა რაღაც ჩაილაპარაკა, მიუახლოვდა ტანსაცმლის კარადას და იქიდან მუქი წითელი ხალათი გამოიდო.

— გამოგადგებათ ასეთი? — თქვა და სავარძლისკენ მიბრუნდა.

ჭიქის მსგავსად ხალათიც იმწამსვე გამოეცალა ხელიდან. ერთხანს ჰაერში ეკიდა, შემდეგ უცნაურად აფართხალდა, გაივსო, თავისთავად შეიკრა და სავარძელში ჩაესვენა.

— კარგი იქნებოდა, საცვლებს, წინდებსა და ფლოსტებსაც თუ მომცემდით, — თავაზიანად სთხოვა უჩინარმა, — ნურც საჭმლის მოტანა დაგავიწყდებათ, კემპ.

— ყველაფერს ახლავე მოგარომევთ, ყველაფერს... მაგრამ მაინც ამგვარი ჭიუდან შესარყევი რამ ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია! — ჩაიბუტბუტა კემპმა, ხელმეორედ შეტრიალდა კარადისაკენ და გამოილო ყველაფერი, რაც კი უჩინარმა სთხოვა. მერე საცუჭნაოსკენ დაუყვა კიბებს, რომ საჭმელიც ამოეტანა. როცა ოთახში დაბრუნდა, ხელში კატლეტები და პური ეპავა. პატარა, დაბალი მაგიდა სავარძელთან მიაჩოჩა და თევზები ზედ დააწყო.

— დანა-ჩანგალზე ნუ შეწუხდებით, — უთხრა უჩინარმა.

კატლეტი თევზიდან სწრაფად ავარდა და ჰაერში იმწამსვე განახვევრდა, მოისმა დეჭვის ხმა.

— უცნაურია, არა? თუ ტანთ არ მაცვია, მაგიდას ისე ვერ მივუჯდები, — განაგრძო უჩინარმა. იგრძნობოდა, რომ პირი საჭმლით ჰქონდა გამოტენილი.

— ხელი ძალიან ხომ არ გაქვთ დაზიანებული? — ჰკითხა კემპმა.

— სახიფათო არაფერია...

— არა, მაინც უცნაურია, საოცარია!

— მართალსა ბრძანებოთ, მაგრამ ყველაფერზე საოცარი ის არის, რომ ჭრილობის შესახვევად სწორედ თქვენს სახლში შემოვიპარე. ეს პირველადაა, ბედმა რომ გამიღიმა! ერთი რამ თავიდანვე იცოდეთ, რომ გადაწყვეტილი მაქვს, ღამე აქ გავათიო. ამაზე კამათი ზედმეტია! ხოლო იატაკი რომ სისხლით დავსვარე, ბოდიშს ვიხდი. კვე, ლოგინზეც მთელი გუბე დამიუქნებია. ჩანს, შედედებისას ჩემი სისხლი უწინდელ, ჩვეულებრივ ფერს ღებულობს და უჩინარობის თვისებებს კარგავს... სამი სათია, უკვე ამ სახლში ვარ.

— კი მაგრამ, როგორ მოახერხეთ გაუჩინარება? — ისევ თავიდან დაიწყო კემპმა გამოკითხვა და ხმაში აღელვება დაეტყო. — ეშმაკმა დალახვროს, მთელი ეს ამბავი თავიდან ბოლომდე უაზრობაა!

— ტყუილად ფიქრობთ ასე, კემპ, — თქვა უჩინარმა. — აქ არაფერია უაზრო და შეუძლებელი. პირიქით.

ის სავარძლიდან გადაიხარა და ვისკის დასწვდა. კემპი გაოცებული შეცურებდა ხალათს, რომელიც ხარბად სრუტავდა ბოთლიდან მოყვითალო სითხეს, სანთლის შუქი ხალათის მარჯვენა მხართან ნახვრეტში იჭრებოდა და მარცხნა ფერდოთან სამკუთხედს ქმნიდა.

— რა სროლა იყო ამასწინათ ქალაქში? — ჰკითხა კემპმა. — რატომ ისროდნენ?

— ყველაფერი მარველის ბრალია. არის ერთი ასეთი პიროვნება, მარველი, რომელიც აქამდე მეხმარებოდა, ეშმაკმა დალახვროს! დღეს კი სცადა ჩემი ფული გაეტაცა და გაიტაცა კიდეც!

— ისიც უჩინარია?

— არა.

— მერე? მერე რა მოხდა?

— სანამ ყველაფრის დაწვრილებით მოყოლას დავიწყებდე, იქნებ კიდევ მოგეტანათ რაიმე საჭმელი. მგელივით დაგმშეულგარ, აბა მშიერ კუჭზე რა საუბრის ხასიათზე ვიქნები?

კემპი წამოდგა.

— მაშ, ოქვენ არ გისვრიათ? — შეპარვით ჩაეკითხა.

— არა, მე არა. ვიდაც სულელი ალალბედად ისროდა. ძალიან დაფრთხენენ, ეშმაგმა დალახვოს, ყველას ეშინია ჩემი. მაგრამ ახლა განა მაგაზე ლაპარაკის დროა, კემპ? აკი გითხარით, ჯერ დავნაყრდები და მერე ვისაუბროთ-მეთქი.

— კარგით, კარგით, წავალ და ვნახავ, საღილიდან კიდევ თუ შემორჩა რამე. კუშობ, რომ ბევრი არაფერი დამხვდება.

როდესაც უჩინარი კარგა ლაზათიანად დანაყრდა, სიგარა მოითხოვა. სანამ კემპი დანას მონახავდა, მან სიგარას კბილებით მოაკვნიტა ბოლო. კბილებს თუთუნის ზედა ფურცელი აჟვა და სტუმარმა ბრაზიანად შეიკურთხა.

მეტად უცნაური სანახავი იყო, როგორ აბოლებდა თუთუნს უჩინარი არსება. მისი პირის ღრუ, ყელი და ცხვირის ხესტოები ისე იხაზებოდა, გეგონებოდათ, კვამლის ბოლქვებისაგან არის გამოტვიფრულიო.

— დალოცვილი რამაა თამბაქო! — თქვა უჩინარმა და ლრმა ნაფაზი დაარტყა. — მართლაც ბედი მქონია, თქვენთან რომ მოვხვდი. აუცილებლად უნდა დამეხმაროთ. თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი. სანდახან ასე მგონია, ჭკუას ვკარგავ. ამ მოკლე ხანში რა არ გადავიტანე! მაგრამ ახლა, იმედი მაქვს, საქმე უკეთ წავა. ყური კარგად დამიგდეთ, ყველაფერს აგიხსნით...

მან კიდევ ერთხელ გადაპკრა ვისკი და სოდიანი წყალი დააყოლა. კემპი წამოდგა, მიმოიხედა და კარადიდან თავისოვისაც გამოიღო ჭიქა.

— წარმოუდგენელი ამბავია, მაგრამ ურიგო არ იქნება, მეც გადავცრა, — თქვა და მოყვითალო სითხე ფრთხილად ჩამოასხა.

— თორმეტი წლის მანძილზე თითქმის არ შეცვლილ ხართ, კემპ. ქერა ხალხი, საერთოდ, ძნელად იცვლება. ისეთივე აუდელვებელი და მეოთეური ჩანსართ... არა, ნამდვილად ბედი მქონია. ყველაფერს აგიხსნით და მერე ერთად ვიმუშავებთ.

— მაინც როგორ, როგორ მოახერხეთ გაუჩინარება! — ცნობისმოყვარეობით იწვოდა კემპი, — როგორ გაუჩინარდით ასე?

— ღვთის გულისათვის, კემპ, ცოტა ხანსაც დამაცადეთ, საშუალება მომეცით, სიგარა მშვიდად მოვწიო.

მაგრამ იმ დამით უჩინარს დოქტორ კემპისთვის არაფერი უამბნია. ხელი ასტკივდა, შეაცივა და ძალიან მისუსტდა, ერთი-ორჯერ სავარძელ შივე წათვლიმა და მოპყვა ბოდვას, როგორ მისდევდა ფერდობზე მარველს და რა ცხარე ბრძოლა გადახდა სამიკიტნო „მხიარულ კრიკეტისტებში“. თავისი გაუჩინარების ამბის მოყოლაც დაიწყო, მაგრამ მალე შეწყვიტა. უმეტესად მარველს ახსენებდა. თვალს რომ გაახელდა, იმწამსვე ღრმა ნაფაზს დაარტყამდა. სულ უფრო და უფრო ბრაზდებოდა. დოქტორი კემპი ცდილობდა, მისი ბოდვიდან რამე გარკვეული აზრი გამოეტანა, და შემპარავად უსგამდა კითხვებს.

— მას ეშინოდა ჩემი, ვხედავდი, რომ ეშინოდა, — ვინ იცის, მერამდენედ იმეორებდა უჩინარი, — ყოველ წუთს იმაზე ფიქრობდა, როგორმე თავი დაედწია. ყოველ წუთს ამას ცდილობდა. რა სულელი ვიყავი, რა სულელი!

— არამზადა, ნამდვილი არამზადა ყოფილა ის უსინდისო! — ჩაურთავდა ხოლმე დოქტორი კემპი.

— ისე ვიყავი გაბოროტებული, ისე, ხელთ რომ ჩამვარდნოდა, სულს გავაფრთხობინებდი.

— ვული? ვული სადღა იმოვნეთ?

უჩინარი ერთ ხანს დუმდა.

— ამას დღეს ვერ გეტყვით, — თქვა ბოლოს.

შემდეგ შემზარავად ამოიგმინა, დაიხარა და უჩინარი სახე უჩინარ ხელებში ჩარგო.

— კემ! — წარმოთქვა მან, — უკვე სამი დღეა თვალი არ მომიხუჭავს, სულ გზაში ვარ. ახლა კი მინდა კარგად გამოვიძინო, ძილი მჭირდება.

— კარგით, — უპასუხა კემპა, — შეგიძლიათ აქ, ჩემს ლოგინზე მოეწყოთ.

— თუმცა რა დამაძინებს, რა? თუ დავიძინე, ხომ გამექცა და დამეკარგა! ან კი ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს მის გაქცევას?

— ჭრილობა მძიმე ხომ არ არის? — ისევ შეეკითხა კემპი.

— სახიფათო არაფერია. ტყვიამ მხოლოდ გამკაწრა. დმერთო, როგორ მერევა ძილი.

— მაშ დაწექით, რაღას აყოვნებთ.

კემპა იგრძნო, რომ უჩინარი დააცეკერდა.

— განსაკუთრებული მიზეზების გამო არ მინდა ჩემმა ახლობლებმა შემიაყრონ, — მძიმედ წარმოთქვა მან.

კემპი შეკრთა.

— სულელი! ნამდვილი სულელი ვარ! — წამოიძახა უჩინარმა და მუშტი ძლიერად დაჭკრა მაგიდის. — მე თვითონ მიღიყვანეთ ამ აზრამდის.

თავი მეოვრამეტე

უჩინარს სძინავს

ჭრილობისა და დადლილობის მიუხედავად, უჩინარი არ ენდო კემპის სიტყვას, რომ კოშკი არავითარი საფრთხე არ მოელოდა. წამოდგა, შეათვალიერა საწოლი ოთახის ორივე ფანჯარა, დარაბები გამოაღო, ფარდები ასწია და როცა დარწმუნდა, რომ საჭიროების შემთხვევაში კარის გარდა სხვა გზიდან შეიძლებოდა იქიდან თავის დაღწევა, გულზე მოეშვა. გარეთ მშვიდი და წყნარი დამე იდგა. ახალი მთვარე გორაკების თავზე ეკიდა. უჩინარი ფანჯარას მოსცილდა და ოთახში შემოსასვლელი კარის გასაღები მოსინჯა; შეიძვრიტა საბაზანოშიც და, ბოლოს, დაწენარდა, ბუხართან დადგა და გულიანად დაამთქნარა.

— ვწუხვარ, რომ ახლავე არ შემიძლია ყველაფრის მოყოლა, — უთხრა კემპის. — ისე ვარ ძალაგამოცლილი, აღარაფრის თავი აღარა მაქვს. ხომ უაზრობაა, უფრო მეტიც, საშინელება! მაგრამ, მერწმუნეთ, თქვენს მიერ ამ დილით მოყვანილი საბუთები მცდარია და უჩინარობა სავსებით შესაძლებელი რამაა. ეს პირველმა მე აღმოვაჩინე. მინდოდა არავისთვის არ გამემხილა, მაგრამ აღარ შემიძლია. მარტომ თავი ვერ გავართვი. ვინმე დამხმარე მჭირდება. თქვენ უნდა დამეხმაროთ, კემპ. რას არ გავაკეთებთ, ერთად, რას?! თუმცა ეს ლაპარაკი სახვალიოდ გადავდოთ. ახლა კი, თუ არ დავიძინე, სული ამომხდება.

კემპი ოთახის შუაგულში იდგა და უთავო ხალათს მისჩერებოდა.

— მაშ, დაგზოვებთ, — თქვა მან. — დაუჯერებელია, დაუჯერებელი! კიდევ სამიოდე ამდაგვარი აღმოჩენა და მთელს ჩემს ჩანაფიქრსა და ნამუშევარს ფასი აღარ ექნება. კიდევაც შეგიშლები! უბედურება ისაა, რომ ყველაფერი სინამდვილეა... ძილის წინ კიდევ რაიმეს ხომ არ ინებებდიოთ?

— მხოლოდ ერთს, — მიუგო გრიფინმა, — რომ ძილი ნებისა მისურვოთ.

— ძილი ნებისა, — ჩაიძუტებული კემპა და უჩინარს ხელი ჩამოართვა.

შემდეგ კარისკენ ზურგით დაიხია.

უეცრად ხალათი მისკენ წარმოვიდა და ამეტყველდა:

— გახსოვდეთ, კემპ, თუ შევნიშნე, რომ წინააღმდეგობას მიწევთ, ან ჩემს ხელში ჩაგდებას, დაჭერას ცდილობთ, იცოდეთ...

კემპს ფერი ეცვალა.

— განა სიტყვა არ მოგეცით? — წაილუდლუდა და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან.

კარი მიიხურა თუ არა, საკეტში გასაღებმა გაიჩხაკუნა. კემპი გაოგნებული იდგა და უსმენდა, როგორ მიუახლოვდა უჩინარი საბაზანოს. საბაზანოს კარმაც გაიჩხაკუნა. ამგვარად, ორივე კარი ჩაგეტილი იყო. კემპმა შუბლზე იტაცა ხელი და ამოიკვნესა:

— დმერთო! სიზმარია, თუ ცხადი? ან მე შევცდი ჰქუაზე, ან მთელი ქვეყანა გადაირია!

მერე ნერვიული სიცილი აუტყდა, თან საწოლი ოთახის კარის სახელური ფრთხილად მოსწია.

— ამ წარმოუდგენელმა უაზრობამ, ამ მოჩვენებამ ოთახიდანაც რომ გამომაძევა! სასაცილო არ არის!

კემპი კიბეს მიუახლოვდა, ერთხელაც მიიხედა უკან და კარს მიაშტერდა.

— და მაინც, ყველაფერი სინამდვილეა! — დასძინა და ერთხელ კიდევ მოისვა ხელი ნატკენ კისერზე. — აშკარა სინამდვილე! მაგრამ...

კემპმა თავი უიმედოდ გადაიქნია, შებრუნდა და კიბეებს დაუყვა.

სასადილო ოთახში ლამპა აანთო, სიგარა ამოიღო და ბოლოის ცემა დაიწყო. თან საკუთარ თავს ესაუბრებოდა.

— უჩინარი! აბა, განა შეიძლება ცოცხალი არსება, ხელშესახები არსება უჩინარი იყოს? ზღვაში კიდევ ჰო, დასაშვებია. ზღვაში ათასობით ასეთი ცოცხალი უჯრედია, მილიონობით! მართლაც, ყველა ლიფსიტა, ყველა მიკროსკოპული უჯრედი, ყველა მედუზა!.. ზღვაში გაცილებით მეტია უჩინარი სეეული, ვიდრე ხილული! წინათ კი ამაზე ერთხელაც არ მიფიქრია... ტბებშიც ტბებშიც მოიპოვება ერთი ციცქა, უჩინარი ორგანიზმები: გამჭვირვალე, უფერული ლორწოს ნაგლეჯები. მაგრამ პაერში?! არა, პაერში ეს შეუძლებელია! თუმცა რატომ არის შეუძლებელი? კაცი შეშისგან რომ იყოს შექმნილი, მაინც ხილული იქნებოდა...

კემპი დრმა ფიქრმა მოიცვა. სამი სიგარა ჩამოეფერფლა ხალიჩაზე, სანამ გონის მოეგო. ბოლოს ერთი „უპო“ ამოიძახა და მისაღები ოთახისაკენ გასწია. ოთახი პატარა იყო. უფრო დიდი არც სჭირდებოდა, რადგან პრაქტიკას არ მისდევდა. გაზის ქურა აანთო, კუთხეში მდგარ მაგიდას მიუახლოვდა, ახალ გაზეთს დაავლო ხელი და იმ ვრცელი წერილის კითხვას შეუდგა, რომელიც პორტ-სტოუელმა მეზდვაურმა ასე გატაცებით უამბო მისტერ მარველს. კემპმა სასწრაფოდ გადაიკითხა „აიპინგში მომხდარი უჩვეულო ამბავი“.

— შეფუთულია! — წამოიძახა, როცა წერილის კითხვას მორჩა და გაზეთი მაგიდაზე დააგდო, — გადაცმული. იმალება. თავის საიდუმლოებას მალავს. როგორც ჩანს, არავინ არაფერი იცოდა მისი უბედურების შესახებ! კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რას აპირებს?

დოქტორმა კემპმა ახლა სხვა გაზეთს დაავლო ხელი. ეს „სანტ-ჯეიმს გაზეთი“ იყო, რომელიც ჯერ კიდევ გადაუშლებლი იდო მაგიდაზე.

— ახლა კი დაწვრილებით გავიგებ სიმართლეს, — თქვა და გადაფურცლა გაზეთი. ორი გრძელი სვეტი იმწამსვე ეცა თვალში. „სესექსში მთელი სოფელი გადაირია“, დიდი, შავი ასოებით ეწერა სათაური.

კემპი ხარბად შეუდგა წერილის კითხვას. დასაწყისში დილის გაზეთებიდან გადმობეჭდილი რამდენიმე ცნობა მოეთავსებინათ, შემდეგ კი ოდნავ სკეპტიკური კილოთი გადმოცემული იყო აიპინგში მომხდარი ის ამბები, რომელთა შესახებაც წინა თავებში გვქონდა საუბარი.

კემპმა თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა: „მირბოდა ქუჩაში და ვინც კი შეხვდებოდა, ყველას ურტყამდა. ჯეფერსმა გრძნობა დაკარგა. მისტერ ჰაქსთერი მძიმედაა დაშავებული, ჯერაც ვერ ჰყვება, რა გადახდა თავს. დიდადაა შეურაცხოფილი ქორეპისკოპოსი. ერთი ქალი შიშისგან ლოგინად ჩავარდა. ფანჯრები ჩამსხვრეულია. მთელი ეს ამბავი იქნებ თავიდან ბოლომდე მოგონილიცაა, მაგრამ იგი იმდენად სენსაციურია, რომ არ შეიძლება არ დაიბეჭდოს“.

კემპს გაზეთი ხელიდან გაუვარდა. „უაზროდ მიაშტერდა ერთ წერტილს და გაიმეორა: „იქნებ... მოგონილიცაა!“

შემდეგ ისევ აიღო გაზეთი და ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი წერილს.

— მაგრამ ეს მაწანწალა რადა შუაშია? რა ეშმაკად მისდევდა მას უჩინარი?!
— თქვა და უდონოდ დაეშვა ქირურგიულ სავარძელზე. — ის მარტო უჩინარი არ უნდა იყოს, — ალბათ შემლილიცაა, მკვლელობის მანიოთ შეპყრობილი!

ინათა. დილის ფერმკრთალი შეუქი სასადილო ოთახში სიგარის კვამლსა და გაზის სინათლეს შეერია, კემპი კი უწინდებურად ბოლთასა სცემდა და ცდილობდა აუხსნელის ახსნას.

აღელვებამ ძილი გადაავიწეა. მსახურებმა რომ დოქტორი კემპი ასეთ მდგომარეობაში იხილეს, დაასკენეს, ყველაფერი გადაჭარბებული მუშაობის შედეგიაო. მან გასცა ძალზე უცნაური, მაგრამ, ამავე დროს, სრულიად ნათელი განკარგულება — კაბინეტში ორი კაცისთვის გაეწყოთ სუფრა. შემდეგ მანამდე სცემდა ბოლთას, სანამ ახალი გაზეთები არ შეუტანეს. გაზეთებში ბევრი რამ ეწერა უჩინარზე, მაგრამ „მხიარულ კრიკეტისტებში“ მომხდარი ჩეუბის გარდა, ახალი არაფერი იყო. ხშირად ახსნებდნენ მარველის სახელს. მოჰყავდათ მარველის სიტყვები: უჩინარმა მაიძულა ოცდაოთხი საათი მასთან ვყოფილიყავიო. აიპინგის ამბავი რამდენიმე უმნიშვნელო ფაქტით შეავსეს, კერძოდ, აღნიშნეს, უჩინარმა ტელეგრაფის მავთული გადაჭრაო. მაგრამ არც ერთ წერილში ისეთი არაფერი ეწერა, რაც ოდნავ მაინც გაარკვევდა მარველისა და უჩინარის ურთიერთდამოკიდებულებას. ჩანდა, მარველს არაფერი ეთქვა სამი წიგნისა და იმ ოქროს შესახებ, რომლითაც ჯიბეები პქონდა გამოტენილი. წერილები სკეპტიკური კილოთი აღარ იყო დაწერილი. პირიქით, იგრძნობოდა, რომ რეპორტიორები ძალიან დაინტერესდნენ ამ ამბით და ყველგან კვლევა-ძიება გააჩადეს.

კემპმა დაწერილებით გადაიკითხა წერილები და ქალი გაგზავნა ახალი გაზეთების საყიდლად. როცა ახლად ნაყიდი გაზეთებიც გადაიკითხა, მტკიცედ წარმოთქვა:

— ის მართლაც უჩინარი ადამიანია და, ამ წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხშირად ზომასგადასული გაბრაზება იცის. თანაც რას არ გააკეთებს, თუ მოისურვა, წინ ვერავერი დაუდგება. და ასეთი კაცი თავისუფალია, წევს ჩემს ოთახში და ისვენებს. თუმცა, აბა, მე რა შემიძლია, რა ძალა შემწევს!

მაგალითად, შეიძლება გამცემლობად ჩაითვალოს ის, რომ... არა, რა თქმა უნდა, არა!

იგი კუთხეში მიღებულ დაბალ მაგიდას მიუახლოვდა და ბარათის წერას შეუდგა. ნახევარიც არ პქონდა დაწერილი, რომ ქადალდი გადახია და მეორე ფურცელი აიღო. ისევ შეუდგა წერას. ერთი გვერდი გააგსო და გადაიკითხა. ჩაფიქრდა. შემდეგ ბარათი კონვერტში ჩადო და დააწერა: „პოლკოვნიკ ედაის, პორტ-ბარდოკი“.

უჩინარმა სწორედ იმ დროს გამოიღვიძა, როცა კემპი კონვერტს ბეჭდავდა. მეტად ცუდ ხასიათზე იყო. ადგა, ჩქარი, ნერვული ნაბიჯით ოთახში გაიარ-გამოიარა. უნებურად საწოლთან მიღებულ სკამს წამოჰკრა ფეხი. სკამიდან ჭიქა გადმოვარდა, ხმაურით დაენარცხა იატაკზე და დაიმსხვრა. კემპი, რომელიც

გაფაციცებით უგდებდა ყურს საწოლ თთახში ამტყდარ ხმაურს, ერთხანს ადგილიდან არ იძროდა. შემდეგ სწრაფად აუყვა კიბეს და კარზე დააკაბუნა.

თავი მეცხრამეტე
ზოგიერთი ძირითადი პრინციპი

— რა მოხდა? — იკითხა კემპმა, როცა უჩინარმა კარი გამოაღო და მიესალმა.

— არაფერი, — იყო პასუხი.

— მე კი გავოცდი! ხმაური მომესმა და...

— ისე, სიბრაზემ ამიტანა, — თქვა უჩინარმა. — გადამავიწყდა, ხელი რომ დაშავებული მაქვს, და წამოდგომისას ვიტგინე.

— ალბათ, ამგვარი სიბრაზე ხშირად აგიტანთ ხოლმე, არა?

— დიახ, საკმაოდ ხშირად.

კემპმა ოთახი გადაჭრა, დაიხარა და ჭიქის ნამსხვრევები აკრიფა.

— თქვენი ამბავი საქვეუნოდ გახდა ცნობილი, — უთხრა კემპმა, როცა ნამსხვრევების აკრეფას მორჩა. — ყველაფერი, რაც აიპინგსა და „მხიარულ კრიკეტისტებში“ თავს გადაგხდათ. მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ არსებობს უჩინარი ადამიანი, თუმცა, აქ რომ ხართ, ეს კი აღარავინ იცის.

უჩინარმა ხმადაბლა შეიკურთხა.

— ასე რომ, თქვენი საიდუმლოება გამომჟღავნებულია. მე ვხვდები, რომ ეს აქამდე საიდუმლოება იყო. ახლა კი არ ვიცი, რის გაკეთებას აპირებთ. მაგრამ, მერწმუნეთ, ყველაფერში დაგეხმარებით.

უჩინარი ლოგინზე ჩამოჯდა.

— მაღლა უკვე საუზმე გველოდება, — ნაძალადევი სითამამით განაგრძო კემპმა და სიხარულით ცას ეწია, როცა მისი უჩვეულო სტუმარი ფეხზე უყოყმანოდ წამოდგა. ისინი ვიწრო კიბეს აუყვნენ.

— სანამ რაიმეს ვიღონებდეთ, მართალი გითხრათ, მინდა უკვე გავერკვე თქვენი გაუჩინარების ამბავში, — უთხრა კემპმა, თან მალულად გაიხედა ფანჯარაში, დაჯდა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ძალიან აინტერესებდა ეს საუბარი. სინაძვილეში სულ სხვაზე ფიქრობდა. დროდადრო ისიც კი გაუელვებდა ხოლმე თავში, ყველაფერი მოჩვენება და სისულელე ხომ არ არისო. მაგრამ, გადახედავდა თუ არა გრიფინს, — უთავო, უხელო ხალათს, — რომელიც უხილავ ტუჩებს ჰაერში გამოკიდებული ხელსახოცით იწმენდდა, ეჭვის ნატამალიც აღარ რჩებოდა.

— ჩემი გაუჩინარების ამბავი მეტად მარტივია, თუმცა ერთი შეხედვით კაცს მართლაც შეუძლებლად მოეწვენება ამგვარი რამ, — უპასუხა გრიფინმა და ხელსახოცი მაგიდაზე დადო.

— მარტივია თქვენთვის, მაგრამ...

— არა, რა თქმა უნდა, თავიდან მეც არაჩვეულებრივ რამედ მიმაჩნდა გაუჩინარება. ახლა კი... ჩემი კარგო, ჩვენ უფრო დიდ აღმოჩენებთან გვექნება საქმე. სულ პირველად ჩეიზელსტოუში ყოფნისას დამტებადა ეს აზრი.

— ჩეიზელსტოუში?

— დიახ. ლონდონი რომ დავტოვე, საცხოვრებლად იქ გადავედი. მედიცინის შესწავლას თავი დაგანებებ და ფიზიკას მოვაიდე ხელი. ფიზიკამ ძალიან გამიტაცა. განსაკუთრებით, სინათლის პრობლემამ.

— აქა!

— სინათლის ოპტიკური გაუგალობა! ეს პრობლემა გამოცანებისაგან შემდგარ ხლართს წარმოადგენს, რომლის გახსნაც მეტისმეტად როულია. მაგრამ მე მაშინ მხოლოდ ოცდაორი წლისა ვიყავი, ამასთან, დაუდგრომელი ენთუზიასტი. ჩემი ცხოვრება ამ საკითხის ახსნას უნდა დავუთმო, ამ საკითხზე

ნამდვილად დირს კაცმა თავი აიტკიოს-მეთქი, გადავწუკიტე და მუშაობას შევუდექი. მოგეხსენებათ, რა გიურად გამბედავები ვართ, როცა მხრებზე მხოლოდ ოცდაორი წელი გვაწევს...

— ვინ იცის, მაშინ ვიყავით, თუ ახლა ვართ გიჟები, — სიცილით მიუგო კემპა.

— ...თითქოსდა ცოდნას რაიმე სიამოვნების მოტანა შეეძლოს ადამიანისათვის. ასეა თუ ისე, მუშაობას დიდი მონდომებით შევუდექი. ექვსი თვე დაუდალალგად, შეუწყვეტლივ ვშრომობდი და მხოლოდ მეშვიდე თვეს მივაგენი რაღაცას: ღრუბლები ოდნავ გაიფანტა და სინათლემ თვალისმომჭრელად გაიელვა. მე მივაგენი სინათლის გარდატეხისა და პიგმენტების ზოგად კანონს, — ფორმულას, ოთხანზომილებიან გეომეტრიულ გამოსახულებას. სულელები! ჩვეულებრივმა ადამიანებმა, რიგიომა მათემატიკოსებმა, არც კი იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზოგად გამოსახულებას, ზოგად ფორმულას მოლექულური ფიზიის შემსწავლელი კაცისათვის. იმ წიგნებში, მარველმა რომ მომტაცა, სასწაულებია აღნუსხული, ნამდვილი აღმოჩენები! მგარამ, ეს ჯერ კიდევ არ იყო მეთოდი — ეს მხოლოდ იდეა იყო, რომელსაც ჰეშმარიტ მეთოდამდე უნდა მივყვანეთ. იმ მეთოდის საშუალებით კი შესაძლებელი გახდებოდა სხეულის სინათლის გარდატეხის კოეფიციენტი, — სულ ერთია, ეს სხეული მყარი იქნებოდა, თუ თხევადი, — ჰაერის გარდატეხის კოეფიციენტზე დაგვეყვანა. მხედველობაში არ კლებულობ ფერის თვისებას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ხელის შემშლელია.

— უშ! — წამოიძახა დოქტორმა კემპა, — ეს მართლაცდა მეტად საინტერესო რამაა. მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გავერკვიე.. მესმის, რომ ამ გზით შეგიძლიათ ძვირფასი თვალი გააუფასუროთ, გაანადგუროთ, მაგრამ ეს კიდევ შორსაა ადამიანის გაუჩინარების შესაძლებლობისაგან.

— სავსებით სწორი ბრძანდებით, — თქვა გრიფინმა. — აბა, წუთით კარგად დაფიქრდით: ხილვადობა ხომ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მოქმედებას ახდენს საგანი სინათლეზე. ახლა რამდენიმე ელემენტარულ მაგალითს მოგიყვანთ, რომელებიც, დარწმუნებული ვარ, თქვენც კარგად გეცოდინებათ. მაგალითების საშუალებით უფრო ადვილად გაგაგებინებოთ უველავერს. აი, თქვენ იციოთ, რომ სხეული ან შთანთქავს სინათლეს, ან აირეკლავს, ან კიდევ გარდატეხს. მოსალოდნელია, ზოგმა სხეულმა სამივე ეს პროცესი ერთდროულად შეასრულოს. მაგრამ თუ სხეული სინათლეს არც გარდატეხს, არც შთანთქავს და არც არეკლავს, მაშინ ასეთ სხეულს ხომ ვერ დავინახავთ? ჩვენ ხომ იმიტომ ვხედავთ გაუმჭვირვალე წითელ ყუთს, რომ მისი ფერი მასზე მოფენილ სინათლის გარკვეულ რაოდებობას შთანთქავს, ხოლო დახარჩენს არეკლავს. კერძოდ, ის არეკლავს უველა მოწითალო სხივს. ყუთს რომ სინათლის გარკვეული რაოდენობა არ შთაენთქა, არამედ სულ მთლად აერეკლა, მაშინ ის მბზინავი თეთრი ფერისა იქნებოდა. ბრილიანტის თვლებით მოჭედილი ვერცხლის ყუთი სინათლის დიდ რაოდენობას არ შთანთქავდა, არეკლავითაც ცოტას არეკლავდა; მაგრამ თვლების განლაგებისდა მიხედვით, ზოგ ადგილას ერთდროულად კიდეც აირეკლავდა და კიდეც გარდატეხდა; რის გამოც ჩვენ ურთიერთგადამკვეთი სხივებისგან შექმნილ მოელვარე ქსოვილს დავინახავდით. ეს იქნებოდა სინათლის ჩონჩხის მსგავსი რაღაც! შუშის ყუთი, ბრილიანტის ყუთთან შედარებით, ნაკლებად ელვარება, რადგან მასში ნაკლებად ხდება სინათლის ერთდროული არეკლამა და გარდატეხა. ამიტომაც, შუშის ყუთი უფრო ძნელი დასანახია. როცა შუშის ყუთში გაიხედავ, მის მიღმა მყოფ სხვა სხეულებსაც შეამჩნევ. ეს, რა თქმა უნდა, შუშის ხარისხეცად დამოკიდებული, მის თვისებაზე: ბროლი, მაგალითად, უფრო ბრწყინვას სინათლეზე, ვიდრე უბრალო თხელი შუშის ფირფიტა. ძალიან თხელი შუშისგან ნაკეთებ ყუთს ცუდად განათებულ ოთახში ძნელად დაინახავ, რადგან ბინდში იგი სინათლის

საკმაო რაოდენობას ვერ შთანთქავს, ხოლო მისი არეკვლისა და გარდატეხის კოეფიციენტი მეტად პატარა იქნება. შუშის ასეთსავე თხელ ფირფიტას თუ წყლიან კასრში ან წყალზე მძიმე რაიმე სხვა სითხეში მოვათავსებთ, სრულიად ვეღარ დავინახავთ. მიზეზი ის არის, რომ წყალში გაცრილი სინათლის შექი, რომელიც ფირფიტამდე აღწევს, ძალას ჰკარგავს და ძალიან ცუდად აირეკლება. შეიძლება ითქვას, ამ პირობებში შუშა მოკლებულია სინათლის ყოველგვარ მოქმედებას. ის ისეთივე უხილავი ხდება, როგორც ჰაერში გაშვებული წყალბადისა და ნახშირორჟანგის ნაკადი. აქამდე ხომ ყველაფერი გასაგები იყო თქვენთვის?

— დიახ, — თქვა კემპმა, — ყველაფერი.

— მაშინ, აი, კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც უბრალო მოსწავლესაც ეცოდინება. თუ შუშის ნატეხს დავნაყავთ, ესე იგი, ფხვნილად ვაქცევთ, ის გაცილებით ხილვადი იქნება, ვიდრე შუშის პირვანდელი ნატეხი. დანაყვის გზით ჩვენ მივიღებთ გაუმჯორვალე, თეთო ფხვნილს. ეს იმიტომ, რომ დანაყვისას იზრდება არეკვლისა და გარდატეხის სიბრტყე. შუშის მთლიან ფირფიტას მხოლოდ ორი ზედაპირი აქს, ფხვნილი კი უამრავი ზედაპირისაგან შედგება. თითოეული მათგანი აირეკლავს და გარდატეხს სხივებს. მაგრამ თუ დანაყილ შუშას წყალში ჩავკრით, მას ვეღარ დავინახავთ. ამ შემთხვევაში ნაფხვენსა და წყალს გარდატეხის თითქმის ერთნაირი კოეფიციენტი ექნება და ერთი ნივთიერებიდან მერეზე გადასვლისას სინათლე ადარ აირეკლება.

ამგვარად, მინა უხილავი გახდება, თუ მას მოვათავსებთ სინათლის გარდატეხის იმავე კოეფიციენტის მქონე სითხეში. და არა მარტო მინა, ამ წესის დაცვით ყოველი სხეული შეიძლება გახდეს უხილავი. იგივე ფხვნილი ჰაერშიაც უხილავად იქცევა, თუ მის მიერ სინათლის გარდატეხის კოეფიციენტს ჰაერისას გავუტოლებთ, რადგან არავითარ გარდატეხას და არეკვლას ადარ ექნება ადგილი, როცა შუქი მინის პატარა ნაწილაკიდან ჰაერში გადავა.

— დიახ, დიახ, — თქვა კემპმა, — მაგრამ ადამიანი დანაყილი შუშა ხომ არ არის!

— არა, — წამოიძახა გრიფინმა, — ის კიდევ უფრო გამჭვირვალეა!

— სისულელეა!

— სისულელეა? და ამას ამბობს ექიმი! სად გაგონილა ასეთი გულმავიწყობა?! ნუთუ ამ ათი წლის განმავლობაში ფიზიკა სავსებით გადაგავიწყდათ? აბა, გაიხსენეთ, რამდენი გამჭვირვალე სხეულია, რომ გაუმჯორვალედ გვეჩენება. მაგალითად, ქაღალდი ხომ გამჭვირვალე ბოჭკოებისგანაა შემდგარი. მაგრამ ჩვენ იგი თეთრი გაუმჯორვალე ნივთის სახით წარმოგვიდგება თვალწინ. ესეც იმავე მიზეზითაა გაპირობებული, რა მიზეზითაც შუშის ფხვნილი უფრო ხილვადია, ვიდრე შუშის ფირფიტა. თუ თეთრ ქაღალდს კარაქს წაგუსვამთ, ე. ი. ქაღალდის შემაღვენელ ჰოჭკოებს შორის არსებულ პატარ-პატარა ღრმულებს ამოვავსებთ, მაშინ არეკვლა და გარდატეხა მხოლოდ ზედაპირზე მოხდება და ქაღალდი მინასავით გამჭვირვალე გახდება. არა მარტო ქაღალდი, არამედ ბამბის, შალის, სელის, ხის ბოჭკოებიც. ასევე ქვალი, ხორცი, გესმით, კემპ, ხორცი, თმაც, კემპ, ფრჩხილიც, ნერვებიც. მოკლედ, ადამიანის ყოველი უჯრედი, — მხედველობაში არ ვდებულობ სისხლის წითელ ბურთულებსა და თმის შავ პიგმენტს, — ყოველი უჯრედი გამჭვირვალე, უფერული ქსოვილებისაგან შედგება. უმეტეს შემთხვევაში, ცოცხალი ორგანიზმის უჯრედი წყალივით გამჭვირვალეა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — წამოიყირა კემპმა, — სწორედ გუშინ დამით უფიქრობდი ზღვის ლიფსიტებსა და მედუზებზე!

— ვატყობ, რომ მიმიხვდით! მე კი ყველაფერი ეს ვიცოდი და ლონდონის დატოვების შემდეგ, — დაახლოებით ექვსი წინათ, ყოველდღე ამაზე ვფიქრობდი, ჩემს მოსაზრებებს არავის ვუმხედვდი. აუტანედ პირობებში

მიხდებოდა მუშაობა. პობემა, ჩემი პროფესორი, დიდი თადღითი ვინმე იყო, იდეებს თავისი შრომებისათვის სხვებისგან იპარავდა. რამდენჯერმე შევნიშნე, რომ თვალყურის დევნება დამიწყო, და კიდევ უფრო ჩავიკეტე. თქვენც გეცოდინებათ მეცნიერული სამყაროს ეს ბნელი მხარეები. გადაწყვეტილი მქონდა, არც ერთი ჩემი აღმოჩენა არ გამომექვენებინა. არ მინდოდა ის ხეპრე წილში ჩამდგომდა და ჩემს ნაშრომზე მასაც მოეწერა თავისი გვარი. ასე მარტოკა განვაგრძობდი მუშაობას. თანდათან ვუახლოვდებოდი იმ წერტილს, როდესაც თეორიულად მიღებული ფორმულები ექსპერიმენტად, რეალურ ცდად უნდა აქციო. მაგრამ არც მაშინ მოვინდომე ვინმეს დახმარება. მინდოდა მეცნიერთათვის თავზარი დამეცა. ზოგ საკითხში რომ უკეთ გავრკვეულიყავი, პიგმენტების შესწავლა დავიწყე, და უეცრად, — სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე, — ფიზიოლოგიაში ახალი აღმოჩენა ბავაკეოვ.

— ნუთუ?

— თქვენ იცნობთ იმ წითელ ბურთულებს, რომლებისგანაც სისხლი შედგება. პოდა, შესაძლებელია ამ წითელი ბურთულების გაუფერულება ისე, რომ მათ შეინარჩუნონ თავიანთი პირვანდელი თვისებები!

კემპმა თავი ვეღარ შეიკავა და გაოცებულმა წამოიყვირა.

უჩინარი ადგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— მე მესმის თქვენი. სრულიადაც არ მიკირს, აგრე რომ გაოცდით. ახლაც თვალნათლივ ვხედავ იმ დამეს: საერთოდ, დამით ვმუშაობდი, რომ თავი ამერიდებინა იმ უვიცი სტუდენტებისათვის, რომლებიც ცდების დროს პირდაღებულები შემოცეკეროდნენ და ხელსაც მიშლიდნენ. ხშირად მაგიდასთან დამთენებიდა. ეს აღმოჩენა თავში მოულოდნელად, დასრულებული და გარკვეული სახით მომივიდა. ლაბორატორიაში მარტოკა ვიჯექი, გვიანი იყო და ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ჩემს ცხოვრებაში ყოველ დიდმნიშვნელოვან ამბავს მუდამ მარტო ვხვდებოდი. „ადამიანს შეუძლია ცხოველი, მისი უჯრედოვანი სხეული, გამჭვირვალე გახადოს! ადამიანს შეუძლია გააუჩინაროს იგი! ადამიანს შეუძლია გააუჩინაროს ყველაფერი, ყველაფერი, გარდა პიგმენტებისა. მეც შემიძლია უჩინარი გავხდე, მე ხომ ალბინოსი ვარ და მუქი ფერის პიგმენტები არ გამაჩინია!“ — ამ აზრმა სულ მთლად გამაბრუა. თავი მივანებე ფილტვრას, რითაც მანამდე ვიყავი გართული და მაღალ, ფართო ფანჯარას მივუახლოვდი. „მე შემიძლია გავუჩინარდე“, — ჩავიჩურჩულე და გარსკვლავებით მოჭედილ ცას ავხედე.

ამის გაკეთება ხომ ყოველგვარ მაგიას ადემატებოდა. და მე ზღაპრულ ფერებში წარმოვიდგინე, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ადამიანს გაუჩინარება: ძალას, იდუმალებას, თავისუფლებას... ამ ამბის უარყოფით მხარეებს მაშინ ვერ ვხედავდი. აბა, დაფიქრდით! მე, საწყალ, ჯიბეგაფხეკილ ასისტენტს, რომელიც ბოლოსა და ბოლოს იძულებული იქნებოდა რომელიმე პროვინციულ კოლეჯში სულელებისათვის მეცნიერება ექადაგნა, საშუალება მექლეოდა ყოვლისშემძლე და ყოვლადდლიერი უჩინმაჩინის ქუდი დამეხურა თავზე. ახლა გეკითხებით, კემპ, თქვენ რომ... თუმცა ყველა, მერწმუნეთ, ყველა ჩაეჭიდებოდა ასეთ აღმოჩენას. მე კიდევ სამ წელს ვმუშაობდი: ავიდოდი ერთი მთის თავზე და იქიდან მეორეს დავინახავდი, მეორიდან — მესამეს. ღმერთი ჩემო, რამდენი წვრილმანი საკითხი მქონდა გასარკვები! რა არ გადამხდა თავს! ის პროფესორი კი, ის პროვინციელი არამზადა, თვალს არ მაშორებდა, ყოველ წუთს მზად იყო კვანტი გამოედო და ჩემი აღმოჩენა გამოეცინცლა! სულ დამძახოდა: „როდისედა გამოაქვეყნებო, ახალგაზრდავ, თქვენს ნაშრომს?“ ამის გარდა სტუდენტები, უფლობა... წარმოიდგინეთ, სამი წელი ასეთ პირობებში ვმუშაობდი. სამი წლის ტანჯვის შემდეგ კი მივხვდი, რომ ამ გზით ვერაფერს მივაღწევდი, ვერ დავასრულებდი ჩემს სამუშაოს.

— მაინც რა გიშლიდათ ხელს? — პკითხა კემპმა.

— ფული! — მოკლედ ესროლა უჩინარმა, თავი ფანჯრისკენ მიაბრუნა და ერთ ხანს დადუმდა. მერე ისევ განაგრძო: — სხვა გზა რომ ვედარ მოვნახე, ბერიკაცი გავძარცვე, საკუთარი მამა... ფული კი თურმე სხვისი იყო და მან თავი მოიკლა.

თავი მეოცე გრეიტ პორტლენდ-სტრიტზე

ორიოდე წუთს კემპი ხმამოუდებლად იჯდა და უთავო, უხელებო ადამიანს მისჩერებოდა, რომელიც მისკენ ზურგშექცევით იჯდა ფანჯარასთან. შემდეგ შეცბა, რადაც აზრმა გაუელვა და წამოდგა. უჩინარს მკლავში ხელი მოჰკიდა და ფანჯარას მოაშორა.

— ალბათ დაიდალეთ, გრიფინ, — მე ვზივარ, თქვენ კი სულ ბოლთასა სცემთ. აგერ, ჩემს სავარძელში ჩაჯექით, — უთხრა კემპმა და თვითონ სავარძელსა და ფანჯარას შორის მოთავსდა.

გრიფინი სდუმდა, მაგრამ მალე ისევ განაგრძო თავისი თავგადასავლის მოყოლა.

— ეს ამბავი გასულ წელს მოხდა, ჩეიზელსტოუდან წამოსული ვიყავი უკვე-დეკემბერი იდგა. ლონდონის ერთ-ერთ მიყრუებულ უბანში, გრეიტ პორტლენდ-სტრიტზე დავიქირავე ოთახი — საკმაოდ დიდი და ყოველგვარი ავეჯეულობისაგან დაცლილი. ოთახი მალე ავაგსე მამისაგან მოპარული ფულით შეძენილი სხვადასხვა ხელსაწყოთი. მუშაობა განვაახლე. საქმე თანდათან წინ მიღიოდა და დასასრულს უახლოვდებოდა. მე ვგავდი იმ ადამიანს, რომელმაც თავი ძლივს დააღწია დაბურულ ტყეს და, უეცრად, მისდა უნებურად, სხვისი უბედურება მოახვიეს თავს. მართალია, მამის დასაფლავებას დავესწარი, მაგრამ იქაც გამუდმებით ჩემს ცდებზე ვფიქრობდი. თითო თითზე არ დამიკარებია, რომ საბრალო მოხუცის სახელი და პატივი დამეცვა. მასსოვს, სახლიდან როგორ გაასვენეს: იაფასიან კუბოში იწვა, ხალხი ცოტა იყო, ქუჩაში ქროდა ცივი ქარი. მიწაში ჩაშვების წინ მისმა ძველმა მეგობარმა, გამხდარმა, მხრებში მოხრილმა, ავადმყოფმა მოხუცმა, გამოსამშვიდობებელი სიტყვა უთხრა და აცრემლებული გამობრუნდა.

მასსოვს ისიც, როგორ ვბრუნდებოდი ჩემს გამოყრუებულ სახლში. გზად ქალაქის ის უხამსი უბანი უნდა გამევლო, რომელიც ოდესაც სოფლად ითვლებოდა, ხოლო ახლა ნაჩეარევად აშენებული, არამყარი სახლებით იყო საგსე, წაბილწულ მინდვრებში იკარგებოდა ამ უბნის ყოველი ქუჩა, რომელთ ბოლოშიც საშენი მასალისგან ნარჩენი ქვა-ღორდი, ფიცრები და სხვა ნაგავი ეყარა. ჩემი თავიც მასსოვს: გამხდარი, შავებში გამოწყობილი, წვიმისაგან ჩამორეცხილ, მოლაპლაპე ტროტუარზე მივაბიჯებდი და ყიდვა-გაყიდვის, მოჩვენებითი რესპექტაბელობის ბინძური სულით გაუდეგნობდა ამ პატარა სამყაროში განდგომილებისა და განმარტების უცნაური სურვილი მიპყრობდა.

მამის სიკვდილს სრულიად არ განვიცდიდი. ჩემთვის ის თავისივე სულელური სენტიმეტალობის მსხვერპლი იყო. საყოველთაოდ აღიარებული პირმოთხობა თხოულობდა, რომ დავსწრებოდი მის დასაფლავებას, თორემ გულში სულაც არ მინდოდა იქ ყოფნა.

მაგრამ, როდესაც პაი-სტრიტზე მივაბიჯებდი, წუთით მთელი ჩემი ცხოვრების განვლილი გზა გამახსენდა. მოულოდნელად შევეჩეხე ქალს, რომელსაც ათი წლის წინათ გიცნობდი და მომწონდა. მაშინ ის ჩვიდმეტი წლის გოგონა იყო. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ...

რაღაცამ მაიძულა, უკან დავბრუნებულიყავი და საუბარი გამება მასთან. ის მეტად ჩვეულებრივი მოსაწყენი პიროვნება აღმოჩნდა.

იმ ძველ, ნაცნობ ადგილებში მთვარეულივით დავბორიალებდი. მაშინ ვერ ვგრძნობდი სიმარტოვეს, ვერ ვგრძნობდი, რომ მთელი სამყაროსაგან მოწყვეტილი ვიყავი. რა თქმა უნდა, ვამჩნევდი ჩემს თავს ყველაფრისადმი გულგრილობას, მაგრამ ამას ცხოვრების უაზრობასა და ამაოებას მივაწერდი. ჩემს ოთახში შესვლისას ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სინამდვილეს ვუბრუნდებოდი. იქ იყვნენ ის საგნები, რომელთაც კარგად ვიცნობდი და მიყვარდა. ცდისთვის გამზადებული ხელსაწყოები იდგნენ და მელოდნენ. ამ დროისთვის ყველა სიძნელე თითქმის გადალახული მქონდა. შესასწორებელი იყო მხოლოდ რამდენიმე დეტალი.

დღეს იქნება თუ ხვალ, მე თქვენ აგისსნით მთელ ამ რთულ პროცესებს. ახლა კი საჭირო არაა მათზე ლაპარაკი. ყველაფერი, იმ რამდენიმე მუხლის გამოკლებით, რომელთაც მხოლოდ ჩემს მეხსიერებას ვანდობ, დაწვრილებითაა აღწერილი მარველის მიერ გატაცებულ წიგნებში. ჩვენ უნდა დავიჭიროთ ის არამზადა და წიგნები წავართვათ...

მაინც მთავარ სიძნელეს წარმოადგენდა გამჭვირვალე საგნის მოთავსება ეფირული ვიბრაციის მქონე ორ გამოსასხივებელ ცენტრს შორის. მე აუცილებლად უნდა შემუშავირებინა ამ გამჭვირვალე საგნის სინათლის გარდატეხის კოეფიციენტი, მაგრამ ამაზე შემდგომ მოგითხობთ. არა, რენტგენის სხივები არ გეგონოთ. მართალი გითხრათ, არ ვიცი, ჩემამდე ვინმეს თუ აუწერია ის სხივები. მათი წარმოშობის წყარო იყო ჩვეულებრივი იაფფასიანი გაზით ამუშავებული ორი დინამომანქანა. პირველად შალის თეთრ ნაჭერზე ჩავატარე ცდა. უზვეულო სანახავი იყო, თვალსა და ხელს შეა როგორ დნებოდა რბილი თეთრი ნაჭერი: თამბაქოს კვამლის ბოლქვივით ფერმკრთალდებოდა და, ბოლოს, სულ გაქრა.

არ მჯეროდა, რომ ცდა გამომივიდა. ხელი სიცარიელეში გავიშვირე და ჩემი თითები შექმნა შალის ნაჭერს, რომელიც უწინდებურად რბილი და ბუსუსებიანი იყო. შემთხვევით ის იაგებზე დამივარდა და დიდხანს ვეძებე.

მერე მეტად საინტერესო რამ მოხდა. კნავილი შემომესმა, უკან მივიხედე და ფანჯარასთან, წყალსადინარ მიღზე შემომჯდარი ბინძური, გამხდარი თეთრი კატა დავინახე. მაშინვე ერთი აზრი მომივიდა თავში. „ყველაფერი მზადა მაქვს შენოვის, ფისუნია“, — ვთქვი და ფანჯარას მივუახლოვდი. გამოვადე, ტკბილად მოვუხმე კატას და ისიც კრუტუნ-კრუტუნით ჩემსკენ წამოვიდა. საწყალს ძალიან შიოდა. ლამბაქზე რძე დავუხსი. საჭმელ-სასმელს კუთხეში მიდგმულ კარადაში ვინახავდი. კატამ რძე შესვლიპა და ოთახში სეირნობა დაიწყო, თან, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყო, ყოველ საგანს ყნოსავდა. გაუჩინარებულმა შალის ნაჭერმა გააღიზიანა. უნდა გენახაო, როგორ დაიფრუტუნა! ხელში ავიყვანე, ლოგინზე დავსვი, ცოტა კარაქი მივეცი, რომ შემჩველდა და ბანაობის დროს ძალიან არ დავეპაწრე.

— მასზეც ჩატარეთ ცდა?!

— დიახ, ჩავატარე. მაგრამ კატას რომ წამალი მიაღებინო, ხუმრობა არ გეგონოს, კემპ, ცდა არ გამომივიდა.

— არ გამოგივიდათ?

— ორი მიზეზის — ჯერ ერთი, ბრჭყალების და, მეორეც, პიგმენტური ნივთიერების გამო... რა ჰქვია, სულ გადამავიწყდა. ღმერთო ჩემო, აი, თვალის კედელზე რომ აქვს კატას, ალბათ, გახსოვთ.

— Tapetum.

— დიახ, სწორედ Tapetum-ის გამო. ეს პიგმენტი არაფრით არ გაქრა. სისხლის გამაჟუფერულებელი წამლის შემდეგ დიდი რაოდენობით გავუკვთეო თპიუმი, დავაწვინე იმავე ბალიშზე, რომელზედაც მანამდე იჯდა, და საცდელ აპარატში მოვათავსე. არ გასულა ხანი, რომ ყველა ნაკვთი გაუჩინარდა, დარჩა მხოლოდ ორი პატარა მბზინავი ლაქა — თვალის პიგმენტები.

— საინტერესოა!

— მე კიდევ ვერ გვები ისე, როგორც საჭიროა. კატა, რა თქმა უნდა, შემობანდული და დაბმული მყავდა, ვერსად გამექცეოდა. მაგრამ ცდა დასრულებული არ მქონდა, რომ გამოეღვიძა და საცოდავად აკნავლდა. კარზე დააკაკუნეს. ხმაზე ვიცანი ჩემი მეზობელი, მიხრწნილი, ლოთი დედაბერი, რომელიც ჩემს ქვემოთ ცხოვრობდა და უჭირს თვალით მიუურებდა. დარწმუნებული იყო, ცხოველებზე ვივისექციას ვატარებდი. იმ თეორი კატის მეტი ქვეუნად არაფერი გააჩნდა. კატა ქლოროფორმით დაგაწყნარე და კარი გამოვადე.

— მგონი, თქვენთან კნაოდა კატა, ჩემი კატა ხომ არ იყო? — არა, რას ბრძანებთ, შეგეშალათ, — ვუპასუხე თავაზიანად. ის მაინც ყოფმანობდა და ცდილობდა ოთახში შემოეჭვრიტა. ალბათ, ძალიან გააკვირვა შიშველმა კედლებმა, ფარდაჩამოუფარებელმა ფანჯრებმა, დასაკუცმა ლოგინმა და გაზის ძრავამ, რომელიც ჯერ კიდევ ჩართული მქონდა. გარდა ამისა, ოთახში ქლოროფორმის სუნი ტრიალებდა და ძრავასთან ორი ლაქა — კატის თვალები — უწინდებურად ბზინავდა. როდესაც საეჭვო ვერაფერი შენიშნა და აღარც კნავილი გაუგონია, დედაბერი შებრუნდა და კიბეებს დაუყვა.

— მაინც რა დრო დასჭირდა ამ ცდის ჩატარებას? — პკითხა კემპმა.

სამი თუ ოთხი საათი. სულ ბოლოს გაქრნენ ძვლები, მყესები, ქონი და ბალნის შეფერილი წვეროები. მაგრამ, როგორც გითხარით, თვალის უკანა კედელზე მოთავსებული ფერადი ნივთიერება არ ქრებოდა.

გარეთ უკვე დამე იყო, როცა ცდა დაგასრულე. იმ ადგილას, სადაც კატა იჯდა, აღარაფერი ჩანდა, ბრჭყალებისა და ამღვრეული თვალების გარდა. ძრავა გამოვრთე, ხელით მოვსინჯე ჯერ კიდევ გაბრუებული ცხოველი და ბანდები შემოვხსენი. იმდენად დაღლილი ვიყავი, რომ კატის მოვლის თავი აღარ მქონდა. ბალიშევე დავტოვე და თვითონ ლოგინში ჩავწექი. ძილი არ მეკარებოდა. ვიწექი თვალებდაჭყებილი და თავში ათასი ბუნდოვანი აზრი მიტრიალებდა. ისევ და ისევ ვიხსენებდი ცდასთან დაკავშირებულ ათას წვრილმანს. ხანდახან უცნაური საგნები მელანდებოდა, მეჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველაფერი სახეს იცვლიდა, თითქოს მიწაც მეცლებოდა ფეხქვეშ. ორი საათისათვის კატამ გამოიდგიძა, ოთახში სირბილი და კნავილი ატეხა. ჯერ შევცადე, როგორმე დამეწყნარებინა, და ტკბილად მოვუხმე. როდესაც დაყვავებით არაფერი გამომივიდა, გადავწყვიტე გარეთ გამეგდო. მას სოვე როგორ შევცი, ოთახში სინათლე რომ ავანთე: ჩემგან მოშორებით მწვანედ ბრწყინავდა მრგვალი თვალები, მათ გარშემო კი სრული სიცარიელე იყო. მინდოდა, რძე მიმეცა, მაგრამ წვერიც აღარ დამრჩენოდა. ის კი არ ცხრებოდა: იჯდა გასასვლელ კართან და შეუწყვეტლივ კნაოდა. ერთი-ორჯერ ვცადე დამეჭირა და ფანჯრიდან გამეგდო, მაგრამ კატა გამირბოდა და მემალებოდა. ხან ერთი მხრიდან, ხან მეორედან მომესმოდა მისი ხმა. ბოლოს, ვერაფერი რომ ვეღარ გავახერხე, ფანჯარა ფართოდ გამოვალე და დაფუცაცხანე. ალბათ, ფანჯრიდან გადახტა. მას შემდეგ არაფერი მსმენია და აღარც თვალი მომიკრავს მისთვის.

მერე, დმერთმა იცის რატომ, მამაჩემი გამახსენდა. მომაგონდა, რა საცოდავად გაასვენეს მოხუცი თავისი სახლიდან და რა საშინელი ქარი ქროდა სასაფლაოზე. ამგვარი ფიქრებით შეწუხებული ლოგინში გათენგბამდე ვწრიალებდი. გათენებისას ვიგრძენი, უკვე ვეღარ დავიძინებდი. ავდექი, გარეთ გავედი და ცარიელ ქუჩებში დავიწყე ხეტიალი.

— მაშასადამე, შესაძლებელია, ის უჩინარი კატა ახლაც დასეირნობს ქვეუნაზე? — პკითხა კემპმა.

— აქამდე თუ არ მოკლეს, ალბათ, დასეირნობს, რატომაც არა?! — უპასუხა გრიფინმა.

— რატომაც არა! — გაიმეორა კემპა. — მაპატიეთ, უნებურად შეგაწყვეტინეთ ლაპარაკი.

— თუმცა, იქნებ მოკლეც კიდეც, — თქვა უჩინარმა. მეოთხე დღეს რომ კიდევ ცოცხალი იყო, ეს დანამდვილებით ვიცი. იმ დღეს გრეიტ ტიჩფილდ-სტრიტზე მივდიოდი, ჯებირთან შეკრებილ ბრძოს მოვკარი თვალი: ხალხი აქეთ-იქით იყურებოდა გაოგნებული და ცდილობდა გაეგო, საიდან ისმოდა კატის კნავილი.

გრიფინი წუთით დადუმდა, მერე ისევ ალაპარაკდა:

— მე კარგად მახსოვს ის დილა. როგორც ჩანს, გრეიტ პორტლენდ-სტრიტის ბოლოში გავედი, რადგან ახლაც ნათლად მიდგას თვალწინ ოლბენი-სტრიტზე გამწკრივებული ყაზარმები და იქიდან გამოსული კავალერისტები. პრიმროუზის თავზე რომ ავედი, სკამზე ჩამოვჯექი. მეტად უგუნებოდ ვიყავი. იანგრის მზიანი დღე იდგა — ერთი იმ სუსტიან, მზიან დღეთაგანი, რომელიც დიდოვლობას უსწრებს ხოლმე. ჩემი დადლილი, ნაწვალები გონება შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა.

ახლა, როცა მიზანს მივაღწიე, ვგრძნობდი, რომ მაინც უკმაყოფილო ვიყავი და მიკვირდა. ოთხი წლის შეუწყვეტელმა მუშაობამაც დამქანცა და არაფრის შეგრძნების თავი აღარ მქონდა, აღარაფერი აღარ მახალისებდა. ამაოდ ვცდილობდი, დამებრუნებინა ის მისწრაფება, რომლითაც იქამდე ვიყავი შეცყრიბილი, დამებრუნებინა აღმოჩენათა წყურვილი, რომელმაც ასე უყოფმანოდ გამაწირინა მოხუცი მამა. ჩემს თვალში ყველაფერს დაკარგოდა ფასი. თუმცა იმ წუთებშიაც ვგრძნობდი, რომ ამგვარი განწყობილება დიდხანს არ გამიგრძელდებოდა. საკმარისი იყო, კარგად გამომეძინა, დამესვენა და სათანადო წამლები მიმედო, რომ ხელახლა გამოვცოცხლებულიყავი.

გარკვევით მხოლოდ ის ვიცოდი, რომ საქმე ბოლომდე უნდა მიმეუვანა. ერთხელ აკვიატებული ფიქრი არ მასევნებდა, საჭირო იყო, რაც შეიძლება ჩქარა დამესრულებინა მუშაობა, რადგან ფული უკვე მელეოდა. თვალი მიმოვავლე გარემოს, გადავხედე ფერდობზე მოთამაშე გოგო-ბიჭებს და დავიწყე ფიქრი იმ ფანტასტიკურ უპირატესობებზე, რომელიც უჩინარ ადამიანს ექნებოდა ქვეყნად. შინ რომ დავბრუნდი, იმწამსვე მაგიდას მივუჯექი და ვისადილე. შემდეგ სტრიქინი დავლიე და გაუხდელად, ისე, რომ ლოგინიც არ დამიგია, დასაძინებლად წამოვწექი... სტრიქინი ხომ შესანიშნავი გასამხევებელი საშუალებაა, კემპ!

— მართლაც მაგარი რამაა, — თქვა კემპა.

— როცა გავიდვიძე, სხეულში ულევ ძალას ვგრძნობდი და ოდნავ გადიზიანებული ვიყავი. ეს თქმენც გეცოდინებათ.

— რა თქმა უნდა.

— უცებ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. სახლის პატრონი იყო — გრძელ ჯუბასა და ძველ გაქონილ ფეხსაცმელებში გამოწყობილი ბებერი პოლონელი ებრაელი. როგორც კი კარი გავუდე, მაშინვე საყვედურები, მუქარა და კითხვები მომაყარა. მიმტკიცებდა, წინა დამეს კატას აწვალებდიო (დედაბერს ალბათ ყველაფერი ჩაეკაკლა), მოითხოვდა ამესნა, რას ვუკეთებდი კატას... ვივისექცია სასტიკად აკრძალულია და თქვენი გულისთვის არ მინდა პასუხისმგებაში მიმცენო, მეუბნებოდა. მე ვუმტკიცებდი, არავითარი კატა ოთახში არ მყოლია-მეთქი. როცა შეკითხებით ვერაფერი გამომტყუა, გაწილებულმა გამომიცხადა, თქვენი ძრავები სხვა ბინადართ აწუხებენო. ამაზე ვეღარაფერი ვუთხარი. წასვლას მაინც არ ჩქარობდა, გარშემო მიტრიალებდა: ცდილობდა, როგორმე ოთახში შემომძრალიყო და დაეთვალიერებინა. უეცრად შიშმა ამიტანა, ვიფიქრე, მართლა არ ჩასწვდეს ჩემს საიდუმლოს-მეოქი, და იმწამსვე წინ ჩამოვეფარე. მაგრამ ამან უარესად გაამწვავა მეპატრონის ცნობისმოყვარეობა. ბერმა ებრაელმა ისევ მომაყარა კითხვები: რა საქმეს ვეწვი? რატომ ვარ

ჩუმად ჩაქეტილი, რატომ ვარ მარტოკა? ხომ შეიძლება რამე აკრძალულ საქმეს მივდევდე? თუ ასე არ არის, რატომ სხვებივით არ ვიქცევი? მისი სახლი ყოველთვის ამით განსხვავდებოდა... ბევრი ვუსმინე, მაგრამ მოთმინება აღარ მეყო. შევთავაზე, გასცლოდა იქაურობას. ის კი უარზე დადგა, ყვირილიც დამიწყო, რომ ჩემს ოთახში შესვლის სრული უფლება პქონდა. კიდევ დავაცადე ლაპარაკი, იქნებ მორჩეს და თვითონ წავიდეს-მეოქი, როცა შევნიშნე, არ გაჩერდებოდა, საყელოში ჩავავლე ხელი და კინწისკვრით გავაგდე. მერე კარი მივხურე, გასაღებით დავკეტე და აკანკალებული სკამზე ჩამოვჯექი.

ამ შემთხვევამ კიდევ უფრო გაართულა ჩემი მდგომარეობა. არ ვიცოდი, სამაგიეროს რითი გადამიხდიდა მოხუცი ებრაელი, ან სამაგიეროს გადახდის რა ძალა შესწევდა. საცხოვრებლად სხვაგან რომ გადავსულიყვავი, ამას დიდი ხანი დასჭირდებოდა. თანაც ბანკში ოციოდე ფუნტიდა თუ მედო. სამაგისო სახსრები, რა თქმა უნდა, აღარ მქონდა. სხვაგან გადასვლაზე ფიქრი ზედმეტი იყო! მაგრამ რომ გავმქრალიყავი?! ეს აზრი თავში მაცდურად მიტრიალებდა. თუმცა მაშინ დაიწყებოდა დაუსრულებელი კვლევა-ძიება, ოთახის ჩხრეკა და სხვა ამგვარი რამ.

როგორც კი წარმოვიდგინე, რომ შესაძლებელი იყო ჩემი საიდუმლოება ყველას გაეგო, გავბრაზდი და გადავწევიტე, თავი დროულად დამედწია. სასწრაფოდ დავავლე ხელი სამ წიგნად აკინძულ ხელნაწერებს, საბანკო წიგნაქს, — ყველაფერი ეს ახლა იმ მაწანწალა მარგელს აქვს მითვისებული, — და გრეიტ პორტლენდ-სტრიტზე მახლობელი საფოსტო განყოფილებისაკენ გავწიე. შევეცადე სახლიდან შეუმჩნევლად გავსულიყვავი. მაგრამ, როცა დავბრუნდი, დავინახე, როგორ მშვიდად ადიოდა კიბეებზე სახლის პატრონი. ეტყობა, მაინც გაიგონა კარის მიხურვის ხმა. უნდა გენახათ მისი სახე! ნამდვილად სიცილი წაგსკდებოდათ. შემნიშნა თუ არა, განზე გახტა და ჭროდა თვალები შემომანათა. მე ცხვირწინ ჩაგუქროლე და კარი ისე ძლიერად მოვიჯახუნე, რომ მთელი სახლი აზანზარდა. მერე მივაყურე: გავიგონე, როგორ მოუახლოვდა მოხუცი ებრაელი კარს, წუთით შედგა და ისევ დაუყვა კიბეებს. მეც ცდის სამზადისს შევუდექი.

ცდა იმავე დამით დავასრულე. როცა უკვე სისხლის გამაუფერულებელი წამლებით გაბრუებული ლოგინზე ვიწექი, კაცუნი მომესმა. რამდენიმე ხნის შემდეგ კაცუნი შეწევდა, მაგრამ მალე ისევ განახლდა... ვიდაც ცდილობდა კარს ქვემოდან, ღრიჭოში ქალალდი შემოეგდო. მოთმინებიდან გამოსულმა კარი ფართოდ გამოვადე და დავუყვირე: — რა გნებავთ?!

კართან სახლის პატრონი იდგა. ხელში რაღაც ლურჯი ქალალდი ეჭირა, ალბათ, ოთახიდან ჩემი გამოსახლების უწყება. მან უხმოდ გამომიწოდა ფურცელი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი ხელები ეუცნაურა, გაკვირვებული სახეზე დამაცექრდა.

ერთხანს პირდადებული მომჩერებოდა. შემდეგ ერთი ამოიხავლა, სანთელიცა და ქალალდიც ხელიდან გააგდო და ბენელ კორიდორში ბორძიკ-ბორძიკით კიბისკენ გაიქცა. მე კარი ჩავკეტე და სარკეს მივუახლოვდი. მხოლოდ მაშინ მივხვდი მოხუცის შეძრწუნების მიზეზს... სახე სულ მთლად თეთრი მქონდა, თითქოს თეთრი მარმარილოსაგან გამოუთლიათ.

მართალი გითხრა, არ მოველოდი, რომ იმ წამლების მიღება ასე დამტანჯავდა. საშინლად გავწევალდი. მთელი დამე მაზიდებდა. ხან გულწასული ვეგდე ლოგინზე, ხანაც ტკივილისაგან ვიკრუნჩხებოდი. მაშინ კი მივხვდი, რატომ კნაოდა კატა ასე საზარლად. სხეული ცეცხლმოკიდებულივით მიხურდა. ბოლოს, ლონე გამომელია, მკვდარივით გავიშოტე. ჩემი ბედი, რომ შინამოსამსახურე არ მყავდა და მარტოკა ვცხოვრობდი. იყო წუთები, როდესაც თავს ვედარ ვიკავებდი და ვტიროდი, ვოხრავდი, თავბედს ვიწყევლიდი, მაგრამ

მაინც გავუძელი... ბოლოს გონება დავკარგე, რომ გამოვფხიზლდი, გარეთ ისევ ბნელოდა.

ტკივილებმა გამიარა. თავს ვიკლავ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ იმდენად ვიყავი გადადლილი, რომ უკვე ესეც სულ ერთი იყო ჩემთვის. არასოდეს დამავიწყდება ის ალიონი: ხელებს დავხედე და შევძრწუნდი: მათ დაორთქლილი შუშის ფერი გადაჯრავდათ. თენდებოდა და ისინიც სულ უფრო და უფრო გამჭვირვალენი ხდებოდნენ. მთელი ჩემი სხეული შუშისაგან ჩამოსხმულ ქანდაკებას ემსგავსებოდა და მე გაოცებული გათვალიერებდი მთავარ არტერიებსა და საკუთარ ჩონჩხს. თვალები დავხუჭე, მაგრამ დაშვებული ქუთუოებიდანაც კარგად ვხედავდი ოთახში უწესრიგოდ მიმოყრილ ნივთებს. აღელვებისაგან ტუჩქებს ვიკანებდი, მეშინოდა ჰქუაზე არ შევმცდარიყავი. მაინც გავუძელი... მთელი სხეული გამიუჩინარდა ფრჩხილების უსიცოცხლო ბოლოებისა და თითზე შემორჩენილი რომელიმაც მდავას მოყავისფრო ლაქის გარდა.

ძლიერ წამოვდექი ლოგინიდან. ნაბიჯების გადაღმისას ფეხებს რომ ვერ ვხედავდი, ახლად ფეხადგმული ბავშვივით უსუსური გავხდი, თანაც ძალიან მშეირი და დასუსტებული ვიყავი. სარკეს მივუახლოვდი, ჩავიხედე და ვერაფერი დავინახე. ჩემს მაგიერ შიგ ორ ბუნდოვან ლაქად ირეკლებოდა თვალის ბადისებრი გარსის უკან მოთავსებული პიგმენტები. ძალაგამოცლილი ხელებით მაგიდას დავეყრდენი და შებლი სარკის გრილ ზედაპირს მივადე.

არ ვიცი, საიდან მქონდა კიდევ იმდენი ღონები, რომ აპარატთან მივსულიყავი და გაუჩინარების უკანასკნელი საფეხურიც გამევლო.

შუადღემდე მკვდარივით მებინა. სინათლეს რომ არ შევეწუხებინე, თვალებზე ხეწარი გადავიფარე. შუადღისას ისევ კარზე კატუნმა გამომაღვიძა. თავს უკვე კარგად ვგრძნობდი. ლოგინზე წამოვჯექი, მივაყურე და დერეფანში ჩურჩულის სმა გავიგონე. იმწამსვე წამოვხტი და ძრავისა და ხელსაწყოების დაშლას შევუდექი. ნაწილებს ერთმანეთში ვურევდი და ოთახის სხვადასხვა კუთხეში ვაწყობდი, რომ მათი თავი და ბოლო ვერავის გაეგო. მალე ხელმეორედ დააკაცუნეს და მოისმა ლაპარაკი: ჯერ სახლის პატრონისა, ხოლო შემდეგ ვიღაც ორი კაცისა. დრო რომ მომეგო, ვიკითხე, ვინ არის-მეთქი. უცებ იატაკზე დაგდებულ გაუჩინარებულ შალის ნაჭერსა და ბალიშს წავაწყდი. ორივე ფანჯრიდან ვისროლე მეზობელი სახლის სახურავზე. ფანჯარას რომ ვაღებდი, კარი შეინძრა: ჩანდა, ვიღაც ძალით შემოსვლას ლამობდა. რამდენიმე დღის წინათ ჩემივე ხელით მივამაგრე ახალი ურდულები და მათი მოგლეჯა არცოუ ისეთი იოლი საქმე იყო. თუმცა ოთახში ძალით შემოჭრის ცდამ, ცოტა არ იყოს, ამაფორიაქა და გამაბრაზა კიდეც. აღელვებისაგან ათრთოლებული ისევ ხელსაწყოების დაშლას შევუდექი.

თავი მოვუყარე იატაკზე მიმობნეულ ნაწერ ქადალდებს, მუყაოს კოლოფებს, ჩალას და გაზი ჩავრთე. მინდოდა ეს ნაგავიც დამეწვა, მაგრამ ასანთი ვერ მოვნახე. გარედან კი კარს მტვრევა დაუწყეს. ამან სულ გამაცოფა და საპასუხოდ კედელს მუშტი დავუშინე. მერე გაზი გამოვრთე, ფანჯრიდან სახურავზე გადავძვერი და დაველოდე, თუ რა მოხდებოდა. მათ კარიდან ერთი ფიცარი მოგლიჯეს, ურდულები გადაწიეს და ოთახში შემოცვივდნენ. სამნი იყვნენ: სახლის პატრონი და მისი ორი გერი — ორი ოცდასამი-ოცდაოთხი წლის ჩაფსკვნილი ახალგაზრდა. მათ უკან მოსდევდა ის დედაბერი, ჩემს ქვემოთ რომ ცხოვრობდა.

წარმოიდგინეთ, როგორ განციფრდებოდნენ, როცა ოთახში არ დაეხვდი. ერთ-ერთი გერი იმწამსვე ფანჯარას ეცა და გადმოიხედა. მისი მსუქანტუჩება, თვალებგადმოკარკლული სახე ჩემგან ძალიან ახლოს იყო და თავს ძლივს გიყავებდი, რომ სილა არ გამეწნა.

ის პირდაპირ მე მომჩერებოდა. მალე სხვებიც გვერდში ამოუდგნენ და მათაც ჩემს მიღმა დაიწყეს ყურება. მერე მოხუცი ებრაელი ოთახში შემობრუნდა და

ლოგინის ქვეშ შეიხედა. კარადაც გამოაღო. როცა ვერსად ვერ მნახეს, ერთმანეთთან ებრაულ უარგონზე და კოქნის¹ (1 კოქნი — საუბრის კილო, რომელზეც ლონდონის მოსახლეობის ქვედა ფენები ლაპარაკობენ.) კილოზე გააბეს ბაასი. ჩეუბობდნენ, ილანძღვებოდნენ, ყვიროდნენ და ბოლოს დაასკვნეს, რომ, ალბათ, მე სულაც არ მიახუხია მათ დაკაუნებაზე და უველაფერი მოეჩვენათ. მე კი სახურავზე ვიჯექი და მშვიდად ვადევნებდი თვალს ამ ოთხ ადამიანს. დედაბერი ოთახიდან ფეხსაც არ იცვლიდა, მსუნაგ კატასავით აქეთიქით აცეცებდა თვალებს, ვერაფრით ვერ გამოერკვია, სად შეიძლებოდა გავმქრალიყავი.

სახლის პატრონი ქალს ეთანხმებოდა, რომ მე ვივისექციებს ვაკეთებდი. შვილები კი ამ აზრს არ იზიარებდნენ. უბრალოდ, ელექტროტექნიკოსიაო, ამბობდნენ, და ამის დასადასტურებლად კუთხეში დაწყობილ რადიატორებსა და დინამომანქანებზე მიუთითებდნენ. ჩემი დაბრუნებისა ყველას ეშინოდა, თუმცა, როგორც შემდგომ აღმოვაჩინე, სახლში შესასვლელი ყველა კარი ჩაეკეტათ. დედაბერი გულდაგულ ჩერეკდა კარადას და ლოგინს. როდესაც დერევანში ჩემი მეზობელი ხილეულობის გამყიდველი გამოჩნდა, მან ისიც შეიპატიუა და, დმერთმა იცის, რა სისულელე არ უამბო.

უეცრად გავიფიქრე, ვინმე დაკვირვებულ და საქმის მცოდნე, განათლებულ კაცს რომ ეს დაშლილი ხელსაწყოები ენახა, ბევრი რამის გაგებას შეძლებდა. ამიტომ, როგორც კი ხელსაყრელი დრო ვიხელთვა, ოთახში შეგძვერი და აპარატები დავამტვრივ. უნდა გენახათ მათი სახეები! სანამ რამის გარკვევას მოასწრებდნენ, უხმაუროდ გავედი ოთახიდან და კიბეებზე დავეშვი.

ქვემოთ, ერთ-ერთ სასტუმრო ოთახში შევედი და მათ ჩამოსვლას დაველოდე. ისინიც მალე გამოჩნდნენ. ისევ იმაზე მსჯელობდნენ, რომელმა მათგანმა გატეხა ხელსაწყოები. ყველას გაწილებული ადამიანის გამომეტყველება ეკერა სახეზე. რადგან ჩემს ოთახში ვერაფერი „საშინელი“ ვერ აღმოაჩინეს, ცოტა არ იყოს, წუხებნენ კიდეც და ეშინოდათ, დიდი დანაშაული ხომ არ ჩავიდინეთო. ქვემოთ რომ ჩამოვიდნენ, მე ფეხაკრეფით ავუყევი კიბეებს ჩემი ოთახისკენ. ხელახლა შევაგროვე ქაღალდები, ყუთები, ჩალა; სკამებიც იქვე დაგაწყვე და გუტაპერჩის მილის საშუალებით გაზი ზედ ამ ხროვაზე მივუშვი. შემდეგ სასტუმრო ოთახიდან წამოღებული ასანთი გავკარი და ცეცხლი გავაჩადე.

— როგორ? ხანძარი გააჩინეთ?! — წამოიძახა კემპმა.

— დიახ, ცეცხლი წაგუდიდე სახლს. ეს ერთადერთი გზა იყო, რომ სამუდამოდ გამექრო ჩემი არსებობის ყოველი კვალი. სახლი კი ებრაელს, რა თქმა უნდა, დაზღვეული ექნებოდა.

მე ფრთხილად გადაგწიე ქუჩაში გასასვლელი კარის ურდეული და გარეთ გავედი. ჯერ კიდევ სავსებით ვერ შევგუებოდი იმ აზრს, რომ უჩინარი ვიყავი. მერე თანდათან შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას. ასეთი უპირატესობით გათამამებულს თავში ათასი ფანტასტიკური გეგმა მესახებოდა. განა თავისუფლად არ შემეძლო ამესრულებინა ყოველი სურვილი? აბა, სასჯელს ვინ დამადებდა!

თავი ოცდამეერთე ოქსფორდ-სტრიტზე

როდესაც კიბეებზე ჩასვლა ვცადე, ერთი ისეთი სიძნელის გადალახვა მომიხდა, რომელზეც მანამდე სრულიადაც არ მიფიქრია, — ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიჭირდა უხილავი ფეხებით სიარული. რამდენჯერმე წაგიფორხილე კიდეც. კარის გადების დროსაც ძლივს მოვახერხე ურდეულისთვის ხელის მოვლება. შემდეგ ფეხებზე ცქერას თავი დავანებე და სიარულიც გაცილებით გამიადვილდა.

უმჯე გიოხარით, რომ ფრიად მხიარულ გუნებაზე ვიყავი. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ქეჩის ფეხსაცმელებსა და ხავერდის სამოსში გამოწყობილი უჩუმრად მიმოვდიოდი ბრმების ქვეყანაში, სადაც მხოლოდ მე ვიყავი თვალხილული. არაჩვეულებრივი სურვილი მქონდა, ხალხი შემეტინებინა: გამვლელთათვის მხარზე ხელი დამეკრა, ქუდი მომექრო და, საერთოდ, რაც შეიძლებოდა, მეტად მესარგებლა ჩემი მდგომარეობის უპირატესობით.

მაგრამ ის იყო მივაღწიე პორტლენდ-სტრიტს (ჩემი ბინა იქვე, ქსოვილების დიდი მაღაზიის მახლობლად იყო მოთავსებული), რომ უკნიდან ზარის წერიალი მომებმა და თითქმის მაშინვე ზურგში რაღაც ძლიერად დამეჯახა. მივბრუნდი და სოდიანი წყლის დამტარაბელი დაგინახე, რომელიც თავისი მოზრდილი კალათით ხელში იდგა და გაოცებული მომჩერებოდა. იმდენად სასაცილო შესახედავი იყო, რომ ტკივილი გადამავიწყდა და ავხარხარდი. „კალათაში ეშმაკი ზის“, — ვუთხარი და კალათა ჩემსკენ მოვქაჩე. დამტარებელს წინააღმდეგობის გაწევა აზრადაც არ მოსვლია.

მაგრამ ერთმა გამოყეუბებულმა მეტლემ, რომელიც ლუდხანის შესავლელთან ატუზულიყო, ხელები გამოიშვირა პაურში აზიდული კალათისაკენ. მოქნეული ხელი შიგ უყრისძირში მომხვდა. ტკივილისაგან გამწარებულმა კალათი მეტლეს თავში დავთხლიშე და მხოლოდ შემდეგ, როცა ჩვენს გარშემო ხალხი შემოიკრიბა, როდესაც გზად მიმავალი ეტლები შედგნენ და ფარდულებიდან სეირის საყურებლად დახლიდარები გამოცვივდნენ, მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რა ხიფთში ჩაფიგდე თავი. თავბედის წყევლით უკანუკან, მაღაზიის ვიტრინისკენ დავიხიე და, უზარამაზრ მინას აკრული, ხელსაყრელ შემთხვევას დაველოდე, რომ იმ აზოჩქოლებულ ხალხს გაცლოდი. ერთხელ კინაღამ ბრძოს შუაგულში ჩამითრიეს, მაგრამ დროზე ვკარი ხელი გვერდით ატუზულ ბიჭს, რომელმაც, ჩემდა საბედნიეროდ, ვერც იგრძნო, რომ სიცარიელემ უბიძგა, და გზის პირას მდგარ ეტლს ამოვეფარე. მერე ქუჩის მეორე მხარეს გადავირბინე, ის მხარე თითქმის ცარიელი იყო და მეც, შიშისაგან თავგზაბნეული, ალალბედზე მივდევდი ქვაფენილს. ბოლოს ოქსფორდ-სტრიტზე ამოვყავი თავი. ოქსფორდ-სტრიტი, როგორც ყოველთვის, ამ საღამოსაც ხალხით იყო გაჭედილი.

ვცადე, ხალხის დინებას მივყოლოდი. მაგრამ ქუჩა ისე იყო გაჭედილი გამვლელებით, რომ წამდაუწუმ მაბიჯებდნენ შიშველ ფეხებზე. მაშინ ტროტუარიდან გადავედი და წყალსადინარ დარს გავუევი. მისი ხორქლიანი ზედაპირი ფეხის ძირებს მტკენდა. სხვა გზა აღარ მქონდა და მეც უნდა ამეტანა. არ გასულა ხანი, რომ ჩემს უკან მომავალი ეტლის ხელნამ ბეჭის ქვეშ, ფერდში გამკრა. მე განზე გავხტი, გაჭირვებით შევიკავე თავი, რომ ტროტუარზე მიმავალ ბავშვიან ქალს არ შევჯახებოდი და ისევ იმ ეტლის უკან აღმოვჩნდი. გადავწყვიტე, ჩემს წინ ნელა მიმავალ ეტლს ერთი ნაბიჯითაც არ ჩამოვრჩენოდი და ამან გადამარჩინა კიდეც. თავგზარდაცემული გზადაგზა იმაზე ვფიქრობდი, თუ რა სახიფათო შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა სიფონის დამტარებელთან წინდაუხედავ გახუმრებას. იანვრის ნათელი, სუსხიანი დღე იდგა. ქვაფენილს გალახიანი ყინული მუქ საფარად გადაჭკვროდა, ხოლო მე, სრულიად შიშველი, სიცივისაგან ვერცხლებდი. სულელს, თავში ერთხელაც არ მომსვლია, რომ, გაუჩინარების მიუხედავად, ჩემი სხეული გარემო პირობების მიმართ იგივე დარჩებოდა, რომ ჩემზე სიცივეცა და სიცხეც უწინდებურად იმოქმედებდა.

უეცრად შესანიშნავი აზრი მომივიდა: სირბილით მოვუარე ეტლს გეერდიდან და შევახტი. სიცივისაგან აკანკალებული, შემინებული, სურდოთი შეწუხებული და ფერდატკიული ყველასათვის შეუმჩნევლად მივსრიალებდი ჯერ ოქსფორდ-სტრიტზე და მერე კი ტოტენჰემ-კორტ-როუდზე. სახლიდან იმედებითა

და ძალ-დონით აღვსილი გამოვედი და აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ათიოდე წუთის შემდეგ ამგვარ გუნებაზე ვიქნებოდი. ესეც შენი გაუჩინარება! ეტლში მჯდარს ერთი რამ მადარდებდა: იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამედწია თავი შექმნილი მდგომარეობიდან.

ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკას გვერდს რომ ვუვლიდით, ყვითელყდიანი წიგნებით დატვირთულმა მაღალ-მაღალმა ქალმა მეტლეს ხელი დაუქნია. ეტლი გაჩერდა. მე სასწრაფოდ ჩამოვხტი და გაწამაწიაში კინაღამ ტრამვაის ქვეშ მოვყევი. ბლუმსბერი-სკვერისკენ გავწიე, რათა უფრო უკაცური უბნებისათვის შემეფარებინა თავი. ამასობაში სიცივისაგან სულ მთლად გავითოშე და ჩემი ამგვარი სულელური მდგომარეობა იმდენად მაღიზიანებდა, რომ გზადაგზა გზლუქუნებდი. ბლუმსბერი-სკვერის კუთხეში ფარმაცევტული საზოგადოების დაწესებულებიდან პატარა თეთრი ძაღლი გამოვარდა და ჩემი ნაფეხურების ყნოსვა-ყნოსვით მაშინვე უკან გამომედევნა.

მანამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ ძაღლისათვის ცხვირი იგივეა, რაც ადამიანისთვის თვალი. ძაღლები ყნოსვით ისევე იგებენ ყოველ მოძრაობას, როგორც ადამიანები მხედველობის საშუალებით აღიკამენ მას. პოდა, მანაც ჩემს გარშემო სირბილი და ყევა ატეხა, რითაც მანიშნებდა, მშვენივრად ვიცი, სადაც ბრძანდებიო. ნაბიჯს აგუჩქარე და გრეიიგ რასელ-სტრიტი გადავჭრო. თან სულ უკან-უკან ვიხედებოდი. როდესაც მონტეგიუ-სტრიტზე გავედი, მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რაც ჩემს წინ ხდებოდა.

მუსიკის გუგუნი შემომესმა და, როცა ქუჩას თვალი ავაყოლე, დავინახე მწყობრში ჩამდგარი ხალხი, რომელიც რასელ-სკვერიდან მოემართებოდა. მათ წითელი ფერის ქურთულები ეცვათ და წინ ხსნის არმიის¹ (¹ ხსნის არმია — რელიგიურ-ქველმოქმედებითი ხასიათის რეაქციული ორგანიზაცია, რომელიც ინგლისში შეიქმნა. მისი მიზანი იყო, ჩამოეშორებინა მშრომელთა მასები კლასობრივი ბრძოლისაგან.) დროშა მოჰკონდათ. ისინი ხელა, გალობ-გალობით მოდიოდნენ. ტროტუარებზე შეჯგუფული გამგლელები კი სიცილს აყრიდნენ. ქუჩა ისე იყო გაჭედილი, რომ იქიდან გასვლის ყოველგვარი იმედი გარდამიწყდა. მაშინ სწრაფად ავირბინე იქვე, სახლის თეთრ კიბეებზე, პარმაღზე დავდექი და დაველოდე, როდის ჩაივლიდა ეს პროცესია. ძაღლი, რომელიც აქამდე უკან მომდევდა, მუსიკის ხმაზე შედგა, გაუბედავად მიმოიხედა, ყევაც შეწყვიტა და კუდამოძუებული ისევ ბლუმსბერი-სკვერისაკენ წაძუნისულდა.

ხალხი კი თანდათან მიახლოვდებოდა და მთელი ხმით გალობდა. ირონიასავით ჩამესმა პიმის სიტყვები: „როდის ვიხილავთ სახებას მისას?“ ასე მეგონა, საუკუნემ გაიარა, ვიდრე ბრძო ჩაივლიდა. „ბუხ, ბუხ, ბუხ“, — გამაყრუებლად გრუხუნებდნენ დაფდაფები და ამ ხმაურში ვერც კი შევნიშნე კიბის მოაჯირთან ატუზული ორი პატარა ბიჭი.

— შეხედე ერთი! — თქვა პირველმა.
— რას შევხედო? — პიოთხა მეორემ.
— უყურე, აქ უყურე! ნაფეხურები, თანაც შიშველი ფეხისა, თითქოს ვიდაცამ ჩალახიანი ფეხებით გაიარაო.

ისინი თვალებდაჭყეტილები ათვალიერებდნენ ახლად გათეთრებულ კიბის საფეხურებზე ჩემს მიერ შავად დამჩნეულ კვალს. გამვლელები უმოწყალოდ ეჯახებოდნენ, მუჯლუგუნებს პკრავდნენ, მაგრამ თავიანთი აღმოჩენით აღტაცებული ყმაწვილები ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ. „ბუხ, ბუხ, ბუხ, როდის, ბუხ, ვიხილავთ, ბუხ, სახებას მისას, ბუხ, ბუხ, ბუხ...“

— უეჭველია, ამ კიბეზე ფეხშიშველა კაცმა აიარა, — თქვა პირველმა. — აიარა და უკან აღარ ჩამოსულა. დახე, სისხლის წვეთები! ალბათ, ფეხიდან სდიოდა.

პროცესია უავე ქუჩის ბოლოში იყო.

— შეხედვ, ტედ, შეხედე! — წამოიძახა ისევ პირველმა ბიჭმა და პირდაპირ ჩემს ფეხებზე მიუთითა. მე ფეხებზე დავიხედე და შევნიშნე მათი მკრთალი მოხაზულობა. მივხვდი, ფეხებზე მიმხმარი ტალახის ბრალი იყო. ამ მოულოდნელობისაგან წუთით სახტად დავრჩი.

— ვახ, ეს რა უცნაური რამაა! — აღმოხდა მეორეს, — ფეხის ლანდს არა ჰგავს?

მცირე ყოფილის შემდეგ მეორე, რომელიც უფროსი ჩანდა, ჩემსკენ წამოვიდა და ხელი გამოიშვირა. ვიდაც კაცი სწრაფად შემობრუნდა, რომ კარგად დაენახა, რას კოტინებოდნენ ყმაწვილები ჰაერში. ცოტაც და ბიჭი ჩემს ფეხს შეეხებოდა. უცებ მოვისაზრე, რაც უნდა მექნა. ბიჯი გადავდგი და გადავანზე ხელის ერთი დაგვრით მეზობელი სახლის პარმადზე ვისტუპე. ბიჭმა შეკივლა და უკან გადახტა. უმცროსი კი უფრო საზრიანი გამოდგა. მან შეამჩნია, რომ ადგილი გადავინაცვლე და სანამ ტროტუარზე ჩასვლას მოვასწრებდი, ფეხი გალავანზე გადახტნენო, დაიყვირა.

უველანი იქით გაქანდნენ და დაინახეს, როგორი ელვისებური სისწრაფით ჩნდებოდა ახალ-ახალი ნაფეხურები ბოლო საფეხურებსა და ტროტუარზე.

— რა მოხდა? — იკითხა ერთ-ერთმა გამგლელმა.

— ფეხები! შეხედეთ! აგერ, ფეხები მირბიან!

მთელი ხალხი, ჩემი სამი მდევრის გამოკლებით, ხსნის არმიას მიჰყვებოდა უკან. ეს ნაკადი არა მარტო მე, არამედ სხვებსაც უდობავდა გზას. ყოველი მხრიდან ისმოდა კითხვები და გაოცების შეძახილები. გზაზე ვიდაც ყმაწვილი წავაქციე და დაფეთებული რასელ-სკვერისკენ გავიქეცი. ჩემს ნაკვალევს კი უკვე ქვესი თუ შვიდი კაცი მისდევდა. საბედნიეროდ, ახსნა-განმარტებისათვის არ ჟცალათ, თორემ მთელი ეს ბრბო მე დამედევნებოდა.

ორჯერ მოსახვეეს მივეფარე, სამჯერ ქუჩა გადავჭრი და ჩემსავე ნაკვალევზე გავლით დავბრუნდი უკან. ტერფები გამინურდა და გამიშრა, უკვე ტროტუარზე კვალს აღარ ტოვებდნენ. ვიხელთე თუ არა ხელსაყრელი შემთხვევა, ფეხებიდან ტალახი მოვიწმინდე და უწინდებურად სავსებით გავუჩინარდი. სანამ იმ ადგილს საბოლოოდ გავცილდებოდი, დავინახე თორმეტიოდ კაცი:

განცვიფრებულნი გულდასმით აკვირდებოდნენ ტროტუარზე შერჩენილ ძველ ნაფეხურებს. ეტყობოდათ, ეს ამბავი მათთვის ისევე გაუგებარი იყო, როგორც რობინზონ კრუზოსთვის უკაცურ კუნძულზე ადამიანის ნაკვალევის აღმოჩენა.

სირბილში ცოტათი გავთბი და უფრო მხნედ გავუყევი მიყრუებულ უბნებს. ფერდი საშინლად მტკიოდა, მეეტლის მუშტისაგან ყურის ქვეშ ჯირკვალი გამსიერებოდა და კისერიც მისი ფრჩხილების წყალობით მოლად დაკაწრული მქონდა. შეშის ნატეხზე გადასერილ ფეხს ძლიერ ვადგამდი. ერთ-ერთ მოსახვეში დროულად შევნიშნე ჩემსკენ მომავალი ბრმა, განზე გავხტი და გავუუჩდი, რადგან ასეთ ადამიანებს მხედველობის ხარჯზე მეტად ფაქიზი ყურთასმენა უმუშავდებათ. ფიქრებში წასული რამდენჯერმე გამვლელებს შევეფეთე. ისინი აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს და უკვირდათ, როცა ყურში ჩემი გინება ჩაესმოდათ. შემდეგ სხეულზე რადაც რბილის შეხება ვიგრძენი, თავი ავიდე და დავინახე, რომ ციდან ზანტად მოფარფატებდნენ თოვლის ფანტელები. მაგრად გავციებულიყვავი და დროდადრო უნებურად მაცემინებდა. ყოველი ძაღლის დანახვა შიშა მგვრიდა. ისინი კისრებს წაიგრძელებდნენ და დიდი ცნობისმოყვარებით ყნოსავდნენ ჩემს ნაფეხურებს.

შემდეგ ყვირილით და ჩოჩქოლით ჩამიქროლა ადელვებულმა ბრბომ. სადღაც ხანდარი იყო. ხალხი ჩემი ყოფილი ბინისაკენ გარბოდა. მეც იქით გავიხედვ, სახურავები და ტელეფონის მავთულები ბოლის შაგ დრუბელში გახვეულიყო. ქჭვიც არ შემპარვია, რომ ჩემი ოთახი იწვოდა. იწვოდა მთელი ჩემი ავლადიდება — ტანსაცმელი, ხელსაწყოები, დინამომანქანები, ყველაფერი იმ სამი წიგნისა და საბანკო წიგნაკის გარდა, რომლებიც გრეიტ ოქსფორდ-

სტრიტის საფოსტო განყოფილებაში შევინახე. გათავდა, უკან დასახელი გზა არ მქონდა, მთელი სახლი ცეცხლმა შთანთქა.

უჩინარი დადუმდა და წუთით ფიქრს მიეცა. კემპმა ფანჯარაში გაიხედა. გზა ისევ უკაცრიელი იყო და აღელვებული სტუმარს მიუბრუნდა:

— მერე, მერე რა მოხდა? განაგრძეო!

თავი ოცდამეორე უნივერმალში

— ამგვარად, გასული წლის იანვარში, თოვლსა და ქარბუქში, — თანაც საქმარისი იყო თოვლს ოდნავ დაეფარა ჩემი მსრები და თავი, რომ ყოველი გამვლელი შემნიშვნავდა, — დაღლილმა და გაციებულმა, დასახიჩრებულმა, გაუბედურებულმა, ოდონდ ჯერ კიდევ დარწმუნებულმა უჩინარობის უპირატესობასა და ხელსაყრელობაში, სრულიად ახალი ცხოვრება ვიტვირთე, რომლის ჭაპანიც სიკვდილამდე უნდა ვზიდო. არც თავშესაფარი მქონდა, არც ფული; ქვეყნად არ იყო სულიერი, რომელთანაც შემეძლო მივსულიყავი და დახმარება მეთხოვა. ჩემი საიდუმლოების საქვეყნოდ თქმა მომავლის გეგმებზე ხელის ადებას ნიშნავდა: მე მაქცევდნენ სანახაობად, ანტიკვარულ საგნად. მიუხედავად იმისა, რომ წინდაწინ ვიცოდი ეს ამბავი, ერთხელ მაინც კინადამ შეგაჩერე ქუჩაში მიმავალი უცნობი და დახმარება ვთხოვა. მაგრამ ისე ნათლად მქონდა წარმოდგენილი, ჩვეულებრივ ადამიანს რა თავზარსაც დასცემდა ჩემი ასეთი საქციელი და რა არაადამიანურ სისახტიკეს გამოადგიძებდა მასში, რომ ამის გაკეთება ვეღარ გავბედე. მაშინ მხოლოდ ერთი სურვილი მამოძრავებდა, — როგორმე თავი დამედწია თოვლის ფიფქებისაგან, სადმე მივუულიყავი და გავმობარიყავი; მერე კი ფიქრსაც შევძლებდი. მაგრამ ჩემთვისაც კი, უჩინარისთვის, ლონდონის სახლები შეუდწეველი და მიუდგომელი რჩებოდა.

გარკვევით მხოლოდ ერთს ვხედავდი ჯერჯერობით — სიცივეს, მიუსაფრობას და იმ ტანჯვას, რომელიც დამის დადგომასთან ერთად დამატყდებოდა თავს.

უეცრად ბრწყინვალე აზრი მომივიდა. სასწრაფოდ დავადექი გოუერ-სტრიტიდან ტოტენჰემ-კორტ-როუდზე გამავალ ქუჩას და უზარმაზარი უნივერმალის წინ გავჩნდი. ამ უნივერმალში, თქვენც მოგეხსენებათ, თითქმის ყველაფერი იშოვება: ხორცი, თეთრეული, საბაყლო საქონელი, ავეჯეულობა, ტანსაცმელი, სურათები ეს უფრო სხვადასხვაგვარ ფარდულთა გიგანტური ლაბირინთია, ვიდრე ერთი მაღაზია. მეგონა, უნივერმალის კარი დია დამხვდებოდა, მაგრამ მოვტყუვდი. უეცრად შესახლელთან ეტლი გაჩერდა. შვეიცარმა ფართოდ გააღო კარი და მეც ხელიდან არ გავუშვი შემთხვევა; სანამ კარი მიიხურებოდა, უნივერმალში შევიპარე, გავიარე რამდენიმე განყოფილება, სადაც ბაფთები, ხელთათმანები, წინდები და სხვა წვრილმანი საქონელი იყიდებოდა. ბოლოს კალათებითა და დაწნული ავეჯეულობით სავსე დარბაზში მოვხვდი.

შშვიდად ვერც იქ ვიგრძენი თავი. ხალხი ყოველ წუთს გამოდიოდა. მე ხელახლა დავიწყე ხეტიალი და შემთხვევით ისეთ განყოფილებას წავაწყდი, როგორსაც ვეძებდი. დარბაზის კუთხეში ერთმანეთზე დახორავებული ლეიბები ეწყო. ამ ლეიბებზე ავძვერი და დასაძინებლად მეტად მყუდრო, მშვენიერი ადგილი ამოვირჩიე. უნივერმალის გათბობა უკვე დაეწყოთ და ამიტომ აღარც მციოდა. ახალი თავშესაფრიდან ნოქართა და მყიდველთა მიმოსვლას გაფაციცებით ვადევნებდით თვალყურს და მოუთმენლად ველოდი იმ დროს, როდესაც ყველანი საბოლოოდ გაიკრიფებოდნენ. „მაღაზია რომ დაიკეტება, — ვფიქრობდი, — ტანისამოსსაც ვიშოვნი და საჭმელ-სასმელსაც. მთელ შენობას მოვივლი, ვნახავ, სად რა არის, და მერე ერთი ლაზათიანად გამოვიძინებ“. ამ

სურვილის ასრულება ადგილი მეგონა. მინდოდა მეშოვნა შესაფერისი ტანსაცმელი, ისე დამეფარა სხეულისა და სახის ნაკთები, რომ მაინცა და მაინც საეჭვო შესახედაობა არ მქონოდა; მეშოვა ფული, საფოსტო განყოფილებაში მიბარებული წიგნები ამეღო, დამექირავებინა ოთახი და დაწვრილებით მომეფიქრებინა, როგორ გამოვიყენებდი გარშემო მყოფთა მიმართ ჩემი უჩინარობის უპირატესობას (დიახ, მე ჯერ კიდევ მწამდა ჩემი უპირატესობისა).

უნივერმალის დაკეტვის დრომაც მაღე მოაღწია. ერთი საათი თუ იქნებოდა გასული, რაც ლეიბებს შორის მოვთავსდი, ფანჯრებზე ფარდები ჩამოუშვეს და უკანასკნელი მყიდველებიც გაისტუმრეს. რამდენიმე ახალგაზრდა მკვირცხლად შეუდგა დახლზე გადმოლაგებული საქონლის ყუთებში ჩაწყობას. როდესაც ხალხი თითქმის სულ გაიკრიფა, ჩემი ბუნაგიდან გამოვედი და ფეხაკრეფით წავედი უნივერმალის ცენტრალური განყოფილებისაკენ. გაოცებული ვიყავი, ახალგაზრდა კაცები და ქალები რა მარდად ალაგებდნენ დახლებიდან გასაყიდად გამოფენილ საქონელს. თაროებზე ჩამწკრივებულ სათამაშოებს, ძვირფას ქსოვილებს, მაქმანის წნულებს, ტკბილეულობით სავსე კოლოფებს, ყოველგვარ ნივთს, რომელიც კი დღისით საგაჭროდ ამოელაგებინათ, უკან, ყუთებშივე ალაგებდნენ, კრავდნენ და მათვის განკუთვნილ ადგილებზე აწყობდნენ. ხოლო იმ ნივთებს, რომელთა ალაგებაც არ ხერხდებოდა, აფარებდნენ სქელ, უხეშ ტილოს. დასასრულ, ყველა სკამი დახლებზე შემოდგეს, ასე რომ, იაზაკზე აღარაფერი იდო. მორჩნენ თუ არა საქმეს, ყველანი გასასვლელისაკენ გაეშურნენ. გაოცებული დავრჩი მათი გამოცეცხლებული სახეების შემხედვარე. შემდგვ პატარა ბიჭები გამოჩნდნენ, რომელთაც ცოცხები და ნახერხით პირთამდე სავსე ვედროები მოჰქონდათ. უნივერმალის დაკეტვიდან უკვე საათი იყო გასული, როცა ქუჩაში გასასვლელი კარი ჩაკეტეს. სიჩუმე ჩამოდგა. განყოფილებათა ამ უზარმაზარ ლაბირინთში დერეფნებსა და კიბეებზე მოჩვენებასავით მარტოკამ დავიწყე ხეტიალი. მთელ შენობაში ჩამიჩუმიც არ ისმოდა, თუმცა, როდესაც ტოტენბერ-კორტ-როუდზე გამავალ ფანჯრებს ჩავუარე, გარკვევით გავიგონე ქუჩაში გამვლელთა ფეხის ხმა.

პირველად იმ განყოფილებისაკენ წავედი, სადაც წინდები და ხელთაომანები მეგულებოდა. ბნელოდა და ერთ-ერთი დახლის უჯრაში ძლივძლივობით მოვნახე ასანთი. მაგრამ ახლა სანთელიც მჭირდებოდა. ღმერთმა იცის, რამდენი ყუთის, რამდენი კოლოფის გაჩხრეკა დამჭირდა, სანამ მათ მივაგნებდი. სანთლები იმ ყუთში ეწყო, რომელსაც „შალის ქვედა საცვლები და მაისურები“ ეწერა. ავიდე წინდები, ფართო შარფი და მზა ტანსაცმლის განყოფილებაში გადავედი. იქ რბილსარჩულიანი ქურთუკი, პალტო და შარვალი ჩავიცვი, დავიხურე გრძელფარფლებიანი ქუდი (ამგვარ ქუდებს მღვდლები ატარებენ ხოლმე) და თავი ისევ ადამიანად ვიგრძენი.

რა თქმა უნდა, იმწამსვე ჭამაც გამახსენდა. ზედა სართულზე სასაუზმე აღმოვაჩინე და, ჩემდა სასიხარულოდ, მოხარული ხორცის დიდი ნაჭერი ვიპოვე. ყავადანში ცოტაოდენი ყავაც დარჩენილიყო. გაზი ავანთე და გავაცხელე. ამგვარად, ჩემი საქმე არცოუ ისე ცუდად ეწყობოდა. ჭამას მოვრჩი თუ არა, საბინის მოსაძებნად გავწიგ. სხვა ვერაფერი რომ ვერ ვნახე, იძულებული გავხდი, საბინად ბუმბული გამომეუჯებინა. გზად საბაყლო განყოფილებას წავაწყდი, სადაც გროვებად ეწყო სხვადასხვა შოკოლადი, ტკბილეულობა და დაშაქრული, ხმელი ხილი. იქვე ხელში მომხვდა ბურგუნდიული დვინის რამდენიმე ბოთლი. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი, რის დალევასაც შევძლებდი. სასაუზმის გვერდით საბავშვო სათამაშოების განყოფილება იყო. ამან ერთი ბრწყინვალე აზრი მიკარნახა: სასწრაფოდ შევედი სათამაშოების განყოფილებაში და დიდი

გულმოდგინებით ამოვირჩიე სამი ხელოვნური ცხვირი, ალბათ, ხვდებით, როგორიც, ბავშვებისთვის რომ აკეთებენ მუყაოსა ან სანთლისაგან, აი, ისეთი და მაშინვე მუქი სათვალეები გამასხენდა. სამწუხაროდ, უნივერმალში ოპტიკის გახსნაზე არ ეზრუნათ. ცხვირის საკითხი აქამდე მეტად რთული მოსაგვარებელი იყო ჩემთვის. ერთხანს გრიმის გაკეთებასაც კი ვაპირებდი. მაგრამ როცა ცხვირის საქმე მოგვარდა, ახლა იმაზე დავიწყე ზრუნვა, როგორ მეშოვნა პარიკი, ნიღაბი და სხვა ამდაგვარი რამ. ბოლოს, დადლილ-დაქანცული წავლონდილი კუთხეში შეგროვილი ბუმბულის ზვინისაკენ, რომ შიგ შევმძვრალიყავი, გავმობარიყავი და დამეძინა.

მას შემდეგ, რაც უჩინარი გავხდი, ასეთი სიამოვნება არ მიგრძნია. თავს არაჩვეულებრივად მშვიდად გვრმნობდი და უშფოთველად, იმედიანად ვოცნებობდი მომავალზე. მეორე დილას თავით ფეხამდე შემოსილი და შარფით სახეაკრული ყველასთვის შეუმჩნევლად გავმვრებოდი უნივერმალიდან; მაღაზიის სალაროდან მოპარული ფულით ვიყიდი სათვალეს და ასე დაგვასრულებდი ჩემი სახის შენიღბვას. მთელი ღამე ის ფანტასტიკური ამბები მესიზმრებოდა, რაც უკანასკნელ დროს თავს გადამხდა. ვხედავდი მობუზღუნვე მოხუც ებრაელს, სახლის პატრონს: ჩემს ოთახში გაოგნებული რომ დაბორიალებდა და ყოველ კუნჭულში იჭვრიტებოდა, მე დამეძებდა. ვხედავდი მისი ორი გერის სულელურ, გაკირვებულ სახეებს და ქვედა სართულზე მცხოვრები დედაბრის ცნობისმოყვარეობისა და ცბიერებისაგან ანთებულ თვალებს, როცა კარში მდგარი შემპარავი ხმით მეკითხებოდა, კატას რატომ აწვალებოთ. ძილშიც ისევ ძლიერად განვიცდიდი იმ უცნაურ შეგრძნებას, რომელიც ჩემში შალის ნაჭრის გაუჩინარებამ გამოიწვია. ხან თვალწინ წარმომიღებოდა ბორცვის თავზე დაყუდებული, ქარისგან თმაგაწევილი და სიცივისაგან აბუზული მღვდელი, რომელიც მამაჩემის საფლავს დაშტერებოდა და ჩახრინწული ხმით ბუტბუტებდა: „მიწა ხარ და მიწად იქმი“.

„და შენც ასევე!“ — ჩამება და უეცრად ვიღაცამ საფლავისკენ წამათრია. ვყვიროდი, ვეწინააღმდეგებოდი, ვემუდარებოდი მესაფლავეებს, რომ თავი დაენებებინათ, მაგრამ ისინი ყურს არ მიგდებდნენ. მოხუცი მდვდელიც შეუჩერებლივ, ცემინ-ცემინებით განაგრძობდა ლოცვათა მონოტონურ კითხვას. ვხედავდი, არავინ ყურადღებას არ მაქცევდა, არავინ არ მამჩევდა და ვიყავი ზებუნებრივი ძალით დამონავებული. ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევა, ყოველი ჩემი ცდა ამაო იყო. უსიტყვოდ, ხელის კვრით ჩამაგდეს საფლავში. გრუხუნით დაგენარცხე კუბოს სახურავს. მათ კი იმწამსვე მიწა დამაკარეს ზემოდან და ორმოს ამოვსებას შეუდგნენ. ვერავინ მამჩევდა, არც ერთს არ ესმოდა ჩემი ძახილი, მაყრიდნენ და მაყრიდნენ ზემოდან მიწის გოროხებს. მე მოუსვენრად ავწრიალდი, ხელფეხი ავიქნიე და... გამომეღვიძა.

გარეთ ლონდონის მერთალი განთიადი დამდგარიყო და ფანჯრებზე ჩამოფარებულ ფარდებს შორის დარჩენილი ღია ადგილებიდან ოთახში ცივი მონაცრისფრო შუქი იჭრებოდა. წამოვდექი, მაგრამ კარგახანს გონს ვერ მოვედი, სად ვიყავი. ვერასგზით ვერ მოვისაზრე, რას წარმოადგენდა ეს უზარმაზარი, დახლებით, ერთმანეთზე მიწყობილი ქსოვილთა თოვებით, ბალიშთა გროვით, რეინის დასაკეცი საწოლებითა და ათასი სხვა ნივთით გამოქვედილი შენობა. მერე ყველაფერი გამასხენდა, გამოვფხიზლდი და თითქმის იმავ წამს ნაბიჯების ხმა მომესმა.

მოშორებით, იმ განყოფილებაში, რომელიც დღის შუქით უფრო კარგად იყო განათებული (ზოგ განყოფილებაში უკვე მოესწროთ ფარდების აწევა), ორი კაცი დაგინახე. ისინი ჩემი ოთახისაკენ მოემართებოდნენ. მაშინვე წამოგხტი, ირგვლივ მიმოვიხედე და გასაქცევის ძებნა დავიწყე. როგორც ხანს, ჩემმა ამოძრავებამ მათი ყურადღება მიიქცია. მგონი მოასწრეს და თვალი მოკრეს, როგორ გავიქცი მეორე მხარეს.

— ვინა ხარ?! — დაიყვირა ერთმა.

— შეჩერდი! — მიაყოლა მეორემაც.

მე კუთხეში შევუხვიე დე შევეჯახე თხუთმეტიოდე წლის გამხდარ ბიჭს. არ დაგავიწყდეთ, რომ სახე არა მქონდა. ბიჭმა შეკივლა და გულწასული იატაკზე დაენარცხა. მე კი ისევ სირბილით განვაგრძე გზა. ხელახლა შევუხვიე კუთხეში, დავინახე, რომ დარბაზში არავინ იყო და დახლის ქვეშ გავწექი. არ გასულა დიდი ხანი, რომ ნაბიჯების ხმა გავიგონე: „რა მოხდა? რა ამბავია?!“ „დახურეთ ყველა კარი!“ ისმოდა ყოველი მხრიდან. მერე ყველანი დარბაზში შემოცვივდნენ, დადგნენ და დაიწყეს ბჭობა იმაზე, თუ როგორ დავეჭირე.

გაუნდრევლად ვიწექი იატაკზე და ისე ვიყავი შეშინებული, რომ აზროვნების უნარიც დამკარგოდა. იქნებ უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ აზრადაც არ მომივიდა, რომ ყოველგვარი ხიფათის თავიდან ასაცილებლად ტანსაცმლის გახდა იყო მხოლოდ საჭირო. აღბათ, იმიტომ, რომ გადაწყვეტილი მქონდა, უნივერმალიდან ჩაცმული გავსულიყავი და ამ წინაგანზრახვით შებოჭილმა სამოსის გახდა ვერ მოვისაზრე. უცებ დახლსა და თაროებს შორის ვიწრო გასასვლელში ვიღაცამ დაიღრიალა: „აქ არის, აქ!“

მე სწრაფად წამოვხტი, დავავლე ხელი იქვე დახლზე შემოდგმულ სკამს და პირდაპირ თავში გავუქანე იმ სულელს, რომელმაც პირველმა შემამჩნია; შევბრუნდი. კუთხეში მეორე კაცს შევეფეთე, მასაც ძლიერად ვგარი ხელი და კიბეებზე ავეარდი. კაცმა თავი შეიმაგრა, წამოიყვირა და უკან დამედევნა. კიბის თავზე თვალში მეცა დახლზე დაწყობილი ფერად-ფერადი ქოთნები, აი, იმისა... — ყვავილის იქნებოდა, — თქვა კემპმა.

— დიახ, დიახ, ყვავილის ქოთნები. პოდა, ბოლო საფეხურზე რომ დავდგი ფეხი, იქვე დავდექი, ამოვარჩიე ყველაზე მოზრდილი ქოთანი და ჩემს მდევარს ზედ სულელ თავზე დავანარცხე. იმ ერთ ქოთანს სხვებიც მივაყოლე. ყვირილისა და ნაბიჯების ხმა კი თანდათან მიახლოვდებოდა. მე გიჟივით გავქანდი სასაუზმე ოთახისექნ, ვიფიქრე, იქ ჯერ არავინ იქნება-მეთქი. მაგრამ კარი შევაღე თუ არა, თეორ ხალათში გამოწყობილი მზარეულის წინ აღმოგნდი. არც იმას დაუყოვნებია და სხვებივით ისიც ყვირილით უკან დამედევნა. მე არაჩვეულებრივი სისწრაფით მოვტრიალდი, გავიქეცი და პირდაპირ რკინა-კავეულობის განყოფილებაში შევვარდი. დახლს ამოვეფარე და მზარეულის გამოჩენას დაველოდე. ისიც მალე გამოჩნდა, ჩემს მდევართა მოელ ჯოგს წინ დიდი როსხონით მოუძღვდა. ორი მოზრდილი ლამპა სახეში ზედიზედ ვესროლე. მზარეული დაეცა, ხოლო მე დახლს ამოვეფარე და სასწრაფოდ შევუდექი ტანსაცმლის გახდას. ქურთუკის, შარვლისა და ფეხსაცმელების გაძრობა არც ისე გამიჭირდა; რაც შეეხება შალის საცვლებს, ისინი ხომ საკუთარი ტყავივით მოგეკვრებიან ტანზე. ჩემი მდევრები კი თანდათან მიახლოვდებოდნენ. შიშისა თუ ძლიერი დარტყმისაგან გონდაკარგული მზარეული უწინდებურად დახლის იქითა მზარეს ეგდო. მე დამფრთხალი კურდღელივით ისევ გაძცევით ვუშველე თავს.

— აქეთ, აქეთ, პოლიციელო! — დაიძახა ვიღაცამ.

მე ხელმეორედ მოვხვდი აგეჯეულობის განყოფილებაში. რიგში ჩამწერივებულ საწოლთა ბოლოში ტანსაცმლის კარადების ტყე აღმართულიყო. კარადის უკან იატაკზე გავწექი და დიდი ვაივაგლახით გავიხადე საცვლები, ასე რომ, როდესაც დერეფანში პოლიციელი და სამი ხოქარი გამოჩნდა, უკვე სრულიად შიშველი ვიდექი და შიშისაგან მაძაგძაგებდა. ისინი იატაკზე დაგდებულ საცვლებს ეცნენ. „არამზადა, ნაქურდალს გზადაგზა ტოვებს, — თქვა ერთმა ხოქარმა, — აუცილებლად სადმე აქ იქნება, შორს გერსად წავიდოდა“.

მაგრამ მათ მაინც ვერ მომნახეს.

ვიდექი და ოვალურს ვადევნებდი, რა გულმოდგინედ მეძებდნენ თოხივენი. თან ჩემს ბედს ვწყევლიდი, ასე ხელცარიელი რომ დამტოვა. როცა მათი ცქერა მომწყინდა, სასაუზმეში შევედი, ცოტაოდენი რდე დავლიკ, ცეცხლთან ჩამოვჯექი და დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა მომემოქმედა.

დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ოთახში ორი ნოქარი შემოვიდა. მათ ჩემს გაპარვაზე დაიწყეს საუბარი. ღმერთო, რა სისულელეს არ როშავდნენ! ძალაუნებურად ვუსმენდი, როგორ აზიადებდნენ ჩემი ქურდობის ამბავს, როგორ ცდილობდნენ გაეგოთ, სად ვიმალებოდი ან ვინ ვიყავი. შემდეგ ისევ ფიქრს მივეც თავი. მთელი შენობა ისე იყო განლაგებული, გასასვლელებში იმდენი შვეიცარები იდგნენ და ნოქრები ჩემს გამო უკვე ისე გაფაციცებით უთვალურებდნენ საქონელს, რომ შეუძლებელი იყო იქიდან რაიმეს აღება და გატანა. საწყობშიც ჩავედი, იქნებ იქ შევძლო-მეთქი ტანსაცმლის მოპარვა. მაგრამ მათი კონტროლის სისტემას ვერაფერი გავუგა და გამოვბრუნდი. თერომეტი საათისათვის, როდესაც ქუჩებში თოვლი დადნა და ოდნავ დათბა, გადავწყიო უნივერმალიდან გავსულიყავი. იქ მეტხანს დარჩენა დროის ტყუილად დახარჯვა იქნებოდა და მეტი არაფერი. ამდენი მარცხით გადიზიანებულსა და გამოფიტულს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა მომავალზე.

თავი ოცდამესამე დრიური-ლენზე

— ახლა ხომ ხვდებით, რა არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, — განაგრძო უჩინარმა. — არ გამაჩნდა არც თავშესაფარი, არც ტანისამოსი; ტანისაცმელი რომ ჩამეცვა, ხელი უნდა ამეღო ყველა იმ უპირატესობაზე, რასაც უჩინარობა მანიჭებდა, და გადაგქცეულიყავი რაღაც უცნაურ, საშინელ არსებად. ხანდახან არაფერს ვჭამდი. საჭმელი ხომ გაუმჯორვალე ნივთიერებაა და კუჭ-ნაწლავი რომ იმით ამევსო, ყველა შემამჩნევდა.

— ეს კი აზრად არ მომსვლია, — თქვა კემპა.

— არც მე. თოვლმა სხვა ხიფათზეც მიმანიშნა: არ შემეძლო გავსულიყავი გარეთ, როცა თოვდა. თოვლი სხეულზე მედებოდა და თვალისათვის შესამჩნევი ვხდებოდი. წვიმაც ამჟღავნებდა ჩემს არსებობას; წყლის ზოლებით შემომიხავდა კონტურებს და ადამიანის პრიალა ზედაპირს — გამჭვირვალე ბუშტს მამსგავსებდა. ასევე ნისლი. ნისლის დროს მქრქალი ფერის ბუშტს, ადამიანის გამჭვირვალე ანარეკლს ჩამოვგავდი. ამას გარდა, ნაწვიმარ ქუჩებში სიარულისას, — ლონდონის პირობებში, — ფეხები მიტალახიანდებოდა, ხოლო მშრალ ამინდში მტვრისა და ჭუჭყისაგან ვისვრებოდი. ზუსტად არ ვიცოდი, რამდენ ხანში გავხდებოდი გამვლელთაოვის შესამჩნევი; მაგრამ იმას კი ვხვდებოდი, რომ ასეთი წამი შორს არ იყო, მით უმეტეს, ლონდონში.

მე გავწიე გრეიი პორტლენდ-სტრიტის მახლობლად მდებარე მიურუებული უბნებისაკენ და იმ ქუჩაზე მოვხვდი, რომელზეც უწინ ვცხოვობდი. მაშინვე გზიდან გადავუხვიე, რადგან ჩემს მიერ ცეცხლმოკიდებული სახლის მხრიობავი ნანგრევების ირგვლივ ჯერ კიდევ ფუსფუსებდა ხალხი. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ტანისაცმლის შოვნა, მაგრამ რა უნდა მომეხრებინა ჩემი სახისათვის? უეცრად თვალი მოვპარი სხვადასხვა საქონლით მოვაჭრე ფარდულს. აქ პქონდათ ყველაფერი: გაზეობი, ტკბილეულობა, საკანცელარიო ნივთები, სათამაშოები, ნაძვის ხის მოსართავი ნათურები და, ვინ მოთვლის, კიდევ რა. ვიტრინაში გამოეფინათ მუყაოს ათასგარი ცხვირები და ნიღბები. ამ სანახობამ ისევ ის აზრი გამახსენა, უნივერმალის საბავშვო განყოფილებაში რომ დამებადა. სწრაფად შევტრიალდი და სტრენდის ჩრდილოეთით ყრუ შუკებს მივყვი. მახსოვდა, რომ სადღაც იმ ადგილებში თვატრალური

კოსტიუმების მაღაზიები უნდა ყოფილიყო. ხალხმრავალ ქუჩებს უწინდებურად ვერიდებოდი.

სუსხიანი დღე იდგა. ჩრდილოეთის ქარი მვალსა და რბილში ატანდა. ჩქარა მივდიოდი, რომ უკან მომავალნი ზურგში არ დამჯახებოდნენ. ყოველი გზაჯვარედინი უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა, ყოველ გამვლელზე თვალი უნდა მქეროდა. ბედფორდ-სტრიტის დასაწყისში ვიღაც კაცი მოულოდნელად შემობრუნდა და ისე ძლიერად შემუჯახა, რომ ტროტუარიდან გადამაგდო.

სწორედ ამ დროს ეტლმა გამოიარა და კინადამ გამსრისა. მეტლებმა დაინახეს, როგორ წაბორძიკდა ტროტუარზე მიმავალი კაცი. ჯერ გაუკვირდათ, მაგრამ მერე იფიქრეს, გული აუფრიალდა ან თავბრუ დაეხსაო, რადგან წაბორძიკების ნამდვილ მიზეზს ვერ მიხვდნენ. ამ მოულოდნელმა შეჯახებამ ისე ამაღელვა, რომ კოვენტ-გარდენზე მივიყუჟ: შიშის, დაღლილობისა და სიცივისაგან ქოშინი ამიტყდა. ვიგრძენი, მაგრად გავციებულიყავი და გადავწევიტე, რაც შეიძლება, მალე გავცლოდი იქაურობას, რომ ამდენ ხალხში ცემინებითა და ხელებით კინმეს ყურადება არ მიმეკრო.

ბოლოს, როგორც იქნა, მივაგენი პატარა ჭუჭყიან სავაჭროს, რომლის ფანჯრებიც თეატრალური კოსტიუმებით, ყალბი სამკაულებით, პარიკებით, ჩექმებითა და მსახიობთა სურათებით იყო გამოვსებული. ამ ბნელ, დაბალჭერიან ჭუჭყიან ფარდულში უამრავ ბუზებს მოენახა საზამთროდ თავშესაფარი. ფარდულს ზემოდან კიდევ ოთხი სართული ჰქონდა დაშენებული. მე ფანჯრიდან შევიტვრიტე. ოთახში ვერავინ დავინახე და შესვლა გადავწვიტე-კარის შეღებისას ზარძა დაიწკრიალა. კარი ღიად დავტოვე და კუთხეში მაღალ სარკეს ამოვეფარე. ერთხანს არავინ გამოჩენილა. შემდეგ მძიმე ნაბიჯების ხმა გავიგონე და გმერდითა კარიდან ოთახში ხნიერი კაცი შემოვიდა.

წინდაწინ ვიცოდი, რაც უნდა გამექათებინა. გადაწყვეტილი მქონდა, ზედა
სართულზე ავპარულიყავი და დამეცადა, სანამ ირგვლივ ყველაფერი
მიწენარდებოდა. მერე უშიშრად შევძლებდი პარიკის, ნიღბისა და ტანსაცმლის
ამორჩევას. თავიდან ფეხებამდე გამოწყობილი ქუჩაში გავიდოდი, — იქნებ
სულელური შესახედაობაც მექნებოდა, მაგრამ მაინც ადამიანს ვემსგავსებოდი,
— და გულდამშვიდებული დაგუვებოდი ქუჩებს. სხვათა შორის, იმასაც
გვიქრობდი, რომ სავაჭროს სალაროდან ვუჭის მოვიპარავდი.

ოთახში შემოვიდა დაბალი, კუზიანი კაცი. საოცრად გრძელი ხელები და მოკლე, მოღუნული ფეხები ჰქონდა. ჩანდა, ზარმა ჭამის დროს მოუსწრო. კუზიანი შეა ითახში დადგა და ირგვლივ მიმოიხდა. როდესაც ვერავინ დაინახა, სახის ნაკვთები დაეძაბა და გაოცებისაგან თვალები დაუმრგვალდა. შემდეგ კბილები გააღრმიალა, ეშმაკმა დალახვროს ის ლაწირაკებიო, — ჩაიბუზდუნა და ლიად დარჩენილ კარს მიუახლოვდა. თვალი მოავლო ქუჩის ორივე მხარეს; ისევ შემობრუნდა ფარდულ ში, კარი ქუსლის კვრით მიაჯახუნა და ზედა სართულისკენ აუყვა კიბეებს. თავშესაფრიდან გამოვედი და უკან გავყევი. ჩემი ფეხის ხმაზე ის ერთ ადგილას გაქვავდა. მოხუცის მახვილი ყურთასმენით გაოცებული, მეც გავჩერდი. მან ერთხანს დააყოვნა, მერე ზედ ცხვირთან მომიხურა კარი.

გაოგნებული ვიდექი კიბის თავზე და არ ვიცოდი, რა გამექვთებინა. უკრალ ფეხის ხმა მომესმა. კარი გაიღო და ზღურბლზე ფარდულის მოხუცი მეპატრონე გამოჩნდა. მან თვალი მოავლო ოთახს, ბუზღუნ-ბუზღუნით ხელმეორედ ჩავიდა კიბეზე და დახლის ქვეშ შეიხედა. ყოველი კუთხე დაიარა, ნახა, რომ არავინ იყო, მაგრამ მაინც დაეჭვებული იყურებოდა აქეთ-იქით. კიბეზე ჩასვლისას კარი დია დარჩა და მე უჩუმრად შევძვრი თთახში.

ეს იყო მეტად უცნაური, დარიბულად მოწყობილი პატარა ოთახი. ერთ-ერთ კედელზე რამდენიმე ნიღაბი ეკიდა, მაგიდაზე მოხუცის მიერ მიტოვებული საუზე იდო. წარმოიდგინეთ, კამპ, როგორ დამტანჯავდა იმ მშენებ კაჭზე

საჭმლის დანახვა, ყავის ორთქლის სასიამოვნო სურნელის ყნოსვა და იმისი მოლოდინი, თუ როდის შემოვიდოდა მოხუცი და გააგრძელებდა ჭამას. ჭამით კი საკმაოდ უმაღლედ ჭამდა.

ოთახში სამი კარი იყო. ერთი ზედა სართულზე ამავალ კიბეზე გადიოდა, დანარჩენი ორი ქვედა სართულზე გაგიყვანდათ. სამივე კარი დაკეტილი დამხვდა. სანამ მოხუცი ოთახში იმყოფებოდა, მე ვერაფრით ვერ გავიდოდი. ის კი არა, განძრევისაც მეშინოდა, რადგან კარგად ვიცოდი მისი ყურთასმენის ამბავი. ვიდექი და ზურგში საიდანლაც ქარი მიბერავდა. ორჯერ კინაღამ დამაცემინა კიდეც.

მთელი იმ ხნის განმავლობაში მეტად უჩვეულო და საინტერესო აზრები მიტრიალებდა თავში, მაგრამ ამასთან ერთად საშინლად დაღლილი და გაბრაზებული ვიყავი. მოხუცი კი ჭამდა და ჭამდა. ბოლოს ძლივს ამოიყორა მუცელი, დარიბული ჭურჭელი რეკინის შავ სინზე დააწყო, მდოგვის ლაქებით მოსვრილი სუფრიდან პურის ნამცეცხბი აკრიფა და კარისკენ დაიძრა. შევატყვე, ძალიან უნდოდა გასვლისას კარი მიეხურა, მაგრამ ხელები დაკავებული ჰქონდა და ვერ მოახერხა. კაცი არ მინახავს, რომ ასე ჰყვარებოდეს კარის მიხურვა. გავიდა თუ არა, კვალდაკვალ ფეხაკრეფით მიყვევი და მოვხვდი ბინძურ, ბნელ სამზარეულოში. იქ ბედნიერება მქონდა, მეცქირა, როგორ რეცხავდა ჭურჭელს ჯეზიანი. როცა მივხვდი, რომ სამზარეულოში სახეიროს ვერაფერს ვნახავდი, ისევ ძალლა ავედი და ბუხართან მიღმელ საგარძელებელში ჩავჯაჭი. ცეცხლი უავა ილეოდა და დაუფიქრებლად ბუხარში ნახშირის რამდენიმე ნატეხი შევაგდე. ხმაურზე მოხუცი იმწამსვე მაღლა ამოვარდა. თვალებდაჭყეტილი ჯერ აქეთ-იქით იყურებოდა. შემდეგ ოთახში სიარულს მოჰყვა. ერთხელ კინაღამ შემუჯახა კიდეც. საგულდაგულოდ შეამოწმა ოთახი, მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა. გასვლისას ზღურბლზე შედგა და სანამ კიბეს დაუყვებოდა, ერთხელაც მიმოიხედა.

ასე მეგონა, მთელი საუკუნე ვიჯექი ოთახში. ბოლოს, როგორც იქნა, მოხუცი ამოვიდა და ზედა სართულზე ასავლელი კარი გამოაღო. ფეხაკრეფით გავძვერი ღია კარში და თავი კიბეებზე ამოვყავი.

ფარდულის მეპატრონე ჩემს წინ მიდიოდა. სამი საფეხური არ მქონდა ავლილი, რომ მოულოდნებლად შეჩერდა. მე ცოტა დამაკლდა, ზურგიდან არ შევასკდი. მოხუცი შემობრუნდა და შიგ სახეში მომაშტერდა, თან ყურზე ხელისგული აიფარა, რომ ხმაური უკეთ გაეგო. „მზად ვარ, დავითიც“... — თქვა და ყურიდან ჩამოდებული ხელით ქვედა ტუჩის წიწკას მოჰყვა. თვალი კიბეს მიმოავლო, მერე რაღაც ჩაიჩურჩულა და გზა განაგრძო.

ხელი უკვე კარის სახელურზე ედო, როცა ხელმეორედ შედგა და უკან მოიხედა. სახეზე უწინდებურად გაოცება და აღელვება ეხატებოდა. როგორც შევატყვე, ოდნავ ჩემსაც ვერ გამოაპარებდა კაცი. ეს ადამიანი მართლაც საუცხოო სმენით იყო დაჯილდოებული. უცებ თავი ვეღარ შეიკავა და გაბრაზებულმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა: „თუ აქ ჩემს გარდა ვინმე არის...“ თან ერთი ლაზათიანად შეიკურთხა, მაგრამ მუქარა ბოლომდის არ დაუმთავრებია, აკანკალებული ხელებით ჯიბეები მოისინჯა, ალბათ, რაღაც დაავიწყდა და ქვემოთ ჩავიდა. მე კი იქვე, კიბის თავზე ჩამოვჯექი და მის ამოსვლას დაველოდე.

მოხუცი მაღე დაბრუნდა. კარი გააღო და ისე სწრაფად მოხურა, რომ შესვლა ვერ მოვასწარო.

სხვა გზა არ მქონდა, ისევ ქვედა სართულზე მოთავსებული ოთახების დაოვალიერებას შევუდექი. ამ საქმეს კარგა ხანი მოვანდომე, რადგან ყოველნაირად ვცდილობდი არ მეხმაურა. სახლი ისეთი ძველი და ნეხტიანი იყო, რომ კედლებს შპალერი აძრობოდა. ალბათ, შენობაში თაგვებიც ბლომად იყვნენ. ეტყობა, კარის სახელურები დაჭანგებული იყო, ძნელად ტრიალდებოდა,

ამიტომ კარის გაღებისას ძალიან ვფრთხილობდი. ზოგი ოთახი სრულიად ცარიელი იყო. ზოგში კი უწესრიგოდ ეყარა თეატრის ხარახურა. დასაძინებელი ოთახის გვერდით ოთახში გროვად დაყრილ ძველმანებს წავაწყდი. ჩერეკა დავუწყე კაბების ერთ-ერთ გროვას და ისე გავერთე, სრულიად გადამავიწყდა, რა ყურთასმენის აპტონთან მქონდა საქმე. არ გასულა ხანი, რომ ქურდული ნაბიჯების ხმა მომესმა. განზე გავიხედე და სწორედ დროზე შეგნიშნე მოხუცი. იგი ჩემსკენ მოემართებოდა, მისხერებოდა იატაკზე უწესრიგოდ მიმოყრილ კაბებს და ხელში ძველისძველი რევოლუციი მოემარჯვებინა. სანამ პირდაღებული და ეჭვით შეპყრობილი ოთახს ათვალიერებდა, მე გაუნძრევლად ვიდექი. „როგორც ჩანს, ის ქალია, — ჩაიჩურჩულა მან, — ეშმაკმა დალახევროს“.

ოთახიდან გასვლისას კარი გაიხურა და გასაღებით ჩაკეტა. იმწამსვე მიგხვდი, რა მდგომარეობაშიც ჩავვარდი. წუთით ვერ მოვიფიქრე, რა მექნა. მერე ფანჯარას მივუახლოვდი, გადავიხედე და გაოგნებული ისევ კარს მივაღექი. სიბრაზემ ამიტანა, თუმცა იმის მოსაზრების თავი მაინც მქონდა, რომ სანამ რაიმეს გაკეთებას გადავწყვეტდი, ტანსაცმლის ამორჩევა დავიწყე. თაროდან ყუთის ჩამოდების პირველივე ცდამ მოხუცის ყურადღება მიიპყრო. უწინდელზე უფრო გაშმაგებული შემოვარდა ოთახში და ამჯერად შემთხვევით ჩემს ხელს შეეხო. შეშინებულმა ოდნავ წამოიყვირა, უკან გახტა და გაოცებული ოთახის შუაგულში დადგა.

მალე ცოტათი დამშვიდდა. „თაგვებია“, — თქვა და ტუჩებზე თითო მიიდო. მე ფეხაკრეფით გავგვერი დია კარისკენ, მაგრამ ზედ ზღურბლზე იატაკის ფიცარმა გაიჭრაჭუნა. მაშინ იმ კუდიანმა მთელ სახლში დაიწყო ბორიალი. რევოლვერს ხელიდან არ უშვებდა და ყოველი ოთახის კარს გასაღებით კეტავდა. უცებ მიგხვდი, ამითი რისი გაკეთებაც უნდოდა, და კინაღამ გავგიჟდი. ძლივს მოვახერხე თავის შეკავება, რომ ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გამეშვა. მოხუცი მარტო ცხოვრობდა; ამიტომ ბევრი აღარ დამიყოვნებია და, წინ ჩამიარა თუ არა, თავში დავკარი.

— თავში დაჲკარით?! — წამოიძახა კემპმა.

— დიახ, დავარეტიანე. კიბეზე რომ ჩადიოდა, პირდაპირ თავში ვუთავაზე სკამი. საწყალი, ძველი ფეხსაცმელებით გამოტენილი ტომარასავით გაგორდა.

— მაპატიეთ, მაგრამ... ბატონო ჩემო, ჩვეულებრივი, ადამიანური ჰუმანურობა...

— ჩვეულებრივი ადამიანური ჰუმანურობა ჩვეულებრივი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. დიახ, ბატონო ჩემო, ასეა! გამიგეთ, კემპ, მე ყოველი ღონე უნდა მეხმარა, რომ იმ სახლიდან გავსულიყავი. გავსულიყავი თავიდან ფეხებამდე შემოსილი და თანაც შეუმჩნევლად. სხვა გზა არ მქონდა; არც დრო იყო იმისა, რომ სხვა გზა მექებნა. ამიტომაც პირში ლუდოვიკო

მეთოთხმეტისდროინდელი კამზოლი ჩავჩარე და ზეწარში გავახვიე.

— ზეწარში გახვიეო?

— დიახ, ზეწარში, თან ბოლოებიც გავუნასკვე. ამით კარგადაც შევაშინე ის გამოყეუჩებული მოხუცი და თავის დაღწევის საშუალებაც მოვუსპე. ვეღარც ყვირილს შეძლებდა, ვეღარც ხელ-ფეხის განძრევას. ძვირფასო კემპ, ისე მიყურებთ, თითქოს კაცის მკვლელი ვიყო. რაღა დამრჩხოდა. მოხუცი ხომ რევოლვერით იყო შეიარაღებული. რომ დავენახე, დაიმახსოვრებდა ჩემს ჩაცმულობას, აუხსნიდა პოლიციას და...

— და მაინც, — შეაწყვეტინა კემპმა. — ინგლისში! ჩვენს საუკუნეში! განა ის კაცი თავის საკუთარ სახლში არ იყო? თქვენ კი... თქვენ ის გაძარცვეთ!

— გავძარცე? ცდებით! იქნებ ქურდიც მიწოდოთ, ა? დარწმუნებული ვარ, ისეთი სულელი არ ბრძანდებით, რომ ძველ შეხედულებებს ეპოტინებოდეთ. ნუთუ ვერ ხვდებით, რა მდგომარეობაშიც ვიყავი?

— ვხვდები, მაგრამ ვხვდები იმ მოხუცის მდგომარეობასაც, — უპასუხა კემპმა.

უჩინარი ადგილიდან წამოვარდა.

— რისი თქმა გინდა ამით?!

კემპს წუთით სახეზე მრისხანებამ გადაუარა. უნდოდა ეპასუხა, რაც გულში ჰქონდა, მაგრამ დროზე მოვიდა გონს და თავი შეიკავა.

— მართლაც, ყველაფერი ისე წაეწყო, — თქვა და საოცარი ოსტატობით შეცვალა საუბრის კილო, — რომ სხვა გზა აღარ გქონდათ. თუმცა...

— რა თქმა უნდა, გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, საშინელ, გამოუვალ მდგომარეობაში! იმ მოხუცმა მოთმინებიდან გამომიყვანა. გიჟივით დამდევდა უკან, თავის ჯაბახანა რევოლვერს უშნოდ ატრიალებდა და კარებს კეტავდა. განა შეიძლება ჩემი გამტყუნება? ხომ არ მამტყუნებო, კემპ?

— მე არასდროს არავის ვამტყუნებ, — უპასუხა კემპმა. — ასეთი რამ მოდაში ადარა. მერე, მერე რა პქენით?

— ძალიან მშიოდა. სამზარეულოში ცოტაოდენი პური და აყროლებული ყველის პატარა ნატეხი ვიპოვე. ესეც საკმარისი იყო, რომ შიმშილი მომეკლა. პურსა და ყველს წყალგარეული ბრენდი დავაყოლე და ისევ იმ ოთახისკენ გავწიე, სადაც გროვებად ეყარა ძველი ტანსაცმელი. გზად ჩემს მიერ სახელდახელოდ გამოკრულ ფუთას, ზეწარში გახვეულ მოხუცს ჩავუარე, რომელიც გაუნძრევლად უგდო. ოთახის ფანჯრები ქუჩას გადაჭყურებდა. ფანჯრებზე მაქმანშემოვლებული ჭუჭყიანი ფარდები ეკიდა. მე ქუჩაში გავიხედე. ოთახის არასასიამოვნო ბინდუნდოთან შედარებით გარეთ ნათელი, თვალისმომჭრელი დღე იდგა. ქუჩა მეტისმეტად გამოცოცხლებული მომეჩვენა: სწრაფად მიმოქროდნენ ორთვალა ეტლები, თევზით მოვაჭრეთა ფურგონები და ოთხთვალები, რომლებზეც დიდორნი ყუთები შემოედოთ. ამ სანახაობამ გამაბრუა, თვალები ამიჭრელა და ფანჯარას მოვცილდი. თაროებს მივუბრუნდი. ოთახში ბენზინის სუნი ტრიალებდა. ბენზინს, ალბათ, ტანსაცმლის გასაწმენდად ხმარობდა მოხუცი. უკვე სრულიად დამშვიდებული ვიდექი და ვფიქრობდი, რა გამეპეთებინა.

ხელმეორეედ გადავჩხრიკე ტანსაცმლის გროვა. ეტყობოდა, მოხუცი დიდი ხანია მარტო ცხოვრობდა. საინტერესო პიროვნება იყო. ყველაფერი, რაც კი გამომადგებოდა, ერთად შევაქუჩე. მერე გადარჩეული ტანსაცმლიდან საუკეთესოს ამორჩევა დავიწყე. ზედა სართულზე წაგაწყდი სამგზავრო ჩანთას, ფერუმარილს, დენდრასა და წებოვან სალბუნს.

ჯერ ვიფიქრე სახეზე გრიმი გამეკეთებინა, მაგრამ მაშინვე მომაგონდა, რომ ეს არც ისე ხელსაყრელი იქნებოდა. სახიფათო შემთხვევაში გაუჩინარება რომ დამჭირვებოდა, მუდამ თან უნდა მქონოდა სკიპიდარი და სხვა სათანადო საშუალებანი. ამის გარდა, გრიმის ჩამოწმენდას დრო სჭირდება. ბოლოს ერთი ნიღაბი ამოვირჩიე. სასაცილო შესახედავი იყო, მაგრამ არა იმაზე სასაცილო, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობა. ამოვირჩიე დიდორნი მუქი სათვალეები, ჭადარაშერეული ქილვაშები და პარიკი. თეთრეული ვერსად ვიპოვნე, თუმცა მისი შოვნა შემდეგაც შემეძლო. ამიტომ ბევრი არ მიწუხია და ჯერჯერობით იმ ტანსაცმლით დავკმაყოფილდი, რომელიც ხელთ მოვიგდე. ტანთ ქურთუკი ჩავიცი, ყელზე შარფი შემოვიხვიე, ხოლო ფეხები მოხუცის მაღალყელიან ფეხსაცმელებში ჩავყავი. საბედნიეროდ, მე და იმ კუზიანს ერთი ზომის ფეხი აღმოგვაჩნდა. სავაჭროს სალაროში სულ სამი სოვერენი ეგდო, მაგრამ, როცა საწოლ ოთახში კარადის უჯრა გავტეხე, შიგ რვა ფუნტი ოქრო ვიპოვე. ამგარად, მე თავისუფლად შემეძლო ქალაქის ქუჩებში გასვლა.

წუთით მაინც შემიპყრო ეჭვმა. რამდენად სარწმუნოა-მეთქი ჩემი გარეგნობა, გავიფიქრე და კედელზე ჩამოკიდებულ პატარა სარკეში ჩავიხედე. არაფერი გამომრჩენოდა. მართალია, საკმაოდ სასაცილო ვიყავი, — სცენიდან

ცხოვრებაში გადმოსულ მათხოვარს ვგავდი, — მაგრამ მაინც ადამიანის შესახედაობა მქონდა, ეს კი ჩემთვის საგსებით საკმარისი იყო. სარკიო ხელში, დამშვიდებული ჩავედი ქვედა სართულზე და კიდევ ერთხელ შევათვალიერე ჩემი თავი. მერე გამბედაობა მოვიკრიბე, კარი გამოვადე და ქუჩაში გავედი. ხუთი წუთის განმავლობაში ყოველ გზაჯვარედინზე მოსახვევს ვაფარებდი თავს და ვცდილობდი, რაც შეიძლება მალე გავცლოდი იმ უბანს. ჩემი გარეგნობა არავის ყურადღებას არ იპყრობდა. ასე რომ, უკანასკნელი საშიშროებაც გადალახული იყო.

უჩინარი დადუმდა.

— ნუთუ სრულიად არ დაგაინტერესათ იმ საწყალი მოხუცის ბედმა? — პჰითხა კემპმა.

— არა, — უპასუხა უჩინარმა, — არც ვიცი, რა შეემოხვა. ალბათ, გაინთავისუფლა თავი და გამოძვრა ზეწრიდან.

იგი ისევ დადუმდა, წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა და გაიხედა.

— მერე? მერე რა მოხდა?

— მერე?.. ეჭ, ისევ და ისევ უიღბლობა! გულგატეხილობა! მეგონა, ყოველგვარი ხიფათი, ყოველგვარი დაბრკოლება გადავლახე-მეთქი. მეგონა, თავისუფლად ავისრულებდი ყეელა სურვილს. ოღონდ ჩემი საიდუმლოება არავინ გაიგოს და ყველაფერს გავაკეთებ-მეთქი, ასე ვფიქრობდი. ან კი ვისი უნდა შემშინებოდა, ვინ რას დამაკლებდა. განა საკმარისი არ იყო, გამეხადა ტანისამოსი, რომ ისევ უჩინარი გავმხდარიყავი. ვერავინ დამიჭერა. ფულს საიდანაც მინდოდა, იქიდან ავიღებდი. ამ აზრებით გამხნევებულმა გადავწყვიტე, ჩემი თავისთვის საუცხოო სუფრა გამეშალა, მექეფა; შემდეგ საუკეთესო სასტუმროში წავსულიყავი და საუკეთესო ოთახები დამექირავებინა. იმწუთას ყოვლისშემძლე ადამიანი ვიყავი. მართალი გითხრათ, ახლა გახსენებაც კი არ მსიამოვნებს ამისა. დმერთო, რა სულელი კვლეულგარ!. ჰოდა, მახლობელი რესტორნის კარი შევადე, მაგიდას მიგუჯექი, შეგუკვეთე კიდეც საჭმელი და უცებ მომაგონდა, რომ ჭამისას სახიდან აუცილებლად უნდა მომერო ნიდაბი. გული გადამიქანდა. სასწრაფოდ ავდექი, ოფიციანტს კუთხარი ათ წუთში დავბრუნდები-მეთქი და რესტორნიდან გავედი. არ ვიცი, კემპ, ოდესმე თუ გაგცრუებიათ ასე იმედი?

— ასე — არასდროს, — უპასუხა კემპმა. — მაგრამ მაინც წარმომიდგენია თქვენი განცდები.

— მზად ვიყავი მომესპო ის სულელები, ამომეხოცა. ბოლოს, შიმშილით გაწვალებული, სხვა რესტორანში შევედი და ცალკე ოთახი მოვთხოვე. „სახე მაქს დასახიჩრებული“, — ვუთხარი ოფიციანტს და მანაც ცალკე ოთახში მომათვასა. მართალია, ძალიან უნდოდა, როგორმე თვალი მოეკრა ჩემი სახისთვის, მაგრამ ეს უკვე მის უფლებებს აღემატებოდა, და ბოლოს, გაწბილებულმა, საჭმელი მომიტანა. თევშები და დანა-ჩანგალი არ იყო მაინცა და მაინც კარგი, მაგრამ ამას, აბა, ვინ დაეძებდა. როცა დავნაყრდი, სიგარა გავაბოლე და მომავლის გეგმების დაწყობას შევუდექი. გარეთ კი ქარბუქი იწყებოდა.

რაც მეტს ვფიქრობდი, კემპ, მით უფრო ნათლად ვხედავდი, რა უმწეოა უჩინარი ადამიანი სუსხსა, წვიმასა და თოვლში; რა უდონოა იგი დიდ ცივილიზებულ ქალაქში. სანამ ჩემს თავზე ამ ცდას ჩაგატარებდი, უჩინარობა ხელსაყრელ რამედ მიმაჩნდა, მაგრამ გაუჩინარების შემდეგ ყველაფერს მივხვდი. უჩინარობით ათასი რამის შოვნა შემეძლო, შემეძლო ხელთ ჩამეგდო, რასაც მოვისურებდი, მაგრამ იგივე უჩინარობა საშუალებას არ მაძლევდა, გამომეუჯებინა მონაპოვარი. პატივმოყვარეობა?! რა აზრი აქვს საპატიო წოდებასა და დიდებას, თუ იძულებული ხარ, იმალებოდე და უფრთხოდე ყველას? რა აზრი აქვს იმ ქალის სიყვარულს, რომელიც შეიძლება დალილად

იქცეს. მე არ მაინტერესებს არც პოლიტიკა, არც ფილანგოპია, არც მოჩვენებითი პოპულარობა, არც სპორტი, მაში, რა უნდა გამეკეთებინა? განა ამისათვის ვიქეცი გადაცმულ მოჩვენებად, თავიდან ფეხებამდე დაბანდულ, ადამიანის მსგავს არსებად?!

უჩინარი დადუმდა და ხელახლა გაიხედა ფანჯარაში.

— კი მაგრამ, აიპინგში როგორდა გაჩნდით? — საჩქაროდ ჰქითხა კემპმა, რომ სტუმარი ლაპარაკით გაერთო.

— იქ სამუშაოდ გავემგზავრე. ერთი იმედიდა დამრჩენოდა! მართალი გითხრათ, მაშინ ბოლომდე არც კი მქონდა ჩამოყალიბებული ეს აზრი. ახლა კი კარგად ვიცი, რაც უნდა გავაკეთო: უნდა პირვანდელი სახე დავიბრუნო! ესე იგი, როცა უჩინარობის საშუალებით მიზანს მივაღწევ, ძელებური გრიფინი გავხდები. სწორედ ამაზე მინდოდა თქვენთან მესაუბრა.

— მაში იქიდან პირდაპირ აიპინგში გაემგზავრეთ?!

— დიახ. ავიდე საფოსტო განყოფილებაში მიბარებული წიგნები, საბანკო წიგნაკი, ვიყიდე თეთრეული და სხვა საჭირო ნივთები, შევუკვეთე რეაქტივები, რომელთა საშუალებითაც ცდების ჩატარებას ვაპირებდი (როგორც კი ჩანაწერებს დავიბრუნებ, მაშინვე გაგაცნობთ მიღწეულ შედეგებს) და გავემგზავრე. ღმერთო, რა ქარბუქი გრიალებდა, როგორ მიჭირდა ჩემი მუყაოს ცხვირის დაცვა თოვლჭყაპისგან!..

— გაზეოდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, — თქვა კემპმა, — როცა აიპინგში თქვენი საიდუმლოება გამომჟღვნდა, ცოტა არ იყოს...

— დიახ, დიახ, ცოტა არ იყოს... ნუთუ მოკვდა ის სულელი პოლისმენი?

— არა, არ მომკვდარა. ამბობენ უკეთ არისო.

— ბედი პქონია. სულ გამაცოფეს. მაინც რა სულელები იყვნენ! ვერ დამანებეს თავი? რას შემომიჩნდნენ? ფარდულის პატრონს, იმ სულელს რაღა მოუკიდა?

— არც ის მომკვდარა... — უპასუხა კემპმა.

— რაც შეეხება იმ მაწანწალას, — განაგრძო უჩინარმა და ბოროტად ჩაიცინა, — მის შესახებ არაფერი ვიცი... თქვენისთანა კაცი ვერ მიხვდება, კემპ, რა არის ჭკუიდან შეშლა, მოთმინებიდან გამოსვლა... იმუშაო წლების მანძილზე, დააწყო გეგმები და უცებ ვიღაცა სულელი მაწანწალას გამოისობით ყველაფერი დაგენგრეს?! რაც კი სულელი იყო ქვეყანაზე, ყველა წინ გადამედობა, სცადა ხელი შეეშალა. თუ მომავალშიც ამგვარად გაგრძელდება, საბოლოოდ გამოვალ მოთმინებიდან და მაშინ... მაშინ... სათითაოდ გავცელავ იმ არამზადებს. მათი გამოისობით ყველაფერი გაცილებით გართულდა.

თავი ოცდამეოთხეული

გეგმა, რომელიც არ განხორციელდა

— ერთი მითხვარით, — თქვა კემპმა და ცალი თვალით ფანჯარაში გაიხედა, — ახლა რა უნდა გავაკეთო?

სკამი სტუმართან მიაჩოჩა და მხრით ფანჯრის ის ნაწილი დაფარა, რომლიდანაც უჩინარს გზაზე მომავალი სამი ადამიანის დანახვა შეეძლო: კემპს მოეჩვენა, რომ ისინი საშინლად მოზოზინობდნენ.

— მაინც რის გაკეთებას აპირებთ პორტ-ბარდოკში? რაიმე გეგმა თუ გაქვთ?

— აქედან საზღვარგარეთ მინდოდა გავპარულიყავი, მაგრამ რაკი თქვენ შეგხვდით, აღარ წავალ. ვიფიქრე, სამხრეთისკენ გავწევ-მეთქი. თანაც დათბა და შიშველს აღარ გამიჭირდებოდა. აქ ჩემი საიდუმლოება გაიგეს და ყველანი ეჭვის თვალით შეხედავენ სახეახვეულ და ნიღაბაფარებულ კაცს. პორტ-ბარდოკიდან ხომ გადის საფრანგეთისკენ გეგმები. გადავწევიტე რომელიმე მათგანზე დავმჯდარიყავი და საფრანგეთში ჩავსულიყავი. საფრანგეთიდან კი

რკინიგზით ესპანეთში ან ალექანდრეში გავემგზავრებოდი. იქ მთელი წლის განმავლობაში თბილა და ასე არ გამიჭირდებოდა უჩინრად ყოფნა. იმ მაწანწალას, მარველს, ჩემი წიგნებისა და ფულის მოძრავ საწყობად ვაქცევდი, ხოლო როცა კარგად მოვეწყობოდი, იმასაც თავიდან მოვიშორებდი.

— გასაგებია.

— იმ არამზადას კი გამდიდრება მოუნდა, ჩემი გაძარცვა მოისურვა.

წიგნებიც კი მომპარა, კემპ, წიგნები! ოო, ხელო რომ ჩამივარდეს...

— ჯობია, ჯერ წიგნების დაბრუნებაზე იფიქროთ.

— კი მაგრამ, სად არის? ხომ არაფერი იცით იმ მაწანწალაზე?

— რა თქმა უნდა, ის ახლა ქალაქის პოლიციის განყოფილებაშია ჩაკეტილი.

როგორც თვითონ ითხოვა, ყველაზე საიმედოდ დაცულ საკანში ჩასვეს.

— არამზადა! — წამოიძახა უჩინარმა.

— ეს მდგომარეობა ერთგვარად ართულებს თქვენი გეგმის განხორციელებას.

— არა, ჩვენ აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ წიგნები; იმ წიგნების გარეშე ყველაფერი დაკარგულია.

— რასაკირველია, — დაეთან ხმა კემპი. ხმაზე ეტყობოდა, რომ ღელავდა.

ეზოდან ჯერაც ჩამიჩუმი არ ისმოდა. — წიგნები მართლაც აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ. ეგ არც ისე ძნელი საქმეა. მთავარია, მარველმა არ იცოდეს, რომ ისინი თქვენ გჭირდებათ.

— არა, აბა, საიდან ეცოდინება, — თქვა უჩინარმა და ჩაფიქრდა.

კემპი ცდილობდა ხელახლა წამოეწყო საუბარი და ცქმუტავდა; მაგრამ მალე თვითონ უჩინარმა გამოიყვანა მდგომარეობიდან.

— თქვენთან შეხვედრამ მთელი ჩემი გეგმები თავდაყირა დააყენა. თქვენ ის ადამიანი ხართ, ვისაც ჩემი გაგება ძალუბს. წიგნების დაკარგვისა და ჩემი საიდუმლოების მიუხედავად, ყოველივე იმის მიუხედავად, რაც ჩემს გარშემო დატრიალდა, ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეიძლება...

— ოღონდ, თქვენ ვინმესთვის ხომ არ გითქვამთ ჩემი აქ ყოფნის ამბავი? — უცებ შეეკითხა უჩინარი.

კემპმა პასუხი დააყოვნა.

— ხომ შევთანხმდით?! — თქვა ბოლოს.

— მაშ არავისთვის გითქვამთ? — გაიმეორა კითხვა უჩინარმა.

— არც ერთმა სულიერმა არ იცის თქვენი აქ ყოფნა!?

— ჰოდა, მაშინ... — გრიფინი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. — ძალიან შევცდი, კემპ, როცა ჩემი ჩანაფიქრის განხორციელება მარტოკამ ვცადე; რამდენი დრო, ენერგია, შესაძლებლობა დაიკარგა სულ ტყუილად. საოცარია, რა უმწეოა ადამიანი, როცა ის მარტო, წვრილი ქურდობა, ცემა-ტყეპა და მორჩა.

უპირველეს ყოვლისა, კემპ, თავშესაფარი მჭირდება. სახლი, სადაც მშვიდად დავიძინებ, ვჭამ და ვიმუშვებ. გვერდში ისეთი ადამიანი მინდა ამომიდგეს, რომელიც დამესმარება, ჩემი თანამზრახველი და თანამზიარე იქნება. როცა გვერდში ასეთი კაცი გყავს, როცა გაქვს ჭამისა და დასვენების საშუალება, ბევრი, ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეიძლება.

აქამდე გარკვეული მიმართულებით არ მიმოქმედია. ჯერ უნდა გავითვალისწინო ყველაფერი, რაშიც უჩინარობა ხელს შეგვიწყობს, ან შეგვიშლის. ფარულად ყურის დაგდებისთვის უჩინარობა არცოუ ისე გამოსადეგი რამა: ოდნავი მოძრაობა, ოდნავი ხმაური და იმწამსვე დაფრთხებიან. ქურდობაში, მართალია, ძალიან დაგეხმარება, მაგრამ ხიფათისაგან სრულად არა ხარ დაზღვეული. თუმცა ჩემი დაჭერა ძნელი საქმეა, მაგრამ თუ ერთხელ დამიჭირებს, ციხეში ადვილად ჩამსვამენ. უჩინარობა სრულყოფილად შეიძლება გამოიყენო მხოლოდ ორ შემთხვევაში: როდესაც გინდა გაიქცე, თავი დააღწიო, და როცა, პირიქით, გინდა ვინმეს შეუმჩნევლად

მიეკარო. ამგვარად, უველაზე კარგად მას მკვლეობის დროს გამოიყენებ. როგორც არ უნდა იყოს მტერი შეიარაღებული, მე თავისუფლად შევძლებ ხელსაყრელი ადგილის გამონახვას, სადაც მინდა, იქ დავარტყამ, სადაც მომესურვება, დავიმალები და საითაც მომეპრიანება, იქით გავიქცევი.

კემპა ხელი გადაისვა ულვაშზე. ქვემოდან გარკვევით მოესმა ხმაური.

— და უნდა ვხოცოთ კიდევ, კემპ. უნდა ვხოცოთ, რადგან ბევრის თავიდან მოშორება დაგვჭირდება.

— უნდა ვხოცოთ, — გაიმეორა კემპა. — მე გისმენთ, მართალია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გეთანხმებით, რა საჭიროა მკვლელობა?

— არა უაზრო მკვლელობა, კემპ, არამედ წინასწარ განზრახული. ჩვენი მდგომარეობა ასეთია: იმათ იციან, რომ არსებობს უჩინარი, — იციან ისევე კარგად, როგორც ჩვენ ვიცით, — და ამ უჩინარმა უნდა დაამყაროს ტერორი. გამჩნევთ, გაოცებამ შეგიპყროთ, მაგრამ მე არ გეხუმრებით, როცა ვამბობ, ტერორია-მეთქი საჭირო. უჩინარმა ადამიანმა, ამ უდიდესმა ძალამ, უნდა დაიპყროს რომელიმე პატარა ქალაქი, თუნდაც ბარდოკი; დააშინოს მოსახლეობა და დაიმორჩილოს. მან უნდა გამოსცეს და გაავრცელოს თავისი კანონები. საამისოდ ათასი გზა არსებობს — თუნდაც კარის დრიჭოში დაბეჭდილი ფურცლების შეგდება. ვინც კი ურჩობას გაბედავს, მოკლულ იქნება. დაისჯებიან ისინიც, რომლებიც დამნაშავის დაცვას შეეცდებიან.

— ჰმ, — ჩახველა კემპმა და გულში ჩაიცინა. ის შემოსასვლელი კარის ჭრიალს უფრო უგდებდა ყურს, ვიდრე გრიფინის ლაპარაკს.

— ვფიქრობ, თქვენი თანამზრახველის და თანამზიარის მდგომარეობა მაინც და მაინც სახარბიელო ვერ იქნება, — თქვა კემპმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს დიდი გულმოლგინებით უსმენდა სტუმარს.

— არავის არ ეცოდინება, კემპ, რომ ის ჩემი მეგობარია, — ცხარედ შეეგამათა გრიფინი და უცებ გაჩუმდა. — ჩუ! გესმით? ქვემოდან რადაც ხმაური ისმის.

— ალბათ, გეჩვენებათ, აბა, ვინ უნდა იყოს, — თქვა კემპმა და მაშინვე ხამამღლა განაგრძო საუბარი: — ვერ დაგეთანხმებით, გრიფინ, გამიგეთ, რომ არ შემიძლია, დაგეთანხმოთ. აბა, რა საჭიროა, იოცნებო ისეთ რამეზე, რასაც ვერ შესწოდები. ან კი რა იმედი გაქვთ, რომ გაგიმართლებთ? მარტოხელა მგელს თუ დაემსგავსებით, გრიფინ. გამოაქვეყნეთ თქვენი მეცნიერული მიღწევები, გინდათ საქვეყნოდ, გინდათ მხოლოდ ჩვენი ქვემის ფარგლებში, წარმოიდგინეთ, რას მიაღწევთ, როცა გვერდში ამდენი მეცნიერი ამოგიდგებათ...

უჩინარმა ლაპარაკი შეაწყვეტინა:

— კიბეზე ნაბიჯების ხმა ისმის, — თქვა ხმადაბლა. ნეტავ ვინ უნდა იყოს? ახლავე გავიგებთ. — კარს მიუახლოვდა და სახელურისკენ წაიღო ხელი.

მცირეოდენი ყოფანის შემდეგ კემპი უეცრად წინ გადაუდგა გრიფინს. გრიფინი შეცბა, შეჩერდა. მერე გამყიდველოო, დაიყვირა და სავარძელზე დაეშვა.

უჩინარი ტანსაცმელს იხდიდა. კემპი კარისკენ გაქანდა, გრიფინიც გამოედევნა, მას ფეხები უკვე აღარ მოუჩანდა. კემპმა კარი გამოაღო.

ქვემოდან გარკვევით მოისმა ლაპარაკისა და ფეხის ხმა.

მოულოდნელად კემპმა გრიფინს ხელი პირა, ზღურბლზე სწრაფად გადააბიჯა და კარი გარედან დაკეტა. გასაღები წინდაწინ გარედან მოერგო. წუთიც და გრიფინი ოთახში ჩაკეტილი ეყოლებოდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, კარის მიჯახუნებისას გასაღები საკეტიდან გამოვარდა და ხალიჩაზე დაუცა.

კემპს მკვდრის ფერმა გადაპერა: ორივე ხელი სახელურს ჩასჭიდა და სცადა ამ გზით გამოემწევდია უჩინარი. ერთხანს მართლაც შესძლო კარის დაჭერა, მაგრამ შემდეგ დონე თანდათან გამოელია. კარი ჯერ ოდნავ გაიღო და იქედან

წითელი ხალათის მკლავი გამოძვრა. უხილავი თითები კემპს კისერში მისწვდა. ისიც იძულებული გახდა, სახელურისთვის ხელი გაეშვა და თავის დაცვაზე ეზრუნა. უჩინარმა კემპს ძლიერად უბიძგა, კორიდორის კუთხეში მიაგდო და ზემოდან ხალათი გადააფარა.

შეა კიბეზე იდგა პოლკოვნიკი ედაი, ბარდოკის პოლიციის უფროსი, რომელსაც კემპმა იმ დილით წერილი გაუგზავნა. ის გაოცებული შეცურებდა კართან მომხდარ ორთაბრძოლას. ვერაფრით ვერ გაეგო, როგორ ახერხებდა ცარიელი ხალათი ჰაერში ფრიალს. ან რატომ წაიქცა დოქტორი კემპი და წამოწეული მოცელილივით ისევ რატომ დაენარცხა იატაკზე.

უეცრად მასაც მოხვდა რაღაც. მაგრამ რა, თვითონაც ვერ გაიგო. მერე მხრებზე სიმძიმე ჩამოაწვა, ყელზეც თითები შემოეჭდო და ვიდაცამ ძლიერად ამოჰკრა მუხლი საზარდულში. ედაი კიბეზე დაგორდა. უხილავმა ფეხმა ზურგზე გადააბიჯა და მოისმა შიშველი ფეხის ხმა, რასაც ორი პოლიციელის ღრიალი მოჰყვა.

გასასვლელი კარი ხმაურით მიიკეტა.

პოლკოვნიკი ედაი ხელებს დაეყრდნო და ირგვლივ მიმოიხედა. დაინახა, როგორ მობანცალებდა კიბეზე თმააბურიძგვნილი და მტვერში ამოსვრილი კემპი. ცალი ლოყა ჩალურჯებოდა, ხოლო გახლებილი ტუჩიდან სისხლი მოხდიოდა. ხელში წითელი ხალათი ეჭირა.

— დმერთო ჩემო, რა მეშვეოდება! — წაიზლუქებუნა კემპმა, — ყველაფერი გათავდა. რადგან გაგვექცა, დამარცხება არ აგვცდება!

თავი ოცდამეხუთე ნადირობა უჩინარზე

კემპი ისე იყო დაბნული, რომ ერთხანს ვერაფრით ვერ მოახერხა ედაისთვის ყველაფრის დაწვრილებით ახსნა. ორივენი კიბის ბოლო საფეხურზე იდგნენ. კემპი ხელიდან არ უშვებდა გრიფინის ხალათს და სხაპასხებით, გაუგებრად ლაპარაკობდა. ედაი დაძაბული უსმენდა და ბოლოს ძლივს მიხვდა, რაც ამ თრიდე წუთის წინათ მოხდა.

— თავის ჭეუზე არაა, — ჰყვებოდა კემპი, — ადამიანი კი არა, მხეცია. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. დილიდან დაწყებული ისეთ ამბებს მიყვებოდა, კინაღამ გული გამისკდა. დმერთო, რა თავკერძა ვინმეა!.. აქამდე მხოლოდ ასახიჩრებდა მოწინააღმდეგებებს, აწი კი დახოცავს. სათითაოდ ყველას დაგვხოცავს, თუ დროზე არ დავაკავეთ. მთელ ქვეყანას თავდაყირა დაყენებს. აბა, რა შეაკავებს იმისთანა მხეცს, იმისთანა დაუნდობელ ადამიანს.

— უნდა დავიჭიროთ! — თქვა ედაიმ. სხვა გამოსავალი არაა.

— დავიჭიროთ! მაგრამ როგორ? — წამოიძახა კემპმა და უცებ წყალივით მოაყოლა: — ახლავე უნდა შეგუდებო საქმეს, ედაი! მთელი მოსახლეობა ფეხზე უნდა დავაყენოთ, რომ გრიფინმა ქალაქიდან გასვლა ვერ შეძლოს. თუ აქედან თავი დააღწია, მერე რა დაიჭირს, ივლის მთელ ქვეყანაზე და ყველას გადათელავს. იცით, რა სურს? ტერორი! სურს, ტერორი გაამეფოს რომელიმე ქალაქში! გესმით თუ არა — ტერორი! უნდა ფხიზელი მეთვალყურეობა დააწესოთ რკინიგზაზე, გზატკეცილზე, პორტში... გამოიძახეთ ჯარის ნაწილები. ერთადერთი, რაც მას ბარდოკში დააკავებს, წიგნებია. სანამ თავის წიგნებს ხელში არ ჩაიგდებს, აქედან არ წავა. იმ წიგნებზე ამყარებს მთელ იმედს. ახლავე აგისსნით ყველაფერს! თქვენს განყოფილებაში ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი მაწანწალა დააკავეს, სახელად მარგელი.

— ვიცი, ვიცი, — შეაწყვეტინა ედაიმ. — იმ წიგნების ამბავიც ვიცი, მაგრამ იმ მაწანწალამ...

— იმ მაწანებლამ გითხრათ, არა მაქვსო?! გრიფინს პგონია, მარველსა აქვს წიგნები. მთავარია, არც ჭამის, არც დაძინების საშუალება არ მივცეთ. დღითაც და დამითაც ხალხმა თვალი არ უნდა მოხუჭოს. ყოველ წუთს მზად უნდა იყვნენ, სახლის კარ-ფანჯრები ყველას ჩაკეტილი უნდა ჰქონდეს. სავაჭროები დროებით უნდა დაიხუროს. დამერთმა ქნას, წვიმიანი ამინდი დაიჭიროს ან აცივდეს მაინც. ყველამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ ნადირობაში, რომ აუცილებლად დავიჭიროთ! თუ გარეთ დარჩა, დიდ უბედურებას დაგვატეს თავს. ამის გაფიქრებაც კი შიშას მგვრის, ედაი, გაფიქრებაც.

— სწორედ ასე უნდა ვიმოქმედოთ, — თქვა ედაიმ. — ახლავე წავალ და სამზადისს შევუდგები. ხომ არ წამოხვალთ? რა თქმა უნდა, თქვენც წამოდით! წავიდეთ და ერთად მოვაწყოთ სამხედრო თათბირი; ჰოპსიც მოვიწვიოთ, ისიც დაგვეხმარება. დავუძახოთ რკინიგზის ადმინისტრაციასაც. თქვენი არ იყოს, უნდა ვიჩქაროთ. მაშ წავიდეთ! რაც გამოგრჩათ, გზადაგზა მითხარით... გასათვალისწინებელი კი მგონი აღარაფერია. ღმერთო ჩემო, გააგდებოთ თუ არა ხელიდან ამ ხალათს?!

ერთ წუთში ედაი და კემპი ქვემოთ იყვნენ. კარი დია იყო და ორი პოლისმენი თავლებდაშეყვარებილი გაჟურებდა სიცარიელეს.

— გაიქცა, სერ, — უთხრა ედაის პირველმა.

— ჩვენ ცენტრალურ სამმართველოში მიგვეჩარება, ერთერთმა თქვენგანმა ეტლი მოძებნოს და გზაზე დაგვეწიოს. აბა, სწრაფად!... კემპი, რამე ხომ არ გამომრჩა?

— როგორ არა! ძაღლებია საჭირო, — მიუგო კემპმა, — მოიყვანეთ ძაღლებიც. ძაღლი, მართალია, უჩინარს ვერ დაინახვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ყნოსვის საშუალებით იგრძნობს მის სიახლოვეს. ძაღლები აუცილებელია!

— მართალი ბრძანდებით! — დაეთანხმა ედაი. — საიდუმლოდ გეტყვით, რომ პოულსტიდის ციხის უფროსს დაქირავებლი ჰყავს კაცი, რომელსაც მეძებარი ძაღლების მოვლა აბარია. ამგარად, ძაღლებია საჭირო. კიდევ? კიდევ რა?

— არ დაგავიწყდეთ, ედაი, რომ უჩინარის მიერ მიღებული საჭმელი ადვილი დასანახია. მის კუჭში მოხვედრილი საკედები არ გაუჩინარდება, სანამ ორგანიზმი არ გადაამუშავებს. მაშ, ჭამის შემდეგ უნდა სადმე დაიმაღლოს, თქვენ კი ამის საშუალება უნდა მოუსპოთ. გარდა მაგისა, უნდა ავკრიფოთ ყველაფერი, რაც კი კაცმა იარაღად შეიძლება გამოიყენოს. უჩინარს დიდხანს არაფრის ტარება არ შეუძლია. ამიტომ ყველაფერი, რაც იარაღად გამოადგება, უნდა გადავმაღლოთ.

— დიახ, დიახ, მართალსა ბრძანებოთ. ახლა კი ხელიდან ვერ წაგვივა ის არამზადა!

— რაც შეეხება ქუჩებს... — დაიწყო კემპმა და უცებ შეჩერდა.

— რა? რისი თქმა გინდოდათ?

— დანაყილი შუშა! — წამოიძახა კემპმა. — დიახ, დანაყილი შუშა უნდა დაგვაროთ გზებზე. მართალია, ულმობლობაა, მაგრამ თუ დავფიქრდებით, რაც მოვევლის...

ედაიმ დაუსტვინა და ამოითხრა.

— ეს უკვე უპატიონსნო ბრძოლა გამოგვივა. თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც ვუბრძანებ, დანაყილი შუშა მოამზადონ. თუ ძალიან გაგვიჭირდა, მაშინ...

— ხომ გეუბნებით, ადამიანი არ არის-მეთქი. მხეცია, ნამდვილი მხეცი! — შესძახა კემპმა. — თუ გაქცევა მოახერხა, წუთითაც არ მეეჭვება, რომ განზრახვას შეისრულებს და ტერორს დაამყარებს. უნდა დავასწროთ და პირველებმა შევუტიოთ. მან გამოუცხადა ბრძოლა კაცობრიობას და დაე, მისი სისხლი დაიღვაროს!

თავი ოცდამეტეშესე უიკსტიდის მპალელობა

უჩინარი ისე გაშმაგებული გამოვარდა კემპის სახლიდან, რომ პატარა ბიჭი, რომელიც კემპის სახლის ჭიშკართან თამაშობდა, უეცრად ჰაერში აფართხალდა და ისე ძლიერად დაეხარცხა მიწას, რომ საწყალს ფეხი მოსტყდა. ამის შემდეგ უჩინარი რამდენიმე საათით გადაიკარგა. არავინ იცოდა, საით წავიდა ან რას აკეთებდა. მაგრამ არც ისე ძნელი წარმოსადგენია, როგორ მირბოდა გრიფინი აღმართზე ივნისის შუადღის ხვატში და თავბედის წყველით როგორ გადაიარა პორტ-ბარდოკის მახლობელი ბორცვები. დაღლილმა და გაწამებულმა ჰინტონის ბუჩქნარს შეაფარა თავი და სამაგიეროს გადახდაზე დაიწყო ფიქრი.

ზუსტად არავინ იცის, რა აზრები უტრიალებდა გრიფინს თავში ამ დროს ან რა გეგმებს აწყობდა. კემპის ვერაგულმა საქციელმა მთლად გააგიუა. ჩვენთვის გასაგებია, რამ აიძულა დოქტორი კემპი ასე მოქცეულიყო, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია ის გულისწყრომა და გაბოროტება, რომელმაც გრიფინი შეიპყრო. იქნებ უჩინარი ახლაც ისევე დაიბნა, როგორც ოქსფორდ-სტრიტზე იგი ხომ კემპის ენდო; მისი დახმარების იმედი ჰქონდა... ასეა თუ ისე, ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია, სარწმუნო ისაა, რომ უჩინარი შუადღის ორ საათამდე ბარდოიდან გადაიკარგა და არავინ არაფერი იცოდა მისი არსებობის შესახებ. ბარდოკის მცხოვრებთათვის ეს გარემოება ხელსაყრელიც იყო, მაგრამ პირადად გრიფინისთვის, პირიქით, ამგვარი უმოქმედობა საბედისწერო აღმოჩნდა.

იმ ორსაათ-ნახევარში მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ყველა გაფრთხილებული იყო და უჩინარ მტერთან შესახვედრად ემზადებოდა. დილით უჩინარის ამბავი ზღაპარი ეგონათ, შუადღისას კი იგი სინამდვილედ გადაიქცა. უჩინარი წარხდგა მათ წინაშე, როგორც რეალური მოწინააღმდეგა, მტერი, რომელიც უნდა დაეჭირათ, დაეჭრათ ან მოეკლათ. მთელი ქალაქი საბრძოლველად ემზადებოდა. სამის ნახევრამდე გრიფინს კიდევ შეეძლო თავი გადაერჩინა, დამჯდარიყო მატარებელზე და გასცლოდა იქაურობას. სამის ნახევარზე კი ის უკვე განწირული იყო. რკინიგზის ყველა ხაზზე, რომელიც ქმნიდა დიდ პარალელოგრამს საუთჰემპტონის, მანჩესტერის, ბრაიტონისა და პორშემირის მიმართულებით, აკრძალეს ჩასხდომაცა და გადმოსხდომაც. მატარებლები კარებჩაკეტილნი შემოდიდნენ ქალაქში და ასევე კარებჩაკეტილნი გადიოდნენ. სატვირთო მატარებლების მოძრაობა საერთოდ შეწყვიტეს, ხოლო ქალაქში, გარეუბნებში, გზატკეცილებსა და მინდვრებში, ოცი მილის რადიუსით, ჯგუფ-ჯგუფად დაღიოდა თოფებითა და კომბლებით შეიარაღებული ხალხი; თითოეულ ჯგუფს, კემპის მითითების თანახმად, საკუთარი ძაღლი ჰყავდა.

პოლიციის ცხენოსანი რაზმი მახლობელ ხოფლებში დააჭენებდა და მოსახლეობას აფრთხილებდა. სამი საათისთვის სკოლებიც დაიკეტა. შეშინებული მოსწავლეები თავქუდმოგლეჯილნი მირბოდნენ სახლებისაკენ. ოთხ საათზე პოლკოვნიკ ედაის დადასტურებული და კემპის შედგენილი მოწოდება ქალაქსა და სოფლებში ბოძებზე გააკრეს. კემპი მოკლედ და გასაგებად გადმოსცემდა უჩინართან ბრძოლის მეთოდებს: არ მისცეთ ძილისა და დასვენების საშუალება, ფხიზლად იყავით, რომ მისი გამოჩენის შემთხვევაში დროულად მიიღოთ სათანადო ზომები... ქალაქის მმართველობა ისე ენერგიულად და სწრაფად მოქმედებდა, ხალხი იმდენად იყო დაშინებული და მონდომებული, რომ დადამებამდე მთელი ოლქი ალექსემორტექმული აღმოჩნდა. იმავე საღამოს ბარდოკში, რომელიც დაძაბული ელოდა მტრის გამოჩენას, ამაზრზენი და უტყუარი ცნობა გავრცელდა, ელგისებურად მოედო ქალაქს მისტერ უიკსტიდის მოკვლის ამბავი.

თუ ჩვენი ვარაუდი უჩინარის პინტონდინის ბუჩქნარში დამალვის შესახებ სწორია, მაშინ ის შეადლისას უნდა გამოსულიყო თავისი თავშესაფრიდან. როგორც ჩანს, მან ისეთი განზრახვით დატოვა თავშესაფარი, რომლის შესრულებისთვისაც იარაღი იყო საჭირო. დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით, რა განზრახვა პქნდა უჩინარს, მაგრამ ის ფაქტი, რომ უიკსტიდთან შეხვედრამდე უკვე აღჭურვილი იყო რკინის კეტით, უდავო.

ამ მკვლელობის ამბავი დაწვრილებით არავინ იცის. ჩანს, უჩინარი და უიკსტიდი ერთმანეთს შეხვდნენ ლორდ ბარდოკის სახლიდან ორასი იარდის მოშორებით, ქვიშიანი კარიერის პირას. მათ შორის მომხდარ მწვავე ბრძოლაზე მიგვითითებს გადათქერილი მიწა, უიკსტიდის დასახიჩრებული გვამი, მისი გადატეხილი ჯოხი და კიდევ ბევრი სხვა ნიშანი. ძნელი სათქმელია, რატომ დაესხა უჩინარი მაინცადამაინც უიკსტიდს. მისტერ უიკსტიდი, ლორდ ბარდოკის მოურავი, მეტისმეტად ჩუმი, უწყინარი ადამიანი იყო. თვითონ არაფრით არ აღმართავდა პირველი ხელს გრიფინის წინააღმდეგ. ჭრილობებზე ეტყობოდა, უჩინარს რკინის კეტით მოეკლა იგი. ეს რკინა, ალბათ, გატეხილი გალავნიდან ამოაძრო უჩინარმა. შეაჩერა თავისთვის გზად მიმავალი ეს უწყინარი კაცი, შეუტია, ჯოხთან ერთად ხელიც გადაუტეხა, მიწაზე დასცა და ძლიერი დარტყმით თავი შეაზე გაუპო.

რა თქმა უნდა, გრიფინმა რკინის კეტი გალავანს უიკსტიდთან შეხვედრამდე გამოაძრო და მომზადებული ელოდა მის გამოჩენას. თუ ყველაფერი მართლაც ასე იყო, მაშინ ისლა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ მკვლელი ჰქუიდან შეიშალა. მაგრამ არის კიდევ ორი გარემოება, რომელიც შექს პფენის უიკსტიდის მკვლელობას. ჯერ ერთი, ქვიშიანი კარიერი, სადაც ბრძოლა წარმოებდა, მისტერ უიკსტიდის სახლისგენ მიმავალი გზიდან ორასიოდე იარდითაა დაშორებული. მეორეც, ერთმა პატარა გოგონამ, რომელიც სადამოს სკოლაში მიიჩქაროდა, დაინახა, როგორ მირბოდა უცნაური ხტუნვა-ხტუნვით მისტერ უიკსტიდი კარიერის მხარეს მინდორზე. გოგონამ მიბაძა კიდეც მისტერ უიკსტიდს: ამგვარად მხოლოდ ის კაცი ირბენდა, რომელსაც რაიმეს დაჭერა სურდა, თან, ეცყობა, დროდადრო ჯოხსაც უქნევდა. გოგონამ უკანასკნელმა დაინახა ცოცხალი უიკსტიდი. საწყალი, როგორც ჩანს, წერამ აიტანა, პირდაპირ სიკვდილს ჩაუვარდა კლანებში.

ეს ორი გარემოება სხვების თვალში თუ არა, ამ სტრიქონების ავტორის თვალში მაინც ერთგვარად ამსუბუქებს გრიფინის დანაშაულს. გრიფინის ჩადენილ მკვლელობას ბოროტმოქმედების საბურველი ეცლება. იქნებ უჩინარს მართლაც იარაღად სურდა ებმარა გალავნიდან გამოღებული რკინის კეტი, მაგრამ ხომ შეიძლება მას სრულიადაც არ პქონდა განზრახული მკვლელობა? იქნებ უიკსტიდი მოულოდნელად შეეჩეხა და, პატარში უცნაურად მოქანავე რკინის კეტი რომ დაინახა, გამოეკიდა. შესაძლებელია, უიკსტიდს არც არაფერი გაეგონა უჩინარის შესახებ. ის ადგილები პორტ-ბარდოკიდან ათი მილით მაინცად დაშორებული. ადგილი დასაშვებია, უჩინარი ცდილობდა ჩეუბისა და აყალმაყალის გარეშე გასცლოდა უიკსტიდს, მაგრამ იმ უჩვეულო სანახაობით დაინტერესებული და განცვიფრებული მოურავი, ალბათ, არ მოეშვა იდუმალი ძალებით ამომრავებულ რკინის კეტს და, როგორც კი წამოეწია, დასცხო კიდეც თავისი ხელჯოხი.

ჩვეულებრივ, გრიფინი ადგილად გაექცეოდა ხანში შესულ მდგვარს, მაგრამ უიკსტიდის გვამის მდებარეობა იმაზე მეტყველებდა, რომ იმ უბედურმა უჩინარი ჭინჭარში შეიტყუა. ჭინჭარი კი უჩინარს შიშველ ფეხებს დაუსუსხვდა და გისაც მისი მაშინდელი განწყობილება ახსოვს ან, საერთოდ, მისი ხასიათი იცის, ადვილად წარმოიდგეხს, რა მოჰყვებოდა ამ ამბავს.

თუმცა ეს მხოლოდ ნავარაუდევი მოსაზრებებია. ერთადერთი სარწმუნო ფაქტი თვით უიკსტიდის გვამი (აბა, ბავშვის მონაყოლს ხომ ვერ დაენდობა

კაცი) და ჭინჭარში ნაპოვნი, სისხლში ამოთხვრილი რეინის კეტია. მიწაზე დაგდებული კეტი მოწმობს, რომ კაცის მოკვლამ უჩინარი წუთით გააბრუა; გაოგნებულს გადაავიწყდა ისიც, რისთვისაც გალავნიდან რეინა ამოაძრო. ან ჰქონდა კი გულში რაიმე განზრახული? რა თქმა უნდა, ის დიდი თავკერძა და ულმობელი ვინმე იყო, მაგრამ, როცა ფეხთით საწყლად დაგდებულ, თავგაპობილ და სისხლში მცურავ კაცს დაინახავდა, როცა დახედავდა მისივე ხელით მოკლულ ადამიანს, — გაიხსენეთ ისიც, რომ მანამდე გრიფინს არავინ მოუკლავს, — შეუძლებელია, მასში არ გაეღვიძა სინაწულს და დროებით მაინც ხელი არ აეღო ბოროტმოქმედებაზე.

მისტერ უიკსტიდის მოკვლის შემდეგ, როგორც ჩანს, უჩინარმა მინდორი გადაირბინა და ქალაქისქენ დაეშვა. ხალხში ხმა გავრცელდა, თითქოს მინდორში, ფერნ-ბოტომის მახლობლად მომუშავე ორ გლეხს სადამოვამს რადაც გაურკვეველი, იდუმალი ძახილისთვის მოეკრას ყური. ძახილი ქარივით გადაევლო მინდორს და გორაკებთან მიწყდაო, — ირწმუნებოდნენ.

იმავე სადამოს, უეჭველია, გრიფინი ბევრგან წააწყდა კემპის დაგებულ ხაფანგს და მიხვდა, რა მზაკვრულად გამოიყენა ამ უკანასკნელმა მისი გულახდილობა. ჯერ ერთი, ყველა სახლის კარი დაკტილი დახვდებოდა, ალბათ, შეეცდებოდა მატარებლით გამგზავრებას, სასტუმროსა და სასადილოში შესვლასაც სცდიდა; იმედია, ბოძებზე გაკრულ განცხადებებსაც წაიკითხავდა და იმავე სადამოს მიხვდებოდა ყველაფერს.

შებინდდა თუ არა, მინდვრებში შეიარაღებული ჯგუფები გამოეფინა. ძალლების ყეფამ გააყრუა მინდორი. ადამიანზე მონადირე ეს ხალხი გაფრთხილებული იყო, საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს დახმარებოდა, მაგრამ უჩინარმა როგორდაც შეძლო თავის დაღწევა. ადვილი წარმოსადგენია მისი გულისწყრომა. ალბათ როგორ ბრაზობდა თავის თავზე, ისე გულუბრყვილოდ რომ მიენდო დოქტორ კემპს, გული გადაუხსნა და ხელში მიაჩენა ის ჯაჭვი, რომლის ბოლოზეც თვითონ იყო გამობმული. ერთხანს კინაღამ ფარ-ხმალი დაყარა. მთელი დღე, მხედველობაში რომ არ მივიღოთ უიკსტიდთან შეჯახება, — თავს დევნილი ნადირივით გრძნობდა. თუმცა ლამით, როგორც ჩანს, მაინც მოახერხა ჭამა და გამოძინება, რადგან მეორე დილას თავი კვლავ მხნედ იგრძნო, ისევ ამოქმედდა და მომავალი, უკანასკნელი შებრძოლებისათვის მოემზადა.

თავი ოცდამეშვიდე კემპის სახლი ალყაშემორტყმულია

კემპმა გაზეთის ქაღალდზე ფანქრით დაწერილი უჩვეულო უსტარი მიიღო. „ოქენე გამოავლინეთ არაჩვეულებრივი ენერგია და მოსაზრებულობა, — ნათქვამი იყო წერილში, — თუმცა ვერ გამიგია, რას მიაღწევთ ამით. მტრად გადამეკიდეთ, მთელი დღე ნადირივით მდევნილით. გინდოდათ, დამითაც არ მოგეცათ დასვენების საშუალება. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გამოვძეხი, გამოვიძინე და, იცოდეთ, თამაში მხოლოდ ახლა იწყება! სხვა გზები თვითონ გადამიეტეთ და ისევ ტერორს უნდა მივმართო. ამ წერილით ტერორის პირველ დღეს ვაცხადებ. პორტ-ბერდოკი დედოფალს აღარ ეგუთვნის, გადაეცით ეს პოლიციის პოლკოვნიკსა და კიდევ სხვებსაც. ამიერიდან ეს ქალაქი მე მემორილება, მე — ტერორს! დღევანდელი დღე ახალი ეპოქის პირველი დღეა — უჩინარის ეპოქის დღე. მე ვარ მეფე უჩინარი პირველი! დასაწყისში ჩემი მმართველობის ხასიათი შემწყნარებლური იქნება. ჯერჯერობით სასტიკად დავხსჯი მხოლოდ ერთ ადამიანს, რომლის სახელიც არის კემპი. დღეს სიკვდილი ეწვევა ამ კაცს. დაე, ჩაიკეტოს, შემოიჯაროს თავისი დამქაშები, ჩაჯდეს თავშანში; სიკვდილი, უხილავი სიკვდილი მაინც მოძებნის მას და

მოიტაცებს. დაუ, ჰველა ღონე იხმაროს საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ეს კიდევ უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ჩემს ხალხზე. სიკვდილი შუადღისით დაიძვრება საფოსტო ყუთიდან და... მერე თავის საქმეს შეუდგება! დაიწყო თამაში! სიკვდილმა ცელი დაატრიალა, კემპი, კემპი უნდა გამოასალმოს წუთისოფელს. არ მიეხმარო მას, ჩემო ხალხო! არ მიეხმარო, რათა შენც არ მოგეწიოს სიკვდილი. მაშ ასე, დღეს კემპი მოკვდება“.

კემპმა ორჯერ გადაიკითხა წერილი.

— აღარ ხუმრობს, — თქვა და ტანაში ურუანტელმა დაუარა. — მისი სიტყვებია, თითქოს ხმაც მესმის... შეასრულებს კიდეც თავის განზრახვას. — მან ფურცელი გადააბრუნა და მისამართის ადგილზე ტვიფარით ნაბეჭდ სიტყვას — „ჰინტონდინი“ — დააშტერდა. უფრო ქვემოთ კი ეწერა: „გადახდილი იქნას პენსი“. კემპი სკამიდან ზანტად წამოდგა, მიატოვა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საუზმე, — წერილმა დღის პირველ საათზე მოუსწრო, — და თავის კაბინეტში ავიდა. იმწამსვე გამოუძახა მნე ქალს და უბრძანა, დაევლო მთელი სახლი, ენახა, ფანჯრები კარგად იყო თუ არა ჩაკეტილი და დარაბები ჩამოეწია. საწერი მაგიდის ქველა უჯრიდან პატარა რევოლვერი ამოიღო, გულმოდგინედ შეამოწმა და ხალათის ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ რამდენიმე ბარათი დაწერა. მათ შორის ერთი პოლკოვნიკ ედის სახელზე; გადასცა ისინი მოახლეს და უბრძანა წაელო. თან აუხსნა, რა გზითაც გასულიყო სახლიდან.

— საშიში არაფერია, — უთხრა მან, თან გუნებაში დაუმატა: „თქვენთვის“.

ერთხელ ფიქრებში წასული იჯდა, მერე კი გაციებულ საუზმეს მიუბრუნდა.

ჩაფიქრებული ჭამდა. საუზმე რომ დამთავრა, მაგიდას ძლიერ დაკრა მუშტი და წამოიძახა:

— არა, აუცილებლად დავიჭერთ! ხაფანგი სწორედ მე ვიქნები. ის კი, უმჭველია, საკმაოდ ახლოს მოვა და გაებმება კიდეც!

კემპი კოშკში ავიდა, თან გზადაგზა ყველა კარი ჩაკეტა.

— თამაში იწყება, — თქვა მან, — მართალია უცნაური, მაგრამ მეტისმეტად საინტერესო. მიუხედავად თქვენი უჩინარობისა, ყველა პირობადა საიმისოდ, რომ მე მოვიგო. დიას, მე მოვიგებ ამ თამაშს, მისტერ გრიფინ! გრიფინ contra mundum.¹ (contra mundum (ლათ.) — მთელი ქვეყნის წინააღმდეგი.)

კემპი ფანჯარასთან იდგა და ივნისის მცხუნვარე მზით განათებულ ფერდობებს გასცეკეროდა.

უოველდელ ხომ უნდა იშოვოს საჭმელი; მერედა რა წვალებით... არა, კარგ დღეში ვერ იქნება. ნერავ წინა დამით მართლა თუ ეძინა? თუ ეძინა, ალბათ, სადმე დია ცის ქვეშ, რომ თავს არავინ დასხმოდა. კარგი იქნებოდა, სიცხის მაგიერ სუსხიანი დღეები დაეჭირა და თოვლ-ჭყაპი წამოსულიყო... ვინ იცის, იქნებ აქვეა სადმე და მითვალთვალებს კიდეც.

კემპი სულ ახლოს მივიდა ფანჯარასთან, მაგრამ შეშინებული მაშინვე უკან გახტა: გარედან რაღაც ძლიერად მოხვდა ფანჯრის ჩარჩოს.

— იმდენად გადავიდალე, რომ თავშეკავების უნარიც აღარა მაქვს, — ჩაილაპარაკა თავისთვის. — ალბათ, ბედურა თუ იყო, — დასძინა, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ ძლიერ შეძლო ხელახლა მიახლოებოდა ფანჯარას.

უცებ ზარის ხმა მოესმა და შემოსასვლელისკენ გაეშურა. ჯაჭვი მოსინჯა, კარგად იყო თუ არა დამაგრებული; ურდულები გადასწია და კარი გამოაღო. კართან პოლკოვნიკი ედი იდგა, რომელმაც იმწამსვე მიახალა:

— თქვენს მოსამსახურეს თავს დაესხნენ, კემპ!

— რაო?! — წამოიძახა კემპმა.

— რაო და წერილი რომ გაატანეთ, ხელიდან გამოგლიჯეს. როგორც ჩანს, სადღაც აქვეა. სახლში შემომიშვით!

კემპმა ჯაჭვი ჩამოხსნა, მაგრამ კარი ბოლომდე მაინც არ გაუდია. ედაი დიდი წვალებით გაძვრა ღრიჭოში და შვებით ამოისუნთქა, როცა კემპმა ისევ გადარაზა კარი ურდულებით.

— თვალის დახამხამებაში ამოურომევია ხელიდან. საწყალი ძალიან შეშინებულია. ახლაც ჩემს განყოფილებაში ზის და ქვითინებს. კემპ, სადღაც ახლომახლო უნდა იყოს. იმ ბარათში რა ეწერა?

კემპმა გულიანად შეიკურთხა.

— რამ გამომაჩერჩეტა, რამ? ასე რამ გამასულელა?! როგორ ვერ მოვისაზრება არა არ ვიცოდი, რომ პინტონდინიდან აქამდე ერთი საათის სავალი მაინც არის? დაიწყო!

— რა დაიწყო?

— ახლავე გაჩვენებოთ, — უთხრა კემპმა, ედაი კაბინეტში აიყვანა და წერილი უჩვენა.

ედაიმ წერილი გადაიკითხა. კითხვას რომ მორჩა, ოდნავ გასაგონად დაუსტვინა და ჰკითხა:

— თქვენს წერილში რადა ეწერა?

— ძლიერ მოვიფიქრე, როგორ დამეგო საფანგი იმ არამზადისთვის; ზუსტად ჩამოვწერე უველავერი და მოსამსახურეს გამოვატანე... სულელი, ნამდვილი სულელი ვარ! როგორ ვერ მივხვდი, რომ ასე მოხდებოდა!?

კემპის მსგავსად, ედაიმაც გულიანად შეიკურთხა და დასმინა:

— გაიქცევა! უეჭველად გაიქცევა!

— არა, ისეთი კაცი არ არის, რომ ფარ-ხმალი დაყაროს!

ზემოდან ზუშის მტვრევის ხმა მოისმა. ედაიმ თვალი მოჰკრა კემპის ჯიბიდან რევოლუციის ამოშვერილ ტარს.

— ზედა სართულის ფანჯარა იყო, — თქვა კემპმა და კიბეებს აუყვა. ჯერ შეა კიბეზე იყვნენ, როცა მეორე ფანჯარა ჩაიმსხვრა. კაბინეტში რომ ავიდნენ, იქ მართლაც ორი ფანჯარა დახვდათ გატეხილი, ხოლო იატაქზე მინის ნამსხვრევები ეყარა; მაგიდაზე მოზრდილი ქვა ეგდო. კემპი და ედაი ზღურბლზე იდგნენ და გაოცებულნი შეჭყურებდნენ ამ რბევას. კემპმა ისევ შეიკურთხა და, თითქმის მაშინვე, მესამე ფანჯრის მინამ დაიწყრიალა. ნამსხვრევები იატაქზე მიმოიფანტა.

— კი მაგრამ, ეს რადაში სჭირდება? ფანჯრებს რადას ერჩის?! — წამოიძახა ედაიმ.

— ნუთუ არ გესმით? შეტევის დაწყებას გვამცნობს, — უპასუხა კემპმა.

— რამე რომ იყოს, აქედან ვერ გადმოძვრება?

— შეუძლებელია, ამ კედელზე კატაც ვერ ამოფოფხდება...

— თანაც ფანჯრებზე დარაბები არა გქონიათ...

— არცაა საჭირო. ქვედა სართულზე კი ყველა ფანჯარასა აქვს.

მოისმა კიდევ ერთი ფანჯრის წკრიალი.

— ოჳო! — წამოიძახა კემპმა. — ეშმაკმა დალახვროს მაგისი თავი! მგონი საწოლი ოთახისა უნდა იყოს. ნუთუ ყველა ფანჯრის ჩამტვრევას აპირებს? მით უარესი მისთვის. დარაბები ხომ ჩაკეტილია, შუშაც გარეთ დაიფანტება და ფეხებს დაუსტრავს.

კიდევ ერთმა ფანჯარამ დაიტაცუნა. კემპი და ედაი გაოგნებულები მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

— იცით, რას გეტყვით?! — წამოიძახა ედაიმ. — ჯოხი თუ გაქვთ, ან რამე ისეთი, კაცმა რომ თავი დაიცვას, მომეცით და ახლავე განყოფილებაში ჩაგირბენ, უუბრძანებ, ძაღლები წამოიყვანონ, მაშინ სადღა გაგამპცვა?

ფანჯრების მტვრევა გრძელდებოდა.

— იქნებ რევოლუციი გაქვთ? — ჰკითხა ედაიმ.

კემპს ხელი უნებურად გაექცა ჯიბისკენ, მაგრამ იმწამსვე შეჩერდა.

— არა, არა მაქვს... ყოველ შემთხვევაში, ზედმეტი არა...

— სახლში ხომ არავითარი საფრთხე არ მოგელით, თანაც ნახევარ საათში აქ ვიქნები და იარაღს დაგიბრუნებთ.

კემპს შერცხვა, რადგანაც სიმართლე ედაის მხარეზე იყო და უსიტყვოდ გაუწოდა რევოლვერი.

სანამ ისინი დერეფანში იდგნენ და კარის გასაღებად ემზადებოდნენ, პირველ სართულზე კიდევ ერთი ფანჯარა ჩაიმსხვრა. კემპი მიუახლოვდა კარს და რაც შეიძლებოდა ფრთხილად გადასწია ურდულები.

— უცბად გადით, — ჩასჩურჩულა კემპმა ედაის და სახეზე მკვდრის ფერმა გადაჰკრა.

წამიც და პოლკოვნიკი ედაი უკვე გარეთ იყო; კემპი კი ათრთოლებული ხელებით კარებს რაზავდა. ედაი ნაბიჯის გადადგმას აყოვნებდა, — კარს მიყრდნობილი თავს უფრო მშვიდად გრძნობდა, მაგრამ მალე მოიკრიბა გამბედაობა და დაიძრა. ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ბალახზე თითქოს ქარმა გადაიქროლაო, მის გვერდით რაღაც ამოძრავდა. მერე „ცოტა ხანს შეჩერდით“, მოესმა კაცის ხმა და ადგილზე გაქვავდა. ხელი ჯიბისკენ გააცურა და თითები რევოლვერის სახელურს შემთაჭდო.

— გისმენთ... რა გნებავთ? — იკითხა ედაიმ და შებლი შეიკრა.

— პატივი დამდეთ და უკან დაბრუნდით, — მკვახედ წარმოთქვა ხმამ.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ... — ედაის პირი გაუშრა, აღელვებისაგან ხმაც ჩაეხლიჩა. თან გაიფიქრა, მარცხენა მხარეს უნდა მედგას, ხმა იქიდან მოდის, ცდა ბედის მონახევრეა, რა იქნება, რომ ვესროლო?

— სად მიდისართ? — იკითხა ხმამ.

შემდეგ ორივემ სწრაფი მოძრაობა გააკეთა და ედაის ხელში რევოლვერმა გაიელვა.

ედაის სროლა ვერ გადაეწყვიტა, ჩაფიქრდა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ უპასუხა:

— ჩემი საქმეა, სადაც მივდივარ...

სათქმელი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ უჩინარი ზურგიდან მიეპარა, კისერზე მკლავი შემოაჭდო და წელში მუხლი მიაბჯინა. ედაი მიწაზე გულაღმა გაიშოტა. წამოიწია და ტყვია უმისამართოდ გაგზავნა ჰაერში. მაშინვე ძლიერად მოხვდა კბილებში მუშტი და ოვითონაც ვერ იგრძნო, ისე გამოეცალა იარაღი ხელიდან. სასოწარკვეთილი, შემთხვევით უჩინარის შიშველ ფეხს წააწყდა, ორივე ხელით ჩაებდაუჭარა; სცადა გაებრძოლა, მაგრამ ხელმეორედ დაენარცხა მიწაზე. „სატანა“ — ჩაილაპარაკა დონემიხდილმა. პასუხად ხითხითი მოესმა.

— აქვე გაგათავებდით, ტყვია რომ არ მენანებოდეს, — წარმოთქვა უჩინარმა. ექვსიოდე ნაბიჯის მოშორებით ედაიმ მისკენ გამოშვერილი რევოლვერის ლულა დაინახა.

— მაშ, ასე... აბა, ახლა რაღას აპირებთ? — შეეკითხა ედაი და წამოჯდა.

— ადექით!

ედაი ადგა.

— ყური დამიგდეთ! გირჩევთ, ჩემს წინააღმდეგ ყოველგვარი ხრიკების მოწყობას თავი დაანებოთ. გახსოვდეთ, რომ მე მშვენივრად ვხედავ თქვენს სახეს, თქვენ კი ძალიანაც რომ ეცადოთ, ვერ დამინახავთ. — შებრუნდით სახლში!

— კარს არ გამიღებენ, — მიუგო ედაიმ.

— სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო... თქვენთან საჩხუბარი არაფერი მქონდა, მაგრამ, რადგან...

პოლკოვნიკმა გამშრალ ტუჩებზე ენა გაისვა. მზერა მოსწყვიტა რევოლვერს და შორს ზღვას გახედა. შეადგის მზის სხივებზე ზღვას ლურჯი, მუქი ლურჯი ფერი გადაჰკვროდა. თვალი მოავლო მწვანით შემოსილ ფერდობებს, მთების

თეორად მოელვარე მწვერვალებს, ქვემოთ მოფუსტუსე ქალაქს და უეცრად იგრძნო, რა საოცრად ტკბილი იყო სიცოცხლე. შემდეგ მზერა პატარა ბრჭყვიალა რევოლვერზე გადაიტანა, რომელიც ცასა და მიწას შეა ეკიდა და ექვსიოდე ფუტიდან თვალებში ულმობლად მისჩერებოდა.

— კი მაგრამ, რა ჩემი ბრალია... მე რა ვქნა? — პკითხა ედაიმ და სახე მოექმუხნა.

— თუ ასეა, მე რადა ვქნა? — უპასუხა უჩინარმა. — დაბრუნდით უკან. ცოტა ხანში პოლისმენებიც მოვლენ და მოგეხმარებიან.

— კარგით, ვცდი, ოღონდ სიტყვა მომეცით, რომ თუ კარი გამიღო, არ შემომივარდებით.

— ხომ გითხარით, თქვენთან საჩხუბარი არაფერი მაქს, — უპასუხა უჩინარმა.

როგორც კი კემპმა პოლკოვნიკი ედაი გაისტუმრა, საჩქაროდ ზედა სართულზე აირბინა, ფრთხილად გაიარა იატაგზე მიმობნეულ ნამსხვრევებს შორის, ფანჯარას მიუახლოვდა და დაინახა ედაი, რომელიც უჩინარს ებასებოდა.

— რატომ არ ესვრის? — ჩაინურნულა კემპმა. ვერ მოასწრო ამის თქმა, რომ რევოლვერი უცებ შეირხა და პრიალა ლულაზე არეკლილმა მზის სხივმა თვალი მოსჭრა. თვალები ხელით მოიჩრდილა და შეეცადა დაენახა, რა მოხდა ქვემოთ.

— ასეც ვიცოდი! — აღმოხდა კემპს. — იმ არამზადამ პოლკოვნიკს რევოლვერი გამოსტაცა!

— პირობა მომეცით, რომ კარს არ შემოამტვრევთ, — ეუბნებოდა ამ დროს ედაი უჩინარს. — უპირატესობის მიუხედავად, ამდენს მაინც ნუ იღებთ თქვენს თავზე; მეტისმეტი მოგივათ. სხვებსაც ხომ უნდა დააცადოთ, რამე გააკეთონ.

— დაბრუნდით! პირდაპირ გეუბნებით, რომ არავითარ პირობას არ გაძლევთ. ედაიმ ერთხანს კიდევ დააყოვნა; მერე შებრუნდა და ზურგზე ხელებშემოწყობილი ნელი ნაბიჯით წავიდა სახლისკენ. მისმა ამგვარმა საქციელმა კემპი შეაშვოთა. რევოლვერი წუთით გაქრა, უეცრად გაიელვა და ისევ გაქრა, ისევ გამოხნდა და პოლკოვნიკს კვალდაკვალ დაედევნა. შემდეგ ყველაფერი ელვისებური სისწრაფით მოხდა: ედაი უკან გადახტა, შეტრიალდა და ხელები რევოლვერისაკენ გაიშვირა; მაგრამ ვერ დაიჭირა, წონასწორობა დაკარგა და პირქვე დაენარცხა მიწას. პაერში მოლურჯო ბოლი ავარდა, თუმცა კემპს სროლის ხმა არ გაუგონია. ედაი მოკრუნჩხა, ცალ ხელზე წამოიწია, ხელმეორედ დაემხო პირქვე და ადარ განძრეულა.

კემპი გარინდებული იდგა ფანჯარასთან და მიშტერებოდა ჭიშკართან მოლზე უდრტვინველად გაშხლართულ ედაის. ცხელი და მშვიდი საღამო იდგა. არსაიდან ჩეამი არ ისმოდა, თითქოს მთელი ქვეყანა გაირინდაო. მხოლოდ სახლის კედელსა და ჭიშკარს შორის მიმობნეულ ბუჩქებში ორი მოყვითალო პეპელა დასდევდა ერთიმეორეს თავდავიწყებით. ფერდობზე შეფენილი ვილების ყველა ფანჯარა დარაბებით იყო ჩაგმანული. არც ჭიშქებში ჩანდა ვინმე. მხოლოდ ერთი პატარა სახლის ეზოში, ტოტებით დაბურულ ტალავერში თეთრით მოსილი მოხუცი იჯდა და თვლემდა. კემპმა ეზოს ყველა კუთხე მოათვალიერა, უნდოდა დაენახა უჩინარი, მაგრამ ამაოდ; რევოლვერი არსად ჩანდა: მისი მზერა ისევ ედაის დაუბრუნდა.

თამაში სახიფათო ხდებოდა.

მოისმა შემოსახვლელ კარზე ბრახუნისა და ზარის ხმა. კემპის ბრძანების თანახმად, მსახურები თავთავიანთ ოთახებში ჩაკეტილიყვნენ და ამიტომ კარის გასაღებად არავინ გახულა. ბოლოს ბრახუნი შეწყდა. სიჩუმე ჩამოდგა. კემპმა უურადდება დაძაბა, რომ არაფერი გამოჰქარვოდა, თან კაბინეტის სამივე ფანჯრიდან რიგრიგობით იჭვრიტებოდა გარეთ. მერე კიბის თავზე დადგა და

ირგვლივ მიმოიხედა. ჩავიდა საწოლ ოთახში, ბუხართან მიყუდებული მაშით შეიარაღდა და ქვედა სართულის ფანჯრის შესამოწმებლად გაემართა. ფანჯრები მტკიცედ და საიმედოდ იყო დაგმანული. იგი ისევ მაღლა ავიდა და ფანჯარაში გაიხედა. ედაი უწინდებურად გაუნდრევლად იწვა ბილიკის პირას. უცებ ვილებს შორის თვალი მოჰკრა მომავალ მოსამსახურესა და ორ პოლიციელს.

გარშემო სამარისებური სიჩუმე სუფევდა. სამივენი ძალიან ნელა უახლოვდებოდნენ სახლს. კემპი ყოველნაირად ცდილობდა მიმხვდარიყო, რას აკეთებდა მისი მოწინააღმდეგა, და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

მოულოდნელად ქვემოთ რაღაცამ დაიტკაცუნა, კემპი შეკრთა, დიდხანს ვერ ბედავდა ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ თავს ძალა დაატანა და კიბეს მიუახლოვდა. თითქმის მაშინვე მთელი სახლი შეზანზარდა. მოისმა ფიცრის მტკრევის ხმა და დარაბებზე დამაგრებული რკინის საკეტების უდარუნი. კემპმა სამზარეულო ოთახის კარები გააღო და შიგ შეიჭვრიტა. იმავე წამს დამტკრეული დარაბის ნაფოტები იატაკზე მიმოიფანტა. კემპი თავზარდაცემული იდგა ზღურბლზე. ფანჯრის ჩარჩო ჯერჯერობით მთელი იყო, აქა-იქ მინაც შემორჩენოდა კიდევებზე, მაგრამ დარაბა აღარ ჩანდა. უჩინარს ნაჯახით ამოემტკრია. ახლაც მთელი ძალით უშენდა ნაჯახს ფანჯრის რიკულებს, შემდეგ ნაჯახი განზე გახტა და აღარ გამოჩენილა. კემპმა თვალი მოჰკრა ბილიკზე დაგდებულ რევოლვერს. რევოლვერი ჰაერში ახტა და კემპმა შიშისგან უკან დაიხია. ძლივს მოასწრო კარის მიხურვა, რომ უჩინარმა ისროლა და კარიდან ტყვიით აგლეჯილმა ნაფოტმა კემპს თავზე გადაუქროლა. კემპმა საჩქაროდ ჩაკეტა სამზარეულოს კარი და გარედან გრიფინის ყვირილი და ხარხარი გაიგონა. ნაჯახი ხელახლა ამჟავდა.

კემპი დერეფანში იდგა და გონებას იკრებდა. წუთიც და უჩინარი სამზარეულოში ამოყოფდა თვეს. სამზარეულოს კარი კი დიდხანს არ დააბრკოლებდა.

შემოსასვლელ კარზე ხელმეორედ დარეკეს. „ალბათ პოლიციელებია“, — გაიფიქრა კემპმა და შემოსასვლელისკენ გაქანდა. ხელებაკანკალებულმა ჯაჭვი დაამაგრა და ურდეულები გადასწია. მეტი სიფრთხილისათვის მოსამსახურეს გამოელაპარაკა და როცა დარწმუნდა, მართლა ის რეკავდა, მხოლოდ მაშინ გამოადო კარი. მოსამსახურე და ორი პოლიციელი თავქუდმოგლეჯილები შემოცივდნენ დერეფანში, კემპმა მაშინვე მიაჯახუნა კარი.

— უჩინარი! — მიმართა მან ახლადმოსულებს. — რევოლვერი აქვს. თუმცა სულ ორი ტყვიადა დარჩა. ედაი მოკლა. მკვდარი თუ არა, დაჭრილი მაინცაა და ჭიშკართან, მოლზე გდია.

— ვინ? ვინ გდია? — იკითხა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

— ედაი!

— ჩვენ მეორე მხრიდან მოვუარეთ ეზოს და ისე შემოვედით, — თქვა მსახურმა.

— ეს რა ხმაურია? — იკითხა მეორე პოლიციელმა.

უჩინარია, სამზარეულოშია; თუ არ არის, მალე იქნება. სადღაც ნაჯახი უპოვნია და დარაბა ჩალენა... .

უეცრად სახლი საშინელმა ხმაურმა შეაზანზარა. უჩინარი მთელი ძალით ურტყამდა ნაჯახს სამზარეულოს კარს. მოახლეობ ერთი კი გაიხედა იქითგენ და მერე სასადილო ოთახში შევარდა. კემპი ნაწყვეტ-ნაწყვეტად უხსნიდა პოლიციელებს მდგომარეობას. სამივე მიხვდა, კიდევ ერთი დარტყმა და კარი საბოლოოდ გამოიმტკრეოდა.

— აქეთ, აქეთ წამოდიო! — დაუძახა პოლისმენებს კემპმა და ორივენი ხელის კვრით სასადილო ოთახში შეიყვანა.

— გელა! გელა აიღეთ! — დაიყვირა და ბუხარს ეცა.

გელა, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა, პირველ პოლისმენს გადასცა; ხოლო მეორეს ბუხრის ბადეზე მიყუდებული მაშა გაუწოდა.

— ჰოპ! — წამოიძახა პირველმა პოლისმენმა, დაიკუთხა და ნაჯახი გელათი დაიჭირა. რევოლვერიდან მესამე ტყვია გავარდა სიღნეი კუპერის¹ (¹ სიღნეი კუპერი — ინგლისელი მხატვარი, რომელიც უმეტესად ცხოველებს ხატავდა.) ძვირფასი ნახატი გახვრიტა. მეორე პოლისმენმა კი ჰაერში დაკიდულ იარაღს მაშა ისე ჩამოარტყა, თითქოს აბეზარ ბზიკს იგერიებსო. რევოლვერი იატაკზე დავარდა.

სროლის ხმაზე იქვე, ბუხართან ატუზულმა მოსამსახურემ ჯერ კივილი მორთო, მერე ფანჯარას ეცა და დარაბების გაღებას შეუდგა. ჩანდა, ფანჯრიდან გადაძვრომას აპირებდა.

ნაჯახმა დერეფნისკენ დაიხია და იატაკიდან ორიოდე ფუტის სიმადლეზე შედგა. გარკვევით ისმოდა უჩინარის მძიმე, ხმირი სუნთქვა.

— თქვენ ორნი განზე გადექით! — უთხრა გრიფინმა პოლისმენებს. მე აი, ის კაცი მჭირდება, კემპი.

— ჩვენ კი თქვენ გვჭირდებით, — მიუგო პირველმა პოლისმენმა, ნაბიჯი გადადგა იმ მხარეს, საიდანაც ხმა მოდიოდა და გელა მთელი ძალით დაიქნია. უჩინარმა, ალბათ, მოასწრო უკან გადახტომა, რადგან გელა პირდაპირ ქოლგის ჩამოსაკიდს დაეხეთქა. პოლისმენმაც თავი ვერ შეიმაგრა, წაიფორხილა და იმავე წამს ნაჯახი თავში ძლიერად მოხვდა. რკინის ჩაჩქანი ქადალდივით გაიფხრიწა და დარეტიანებული პოლისმენი სამზარეულო ოთახისკენ გაგორდა. მისმა ამხანაგმა მოასწრო, მაშა მოიქნია ნაჯახის მხარეს და იგრძნო, რომ მიზანში მოარტყა: მოისმა გამწარებული გმინვა და ნაჯახი იატაკზე დაეცა. მან იმავე მიმართულებით ხელმეორედ მოიქნია მაშა, მაგრამ ამჯერად ააცილა. მერე ნაჯახს ფეხი დაადგა, ყოველი შემთხვევისათვის გელა მოიმარჯვა და მიაყურა.

სასადილო ოთახიდან ჩქარი ნაბიჯების და ფანჯრის გადების ხმა მოისმა. პოლისმენი, რომელიც აქამდე სამზარეულოში ეგდო, წამოიწია და კედელს ზურგით მიეყრდნო. გახეთქილი თავიდან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა ლოუებსა და შებლზე.

— სად არის? — იკითხა დაზარალებულმა.

— არ ვიცი. მაშა მოვარტყი და ნაჯახი გავაგდებინე. აქ უნდა იყოს სადმე, თუ შენს უკან არ გაძვრა და გაიპარა. დოქტორ კემპი!.. სერ!.. არავითარი პასუხი.

— დოქტორ კემპ! — ხელმეორედ დაუძახა მან.

დაზარალებულმა პოლისმენმა ფეხზე წამოდგომა სცადა. დიდი წვალებით წამოიწია და უცებ სამზარეულოში ჩამავალი კიბიდან შიშველი ფეხის ხმა მოესმა:

— აჲა, აი, სად ყოფილა! — დაიღრიალა და გელა ალალბედზე ისროლა. გელა აირთალფაქს მოხვდა და გატეხა. პოლისმენი ადგილს მოწყდა და უჩინარს გამოუდგა, მაგრამ შუაგზაზე შეჩერდა, გადაიფიქრა და სასადილო ოთახში დაბრუნდა.

— დოქტორ კემპ, დოქტორ კემპ! — დაიძახა და ირგვლივ მიმოიხედა. ახლახანს აქ იდგა, — მიუბრუნდა იგი თავის ამხანაგს, რომელიც არანაკლებ გაოცებული ჩანდა კემპის გაუჩინარებით.

მთელი სახლი დაიარეს, მაგრამ დოქტორი კემპი და მისი მოსამსახურე ვერსად იპოვეს. ბოლოს მეორე პოლისმენმა კემპზე მეტად გარკვევითა და მოკლედ გამოთქვა თავისი აზრი.

თავი ოცდამერვე
ნადირობა მონადირეზე

მისტერ ჰილასს, მეზობელი ვილის პატრონს, თავის ტალავერში ეძინა, როდესაც კემპის სახლის ალყა დაიწყო. იგი ექუთვნოდა ქალაქის ჯიუტ მოსახლეთა იმ მცირე რიცხვს, რომლებსაც არაფრით არ სჯეროდა მთელი ეს სულელური ყბედობა უჩინარზე. მისი ცოლი კი, როგორც მისტერ ჰილასს შემდგომ არაერთხელ უთქვამს, ჭორებს იყო აყოლილი. მეუდღის თხოვნა-მუდარის მიუხედავად, მისტერ ჰილასი სრულიად უშფოთველად გამოვიდა ბაღში სასეირნოდ; ხოლო ნასამხრალს, ჩვეულებისამებრ, მოსვენებას მიეცა. სანამ უჩინარი კემპის სახლის ფანჯრებს ამტვრევდა, იგი მშვიდად თვლემდა; მაგრამ უეცრად შეშფოთებულს გამოედვიძა. გუმანით მიხვდა, რომ ყველაფერი ვერ იყო რიგზე. კემპის სახლისკენ გაიხედა, გაკვირვებულმა თვალები მოიფშნიტა და ისევ სახლს დააშტერდა. მერე ფეხები მიწაზე გადმოალაგა და მიაყურა. „ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს!“ — ჩაიჩურჩულა, მაგრამ საშინელი ჩვენება მაინც არ გამქრალა: სახლი ისე გამოიყურებოდა, თითქოს საშინელი დარბევის შემდეგ პატრონს იქაურობა კარგახანია მიუტოვებია და აღარ დაბრუნებულა. ფანჯრები ჩაემსხვრიათ და კოშკის გარდა, ყველა ფანჯარა დარაბებით იყო დაგმანული.

— გეფიცებით, — თქვა მან და საათს დახედა, — ამ ოციოდე წუთის წინათ ამის მსგავსი აქ არაფერი ყოფილა.

შორიდან თანაბარი დარტყმისა და შუშის ჩხრიალის ხმა ისმოდა. სანამ მისტერ ჰილასი პირდაღებული იჯდა და სახლს მიშტერებოდა, უფრო საოცარი რამ მოხდა: სასადილო ოთახის დარაბები გაიღო და რაფაზე გამოჩნდა პალტოსა და ქუდში გამოწყობილი მოსამსახურე. ქალი ხელებს ასაგსავებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად აეწია ფანჯრის ალათა. უეცრად მის გვერდით კაციც გამოჩნდა და მიეხმარა ალათის აწევაში. „დოქტორი კემპი!“ — წამოიძახა მისტერ ჰილასმა. წუთიც და ფანჯარა გაიღო. მოსამსახურე ძლივებით გადაფოფხდა ეზოში და ბუჩქებს შორის მიიმალა. მისტერ ჰილასი წამოდგა, შუბლზე ხელი გადაისვა და განცვიფრებულს აღელვებით რაღაც დაუნაწევრებელი ბგერები აღმოხდა. შემდეგ დაინახა, როგორ გადმოეშვა ფანჯრიდან დოქტორი კემპიც და იმავ წამს ჭიშკრის იქით, ბუჩქებს შორის ბილიკზე გამოჩნდა. დროდადრო ჩერდებოდა, უკან-უკან იხედებოდა და წაკუზული ისე მირბოდა, თითქოს ვიდაცას ემალებაო. ერთხანს წნორის ბუჩქებს შორის გაუჩინარდა, მაგრამ მაღე ისევ გამოჩნდა, ეცა მესერს, რომლის იქითაც ტრიალი მინდორი იწყებოდა და გადაევლო. შემდეგ მისტერ ჰილასის სახლის მიმართულებით ფერდობზე დაეშვა.

— დმერო! — წამოიძახა შეძრწუნებულმა მისტერ ჰილასმა. — ესე იგი ყველაფერი სიმართლე! მაშ ის არამზადა უჩინარი მართლაც არსებობს?!

ამგვარმა აღმოჩენამ მისტერ ჰილასი, რა თქმა უნდა, სახწრაფოდ აამოქმედა: მზარეულმა ქალმა, რომელიც ზედა სართულის ფანჯრიდან აღევნებდა თვალყურს, დაინახა, რომ მან კაი ცხრა მილის სისწრაფით მოუსვა სახლისკენ, და გაოცდა.

არ გასულა ხანი, რომ ქვემოდან კარების ჯახუნი და ზარის წერიალი მოისმა. მისტერ ჰილასი გაშმაგებული ხარივით დრიალებდა.

— დაკეტე ყველა კარი! დაკეტე ყველა ფანჯარა! დაკეტე ყველაფერი! მოდის! უჩინარი მოდის! ჩქარა!..

ატყდა ერთი აყალმაყალი, სირბილი, ყვირილი. მისტერ ჰილასი თვითონ გაიქცა ვერანდაზე გამავალი კარის ჩასაკეტად. ვერ მოასწრო გასაღების გადატრიალება, რომ ღობის თავზე კემპი გამოჩნდა. წამიც და იგი უკვე ეზოში იყო. სირბილით გადაკვეთა ჩოგბურთის მოედანი და სახლში შესასვლელი კარისკენ გაქანდა.

— გერა, ვერ შემოგიშვებთ, — უთხრა მისტერ ჰილასმა და ურდულები გადასწია. — სწორედ გითხრათ, ძალიან ვწუხვარ, თუ ის არამზადა უკან მოგდევთ, მაგრამ მაინც ვერ გაგიღებთ.

შიშისგან სახეარეული კემპი შეშაბანდს მიუახლოვდა, დაუჯაჯგურა სახელურს და გამწარებულმა ბრახუნი ატეხა. რაკი დარწმუნდა, ყოველი ცდა ამაოა, ვერანდა გადაირბინა, მოაჯირიდან ბაღში ისკუპა და გვერდითა კარს ეცა. ისიც დაკეტილი დახვდა. მაშინ დოქტორი კემპი ჭიშკრისკენ გაიქცა. მისტერ ჰილასი ფანჯრიდან უთვალთვალებდა. ის-ის იყო კემპი ღობეს გასცდა, რომ მისტერ ჰილასმა მოულოდნელად შენიშნა უხილავ ფეხზე მიკრული სატაცური, რომელიც გაქცეულს კვალდაკვალ დაედევნა. თავზარდაცემული მისტერ ჰილასი ზედა სართულზე ავარდა, ასე რომ, იმ ნადირობის დასასრული აღარ უნახავს.

გზაზე გასული დოქტორი კემპი, ბუნებრივია, ქვემოთ დაეშვა. იძულებული გახდა, ახლა თვითონ ერბინა იმ მაწანწალა მარველის მსგავსად, რომელსაც ოთხი დღის წინათ თვალს დამცინავად აყოლებდა კოშკიდან. დიდი ხნის უვარჯიშებული კაცის კვალობაზე იგი საკმაოდ კარგად მირბოდა. მიუხედავად იმისა, რომ გაფითრებული იყო და ოვლი მთელ ტანზე წურწურით ჩამოსდიოდა, მისი გონება მაინც ფხიზლად და საქმაოდ აუდელვებლად მუშაობდა. გრძელ ნაბიჯებს ადგამდა და როცა ისეთ ადგილს წააწყდებოდა, სადაც გროვად ეყარა წვეტიანი ქაბები ან შუშის ნამსხვრევები, პირდაპირ მათზე გადაივლიდა ხოლმე და უკან დადევნებულ უჩინარს აიძულებდა სხვა გზა ექცება.

თავის სიცოცხლეში მან პირველად იგრძნო, რა გრძელი და უკაცური იყო ფერდობზე გადაჭიმული გზა; რამსი შორეზე მოჩანდა აქედან ქალაქის გარეუბანი. არასდროს არ ყოფილა, ალბათ, შორ მანძილზე გადაადგილების უფრო ძნელი და ნელი საშუალება, ვიდრე სირბილია. შუადღის მზით გამობარი ვილები თვლემდნენ. შორიდანვე ეტყობოდა, ყოველი სახლის ფანჯარა და კარი დაგმანულ-ჩარაზული იყო. რა თქმა უნდა, ისინი თვითონ დოქტორ კემპის მითითებით გამოკეტეს ასე საგულდაგულოდ. მაგრამ განა მცხოვრებლებს არ შეეძლოთ წინასწარ განეჭვრიტათ ამგვარი შემთხვევის შესაძლებლობა?

ქალაქი თანდაოთან ზევით და ზევით იწევდა, ქალაქის იქით გადაშლილი ზღვა თვალს მიეფარა, ხოლო ქუჩაში მოფუსფუქს ხალხი უფრო გარკვევით გამოჩნდა. ფერდობის ძირს კონკა უახლოვდებოდა. იქვე, მოსახვევში პოლიციის განყოფილება იყო, მაგრამ ნუთუ ასე ახლოსაა უჩინარი, რომ კემპს მისი ნაბიჯების ხმაც კი ესმის? მეტი სისწრაფეა საჭირო!.. უკანასკნელი ძალ-დონის მოკრება!..

მოედანზე შეჯგუფებული ხალხი დოქტორ კემპს ქვემოდან უთვალთვალებდა. ზოგი მათგანი შესაგებებლად გამოქანდა. კემპს გული ყელში ებჯინებოდა. სუნთქვაც უჭირდა. კონკა უკვე ორ ნაბიჯზე იყო მისგან; „მხიარული კრიკეტისტების“ კარებსაც მხოლოდ ახლა კეტავდნენ. კონკის უკან ბოძები იდგა, რომელთა ქვეშ სადრენაჟო სამუშაოსათვის განკუთვნილი ხრეში ეყარა. კემპმა ჯერ გაიფიქრა, კონკაში შევხტები და კარს მოვიხურავო, მაგრამ მერე სხვა აზრს დაადგა: გადაწყვიტა პოლიციის განყოფილებისკენ გაქცეულიყო. სწრაფად ჩაურბინა „მხიარულ კრიკეტისტებს“ და ხალხით გაჭედილი ქუჩის ბოლოში აღმოჩნდა. კონკის მეეტლებმ და მისმა დამხმარევმ თავი ანებეს ცხენების გამოხსნას და გაოცებულები კემპს მიაჩერდნენ. ასეთივე გაოცებულები შეჟყურებდნენ მას ხრეშის გროვებთან თავმოყრილი მიწის მოხრელები.

კემპმა სირბილს უკლო, მაგრამ მაშინვე გაიგონა უჩინარის ფეხის ხმა და ისევ უმატა სირბილს.

— უჩინარი! უჩინარი მომდევს! — გასძახა მიწის მთხრელ მუშებს, თან ხელის მოძრაობით ანიშნა, ჩემს უკან არისო და, ხალხის დანახვით გამხევებული, საქმაოდ ფართო თხრილს გადაახტა. ამგვარად, უჩინარსა და მას შორის უკვე მამაკაცთა მოელი ჯარი იდგა. ახლა კემპმა პოლიციის განყოფილებაში შევარდნაც გადაიფიქრა. კუთხეში შეუხვია, გვერდით ჩაუქროლა მემჭვანილის ოთხვალას, სულის მოსათქმელად ტბილეულობის სავაჭროსთან მცირე ხანს დაყოვნა და იმ ბულვარის შესასვლელისკენ მოკურცხლა, რომლიდანაც ისევ ჰილ-სტრიტზე გავიდოდა. ბულვარში, ხეებქვეშ ბალახზე მოთამაშე ბავშვები სახეშეშლილი კაცის დანახვაზე დაფეთდნენ და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. მაშინვე გაიდო მახლობელი სახლის ფანჯრები და გაცეცხლებულმა დედებმა კემპს წყევლა-კრულვა მიაყოლეს.

კემპმა თავი ხელმეორედ ჰილ-სტრიტზე ამოჟყო, კონკების სადგომიდან სამასიოდე იარდის მოშორებით, და თვალი მოჟკრა ბრბოს, რომელიც ყვირილითა და ხელების ქნევით მისკენ მოემართებოდა. ყველაზე წინ მორბოდა მაღალი, ჩასკვნილი მიწისმთხრელი, რომელიც ხმამაღლა იგინებოდა და გრძელ ნიჩაბს ჰაერში ხმალივით ატრიალებდა. მას მუშტმომარჯვებული კონდუქტორი მოსდევდა. ამ ორს ხროვად მოჟყვებოდნენ სხვებიც. ყველანი ყვრიოდნენ და იმუქრებოდნენ. ხალხი ქუჩის მეორე მხრიდანაც მორბოდა. კემპმა დაინახა, როგორ გამოვარდა ფარდულიდან კეტით შეიარაღებული ნოქარი და იყვირა:

— გაიშალეთ, გაიშალეთ!

კემპი მიხვდა, რომ მდგომარეობა საპირისპიროდ შეიცვალა, რომ ნადირობამ სულ სხვა ხასიათი მიიღო. აქოშინებული ადგილზე გაქვავდა და ირგვლივ მიმოიხედა.

— საღმე ახლოს იქნება უჩინარი! — გასძახა მან ბრბოს, — ჩქარა! წრე შეკარით, ჩქარა!

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ყურის ძირში მუშტი მოხვდა და შეტორგმანდა; სცადა მიბრუნებულიყო უხილავი მტრისკენ, მაგრამ წაიფორხილა და ჰაერში უმიზნოდ გაიქნია ხელი. მეორედ უფრო ძლიერად მოხვდა მუშტი ნიკაპთან და მიწაზე დასცა. იმწამსვე მუცელზე უხილავი მუხლი დააწვა, ხოლო კისერზე თითები შემოეჭდო. კემპმა იგრძნო, რომ ერთ-ერთი ხელი უფრო სუსტად უჭერდა და სწორედ ის ხელი მოიგდო მკვლავებში. უჩინარმა ტკივილისგან ხმამაღლა ამოიგმინა. არ გასულა ხანი, რომ კემპის თავს ზემოთ მიწის მთხრელმა ნიჩაბი აღმართა და მთელი ძალით დაიქნია. ნიჩაბი მოხვდა რადაც რბილს. კემპს სახეზე თბილი წვეთი დაეცა. კისერზე შემოჭდობილი თითები მოეშვნენ. კემპმა სწრაფი მოძრაობით თავი გაინთავისუფლა. ჩაებდაუჭა მოწინააღმდეგის მხარს, ზემოდან მოექცა და უხილავი ნიდაყვები მიწაზე მიაბჯენინა.

— დავიჭირე! — წამოიყვირა კემპმა. — მომეხმარეთ! მომეხმარეთ! აქ არის, მაგრად დაუჭირეთ ფეხები!

წუთიც და ბრბო ბრძოლის ადგილისკენ გაქანდა. ვინმე გარეშეს რომ ამ სანახაობისთვის ეცეირა, იტყოდა, გიჟებს რეგბის თამაში გაუჩაღებიათ შუა ქუჩაშით. კემპის შეძანილის შემდეგ ხმა აღარავის ამოუღია. მხოლოდ მძიმე ქოშინი, მუშტებისა და წიხლების ბაგაბუგილა ისმოდა.

ამ ძლიერი შემოტევის მიუხედავად, უჩინარმა ერთხელ კიდევ შეძლო ფეხზე წამოდგომა. სცადა გაქცეულიყო, მაგრამ კემპი ისე ჩაფრენოდა მხარში, როგორც მწევარი ირემს ჩაფრინდება ხოლმე, და გასაქანს არ აძლევდა. მალე ათეული ხელი ერთად წაეპოტინა უჩინარ სხეულს და დაუწყო უმოწყალო ცემა, გლეჯა, ჯიჯანა. კონკის კონდუქტორმა შემთხვევით კისერზე მოხვია მკლავი და ქვემოთ დაითრია.

ქუჩაში მოჩხუბართა ზედახორა შეიქმნა. ყველანი რაღაც არაადამიანურმა, ცხოველურმა ინსტიქტმა შეიპყრო და გააცოფა. უკცრად ჰაერი გააპო გამწარებული კაცის გულშემზარავმა კივილმა:

— შემიბრალეთ! შემიბრალეთ! — რასაც დაგუდული კვნესა და სამარისებური სიჩუმე მოჰყვა.

— აბა, უკან დაიხიეთ! სულელებო! გეყოფათ! — ამოიხრიალა დოქტორმა კემპამა და ხალხი მისწი-მოსწია. — დაჭრილია, არ გესმით? დაჭრილია-მეთქი. უკან, უკან დაიხიეთ!

როგორც იქნა, კემპის გარშემო ადგილი დაცარიელდა. ხალხმა ფართო წრე შეერა და კემპის მიაჩერდა, რომელიც მიწას თხუთმეტიოდე დიუმით ასცილებოდა, მუცელი მუცელზე მიებჯინა უჩინარისთვის, ხოლო ხელებით მაჯებს უგრებდა. პოლისმენს გრიფინის ფეხები ეჭირა.

არ გაუშვათ! — დაიყვირა ჩასკვნილმა მიწისმთხრელმა, რომელსაც ხელში სისხლიანი ნიჩაბი ეჭირა. — თავს იკატუნებს.

— სულაც არა! — თქვა კემპმა და გრიფინის მუცელს მუხლი ფრთხილად მოაცილა. — ასეც რომ იყოს, საკმაოდ მაგრად მიჭირავს.

კემპის სახე დაბეჭილი პქონდა და თანდათან უსივდებოდა. ენას ძლიერ ასრუნებდა პირში და ტუჩებიდანაც სისხლი სდიოდა. ხელი ასწია და, როგორც ეტყობა, სახე მოუსინჯა უჩინარს.

— პირი მთლად სველი აქვს, — ჩაიჩურჩულა და უეცრად გაელნაკბენივით წამოიძახა: ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!..

მერე სწრაფად წამოხტა და უხილავი არსების წინ მუხლებზე დაიჩოქა. ხალხი ისევ აჩოჩქოლდა; უკანა რიგებიდან ცხობისმოყვარეთა თავშეკავებული წამოძახილები გაისმა. ხალხი მორბოდა ყოველი მხრიდან და შეკრებილთ უერთდებოდა. სამიკიტო „მხიარული კრიკეტისტების“ კარი ფართოდ გაიღო. კემპი ფრთხილად აფათურებდა ხელებს ჰაერში; ხანდახან თავს დახრიდა და რაღაცას ყურს უგდებდა.

— არ სუნთქავს! — თქვა ბოლოს, — ადარც გული უცემს. უკან, ფერდი როგორ...

მოხუცმა ქალმა, რომელიც მაღალ-მაღალი მიწისმთხრელის ნიდაყვს ქვემოდან იჭვრიტებოდა, ხმამაღლა წამოიძახა:

— უყურეთ, უყურეთ! — და დამჭკნარი ხელი წინ გაიშვირა.

ყველამ იქით გაიხედა და მკრთალად მოხაზული, თითქოსდა შუშის ნაკვეთი მკლავი დაინახა. კაცი ადგილად გაარჩევდა არტერიებს და პატარ-პატარა სისხლძარღვებს. მკლავი უსიცოცხლოდ ესვენა მიწაზე და თანდათანობით მუქდებოდა.

— გვე! — წამოიძახა პოლიციელმა. — აი, ფეხებიც გამოჩნდა!

და აი, თანდათანობით, უჩინარის გამჭვირვალე სხეული ჩვეულებრივი ადამიანის სხეულს ემსგავსებოდა. უხილავი ნაკვთების ხილულად გადაქცევის პროცესი არც თუ ისე დიდხანს გაგრძელდა. ეს პგავდა ადამიანის ორგანიზმში შხამის გაგრცელების პროცესს. უპირველეს ყოვლისა, ჩნდებოდნენ წვრილი თეთრი სისხლძარღვები, რომელთაც მთელი სხეულის მკრთალი მოხაზული შექმნეს. შემდგომ გამოჩნდა უნთხები და კანი; თავდაპირველად ისინი ნისლის ფერისა იყვნენ. მალე გამოიკვეთა ადამიანის ჩალეწილი მკერდი, მხრები და უაღრესად დასახირებული სახე.

ბოლოს კემპი წამოდგა და ბრბოს თვალწინ წარმოუდგა მიწაზე გართხმული ოცდაათოოდე წლის ახალგაზრდა კაცის დამახინჯებული გვამი. მას თმა და წარბები თეთრი — ისე კი არა, ღრმა მოხუცებს რომ აქვთ, არამედ როგორც ალბინოსებს — ხოლო თვალები წითელი ფერისა პქონდა. ხელები დაკრუნჩხოდა, ფართოდ გახელილი თვალები და შეჭმუხნილი სახე უაღრეს ტანჯვასა და სიბრაზეს გამოხატავდა.

— რამე გადააფარეთ სახეზე! — ყრუდ ამოიგმინა ვიღაცამ. — დვოის გულისათვის, სახეზე რამე გადააფარეთ! ადამიანები არა ხართ?

„მხიარული კრიკეტისტებიდან“ საჩქაროდ მოარბენინეს თეთრი ტილო, გვამს გადააფარეს და იმავე სამიკიტოში გადაასვენეს.

და იწვა ასე უვარგის, მონჯლრეულ საწოლზე; ბინძურ, ცუდად განათებულ ოთახში, უმეცარი და აჩოჩქოლებული ბრბოთი გარშემორტყმული, მკერდჩალეწილი და სახედასახიჩრებული, ყველასაგან დევნილი და უსახლკარო. იწვა გრიფინი, უნიჭიერესი ფიზიკოსი, პირველი ადამიანი, რომელმაც შეძლო გაეუჩინარებინა საკუთარი თავი; ადამიანი, რომელსაც ასე ულმობლად მოუსპეს სიცოცხლე და გადაუჭრეს მეტად საინტერესო და ძიებებით სავსე ცხოვრების გზა.

ეპილოგი

ასე მთავრდება გრიფინის ამ მეტად უჩვეულო და საბედისწერო ცდის ამბავი. თუ ვინმეს გინდათ, უფრო მეტი რამ გაიგოო მასზე, შეიარეთ პორტ-სტოუს მახლობელ პატარა სამიკიტოში და მეპატრონეს გაესაუბრეთ. სამიკიტოს თავზე გამოკრულია აბრა — ცარიელი დაფა — რომლის ერთ კუთხეში ფართოფარფლიანი ქუდი, ხოლო მეორეში — მაღალეელიანი ფეხსაცმელები ხატია; შუაში კი დიდი ასოებით აწერია: „უჩინარი“. სამიკიტოს მეპატრონე ერთი დაბალ-დაბალი, ჩასუქებული, ცხვირკომბალა, თმააბურმგნილი და ლოუებდაუდაუ კაცია. რაც შეიძლება მეტი გადაჟარით, მაშინ ისიც დაწვრილებით მოგიყვებათ, თუ რა გადახდა თავს უჩინარის სიკვდილის შემდეგ; როგორ ცდილობდნენ „ჩამოერთმიათ“ ის ქონება, რომელიც გაჩხრეკისას ჯიბეში უპოვეს.

როცა დარწმუნდნენ, რომ იმ ფულის პატრონის ძებნა ამაო იყო — გეტევით იგი და პირჯვარს გადაიწერს — გეფიცებით, ისე დამიწეს ყურება, როგორც რაიმე საგანძურს. აბა, მითხარით, რა მიგავს საგანძურს. მერე ერთმა ჯენტლმენმა შემომთავაზა ყოველ სადამოს მიუზიკ-ჰოლში გამოვსულიყავი და საკუთარი თავგადასალი მეამბნა. უბრალოდ, ჩემი სიტყვებით მეამბნა ის, რაც უჩინართან ყოფნისას ვნახე და განვიცადე. თითო გამოსვლაში, წარმოიდგინეთ, გინეას მაძლევდა...

თუ ძალიან მოგაბეჭროთ თავი გაუთავებელი ლაქლაქით, პკითხეთ რაიმე სამ წიგნად აკინძულ ხელნაწერზე და ისიც წამში გამოიცვლება. უჩინარს მართლაც პქნება სამი წიგნი, მაგრამ რა ბრძანებაა, აბა, მე ვინ ჩამიგდებდა ხელშიო, — გიპასუხებთ და მოჰყება უარს.

— რატომდაც ყველას პგრინია, რომ ის წიგნები მე გადავმალე. წიგნები კი უჩინარმა ჯერ კიდევ მაშინ წამართვა, როდესაც გამოვიქცეი და პორტ-სტოუს შევაფარე თავი. ეს სულ მისტერ კემპის ონებია. ის მიყრის ხმებს. ერთი მითხარით, რაში მჭირდება მე წიგნები? — იტყვის, თავს საწყლად ჩაქინდრავს, ეჭვის თვალით მალულად შეგათვალიერებთ, სასწრაფოდ მიალაგებს დახლზე ჭიქებს და დარბაზიდან გავა.

იგი სალთად დაბერებული კაცია. გემოვნებაც ისეთი აქვს, უცოლოს რომ შეეფერება. თავის სახლში ქალს არ გააჭაჭანებს. ტანსაცმლის საჩინარ ადგილებს ფოლაქებზე იკრაგს — მისი მდგომარეობის კაცს უფლებაც არა აქვს სხვაგვარად მოიქცეს — უფრო მიჩქმალულ ადგილებში კი მაგალითად, (ქამრის მაგიერ) ბაწარს ხმარობს. ვაჭრობის საქმეში მაინცადამაინც ფხიანი ვერაა, თუმცა სახელსა და დირსებაზე ყოველნაირად ზრუნავს. ცოტა ზანგია, ხშირად ნახავთ ჩაფიქრებულს. ხოფელში დიდი პატივისცემით ეპყრობიან: ჭკვიანი და ხელმომჭირნე კაცის სახელი აქვს გავარდნილი. რაც შეეხება სამხრეთ ინგლისის გზების ცოდნას, ამაში მას ვერავინ შეედრება.

კვირა დილაობით კი (მთელი წლის მანძილზე ყოველ კვირას) და ყოველ ღამე (ათი საათის შემდეგ), როცა გარე სამყაროსთან აღარაფერი აკავშირებს, თავის თთახში მიდის; თან მიაქვს ერთი ჭიქა წყალგარეული ჯინი, რომელსაც მრგვალ მაგიდაზე დადგამს. ჩაკეტავს კარს, შეათვალიერებს ფარდებსა და ავეჯეულობას; როცა დარწმუნდება, რომ სრულიად მარტოა, ჯერ კარადას გამოადებს, მერე ერთ-ერთ უჯრას გამოსწევს, ამოიღებს იქიდან ტყავის ყდაში ჩასმულ სამ წიგნს და დიდი ამბით დადებს მაგიდაზე. წიგნების ყდები უკვე კარგა მაგრად შელანძღვლი და ჭაობის მწვანე ხავსითაა დაფარული, რაღაც რამდენიმე დღე წყალსადენის თხრილში აქვთ გატარებული. ზოგ გვერდზე ხელნაწერი ჭუჭყიანი წყლისგან სრულიად ჩამორეცხილა.

სამიკიტნოს მეპატრონე ლინჯად ჯდება სავარძელში, ჩიბუხს ნელ-ნელა ტენის თუთუნით და აღტაცებულ მზერას არ აშორებს წიგნებს. ჩიბუხის დატენას რომ მორჩება, ერთ-ერთ წიგნს ახლოს მიიწევს და იწყებს კითხვას: ხან იქით გადაფურცლავს, ხან აქეთ. შებდი შეუკრავს და ტუჩებს აცმაცუნებს.

— ექსიანი, ზემოდან პატარა ორიანი... ჯვარი და კაუჭი... ღმერთო ჩემო, რა ჭავის პატრონი ყოფილა!

მაგრამ მალე იღლება, მიეყრდნობა სავარძლის ზურგს და თამბაქოს კვამლში გასცრის მზერას; ოთახის სიღრმეში განლაგებულ საგნებს ისე დააშტერდება, თითქოს სხვებისთვის მიუწვდომელ რამეს ხედავდეს.

— ყველაფერი საიდუმლოებითა მოცული! — ამბობს ხმადაბლა. — საოცარი საიდუმლოებით! ერთი მათგანი მაინც რომ ამომეხსნა, ვჲ... ღმერთო! რა თქმა უნდა, მასავით კი არ მოვიქცეოდი! მე სხვაგვარად გამოვიყენებდი ამ საიდუმლოს...

შემდეგ ისევ იძირება თავისი ცხოვრების გაუქრობელ, წარმტაც ოცნებებში. რამდენჯერ სცადა კემპმა დაპატრონებოდა ამ საიდუმლოს, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან არც ერთმა სულიერმა (სამიკიტნოს პატრონის გარდა) არ იცის, სად ინახება ეს წიგნები, რომლებშიაც უჩინარობისა და კიდევ ბევრი სხვა საოცარი საიდუმლოებანია ჩამარხული. ვერც ვერავინ შეიტყობს რამეს, სანამ სამიკიტნოს მეპატრონე ცოცხალია.